

675-9/2  
1990

ISSN-0132-6058



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მეცნიერება



115/2

ისტორიის  
ეთნოგრაფიისა და  
ლოგნიების  
ისტორიის  
სერია

1

1990



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი  
ТБИЛИСИ

1. 1990



ქურნალი დაარსებულა 1971 წელს  
Журнал основан в 1971 году



გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца

**ს ა რ ე დ ა კ ტ ო რ ი კ ო ლ ე გ ი ა :** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. ვიორგაძე, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, ო. ჟორდანიას, ე. ხოშტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргалдзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарова, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мухелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

**პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე**  
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-85-50    ტელეფონ

გადაეცა წარმოებას 26.2.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.5.90;  
ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×1081/16; პირო. ნაბეჭდი თაბახი 16.8;  
საარტიკულო-საგამომცემლო თაბახი 13,48;

უფ 02638;

შეკვეთა 505;

ტირაჟი 1000;

ფასი 1 ჰან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.  
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

გარდაქმნის მხარდამხარ . . . . . 7

წერილები

ლ. თორიძე, 25 თებერვლის შემდეგ . . . . . 10  
 ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევის მიზანი და  
 ამოცანები . . . . . 38  
 ვ.ი. ღათუნაშვილი, მუშაჯირობა ჩრდილო კავკასიელებში (ჩეჩენთა გადასახლება) . . . 44  
 ბ. მამულაძე, ვახტანგ გორგასლის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ . . . . . 61

ახლო წარსულის ფურცლები

მ. შორაღანი, შესავალი . . . . . 74  
 ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, იუნკრები . . . . . 75

ცნობები და შენიშვნები

79661

მ. სილოგავა, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დამოწმებული ძველ-  
 ლისი ხილ ფირნანდესი. დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ესპანეთს  
 შორის XV—XVII სს . . . . . 115  
 დ. ხოშტარია, ბერთისა და სინკოთის ტაძრების ხუროთმოძღვრული სახისათვის . . . 149  
 მ.ა. დიდბუღიძე, ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა . . . . . 160

მწერლის მემკვიდრეობიდან

ი. შავვაშაძე, ქართველი ერი და ღვაწილი წმინდა ნინოსი . . . . . 176

ჩვენი ინტერვიუ

ინტერვიუ აკადემიკოს გ. მელიქიშვილთან . . . . . 179

პირიტიკა და ბიბლიოგრაფია

მელა ბაპალაშვილი, სვანეთის წერილობითი ძეგლები (X—XVIII სს), ტექსტები გამო-  
 საცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო  
 ვ. სილოგავამ . . . . . 188

ძრონიკა და ინფორმაცია

დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის 900 წლისთა-  
 ვისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია . . . . . 190  
 ს. ბახნი, ლ. ხუციშვილი, ალექსი რობაქიძის ხსოვნას (ნეკროლოგი) . . . . . 191

საქ. სსრ კ. მარქსი  
 საბ. სახ. რესპუბ.



## СОДЕРЖАНИЕ

Плечом к плечу с перестройкой . . . . . 7

### СТАТЬИ

Л. М. ТОИДЗЕ, После 25 февраля . . . . . 10

Н. Р. МИНДАДЗЕ, Цель и задачи этнографического изучения грузинской народной медицины . . . . . 33

И. И. ДАТУНАШВИЛИ, Мухаджирское (переселенческое) движение с Северного Кавказа . . . . . 44

Г. Г. МАМУЛИА, Относительно церковной политики Вахтанга Горгасала . . . . . 61

### СТРАНИЦЫ НЕДАВНЕГО ПРОШЛОГО

О. К. ЖОРДАНИЯ, Вступление . . . . . 74

Н. МАТИКАШВИЛИ, М. КВАЛИАШВИЛИ, Юнкера . . . . . 75

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

В. И. СИЛОГАВА, Древнегрузинские документы, упомянутые в завещании Давида Строителя Шиомгвимской лавре и упоминание Завещания в древнегрузинских документах . . . . . 115

ЛУИС ХИЛ ФЕРНАНДЕС, Дипломатические контакты между Грузией и Испанией в XV—XVI вв. . . . . 139

Д. Э. ХОШТАРИЯ, Об архитектурном облике храмов Берта и Синкоти . . . . . 149

М. Т. ДИДЕБУЛИДЗЕ, Роспись церкви Спаса в селе Зенобани . . . . . 160

### ИЗ НАСЛЕДИЯ ПИСАТЕЛЯ

И. Г. ЧАВЧАВАДЗЕ, Грузинский народ и заслуги святой Нино . . . . . 176

### НАШЕ ИНТЕРВЬЮ

Интервью с академиком Г. А. Меликишвили . . . . . 179

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

ЭЛКА БАКАЛОВА, Письменные памятники Сванети (X—XVIII вв.), тексты к публикации подготовил, исследованиями и научно-справочным аппаратом снабдил В. И. Силогава . . . . . 188

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Научная сессия, посвященная 900-летию общественно-политической деятельности Давида Строителя . . . . . 190

С. И. БАХИА, Л. К. ХУЦИШВИЛИ, Памяти А. И. Робакидзе (некролог) . . . . . 191



## CONTENTS

Shoulder to Shoulder with the Perestroika . . . . .	7
---	---

### ARTICLES

L. To idze, After February 25, 1921 . . . . .	10
N. Mindadze, The Problems and Objectives of the Ethnographic Study of the Georgian Folk Medicine . . . . .	33
I. Datunashvili, Muhajir (Migration) from the North Caucasus . . . . .	44
G. Mamulia, Concerning the Church Policy of Vakhtang Gorgasal . . . . .	61

### PAGES OF THE RECENT PAST

O. Jordania, Introduction . . . . .	74
N. Matikashvili, M. Kvaliashvili, The Junkers . . . . .	75

### PROCEEDINGS AND NOTES

V. Silogava, Old-Georgian Documents Mentioned in David the Builder's will to the Shiomghvime Laura and Reference to the will in Old-Georgian Documents . . . . .	115
Luis Gil Fernandez, Diplomatic contacts between Georgia and Spain in XV—XVII centuries . . . . .	139
D. Khoshtaria, To the architectural Physiognomy of the churches in Berta and Sinkoti . . . . .	149
M. Didebulidze, The mural painting of the church of Saviour in Zenobani . . . . .	160

### FROM A WRITER'S LEGACY

I. Chavchavadze, The Georgian Nation and Saint Nino's Merits . . . . .	176
--	-----

### OUR INTERVIEW

Interview with Academician G. Melikishvili . . . . .	179
--	-----

### CRITICISM AND BIBLIOGRAPHY

Elka Bakalova, Written Monuments of Svaneti (X--XVIII c.). Texts for Publication by V. Silogava . . . . .	188
---	-----

### CHRONICLE AND INFORMATION

Scientific Session Devoted to 900 years Since the Beginning of David Ahmashenebeli's activities . . . . .	190
S. Bakhia, L. Khutsishvili, In Memory of A. Robakidze (Obituary) . . . . .	191



## ბარდაქენის მხარღამხარ

დღეს აღარავის ეჩითობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების ჩამორჩენილობაზე ლაპარაკი. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენა გახლავთ იმ საერთო მძიმე კრიზისულ ვითარებაში, რომელმაც ჩვენი ქვეყანა კარგა ხანია მოიცვა. სოციალურ ურთიერთობათა მბძანებლურ-ბიუროკრატიული სისტემის შექმნამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაშიც შექმნა ნაკლოვანებათა წარმოქმნის ობიექტური საფუძველი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფერომ დაკარგა თავისი ავტონომია, თავისი დამოუკიდებელი ხასიათი.

ისეთი ტრადიციული არსებითი თვისებები, როგორცაა ჭეშმარიტების ობიექტურობა, კვლევის თავისუფლება, სამეცნიერო შემოქმედების დამოუკიდებლობა, სულ უფრო და უფრო ეწირებოდა მსხვერპლად საკმაოდ ვულგარულად გაგებულ „სოციალურ“ დაკვეთას; არსებითად ეს იყო ღირებულებების შეკვეთა. დაიკარგა ობიექტური შეფარდება, უფრო მეტიც — წაიშალა საზღვრები იდეოლოგიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებას შორის. და ეს ხდებოდა არა მხოლოდ 30-იან—50-იან წლებში, სულ აგერ რამდენიმე წლის წინათაც. ფაქტია, რომ საზოგადოებრივ-სამეცნიერო დაწესებულებები და კადრები პარტიული და სამთავრობო ორგანიზაციების შემსრულებელ დანამატებად იქცნენ. მეცნიერების ბიუროკრატიზაცია დაეტყო ორგანიზაციულ სტრუქტურასა და კადრების შემადგენლობასაც, რამაც საზოგადოებათმცოდნეობის სოციალური პრესტიჟი დასცა, დაუკარგა ნდობა მის წარმომადგენელთა ერთ ნაწილს საზოგადოების ფართო ფენებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში.

დღეს ნათელი გახდა, რომ საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობის და მის სოციალურ პრაქტიკასთან დაკავშირების ფორმები, აღარ შეესაბამება საზოგადოების წინაშე მდგარ გარდაქმნის ამოცანებს, რომლებიც ვადამწყვეტ და დაუყოვნებლივ ცვლილებებს მოითხოვენ. უპირველეს ყოვლისა უარი უნდა ითქვას საზოგადოებრივ მეცნიერებათა წმინდა პრობაგანდისტული ფუნქციის აბსოლუტიზაციაზე, რაც არსებითად ხდება მისი კრიტიკულ-შემეცნებითი ფუნქციის ხარჯზე. წლების მანძილზე საზოგადოებათმცოდნეები მხოლოდ კომენტარს (ისიც დადებით პლანში) უკეთებდნენ „ზემოდან“ წამოყენებულ პოლიტიკურ დოკუმენტებს. ეს, თავის მხრივ, მათ ართმევდა დამოუკიდებლობას, პასუხისმგებლობასა და ინიციატივას, ართმევდა საკუთარი „ხმის უფლებას“. საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარებას ამუხრუჭებდა ოფიციალური ჩარჩოები და საზღვრები. ამ საქმეს წარმატებით ასრულებდა საგამომცემლო პროცედურა თავისი გეგმებით, რედაქტორებით, რეცენზენტებითა და ცენზურით.

დღეს ახალი პოლიტიკური აზროვნების პირობებში გვიყენებენ ამოცანას მთელი სიღრმით, ყოველმხრივად დამუშავდეს სოციალიზმის თანამედ-

როვე კონცეფცია, წარმოჩნდეს ის მწვავე წინააღმდეგობანი, რომელიც ამ საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. საჭიროა განალიზდეს სოციალიზმის შესაძლებელი სხვადასხვა მოდელი; განისაზღვროს სოციალიზმის ადგილი თანამედროვე მსოფლიოში და მისი ურთიერთდამოკიდებულება კაპიტალიზმთან. ერთი სიტყვით, თანამედროვე სოციალიზმი, ისე როგორც ნებისმიერი საზოგადოებრივი წყობა, უნდა იქნას შესწავლილი, როგორც რთული, წინააღმდეგობრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური ფორმების სრულყოფამდე ჯერ კიდევ შორს მყოფი საზოგადოებრივი ფორმაცია. კატეგორიულად უნდა იქნას უარყოფილი რეალური სოციალიზმისა და მისი სასურველი მოდელის არარეალურ კაპიტალიზმთან დაპირისპირება. ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ კარგად უნდა შევისწავლოთ კაპიტალიზმის დროს საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც თავის მხრივ წარმოშობენ შრომის ორგანიზაციასა და წარმოების მართვის პროგრესულ ფორმებს. ამოცანაა ახლებურად დავინახოთ ადამიანთა ცივილიზაციის პერსპექტივა.

თანამედროვე საზოგადოების განვითარება მტკიცედ აყენებს ჰუმანიტარული მეცნიერების როლის ამაღლების საკითხს. მეცნიერული სოციალიზმის პერიოდში პირველ პლანზე წამოსწია სოციალური და პოლიტიკური პროცესების ურთიერთქმედების კვლევა, განსაკუთრებით ხელისუფლების ახალი ტიპის — საბჭოებისა და საკუთრების ახალი ტიპის — სხვადასხვა საზოგადოებრივი საკუთრებისა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საქმიანობის დღის წესრიგში დადგა ეროვნული და ეროვნებათშორისი საკითხები. აუცილებელია სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის არსებითი რეორგანიზაცია. საჭიროა ღრმა პოლიტიკონომიური ანალიზი გაუკეთდეს რესპუბლიკის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას, დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის შერწყმას და სხვა. აქ ისტორიკოსებმა თავისი კონკრეტული სიტყვა უნდა თქვან.

როცა კატეგორიულად მოვითხოვთ ისტორიული ხასიათის მაღალხარისხიან გამოკვლევებს არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ არსებობდა მრავალი პრობლემა, რომელთა კვლევაზე, უფრო ზუსტად მათი გამოკვლევისათვის აუცილებელ წყაროებთან ისტორიკოსებს ხელი არ მიუწვდებოდათ. ხალხმა უნდა იცოდეს მართალი ისტორია, ჭეშმარიტი ისტორია. აქ უნდა ვთქვათ, რომ ზშირად ამ საქმის ვაკეთებას ხელს უშლის არაპროფესიონალიზმი, მოყვარულის დონეზე ამა თუ იმ საკითხზე წერა. ეს გლობალური მოვლენაა. განსაკუთრებით წახალისებული საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში, არც ჩვენი რეგიონისათვისაა უცხო, რატომღაც მიაჩნიათ, რომ ისტორიაზე ყველას შეუძლია მსჯელობა. ზშირად ამგვარ მიმართულებას არ მოაქვს კეთილი ნაყოფი. პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა ყველაზე მეტად სწორედ საზოგადოებრივი მეცნიერებისთვისაა საჭირო. თანამედროვეობამ აუცილებელი გახადა კვლევის ახლებური მეთოდოლოგიისათვის ზრუნვა.

ჩვენი ვალია რაც შეიძლება ღრმად გავიაზროთ ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ისტორიული განვითარების რეგიონალური და ეროვნული კომპონენტები, სრულად გავხსნათ მსოფლიოს ისტორიული პროცესის მრავალსახეობა. სწორედ მსოფლიო ისტორიული პროცესის ტიპოლოგია ქმნის შესაძლებლობას ვადავკრათ ისტორიული შემეცნების ერთი კარ-

დინალურ პრობლემათაგანი — განესაზღვროთ საკუთრივ ისტორიული კანონ-ზომიერების სპეციფიკა.

საერთოდ ისტორიის ცოდნა რომ საჭიროა და მისი გათვალისწინება აუცილებელი — ეს მრავალგზის გვიჩვენა ცხოვრებამ. მრავალი მაგალითია იმისა, როცა ისტორიის გაკვეთილების გაუთვალისწინებლობამ ბევრჯერ ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. დღეს განსაკუთრებით ღრმად უნდა ჩაუვყვირდეთ პოლიტიკურ ისტორიას. არც ეკონომიკური ისტორიის ისეთი გლობალური საკითხები უნდა დავივიწყოთ, როგორცაა დემოგრაფიული, ენერგეტიკული, სასურსათო და ეკოლოგიური. ვფიქრობთ, მათი შესწავლა აუცილებელია სამომავლოდ გასათვალისწინებლად.

ისტორიკოსებმა ღრმად უნდა შეისწავლონ 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, მისცენ მას სათანადო შეფასება და შთამომავლობას რეალური, ღრმად გააზრებული და შეფასებული ისტორია დაუტოვონ.

ზოგადი ისტორიული პროცესის არსის მრავალფეროვნება განპირობებულია მსოფლიო ხალხთა ეთნიკური სპეციფიკითაც. ე. წ. „თანამედროვეობის ეთნიკურ პარადოქსადაა“ მიჩნეული, რომ ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის ინტერნაციონალიზაციასთან ერთად შეინიშნება ეთნიკური თვითშეგნების აშკარა ზრდა. ამ უკანასკნელის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ეთნოსის წევრთა და მათ წინაპართა ისტორიული ბედის ერთიანობა. აქედან გამომდინარეობს ინტერესი ეთნოგენეზის პრობლემებისადმი, მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორიისადმი, აუცილებლობა მათი ქვეყნათმცოდნეობით-რეგიონალური და გლობალური განხილვისა. ამგვარი გამოკვლევები უზრუნველყოფენ თანამედროვე ეროვნულ ურთიერთობებში წინააღმდეგობათა და დეფორმაციის გადალახვას. ვფიქრობთ, ქართველ ისტორიკოსებს საკმაოდ კარგად აქვთ შესწავლილი აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობის, საერთოდ აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ოსების პრობლემები. კვლევის შედეგები ფართოდ უნდა იქნას გამომზეურებული.

რაც შეეხებათ ხელოვნებათმცოდნეებს, მათ წინაშე დიდი ამოცანები დგას, რათა კულტურა, ხელოვნება შესწავლილ იქნას, როგორც სოციალიზმის ჰუმანიზაციის, მასში დაკარგული ზნეობრივი იდეალებისა და სულიერი ფასეულობის აღდგენის საშუალება.

ამოცანა მეტად მნიშვნელოვანია — ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ ფეხი უნდა აუბას იმ დიდ პროცესებს, რაც გარდაქმნამ განაპირობა და ფართოდ მიმდინარეობს მთელს ქვეყანაში.



ლევან თოიძე

25 თებერვლის შემდეგ

საქართველო 1921 წლის თებერვალში დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. მას ჰყავდა ქართული მთავრობა. საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო საბჭოთა რუსეთმაც 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით. საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობა დადასტურებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, რომელიც 1922 წლის მარტში მიიღეს. ამავე კონსტიტუციამ საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოაცხადა (სხვა საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებში მაშინ სახელმწიფო ენაზე მითითება საერთოდ არ იყო). საქართველო, როგორც დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის იურიდიული სტატუსის მქონე ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზეც ვადიოდა (ცხადია, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კონტროლით). ერთხანს საბჭოთა საქართველოში რუსეთისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფულის ნიშნებთან ერთად ქართული ფულიც (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი ქართული ბონები) ფუნქციონირებდა, ქართული ფულის კურსი ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისა. საქართველოს სს რესპუბლიკას ჰქონდა გერბი, დროშა და ა. შ.

ასე რომ, საბჭოთა საქართველო იურიდიულად, მე ვიტყვოდი, ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობის სტატუსს, მაგრამ ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ ასახავდა რეალურ ვითარებას. იგი „ფორმალური სიმბოლიკა“ იყო (დ. გოგოლაძე). საქართველოდან წითელი არმია არ გაუყვანიათ. მართალია, საქართველოს საბჭოების ყრილობას კომუნისტურმა პარტიამ მიაღებინა გადაწყვეტილება რესპუბლიკაში წითელი არმიის დარჩენის შესახებ, მაგრამ ეს ხომ უმთავრესად საქართველოს კომუნისტების სურვილის გამოხატულება იყო და არა გვაქვს საშუალება დავასკვნათ შეესაბამებოდა თუ არა იგი ქართველი ხალხის უმრავლესობის ნებას (რეფერენდუმი არ ჩატარებულა). საქართველოს კომპარტიაში იმ დროს ორ ათეულ ათასამდე წევრიც არ ითვლებოდა, მაშინ როცა, სხვა პოლიტიკურ პარტიებზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო მენშევიკები თავიანთ რიგებში 80 ათასამდე წევრს აერთიანებდნენ\*.

წითელი არმიის საქართველოში დარჩენასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს 1921 წლის 29 მარტს ატყობინებდა: „ჩვენ მივიღეთ ნარიმანოვის, ბუნიათ-ზადეს და სერებროვსკის სასოწარკვეთილი დეპეშა. ისინი

\* გაზ. „კომუნისტი“ 1989 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნებულ ჩვენს წერილში მენშევიკთა რაოდენობა კორექტურის გამო არასწორადაა მითითებული: 80 ათასის ნაცვლად აღნიშნულია 8 ათასი.



სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სრულიად შეუძლებელია მეთერთმეტე არმიის დაბრუნება დამუხუთ და გაძარცვულ აზერბაიჯანში. მიიღეთ უპირობოდ ენერგიული ზომები, რათა ეს არმია დატოვებულ იქნეს საქართველოში და რადაც უნდა დაჯდეს დააჩქარეთ პურის ჩამოტანა უცხოეთიდან საქართველოს კონცესიებზე, მარგანეცზე და სხვ. გაცვლით. სწრაფად მიპასუხეთ. **პოლიტიბიუროს დავალებით ლენინი**<sup>1</sup>. გ. კ. ორჯონიკიძისათვის ასეთი დეპეშის გავზენას პოლიტიბიუროს წევრებიდან ვ. ი. ლენინის გარდა მხარი დაუჭირეს მ. ი. კალინინმა, ლ. ბ. კამენევმა, ვ. მ. მოლოტოვმა, თავი შეიკავა ლ. დ. ტროცკიმ<sup>2</sup>.

არმიისა და კონცესიების შესახებ ვ. ი. ლენინი მეორე დღესაც, 1921 წლის 30 მარტსაც უდებუშებს გ. კ. ორჯონიკიძეს: „ძალიან ვთხოვთ უპირობოდ სერიოზული ყურადღება მიაქციოთ გუშინ აღძრულ საკითხს არმიისა და საქართველოს კონცესიების შესახებ. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ზოგიერთი კონცესია დადო. მთელი ძალ-ღონით უნდა ეცადოთ განაახლოთ ეს ძველი კონცესიები, რაც შეიძლება მალე და ყოველნაირად შეეცადოთ, რომ დაიდოს ახლები, რათა კონცესიების სანაცვლოდ სურსათი ვიშოვოთ. აჩვენეთ ეს საქართველოს რევკომს და სასწრაფოდ მაცნობეთ მათი პასუხი. ლენინი“<sup>3</sup>.

რით არის საინტერესო ეს დებუშები? ჯერ ერთი, ვგებულობთ რომ მეთერთმეტე არმია საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აზერბაიჯანში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ იმდროინდელი აზერბაიჯანის მატერიალური ხელშეწყობის გამო ეს შეუძლებლად მიიჩნეს. გაუგებარი რჩება ერთი რამ: მეთერთმეტე არმია საესეებით უნდა დაეტოვებინა საქართველო? ან კიდევ მას საბჭოთა აზერბაიჯანში უკვე აღარაფერი ესაქმებოდა? ე. ი. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად წითელი არმიის ყოფნა აუცილებელი აღარ იყო?

მეორე, ვ. ი. ლენინი, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურო მძიმე სასურსათო მდგომარეობიდან გამოსავალს იმ დროს საქართველოს კონცესიებშიც ხედავდნენ. ეს აშკარად ჩანს ვ. ი. ლენინის სხვა დოკუმენტებიდანაც. 1921 წლის 5 აპრილს ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს სწერდა: „თქვენი პასუხი არასრული და ბუნდოვანია. ვთხოვთ, შეიტყოთ დაწვრილებით საქართველოს რევკომისაგან. პირველი, დაუდასტურა თუ არა საქართველოს საბჭოთა მთავრობამ იტალიელებს კონცესია ტყეარჩელის მაღაროებზე, როდის, როგორია პირობები, მაცნობეთ მოკლედ ტელეგრაფით, უფრო დაწვრილებით წერილთ. მეორე, ჭიათურის მარგანეცის მაღაროების შესახებ: ვადაიყვანეს თუ არა მესაკუთრე გერმანელები მოიჯარეთა ან კონცესიონერთა მდგომარეობაზე, როდის, რა პირობებით. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ და ასეთ საკითხებზე ვადაწყვეტილებანი ძალიან სწრაფი იყოს. ამას გიგანტური მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც, ვინაიდან კონცესიები, განსაკუთრებით იტალიასთან და გერმანიასთან, ისევე როგორც საქონლის გაცვლა ნავთობზე, უთუოდ დიდი მასშტაბითაა საჭირო ამ ქვეყნებთან, შემდეგ კი სხვებთანაც.

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 45, გვ. 83—84.

2 იქვე, გვ. 84.

3 იქვე.



გთხოვთ, მაცნობოთ ხოლმე საქართველოს რევკომის ღონისძიებათა ამბები. 5/IV. 1921. ლენინი<sup>4</sup>.

1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინი აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტინის და მთიულთა რესპუბლიკის კომუნისტებს სწერდა: „...ეკონომიურად რუსეთი მოწყვეტილი იყო და მნიშვნელოვნად ახლაც მოწყვეტილი რჩება მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისაგან; კავკასიას შეუძლია უფრო სწრაფად და უფრო ადვილად მოაგვაროს „თანაცხოვრება“ და საქონელგაცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან... ეკონომიკური მხრივ ყოველწლიურად, გაძლიერებით, სწრაფად გამოვიყენოთ კაპიტალისტური დასავლეთი კონცესიებისა და საქონელგაცვლის პოლიტიკაში. ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მადარობები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია. არის სრული შესაძლებლობა, რომ ფართოდ გაიშალოს კონცესიების პოლიტიკა და საქონელგაცვლა საზღვარგარეთთან“<sup>5</sup>.

1921 წლის აპრილში (28-ზე ადრე) ვ. ი. ლენინი რსფსრ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილეს ა. მ. ლეჟავას აცნობებდა: „საქართველო უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც რუსეთის საგარეო ვაჭრობის საფარო. ეს მოხერხებულია იტალიისთვისაც. გერმანიისთვისაც, ამერიკისთვისაც.“

1) გამონახეთ ჭკვიანი კაცი, რომ იქ გავგზავნოთ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისაგან. რაც შეიძლება სწრაფად!

2) ამის შესახებ დაწვრილებით მოელაპარაკეთ სტალინს. დღესვე.

3) მომწერეთ ორიოდე სიტყვა, შედეგები.

საჭიროა ბათუმის გზით საგარეო ვაჭრობის გეგმა (და ფონდი).

საგარეო ვაჭრობის გეგმა არა გაქვთ. ტყუილუბრალოდ ჰყრით და ნებას აძლევთ გადაყარონ. ვიომებ თქვენთან.

სურსათისა და სათბობისათვის 1921 წელს. არც ერთი გროში მეთი. აი თქვენ ხაზი. შეადგინეთ გეგმა ამ ხაზის მიხედვით, და ნუ აპყევით „დაწოლასა“ და „გავლენას“<sup>6</sup>.

მაშასადამე, ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ კაპიტალისტური სამყაროსაგან ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მოწყვეტილი საბჭოთა რუსეთის „საგარეო ვაჭრობის საფარის“ როლი კავკასიას, კერძოდ, საქართველოს უნდა შეესრულებინა; კავკასიას შეეძლო უფრო სწრაფად და უფრო ადვილად მოეგვარებინა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებთან „თანაცხოვრება“ და საქონელგაცვლა. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს გასაბჭოების დაჩქარებას გარკვეულწილად ეს მომენტიც განაპირობებდა.

საქართველოში წითელი არმიის დრჩენაზე ვსაუბრობდით. ეს საკითხი, ბუნებრივია, ქართველი საზოგადოებრიობის მწვევე მსჯელობის საგანი გახდა 1921 წელსვე. თუ საბჭოთა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩებოდა (ეს კი ოფიციალური დოკუმენტებითაც იყო დადასტურებული), მას საკუთარი არმიაც უნდა ჰყოლოდა. წითელ არმიას კი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის საგრძნობი ნაწილი უცხო ძალად თვლიდა. სა-

4 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 45, გვ. 90—91.

5 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 398.

6 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 45, გვ. 119—120.

ქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები თავიანთ გამოსვლებში (მშრომელთა კრებებზე, პარტიულ და საბჭოთა ფორუმებზე, პრესაში) თავისებურად ხსნიდნენ, თუ რისთვის შემოვიდნენ წითელი არმიის ნაწილები საქართველოში (მშრომელების წინაშე ინტერნაციონალისტური მოვალეობის მოხდა), ამასთან არ გამოირიცხავდნენ საქართველოდან მათი გაყვანის შესაძლებლობასაც. ასეთ შემთხვევაში გარეშე მომხდურთავან რესპუბლიკის დაცვა საქართველოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას უნდა ეკისრა. ასეთი არმიის შექმნა კი იმთავითვე პერსპექტიულად ესახებოდათ.

ქართული წითელი არმიის შექმნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი. მკითხველს ახსოვს, რომ ჯერ კიდევ 1921 წლის 2 მარტს ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს მიუთითებდა: „საჭიროა დაუყოვნებლივ შევიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამზარად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია“<sup>7</sup>.

ამ მხრივ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ვ. ი. ლენინის 1922 წლის 13 თებერვლის წერილი გ. კ. ორჯონიკიძისადმი. დავიმოწმოთ იგი მთლიანად: „ამზანაგო სერგო!

აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უექველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს.

უკიდურეს შემთხვევაში, თუ გლეხები წინააღმდეგი არიან, უნდა გატარდეს გადაწყვეტილება თუნდაც უაღრესად ზოგადი სახით: აუცილებლად იქნეს ცნობილი „საქართველოს წითელი არმიის უექველი გაძლიერება, მოუწოდოთ ხელისუფლების ყველა ორგანოს და მთელ მშრომელ მასებს იმუშაონ ამ საქმეზე“ და სხვ.

მაგრამ საქმით რაღაც უნდა დაჯდეს და დაუყოვნებლივ უნდა ვავადლოთ და ვავაძლიეროთ საქართველოს წითელი არმია. თავდაპირველად დაე, იყოს 1 ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები. 2—3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, როცა ეს საჭირო გახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია.

შესაძლოა სტალინმა დაუმატოს უფრო ვრცლად შესრულების სამხედრო-ტექნიკურ წესებზე.

მე ვჯერდები საქმის პოლიტიკურ მხარეს: ამის შეუსრულებლობისათვის პარტიიდან გაგავდებთ მოურიდებლად. აქ ხუმრობა არ შეიძლება. ეს პოლიტიკურად აბსოლუტურად აუცილებელია, და როგორც თქვენ პირადად, ისე საქართველოს მთელი ცენტრალური კომიტეტი პასუხს აგებთ იმისთვის მთელი პარტიის წინაშე. ველოდები პასუხს. თქვენი ლენინი. 13/II. ეს ეხება ამხ. სერგოსაც და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრსაც“.

ი. ბ. სტალინის მინაწერი:

„ამხ. ლენინის ნათქვამს ვერაფერს დავუმატებ. ვფიქრობ, რომ სერგო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიხვდებიან ამხ. ლენინის მიერ წამოყენებული ღონისძიების მთელ აუცილებლობას. რაც

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 189.



შეეხება საქმის „სამხედრო-ტექნიკურ“ მხარეს, თქვენ ეს ჩემზე და სხვა მოსკოველებზე უკეთ იცით. ი. სტალინი“<sup>8</sup>.

ვ. ი. ლენინმა ეს წერილი საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის (1922 წლის 25 თებერვალი — 3 მარტი) წინა დღეებში დაწერა. ამ დროს უცხოეთში (განსაკუთრებით ინგლისში) ფართო კამპანია იყო გაჩაღებული წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ. ამ კამპანიას II და II<sup>1/2</sup> ინტერნაციონალთა ბელადები ხელმძღვანელობდნენ. ისინი საქართველოდან წითელი არმიის ნაწილების გაყვანის საკითხს აყენებდნენ.

ქართული წითელი არმიის შექმნით ვ. ი. ლენინის ასეთი დაინტერესება, ცხადია, სწორედ ამ კამპანიით იყო განპირობებული. 1922 წლის დამდეგს ძნელი იყო იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ დროთა განმავლობაში რა სახეს მიიღებდა ეს კამპანია. არ იყო გამორიცხული, რომ იგი კიდევ უფრო გაძლიერდებოდა და ხელს შეუშლიდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან საბჭოთა რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას, რა-საც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის შედეგად დასუსტებული საბჭოთა რუსეთისათვის. ისიც შეიძლებოდა, რომ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ევროპის სახელმწიფოები იძულებული გამხდარიყვნენ მტკიცე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების წინაპირობად საბჭოთა რუსეთისათვის საქართველოდან წითელი არმიის გაყვანა მოეთხოვათ. თუ საბჭოთა რუსეთს სხვა გამოსავალი არ ექნებოდა და ამ მოთხოვნის შესრულება აუცილებელი გახდებოდა, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ქართულ წითელ არმიას უნდა დაეცვა.

გ. კ. ორჯონიკიძის პირად ფონდში, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება, დაცულია ი. ბ. სტალინის შემდეგი წერილი:

რ. ს. ფ. ს. რ.

მუშურ-გლენხური ინსპექციის

სახალხო კომისარიატი

მოსკოვი, პოვარსკაია ქ. 11

ტელ. 3—01—71

მეგობრებო!

თქვენ ალბათ უკვე მიიღებდით წერილს საქართველოს წითელი არმიის დიხანც გამლიერებისა და იმის შესახებ, რომ პოლიტიკურად საჭიროა მივიღოთ სათანადო დადგენილება საქართველოს საბჭოების ეროვნულ ყრილობაზე.

ამას რომ შეგახსენებთ, გირჩევთ ახლაც მიიღოთ ზომები სულისკვეთების შესაბამისად (საქართველოს წითელი) არმიის გამოყოფა კავ(კასიის) ცალკე არ(მიის) შემადგენლობიდან, საქ(ართველოს) სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენარჩუნება და სხვ.), თორემ ჩვენ ალბათ პირველი შესაძლებლობისთანავე (როგორც კი შეიქმნება საქ(არ(თველოს) წითელი) არ(მი)ა) საქართველოდან გავიყვანთ რუს(ეთის) წით(ელ) არ(მი)ას.

კომ(უნისტური) სალ(ამით) ი. სტალინი<sup>9</sup>.

<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხულებანი, ტ. 33, გვ. 226—227.

<sup>9</sup> მლიცკა, ფ. აღწ. 12, ს. III, ფურც. 39. (არქივიდან დამოწმებული რუსულენოვანი დოკუმენტების თარგმანი ეკუთვნის რევაზ ბარკალაიას).



ეს წერილი 1922 წლის 22 თებერვალს დაიწერა. ამ დროს, როგორც ვხედავთ, ი. ბ. სტალინი არ გამოირიცხავდა საქართველოდან წითელი არმიის გაყვანის შესაძლებლობას.

ქართული წითელი არმიის ჩამოყალიბებას საქართველოში რუსეთის წითელი არმიის დარჩენის შემთხვევაშიც დიდი პოლიტიკურ-სააგიტაციო მნიშვნელობა ექნებოდა. ასე რომ, ქართული წითელი არმიის შექმნა და გაძლიერება ყოველმხრივ გამართლებული ჩანდა.

ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ, ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად, მიიღო მიმართვა „ქართული წითელი არმიის შესახებ“, რომელშიც ძირითად ამოცანად იყო მიჩნეული ქართული წითელი არმიის უკვე არსებული ბირთვის განმტკიცება. ამავე ყრილობამ, როგორც ითქვა, სთხოვა რუსეთის სფს რესპუბლიკის მთავრობას არ გაეყვანა წითელი არმიის ნაწილები საქართველოს ტერიტორიიდან.

ქართული წითელი არმიის გაძლიერების შესახებ ვ. ი. ლენინის წინადადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლბტიურომ 1922 წლის 25 თებერვალს დაამტკიცა<sup>10</sup>.

ახლა ვნახოთ როგორ განხორციელდა პრაქტიკულად ვ. ი. ლენინის ეს მეტად მნიშვნელოვანი ღირექტივა.

ქართული წითელი არმიის შექმნას დიდი ხარჯები სჭირდებოდა, რაც საქართველოს მოსახლეობას უნდა გაეღო. სირთულეებთან იყო დაკავშირებული არმიის კონტინგენტის შევსებაც. ამას გვაფიქრებინებს ვ. ი. ლენინის ზემოციტირებული წერილის ის ადგილიც, სადაც მოცემულია რჩევა როგორ უნდა მოიქცნენ საქართველოს კომუნისტები იმ შემთხვევაში, თუ გამოირკვევოდა, რომ „გლეხები წინააღმდეგი არიან ქართული წითელი არმიის შექმნისა(?)“.

ბევრის მოქმელია ეს დებუებებიც:

„მოსკოვი, კრემლი, ამხ. ლენინს და სტალინს, თბილისი. 23/II—22.

თქვენი წერილი საქართველოს არ(მიის) ოაობაზე მივიღე. თქვენი დავალების შესრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ..., თუ თანახმა იქნებოდით დაგეტოვებინათ ჩვენთვის ერთი მილიონი ოქროს მანეთი, თანხა, რომელიც ცკ-ის დადგენილების თანახმად მოსკოვს უნდა გავგზავნო. ეს ჩვენ ყოველმხრივ უზრუნველგვეყოფდა. ამ მილიონის წასაღებად უკვე ჩამოსული არიან. მოსკოვიდან მატერიალური დახმარება თუ არ გვექნა, ამოცანის შესრულება შეუძლებელია. გთხოვთ დღესვე მიპასუხოთ, თორემ მილიონი ხვალ უნდა გამოგვზავნო. № 132. ორჯონიკიძე“<sup>11</sup>.

მეორე დღესვე, 1922 წლის 24 თებერვალს ი. ბ. სტალინი გ. კ. ორჯონიკიძეს ატყობინებდა, რომ ქართული წითელი არმიის მატერიალური უზრუნველყოფისათვის „ოქრო სულაც არ არის საჭირო. იგი დანიშნულებისამებრ გაავზავნეთ. ეს ჩემი პირადი აზრია. ოფიციალური პასუხი ხვალ იქნება, რადგან დღეს არ შემიძლია გუნება გავუფუჭო ამხ(ანაგებს). სტალინი“<sup>12</sup>.

ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ე. წ. უკლონისტური შემადგენლობა რეგულარულად მსჯელობდა ქართული წითელი არმიის შექმნის პრობლემაზე. 1922 წლის 12 მაისს, მაგალითად, საქართ-

<sup>10</sup> იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., (რუს.), ტ. 44, 588, 170-ე შენიშვნა.

<sup>11</sup> მლიცპა, აღწ. 18, ს. III, ფურც. 40—42.

<sup>12</sup> იქვე, ფურც. 48.

ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი საქართველოს სამხედრო უწყების მდგომარეობისა და დამოუკიდებელი ქართული წითელი არმიის შექმნის ღონისძიებათა შესახებ (მომხს. ვ. ჯიქია). პრეზიდიუმმა დაადგინა: „დაევალოს მახარაძეს, ჭავჭავაძეს და ჯიქიას ხვალვე დაუკავშირდნენ პირდაპირი მავთულით რსფსრ-ს და გაარკვიონ, რამდენად შესაძლებელია დამოუკიდებელი საქართველოს წითელი არმიის შექმნა“<sup>13</sup>.

ეს დადგენილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც ვ. ი. ლენინმა საკმაოდ მკაცრი წერილი მოსწერა საქართველოს კომუნისტებს ქართული წითელი არმიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. რსფსრ მთავრობიდან დამატებითი ნებართვა თითქოს აღარ იყო საჭირო, მაგრამ როგორც ვნახეთ ეს აუცილებელი გახდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილ სამეულს. დაევალა ბოლომდე გაერკვია ქართული არმიის სტატუსი, მოსკოვთან საუბრისას დაეხსენებინა იქნებოდა ქართული წითელი არმია სრულიად დამოუკიდებელი თუ ნაწილობრივ მიიწვევდა უნდა დამორჩილებოდა იგი კავკასიის ცალკე არმიას. მოსკოვთან მოლაპარაკებების შემდეგაც საკითხი ბუნდოვნად რჩებოდა.

1922 წლის 17 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა კვლავ მოისმინა ვ. ჯიქიას მოხსენება ქართული წითელი არმიის შექმნის შესახებ და დაადგინა:

„1. მხედველობაში გვაქვს რა, ერთი მხრივ, სავსებით ხელსაყრელი პირობები წითელი არმიის შესაქმნელად — აღიძრას შუამდგომლობა რკპ ცკ-ის წინაშე ნება დართოს ასეთი ფორმირებისა.

2. საქ(ართველოს) წით(ელი) არმიის რაოდენობა შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს გვეწვრთნათ ვარჯისი სამხედრო ვალდებულების ყოველწლიური კონტინგენტი, რაც 12 ათასამდე იქნება, ხოლო ზურგიანად არმიას ეყოლება 15 ათასამდე კაცი.

3. საქ(ართველოს) წით(ელი) არმიის ორგანიზაცია უნდა დაექვემდებაროს საქართველოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს, რომელიც ოპერატიული და ინსპექციის მხრივ ექვემდებარება კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს.

4. იმის გამო, რომ საქართველოს არსებული ბრიგადისათვის მოსკოვი გვაძლევს 5000 ულუფას, აღიძრას მოსკოვის წინაშე შუამდგომლობა, რომ მოგვეცეს დამატებითი ათი ათასი ულუფა საერთოდ საქ(ართველოს) წით(ელი) არმიის დასახმარებლად ყველა დანარჩენი კმაყოფის სახეობათა მხრივ.

5. თავის მხრივ საქართველოს კპ ცკ რეალური შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას აღმოუჩენს საქ(ართველოს) წით(ელი) არმიას საქართველოს სსრ-ის რესურსებიდან ყველა არსებული საშუალებით“.

ჯერ კიდევ 1922 წლის 12 ივნისს კავკასიის ცალკე არმიის სარდალმა ა. ი. ეგოროვმა და რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრმა გ. კ. ორჯონიკიძემ ოფიციალურად აცნობეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ არასწორად მიაჩნიათ ქართული ბრიგადის გამოყოფა კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობიდან, რასაც ვ. ჯიქია მოითხოვს. თუ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ვ. ჯიქიას მოსაზრებას გაიზიარებს და სათანადო დადგენილებასაც მიიღებს, — აღნიშნავდნენ ა. ი.

ეგროვი და გ. კ. ორჯონიკიძე, — მაშინ იძულებული ვიქნებით „გაცნობოთ ეს რკპ ცკ-ს და რესპუბლიკის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს და მოვიხსნათ პასუხისმგებლობა, თუკი ასეთი ზომა საქართველოს ჯარის გახრწნას გამოიწვევს. ამასთან საკითხის ასე გადაჭრისას საჭიროა ძირეულად გადავსინჯოთ ზემოთ აღნიშნული შეთანხმება“<sup>14</sup> (იგულისხმება საქართველოს სს რესპუბლიკისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის შორის 1921 წლის 8 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება — ლ. თ.),

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 17 ივნისის დადგენილების შესახებ, ცხადია, აცნობეს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები მიხედილ ოკუპაჲ, სერგო ქავთარაძე, ფილიპე მახარაძე, ბუღუ მდივანი და სილიბისტრო თოდრია იმედს გამოთქვამდნენ, რომ სერგო ორჯონიკიძის „განსაკუთრებული აზრი“ ხელს არ შეუშლიდა პრობლემის მოგვარებას<sup>15</sup>. მოსკოვიდან პასუხიც მიიღეს, მაგრამ საკითხი მაინც გაურკვეველი რჩებოდა. ამის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1922 წლის 27 ივნისს კვლავ დაადგინა: „იმის გამო, რომ რკპ ცკ-ის პოლიტიბუროს პასუხი ბუნდოვანია, კვლავ ვთხოვთ რკპ ცკ-ს დაგვიჩქაროს საქართველოს კპ ცკ-ის იმ პირველი დეპუტის პასუხი, რომელიც ქართული არმიის საქართველოს დამოუკიდებელ წითელ არმიად გამოყოფას ეხებოდა“.

ამავე საკითხზე საინტერესო ცნობებს ვპოულობთ „ძერჲინსკის კომისიის“ მასალებში. ეს კომისია რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის მიწურულში შექმნა. მის სათავეში ფ. ე. ძერჲინსკი ჩაუყენეს, რის გამოც ისტორიულ წყაროებში ეს კომისია „ძერჲინსკის კომისიის“ სახელით მოიხსენიება. კომისიის ამოცანა იყო შეესწავლა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსა (შემდეგ — რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი) და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს შორის იმ დროს არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც, უმთავრესად, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნასა და შენარჩუნებას ეხებოდა. ფაქტობრივად კომისიას უნდა გაერკვია, თუ ვინ იყო მართალი გ. კ. ორჯონიკიძესა და ქართველ ე. წ. ნაციონალ-უკლონისტებს შორის ეროვნული საკითხის გარშემო ერთობ გამწვავებულ დავაში. წინასწარ ვიტყვი, რომ „ძერჲინსკის კომისიამ“ კავბიურო და მისი მომხრეები გაამართლა. მასალებს გატყნო ვ. ი. ლენინიც, რომელიც დაეჭვდა „ძერჲინსკის კომისიის“ დასკვნების საფუძვლიანობაში, მისი მუშაობის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში. მრავალი დოკუმენტი მიგვანიშნებს, რომ ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა ქართველ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებს“, მან ეს რამდენიმეჯერ დაადასტურა კიდევ. თუმცა ვ. ი. ლენინმა ვერ მოასწრო თავისი საბოლოოდ ჩამოყალიბებული აზრი ამ საკითხზე ოფიციალურად განცხადებინა მთელი პარტიისათვის (ყოველივე ეს ცალკე საუბრის თემა).

„ძერჲინსკის კომისიამ“ ქართული წითელი არმიის მშენებლობის საკითხებზე არსებული უთანხმოებითაც დაინტერესდა. ქართველი ე. წ. ნაციონალ-უკლონისტები ბრალს დებდნენ გ. კ. ორჯონიკიძესა და მის მომხრეებს, რომ მათ არ მოინდომეს ნამდვილი ქართული წითელი არმიის შექმნა. „ჩვენ ნებას

<sup>14</sup> შლისფა. ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფურტ. 604.  
<sup>15</sup> იქვე, ფურტ. 603.

2. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 1

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა



არ გვრთავდნენ ჩამოგვეყალიბებინა არმია და საქართველოს ამ რიცხვმრავალ-  
ნაციონალისტებს წითელი არმია ადევნიეს როგორც საოკუპაციო არმია“,  
განუცხადა ლევან აღნიაშვილმა კომისიას<sup>16</sup>.

უთანხმოებას ისიც იწვევდა, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გა-  
დაწყვეტილებით (1921 წლის ნოემბერი) ამიერკავკასიის სამსავე რესპუბლი-  
კაში სამხედრო საქმის ხელმძღვანელობა (ყველა დარგში) მთლიანად გადა-  
ეცა რუსეთის სფს რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბ-  
ლიკის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ეს გადაწყვეტილება მი-  
ზანშეუწონლად მიიჩნიეს და მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველოს  
სსრ რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის უკვე გაფორმე-  
ბული იყო სამხედრო კონვენცია, აღძრეს შუამდგომლობა კავკასიის ცალკე  
არმიის შემადგენლობიდან ქართული წითელი არმიის ნაწილების გამოყოფის  
თაობაზე. „ნაცვლად საქართველოს წითელი არმიისა გამოგვივიდა საქართვე-  
ლოს ნომრიანი ბრიგადა კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობაში“, — აღნიშ-  
ნავს ლ. აღნიაშვილი კომისიისათვის 1922 წლის 7 დეკემბერს წარდგენილ  
მხსენებით ბარათში<sup>17</sup>.

რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უსაფუძვლოდ ჩათვალა საქართველოს  
სსრ რესპუბლიკის პარტიული და სამხედრო ორგანოების თხოვნა და და-  
ამტკიცა ამ საკითხზე გ. კ. ორჯონიკიძისა და ა. ი. ეგოროვის (კავკასიის ცალ-  
კე არმიის სარდალი) დასკვნა, რომლის თანახმად მიზანშეუწონლად იქნა მიჩ-  
ნეული კავკასიის არმიიდან ქართული ბრიგადის გამოყოფა, საქართველოს  
სსრ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მისი გადაცე-  
მა. ამასთან დაკავშირებით გ. კ. ორჯონიკიძე ი. ბ. სტალინს ატყობინებდა:  
„ჩემი მხრივ საჭიროდ მიმაჩნია განაცხადო, რომ საქართველოს ცკ-ის პრე-  
ზ(იდიუმის) გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის ჩაშლას იწვევს,  
რადგან თუ სამხედრო საკითხში არ იქნა ნაწილისა და სარდლობის ერთობა,  
სხვა საკითხებზე ლაპარაკიც არ ღირს“<sup>18</sup>.

ერთი სიტყვით, ქართველი ე. წ. ნაციონალ-უკლონისტების აზრით,  
საქართველოს უნდა პყროლოდა თავისი წითელი არმია, რომელიც ცალკე კავ-  
კასიის არმიას დაემორჩილებოდა მხოლოდ ოპერატიულ და საინსპექციო  
დარგებში. პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი კი ეყრდნობოდა  
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივას და მოითხოვდა შეექმნათ ქარ-  
თული ბრიგადა ან დივიზია, რომელიც ყველა დარგში დაემორჩილებოდა  
ცალკე კავკასიის არმიას (ეს ასეც გაკეთდა).

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკასა და სა-  
ქართველოს სს რესპუბლიკას შორის 1921 წლის 8 დეკემბერს დადებული  
ხელშეკრულება ითვალისწინებდა ამ ორი რესპუბლიკის სამხედრო უწყება-  
თა გაერთიანებას, ე. ი. საქართველოს სსრ სამხედრო საქმეთა სახალხო კო-  
მისარიატის გაუქმებას<sup>19</sup>.

იმავე დღე.. აღნიაშვილმა „ძერეინსკის კომისიას“ განუცხადა: „ქართულ  
ნაწილებს ბოლო დრომდე ჰქონდათ ეროვნული განმასხვავებელი ნიშნები —

16 მლიცკა, ფ. 5. აღწ. 2, საქ. 32, ფურც. 30.  
17 იქვე, ფურც. 22, 30.  
18 იქვე, ფურც. 30.  
19 იქვე, ფურც. 72.



ქვეით ჯარს ნაბდის ქულები ეხურათ, ცხენოსნებს — სვანური. ახლა არმიის სარდალმა ბრძანა, ყველა ქართველმა ბუდიონის ქუდი დაიხუროსო... ეს კარგი მასალაა შოვინიზმის გასავითარებლად... მეფის რეჟიმის დროსაც კი ეროვნულ პოლკებს ნება ჰქონდათ ეროვნული ტანსაცმელი ეტარებინათ“<sup>20</sup>.

საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ კ. მ. ცინცაძემ (ე. წ. ნაციონალ-უკლონისტი) „ძერჟინსკის კომისიის“ უამბო საგანგებო კომისიის წარგებში არსებულ მდგომარეობაზე. დავიმოწმეთ რამდენიმე ადგილი მისი გამოსვლიდან: „შემდეგ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის წარგების მოწყობის საკითხზე საშინლად შევეტაკეთ მე და ამიერკავკასიის საგანგებო კომისია, მე და ადგილობრივმა ორგანიზაციამ დაეჩემეთ, საგანგებო კომისიის წარგებში ადგილობრივი ელემენტი უნდა შედიოდესო“.

„რახმებში ადგილობრივი მოსახლეობიდან არც ერთი კაცი არ იყო... მთელმა ჩემმა ჰაპანწყევტამ ამ მხრივ ფუჭად ჩაიარა. მე ჩემი პასუხისმგებლობით შევეურთე რახმებს რამდენიმე ათეული ქართველი... ნაწილებში ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის წარგების მეთაურები და უფროსები მათ ისე ეპყრობოდნენ, რომ ყველა გადუნერტირდა... წარგების უფროსმა ივანოვსკიმ ბათუმში დებეშა გამოიმგზავნა, სამარიდან შეესება მივიღეთ 1345 კაცი ველიკორუსი და მაცნობე რამდენი კაცით გჭირდებათ შეესება, ამასთან ეროვნული ელემენტი გაითვალისწინეთ. დებეშაში განმარტებული იყო, თუ ვინ უნდა დაგვეთხოვა ბატალიონიდან, მათ შორის ყველა ქართველი“.

„ამისთვის მე ნაციონალისტად მომნათლეს... ვინ დაითვლის, რამდენი ასეთი შეცდომა მოსდიოდათ იმ ამხანაგებს, ვინც ადგილობრივ პირობებს არ იცნობდა“.

„გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებში მთელი საქმისწარმოება და ადგილებთან ურთიერთობა რუსულ ენაზე იყო“.

„ბათუმის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ზრუცკიმ განაცხადა: ახლა ისეთი კურსია აღებული, რომ საგანგებო კომისიიდან ყველა ქართველი შეიძლება დაითხოვოს“.

„თბილისის ბევრ დაწესებულებაში რუსული ენა შემოაქვთ, რკინიგზაზე რუსული ენა შემოიღეს“.

„თბილისის მოკალათებული ძველი შავრაზმული ჩინოვნიკობა ყველა მოვლენას ისეთ შეფასებას აძლევს, რომ საქართველოს ბოლო მოეღო, ერთიანი განუყოფელი რუსეთი იქნებაო“<sup>21</sup>.

დაუფშატოთ რამდენიმე ადგილი ამავე კომისიის სხდომაზე ფ. ე. მანარაძის გამოსვლიდან:

„ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ლედორი სახკომსაბჭოს გამოცემულ ყველა დეკრეტს აუქმებს“.

„ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობას რესპუბლიკათა ყრილობების გვერდის ავლით იწვევენ. ამით რესპუბლიკათა ცაკებს სამუშაოს არიდებენ და ფიქციალ აქცევენ“.

„ამიერკავკასიის ფედერაციის სამოკავშირეო საბჭო მოითხოვდა, რომ საქართველოში მისი დადგენილებები არა საქართველოს სახკომსაბჭოს და ცაკის, არამედ უშუალოდ სამოკავშირეო საბჭოს სახელით განეხორციელებინათ. ზოგჯერ სამოკავშირეო საბჭოს განკარგულებას საქართველოს ცაკს

<sup>20</sup> მლიცკა, ფ. 5, აღწ. 2, საქ. 32, გვ. 77.

<sup>21</sup> იქვე, ფურტ. 77—78.

და სახკომსაბჭოს ისე უგზავნიდნენ, რომ სამოკავშირეო საბჭოს თავმჯდომარის კი არა, პრეზიდიუმის თუნდაც ერთი წევრის ხელმოწერაც კი არ ჰქონდა“<sup>22</sup>.

ვ. ი. ლენინი ნაშრომში „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ მიუთითებდა: „უნდა შემოვიღოთ უმეცარესი წესები ეროვნული ენის ხმარების შესახებ ჩვენს კავშირში შემავალ სხვაეროვნებიან რესპუბლიკებში და განსაკუთრებით გულმოდგინედ შევამოწმოთ ეს წესები. ეჭვი არ არის, რომ სარკინიგზო სამსახურის ერთიანობის საბაზით, ფსიკალური ერთიანობის საბაზით და სხვ. ჩვენში, ახლანდელი ჩვენი აპარატის არსებობისას, ჭეშმარიტად რუსული თვისების თვისების უამრავი ბოროტ მოქმედება (ხაზგასმა ჩვენია. — ლ. თ.) იპოვის გზას“<sup>23</sup>.

სწორედ „ჭეშმარიტად რუსული თვისების ბოროტმოქმედების“ გამოვლენას გამოიძენენ ქართველი ე. წ. ნაციონალ-უკლონისტები, რაც აშკარად ჩანს „ძერჟინსკის კომისიის“ მასალებიდანაც. სხვათა შორის ვ. ი. ლენინის მიერ გამოყოფილმა სამუშაო ჯგუფმა (ლ. ა. ფოტიევა, მ. ი. გლიასერი და ნ. პ. გორბუნოვი) საკითხების მიხედვით დაალაგა „ძერჟინსკის კომისიის“ მასალები და ვ. ი. ლენინისთვის წარსადგენ „მოხსენებაში“ განყოფილება, რომელშიც თავმოყრილი იყო კ. მ. ცინცაძისა და ფ. ე. მახარაძის ზემოაღნიშნული გამოხატუებები, ასე დაასათურა: „ჭეშმარიტად რუსული თვისების ბოროტ-მოქმედების „ზოგიერთი ნიმუში“<sup>24</sup>.

ქართველ ე. წ. ნაციონალ-უკლონისტთა ხელიდან გამოსულ დოკუმენტებში ბევრი სხვა მსგავსი ფაქტებიცაა მოყვანილი (რაც აგრეთვე ცალკე საუბრის თემაა).

საბოლოო ანგარიშით ქართული წითელი არმია, როგორც ასეთი, არ ჩამოუყალიბებიათ, ფაქტობრივად შეიქმნა მხოლოდ რამდენიმე ქართული საჯარისო შენაერთი, რომლებიც შემდეგ, მოგვიანებით საერთოდ გააუქმეს. ეს რაც შეეხებოდა სუვერენული სახელმწიფოს ისეთ ატრიბუტს, როგორიცაა არმია. ახლა ორიოდ სიტყვა საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის რეალური სტატუსის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რესპუბლიკის ხელმძღვანელ და წარმართველ ძალად ითვლებოდა, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე აგებული რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყო და მისი საოლქო ორგანიზაციის უფლებებით სარგებლობდა. ამდენად, მას მხოლოდ იმის გაკეთება შეეძლო, რის უფლებასაც რკპ(ბ) მისცემდა. პარტია, ვერც რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობა თავიანთ საქმიანობაში რეალურად დამოუკიდებელი ვერ იქნებოდნენ. თუმცა, შექმნილ ვითარებაში საქართველოს კომუნისტებს ეს საცხებით ბუნებრივად მიაჩნდათ. ურიგდებოდნენ ამას ე. წ. ნაციონალ-უკლონისტებიც, რომელთაც საქართველოს სრული დამოუკიდებლობა არასოდეს მოუთხოვიათ.

ბუნებრივი იყო ისიც, რომ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა საცხებით დამოუკიდებლად თვით კავბიუროსაც არ შეეძლო. ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდანაც, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან,

22 მლიცპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 78.

23 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 36, გვ. 694—695.

24 მლიცპა, ფ. 5, აღწ. 2, ს. 32, ფურც. 77.

თუ როგორ არჩევდა კავბიურო, მაგალითად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას.

1922 წლის 8 თებერვალს გ. კ. ორჯონიკიძემ ასეთი დებემა გავზავნა მოსკოვში:

„მოსკოვი, კრემლი. რკპ ცკ-ს, ასლი ამხ. ლენინს და სტალინს. თბილისი. 8. II—22.“

საბჭოების ყრილობა 25/II გაიხსნება. ამასთან დაკავშირებით დებება მდივანის — სახკომსაბჭოს თავმჯდომარის საკითხი. ვერაულოდღით გადაგვინაცვლებინა (იგი) სამოკავშირო საბჭოში. საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დარჩენაზე ის უარს ამბობს და არც შეიძლება მისი დატოვება ამ პარტიკონფერენციამდე. ვაყენებ მახარადის კანდიდატურას. პარტიაში ეს კანდიდატურა ყველაზე პოპულარულია. სხვა დანარჩენი კანდიდატურები შეიძლება გავიდეს მხოლოდ რკპ ცკ-ის დადგენილებით... (ხაზგასმა ჩვენია, — ლ. თ.) ვთხოვთ, სასწრაფოდ გვაცნობოთ მიაჩნია თუ არა ცკ-ს შესაძლებლად მახარადის კანდიდატურის დამტკიცება... ორჯონიკიძე“<sup>25</sup>.

ორი დღის შემდეგ, 1922 წლის 10 თებერვალს, გ. კ. ორჯონიკიძე კვლავ ატყობინებს მოსკოვს: „25-ში მოწვეულია საქართველოს საბჭოების ყრილობა. დადგება საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის საკითხი. თვითონ ბუდუ კატეგორიულად უარზეა. არც მისცემენ მოსვენებას სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. წამოაყენებენ მახარადის კანდიდატურას და ალბათ ერთხმადაც გავა. დანარჩენი კანდიდატურები ყველა იხსნება. ფილიპეს კანდიდატურა შეიძლება მოიხსნას მხოლოდ რკპ ცკ-ის დადგენილებით (ხაზგასმა ჩვენია. — ლ. თ.), მაგრამ თავს მომხვევთ არ გაახარებენ. გენუიდან ბუდუს დაბრუნების საკითხი ფორმალურად შეიძლება გავაჟიანუროთ, მაგრამ შესაძლოა ამ ხნის მანძილზე ფილიპე მოადგილედ წამოაყენონ. რა ვქნათ? ბუდუს გამგზავრებასა და შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ნაზარეთიანის გამოწვევა ზედმეტი ხდება. ამიტომ ვთხოვ ნუ დაიყინებ ამას, ანდა, თუ საშველი არაა, ეს საკითხი ყრილობამდე გადავლოთ.“

ეს დღეებია რუსული მანეთის კურსი საშინლად დაეცა — 50—60%. მიზეზი ჯერ არ არის გარკვეული. სვანიძე ამას იმით ხსნის, რომ ჩვენი ფულის ნიშნები დიდი რაოდენობით მოზღვადა. ერთობ ცუდი მდგომარეობაა. პური 17 ათასიდან 45 ათასამდე გაძვირდა. ყველანი... ჯანდაბის იქით წასულან. ვთხოვთ მიპასუხოთ. ორჯონიკიძე“<sup>26</sup>.

1922 წლის 14 თებერვალს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, პირადად გ. კ. ორჯონიკიძეს აცნობეს:

„14.II—22 წ. ფილიპეს კანდიდატურა არასერიოზულად მიმაჩნია. ფილიპე ყოველთვის საშუალო ტიპის ლიტერატორი იყო და კვლავაც ასეთად რჩება. ის არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება არც პოლიტიკური ხელმძღვანელი, არც ორგანიზატორი, არც პრაქტიკული მოღვაწე. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ასეთი კაცის დაყენება საქმის ინტერესების მოშლას ნიშნავს. ფილიპეს შეიძლება ჩააბარო გავითი, ყურნალი ან უკიდურეს შემთხვევაში

25 მოლიკა, ფ. 85, აღწ. 18, ს. III, ფურც. 20.

26 იქვე, ფურც. 23.



საქართველოს ცაკის თავმჯდომარის პოსტი. ეს მე ჯერ კიდევ შარშან ვაზაფხულზე ვთქვი. ეს შენც აღიარე ორახელაშვილთან ერთად, როცა რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიდან ფილიპეს გადაყენებას მოითხოვდი. ამას იტყვის ყველა, ვინც ფილიპეს იცნობს. ნაზარეთიანზე მე უკვე ვთქვი, მოსახსენელია-მეთქი. ვფიქრობ, რომ ჭორიკანებისა და მოლაყებების კიდევ მთელი ჯგუფი უნდა მოვხსნათ. მიიღეთ თუ არა მოსკოვიდან მოწოდება? მგონია, მანეთის კურსის დაცემა რუსეთის ფულის მოზღვავეებით აიხსნება, რაც პორტო-ფრანკოთია გამოწვეული. დასკვნა ნათელია. სტალინი<sup>27</sup>.

ამ დებეშებში ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა ის, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურის შესახებ ქვემდგომი პარტიული ორგანო ზემდგომს ეთათბირება. აქ მთავარი იმის დადასტურებაა, რომ რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საქართველოში ნებისმიერი კანდიდატურა შეიძლება დაამტკიცონ. და ეს ხდება არ მარტო პარტიაში, არამედ მთავრობაშიც.

საქართველოს კომუნისტური პარტიის რეალური სტატუსი ასე განსაზღვრა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც 1921 წელს ჩატარებულ ერთ-ერთ თათბირზე ა. მ. ნაზარეთიანის საპასუხოდ განაცხადა: „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უფლებები უთანაბრდება არა სავუზერნო კომიტეტის, არამედ საოლქო კომიტეტის უფლებებს, ეს კი სხვა რამეა“<sup>28</sup>.

შემცირდა თუ არა საქართველოს ისტორიული ტერიტორია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ?

უნდა ითქვას, რომ ქართველი საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით კი საქართველოს პოლიტიკური პარტიები ამ მხრივაც გარკვეულ პრეტენზიებს უყენებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც თავის მთავრობას უცხოეთში არ გაპყვა და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა, წერდა: „დაიპყრეს თუ არა საქართველო მაშინვე შეუდგნენ მის განაწილებას. ოსმალეთს მიეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი შეუშეთ-ერთუშეთ-არტაანი-ფოცხოვით. სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც მიუტრეს საქართველოს მიწა-წყლის საგრძნობი ნაწილი. სომხეთს მიეცა ეგრეთწოდებული ნეიტრალური ზონა ალავერდის მადნითა და ქარხნებით, ხოლო აზერბაიჯანს სიდნალისა და ტფილისის მაზრების ნაწილები ყარაიას ველის აღმოსავლეთ ნახევრითა და დავით გარეჯის რაიონით... რუსეთმა თვითონაც მიიჭრა და მიიზომა საქართველოს ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. სახელდობრ, ვაგრის ოლქის დასავლეთი ნახევარი ცივი წყალიდან მდინარე პსოუმდე. ესე იგი, დაარღვია ის საზღვარი, რომელიც 7 მაისის ხელშეკრულებით დაუდო საქართველოს“<sup>29</sup>.

27 მლიცა, ფ. 25, აღწ. 18, ს. III, ფურც. 37.

28 მლიცა, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 220—224.

29 გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე (ხელნაწერი), გვ. 270.

უცხოეთში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსი ალ. მანველიშვილი აღნიშნავს: „ის მხარე, რომელიც ბოლშევიკებმა ოსმალეთს გადასცეს, შეიცავს:

ართინის ოლქს:—	3,339 კვ. კილ;	მოსახ	— 61.000
ფოცხოვის თემს:—	588	„—“	15.000
არტანის ოლქს:—	5.137	„—“	56.000
ოლთისის ოლქს:—	3.051	„—“	32.000

სულ: —12.115 კვ. კილ.— 164 000

გარდა აღნიშნული მხარეებისა ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ აღმოსავლეთითაც. სახელდობრ ბორჩალოს მაზრის ნაწილი 3812 კვ. კილომეტრი და ზეპთალას ოლქი 3. 564 კვ. კილომეტრი.

ამგვარად, ბოლშევიკებმა თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19.491 კვ. კილომეტრის სივრცე<sup>30</sup>.

გასაბჭოების შემდეგ საქართველომ, მართლაც, დაკარგა კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი. ქართული მიწები თურქეთს გარდა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებსაც გადაეცა. დრო იყო მეტად რთული, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მდგომარეობა—მძიმე. მათი სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის აუცილებელი იყო სასაზღვრო საკითხის მოგვარება. დამოუკიდებლობის წლებში ამ საკითხს ზოგჯერ იარაღითაც „წყევტდნენ“. გასაბჭოების შემდეგ კი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სასაზღვრო გამოიგნა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების საფუძველზე ხდებოდა. თუმცა იგი ხშირად ქვეულა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებს შორის მწვავე კამათს სავნად, როცა ზოგი ისტორიულ პრინციპს ანიჭებდა უპირატესობას, ზოგიც ეთნიკურს. ცხადია, ანგარიში უნდა გაწეოდა საკითხის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარეს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 2 მაისის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია, რომლის სხდომები იმავე წლის 25—27 ივნისს მიმდინარეობდა ქ. თბილისში.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: კიროვი (თავმჯდომარე), სვანიძე, თოდრია (საქართველოს სსრ წარმომადგენლები), ვუსეინოვი, გაჩინსკი, რასულ-ზადე, ომარ ფაიკი (აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენლები), ბეკზადიანი (სომხეთის სსრ წარმომადგენელი). ხელთა გვაქვს ასლი კომისიის სხდომათა საოქმო ჩანაწერისა, რომელიც სომხეთის სსრ წარმომადგენლის მდივნის ვ. მურადიანის მიერ არის შედგენილი. დავიმოწმოთ ერთი ადგილი ამ დოკუმენტთან. იგი კომისიის 25 ივნისის სხდომას ეხება: „სიტყვეთულების ამხანაგ ბეკზადიანს, რომელმაც განაცხადა, რომ მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (იგულისხმება საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის მარტში დადებული ხელშეკრულება.—ლ. თ.) სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა ეკონომიკურ რესურსებიანად—უმიდრესი მარილის და ქვანახშირის მალაროები და ყარსის, სარიყამიშის, ოლთის და კავიზმანის ტყიანსაძოვრებიანი რაიონები...

<sup>30</sup> ალ. მანველიშვილი, საქართველოს საზღვრები, პარიზი, 1938, გვ. 18. მოსახლეობის რაოდენობა ავტორს 1916 წლის სტატისტიკური მონაცემებით აქვს დადგენილი.

კარდა აჩისა, ამ ბოლო ომის წყალობით ლტოლვილთა რაოდენობა 410 ათასამდე ავიდა. მათ ადგილი უნდა მიეუჩინოთ, მიწა უნდა მიეცეთ და მშვიდობიანი შრომა დაეუბრუნოთ. ქვეყნის ასეთი მდგომარეობა უთუოდ მეტად მძიმე მდგომარეობად, ის კი არადა კრიზისულ მდგომარეობადაც კი უნდა მიეიჩინოთ. ახლა სომხეთს არც საკმარისი ტერიტორია აქვს და არც ტყისა და სხვა ფონდები — სახელმწიფო სახსრების უმთავრესი წყარო, ამიტომ იგი როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ვერ შეძლებს არსებობას. ამ გარემოებათა გამო ამხ. ბეკზადიანს უარესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ. როცა მოსკოვში ამხანაგებმა მთავრობამ და ბეკზადიანმა ამხ. სტალინი ინახულეს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი საცხებით გაიზიარა.

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხანაგ ქართველებსა და თათრებს გაითვალისწინონ სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობის გულისთვის, ერთხელ და სამუდამოდ უარესად გულწრფელი, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების დამყარების გულისთვის დაგვთანხმდნენ გარკვეული ტერიტორიების დათმობას, ამასთან კომპაქტური სომხური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში<sup>31</sup>.

სომხეთის მძიმე მდგომარეობას რომ ახსიათებდა, ა. ბეკზადიანი სიმართლეს ამბობდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სომხეთს, მართლაც, ყველაზე მეტად უჭირდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, სასიცოცხლო მნიშვნელობის ტერიტორიის დაკარგვით იყო განპირობებული.

ამიტომ შექმნილ ვითარებაში საბჭოთა სომხეთის ხელმძღვანელობა ტერიტორიულ დათმობებს ითხოვდა საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან. ამ რესპუბლიკებს მან კონკრეტული წინადადებითაც მიმართა. მაგალითად, საქართველოს მიმართ სომხეთის პრეტენზია ასეთი იყო: „ახალქალაქის მაზრა სომხეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს (მოსახლეობის 72% სომხობაა), ამასთან ამ მაზრაში უნდა ჩაერთოთ ორი სომხური სოფელი: მოლიტი და ყიზილ-კლისი, რომლებიც ტაბაწყურის ტბის ჩრდილოეთითაა არჩევანის ქედამდე. ამასთან აღნიშნულ რაიონს უნდა გამოაკლდეს ხიზაბავრის ქართულ-მოსახლეობიანი უბანი“<sup>32</sup>.

ამკარაა, სომხეთის წარმომადგენელი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქვეყნისათვის ზრუნავდა და ანგარიშს არ უწევდა საქართველოს მდგომარეობას. ვერ ვიტყვით, რომ იგი არ ცნობდა ამ მიწებზე საქართველოს ისტორიულ უფლებას. ისტორიაში კარგად ერკვეოდნენ. ყველასთვის იყო ცნობილი, თუ როგორ, როდის და ვისი ხელისშეწყობით გაჩნდა ახალქალაქის მაზრაში სომხთა კომპაქტური დასახლება. შეუძლებელი იყო იმის უარყოფაც, რომ ახალქალაქის მაზრა საცხებით კანონიერად იყო მოქცეული საქართველოს შემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, სომხეთის დელეგაციამ მაინც მიიჩნია შესაძლებლად ასეთი თხოვნით მიემართა საქართველოსათვის. თხოვნა არავის ეკრძალება, მაგრამ საგულისხმოა, რომ საბჭოთა საქართვე-

<sup>31</sup> სომხეთის სსრ ორსმცსა, ფ. 128, აღწ. I, ს. 1420, ფურც. 15. (დოკუმენტი გამოცნობაშია პარაფსორმა ს. ხარმანდარიანმა, რისთვისაც მადლობას მოგახსენებ).

<sup>32</sup> იქვე.



ლოს იმდროინდელმა ზედმეტად ინტერნაციონალისტმა მესვეურებმაც კი იგი მიუღებლად მიიჩნიეს. „გამიჯენის შემოთავაზებული ვარიანტი ამხანაგი ქართველი დელეგატებისთვის მიუღებელია და ისინი პოლიტიკური მოსაზრებით აყენებენ იმ საკითხს, რომ არ დაიშვას რაიმე ტერიტორიების ჩამოჭრა“ — ნათქვამია იმავე საოქმო ჩანაწერში<sup>33</sup>.

ამრიგად, საქართველოს დელეგაცია მოითხოვდა, რომ ახალქალაქის მახრამში უცვლელად დაეტოვებინათ არსებული მდგომარეობა (სტატუს-ქვო). საოქმო ჩანაწერში ვკითხულობთ:

„ამხანაგ კიროვსაც მიაჩნია, რომ პოლიტიკური მოსაზრებით ამჟამად კრინტიც კი არ უნდა დავძრათ ტერიტორიების ჩამოჭრაზე, რის გამოც ახალქალაქის მაზრის საკითხი სომხეთის დელეგაციის ამ წინადადებაში სრულიად იხსნება“<sup>34</sup>.

კომისიის 25 ივნისის სხდომაზე საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებს მსჯელობა ჰქონდათ ლორეს ნეიტრალურ ზონაზეც. სომხეთის წარმომადგენელი მოითხოვდა ეს ზონა მთლიანად სომხეთს გადაეცესო. საქართველოს დელეგაცია კი წინადადებას იძლეოდა, რომ „ნეიტრალურ ზონაში მოეწყოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფა და ზაზით მთ. პალუტლიბაში, მთ. ვარტყეხი, მთ. შახალამი, შემდეგ მდინარე დებედ-ჩაის გაყოფებით აკორის სოფლებამდე, მთ. გუტან-კარი, მთ. ლეჯანი, ადგილი დაიბატლი, მთ. აიდარბეკი, მთ. აბაკლუ, სოფ. ალექსანდროვკა, სოფ. კამენკა, სოფ. გერგერი (რუსული სოფლებია) ბეზობდალის მთამდე (მწვერვალამდე 2 კილომეტრით აქეთ) გაიყოს ორ სექტორად — აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებად. ამხანაგი ქართველები უარყოფენ ჩამოჭრის პრინციპს და ამავე დროს ნეიტრალურ ზონას — სადავო რაიონს ყოფენ ორ ნაწილად, ნებაყოფლობით უარს ამბობენ სომხეთის სასარგებლოდ მის აღმოსავლეთ სექტორზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სომხურია, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვენ მეორე სექტორს, რომელშიც შედის უდავოდ სომხეთის ტერიტორიიდან შემდგარი რაიონი შერეული სომხურ-რუსული მოსახლეობით (ამასთან ფართობი სომხეთისათვის დატოვებული სექტორის ოდენაა). მეორე საკითხზე დელეგაციებმა მეგობრულ შეთანხმებას ვერ მიიღწიეს და საკითხი ღიად დატოვეს“<sup>35</sup>.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის შინა საზღვრების განმსაზღვრელი კომისიის მეორე სხდომა 1921 წლის 26 ივნისს გაიმართა. კომისიის წევრებს გარდა მას გ. კ. ორჯონიკიძე, მ. დ. ორახელაშვილი და შ. ზ. ელიავაც დაესწრნენ. სხდომაზე ამ სამი იმ დროს გავლენიანი ქართველი მოღვაწის მიწვევა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო. იმედოვნებდნენ, რომ მათი ავტორიტეტი ზელს შეუწყობდა სადავო საკითხების უმტკივნეულოდ მოგვარებას, რაც წინა დღეს ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ მურადიანის მიერ შედგენილ ოქმს:

„კომისია გადადის ნორჩი საკითხის — საქართველოსა და ზურბაიჯანს შორის საზღვრის გავლების საკითხის განხილვაზე. მცირედი კამათის შემდეგ ორივე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სადავო საკითხზე — ზაქათალის ოლქისა და ყარაიაზის უბნის საკითხზე შემდეგი მოდუსი შეიმუ-

<sup>33</sup> სომხეთის სსრ ორსმცხა, ფ. 128, აღწ. I, ს. 1420, ფურც. 15.

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> იქვე.

შავეს: პოლიტიკური მოსაზრებებით აზერბაიჯანის სსრ პრეტენზიას არ აცხადებს, რომ აღნიშნული რაიონები მას შეუერთონ, მაგრამ მოითხოვს, საქართველომ იურიდიულად ცნოს და დაუმტკიცოს თათარ გლეხებს, რომ მათ უდავოდ უფლება აქვთ ფაქტობრივად ისარგებლონ იმ მიწებით (საძოვრებითა და სხვა სავარგულებით), რომლებსაც მეფის და მენშევიკების რეჟიმის დროს ფლობდნენ. ამასთან საქართველო პოლიტიკური ძალაუფლების გარდა ყველა სხვა ძალაუფლებას მთლიანად ანიჭებს მოსახლეობას და ვალდებულებას კისრულობს არავითარი განკარგულება არ გამოსცეს კახახის გვერდის ავლით. იმ მიწების ზუსტად გამიჯვნისათვის, რომლებითაც აზერბ(აიჯანელმა) გლეხებმა უნდა ისარგებლონ, ინიშნება საგანგებო შერეული კომისია<sup>36</sup>.

საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლები ამ სხდომაზე განაცხადდნენ მოლაპარაკებას ლორეს ნეიტრალური ზონის შესახებ. ომში ვკითხულობთ: „იმის წყალობით, რომ ამხ. კიროვმა ჩამოჭრის საკითხი სავსებით მოხსნა და კომისიის მუშაობა იფარგლება მხოლოდ და მხოლოდ არსებული საზღვრების გასწორებით ან, უფრო სწორად, გამოსწორებით, ამხ. ბეკზადიანი აყენებს კონკრეტულ წინადადებას — კომისიამ მუშაობა შეწყვიტოს და საზღვრების ყველა საკითხი გადატანილ იქნეს ამიერკავკასიის კონფერენციაზე, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა გაიმართოს. წინადადება არ მიიღეს. ნეიტრალური ზონის საკითხზე ამხ. ქართველებმა ახალი წინადადება წამოაყენეს: სომხეთის, აღმოსავლეთი სექტორი სომხეთს დარჩეს, დასავლეთი სექტორში კი მოეწყოს რეფერენდუმი, ამასთან არ უნდა იყოს რაიმე წინასწარი ავტოცია ამა თუ იმ მხარის... სასარგებლოდ. სომხეთის დელეგაცია დაეთანხმა ამ წინადადებას, როგორც უკიდურეს დათმობას<sup>37</sup>.

საქმეს თითქოს კარგი პირი უჩანდა, თითქოს მოინახა რესპუბლიკებისათვის მისაღები მოდუსი, მაგრამ საბოლოო შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა, რაც აშკარა გახდა კომისიის მუშაობის მესამე დღეს (27 ივნისის სხდომაზე). „საქართველოს და აზერბაიჯანის დელეგაციებმა ერთმანეთს გუშინდელი შეთანხმების თაობაზე კონკრეტიზებული დადგენილებები წარუდგინეს, მაგრამ აზერბ(აიჯანის) წარმომადგენელთა მიერ ნახმარი იმ გამოთქმის გამო, რომ „ადგილებზე მთელი ხელისუფლება ყარაიაზელ გლეხებს უნდა გადაეცეს“, ამხანაგმა ქართველებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს და მხარეთა კამათმა ვაკიანურების ხასიათი მიიღო, რასაც გარკვეული შედეგები არ მოსდევს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამხ. კიროვი იძულებული გახდა სხდომაზე მიეწვია შეთანხმების დამსწრე ამხანაგები ორჯონიკიძე და ორახელაშვილი. მან აღნიშნა, რომ მუშაობას და ერთ პარტიაში შემავალ ამხანაგებს შორის გამართულ კამათს უკიდურესად არასასურველი და არასასიამოვნო ხასიათი აქვს და კატეგორიულად განაცხადა, დაუმეგებელია კომისიაში მომხდარი ამბებიო, სახელდობრ ის, რომ წინააღმდეგ გარკვეულ შეთანხმებამდე მისული მხარეები მეორე დღეს გამოთქმის ფორმის გამო მკვეთრად დაშორდნენ ერთმანეთს. საჭიროდ მიმაჩნია ვაცნობო ეს კავბიუროსო. ორახელაშვილის მოსვლის მერე გაუგებრობა გაირკვა და აზერბაიჯანის დელეგაციის

<sup>36</sup> სომხეთის სსრ ორსმცსა, ფ. 128, აღწ. I, ს. 1420, ფურც. 15.

<sup>37</sup> იქვე.

მიერ შემუშავებული დადგენილება მიიღეს, ოღონდ „მთელი ძალაუფლება“ გაასწორეს ასე: „მთელი ძალაუფლება გარდა პოლიტიკურისა“. ამას ისიც დაემატა, რომ გამიჯვნის კომისიაში კავბიუროს წარმომადგენელიც მიიწვიეს. შემდეგ წაიკითხეს ნეიტრალური ზონის საკითხზე საქართველოს დელეგაციის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი, საიდანაც ჩანს, რომ ამხანაგმა ქართველებმა რაიონს, სადაც რეფერენდუმი უნდა მოეწყოს, მიუმატეს უდავოდ სომხური ტერიტორიის რაიონი (ჯვალ-ოლი — გერგერი და სხვ.) მაშინ, როცა ახალქალაქის საკითხი პოლიტიკური მოსაზრებით და ვითომდა მომენტის მოთხოვნით მათვე განზე გადადეს. სომხეთის დელეგაციის ბობოქარი პროტესტის მიუხედავად ამხანაგმა ქართველებმა მაინც კატეგორიულად დაიჩიემეს თავიანთ მოთხოვნათა მიზანშეწონილობა, რასაც საფუძვლად იმას უდებდნენ, რომ აღნიშნული უდავო რაიონი ერთ დროს ხელთ უვდია მენშევიკებს (არსებითად ეს გახდა უმათურესი საბაბი ლორეს უკანასკნელი აჯანყებისა) და როგორც თბილისის გუბერნიის ნაწილი, უდავოდ საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაა. სომხეთის დალეგაცია იძულებული ხდება მკვანედ უპასუხოს ამას, უარს აცხადებს მსგავს ატმოსფეროში მოლაპარაკების გაგრძელებაზე და სადავო საკითხები გადასაწყვეტად კავბიუროში გადააქვს. სხდომა შეწყდა<sup>38</sup>.

კომისიის სხდომათა საოქმო ჩანაწერებში, რა თქმა უნდა, მოთხრობილია იმის შესახებაც, თუ როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკება სადავო ტერიტორიულ საკითხებზე სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს შორის. ჩვენ თავს ვიკავებთ ამ მასალის კომენტარებისაგან. კომენტარი არც შემოციტირებულ მასალებს სჭირდება... ყველაფერი ნათელია. საოქმო ჩანაწერებში, ვფიქრობთ, სწორად არის გადმოცემული თითოეული სადავო ტერიტორიული საკითხისადმი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების დამოკიდებულება.

მასხადამე, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის შინა საზღვრების განმსაზღვრელმა (დამდგენმა) კომისიამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა რკ(ბ) კავბიუროს მიანდო. კავბიუროს გადაწყვეტილება სავალდებულო იქნებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიებისათვის. და აი, 1921 წლის 7 ივლისის რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ ა. ბ. სტალინის მონაწილეობით განიხილა საქართველოსა და სომხეთის შიდა საზღვრების საკითხი. კავბიუროს სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების სავარეო საქმეთა სახალხო კომისრები ა. სვანიძე და ა. მრავიანი. კავბიურომ დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა შეუერთდეს სომხეთის სსრ რესპუბლიკას. რაც შეეხება ახალქალაქისა და ხრამის რაიონების სომხეთისათვის გადაცემის საკითხს, იგი განსახილველად გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის დასკვნა შემდეგ კვლავ კავბიუროს პლენუმს უნდა განეხილა<sup>39</sup>.

ლორეს ნეიტრალური ზონის, ახალქალაქისა და ხრამის რაიონების სომხეთისათვის გადაცემის საკითხზე კავბიუროს დადგენილების თანახმად

<sup>38</sup> სომხეთის სსრ ორსმცხა, ფ 128, აღწ. I, ს. 1420, ფურც. 15.

<sup>39</sup> С. В. Хармандарян, Ленин и становление Закавказской федерации. 1921—1923, Ереван, 1969. გვ. 110.



1921 წლის 16 ივლისს იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად შექმნილმა პოლიტიბიურომ (არსებობდა 1921 წლის ივლის-აგვისტოში). მთლიანად დავიმოწმით პოლიტიბიუროს ოქმის ის ნაწილი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ეხება:

### ოქმი № 1

საქ. კპ ცკ-ის პოლიტიბიუროს სხდომისა 1921 წლის 16 ივლისი ესწრებოდნენ: ფ. მახარაძე, ბ. მდივანი, მ. ორახელაშვილი.

დღის წესრიგი: 1) ნეიტრალური ზონის საკითხი  
2) ახალქალაქისა და ხრამის რაიონების საკითხი

მოისმინეს:	დაადგინეს:
<p>1. ნეიტრალური ზონის შესახებ</p> <p>2. იმის შესახებ, რომ ახალქალაქის და ხრამის რაიონები გადაეცეს საბჭოთა სომხეთს გადასახლება-დასახლების ფონდისათვის</p>	<p>1. დადასტურდეს რკპ ცკ-ის კავბიუროს დადგენილება საბჭოთა სომხეთისათვის ამ ზონის გადაცემის შესახებ (მახარი დაუჭირეს მახარაძემ, ორახელაშვილმა. ამხ. მდივანს მიაჩნია, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია კავბიუროს დადგენილებით. ასე რომ არ იყოს, იგი მიზანშეწონილად ჩათვლიდა მოსახლეობის გამოკითხვას (პლემბისციტს).</p> <p>2. პოლიტიკური მოსაზრებებისა და იმის საფუძველზე, რომ ახალქალაქის რაიონი ეკონომიკურად თბილისთან არის დაკავშირებული, ამხანაგი სომხების წინადადება მიუღებლად ჩაითვალოს<sup>40</sup>.</p>

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1921 წლის 3 აგვისტოსაც მოუხდა ამ საკითხებზე მსჯელობა. მისი პოზიცია ნათლად ჩანს ამ დოკუმენტიდანაც:

### ოქმი № 28

საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმის სხდომისა. 1921 წ. 3 აგვისტოს. ესწრებოდნენ: ცკ-ის წევრები ამხ. ამხ. ორახელაშვილი, ოკუჯავა, ნაზარტიანი, მახარაძე, მდივანი, ცინცაძე, ელიავა, ქავთარაძე, ტორიშელიძე, თუმანოვი, ღუმბაძე. წევრებს გარდა ესწრებოდნენ: სოლოვიანი, რთველაძე, ლეგრანი, კალაძე, კანდელაკი, მ. ორახელაშვილი, ფივატნერი, დოდობერიძე.

სხდომა გაისხნა საღამოს 8 ს. 45 წ.

<sup>40</sup> მლისფა, ფ. 14, აღწ. I, ს. 7, ფურც. I.

მოისმინეს:	დაადგინეს:
<p>4) ნეიტრალური ზონის შესახებ</p> <p>5) სომხეთისათვის ახალქალაქისა და ხრამის რაიონების მიერთების შესახებ.</p>	<p>1) დადასტურდეს პოლიტიბიუროს დადგენილება (იგულისხმება საქართველოს კპ ცკ-ის პოლიტიბიურო — ლ. თ.), რომელსაც საფუძვლად უდევს კავშიურის დადგენილება, რომ ნეიტრალური ზონა გადავიდეს სომხეთის შემადგენლობაში. ხმა მისცა 5-მა, წინააღმდეგი იყო 4.</p> <p>2) იმის გამო, რომ ნეიტრალური ზონის საკითხის განხილვის დროს კავშიურში არ ჰქონიათ საქართველოს კპ ცკ-ის აზრი, ეთხოვოს კავშიურის ხელახლა განხილვის ეს საკითხი. თავის მხრივ ცკ-ს საჭიროდ მიაჩნია რეფერენდუმის მოწყობა აღნიშნულ ზონაში. ხმა მისცა 5-მა, წინააღმდეგი იყო 5. (ცკ-ში გამართული კენჭისყრის შედეგები ეცნობოს კავშიურს).</p> <p>დადასტურდეს პოლიტიბიუროს დადგენილება იმის შესახებ, რომ ამხ. სომხებს უარი ეთქვათ სომხეთის სსრ-თვის ახალქალაქის და ხრამის რაიონების დათმობის წინადადებაზე*1.</p>

როგორ ვხედავთ, ლორეს ნეიტრალური ზონის საკითხში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის პოზიციაზე, საქართველოს დელეგაციისათვის (სვანიძე, თოდრა) ადრე მიცემულ დირექტივაზე და პარტიული დისციპლინის წესით დამორჩილებოდა ზემდგომი პარტიული ორგანოს — კავშიურის გადაწყვეტილებას.

როგორ გადაწყდა ზაქათალას საკითხი? ამ ისტორიული ქართული მიწის შემოერთებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყო, რასაც წარმატება არ მოჰყოლია. წარუმატებლად დამთავრდა იგი საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. ეჭვს გარეშეა, ამაში გარკვეული როლი შეასრულა „დიდმა პოლიტიკამ“, რაც, მუსულმანური აზიისადმი საბჭოთა ქვეყნის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას ეფუძნებოდა.

1921 წლის ივლისის დამდეგამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა მაინც იმედოვნებდნენ, რომ ლორეს ნეიტრალური ზონა და ზაქათალას ოლქი საქართველოს გადმოეცემოდა. ამას ისინი, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ გადაწყდა ლორეს საკითხი. 5 ივლისს კი სა-

\*1: მისიფა, თ. 14, აღწ. I, ს. 5, ფურც. 41.

საქართველოს რესპუბლიკის იმ ნაწილების მოსახლეობისა და ფართობის ოდენობა, რომლებიც გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს, სომხეთის სსრ-ს, რსფსრ-ს და თურქეთს 1921-დან 1928 წლამდე, აგრეთვე აღნიშნული რესპუბლიკების იმ ნაწილებისა, რომლებიც საქართველოს სსრ-ს გადაეცა დროის იმავე პერიოდში.

№-ს რიცხვი	ადგილის დასახელება	ფართობი კვ. კმ-ით	მოსახლეობის რაოდენობა	ვის გადაეცა	აქტი, რომლის ძალითაც მოხდა ადგილის გადაცემა	შენიშვნა
1	ყოფ. ზათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭაბულა, ზორჩხა და მაკრიალი)	936,15	16380	თურქეთს	ყარსის 1921 წ. ხელშეკრულება	მოსახლეობის რაოდენობა აღებულია 1917 წლის კავკასიის კალენდრის მიხედვით. ფართობი გამოთვლილია ამსონოვსკის სისტემის მიხედვით. მოსახლეობის რაოდენობა აღებულია 1917 წლის კავკასიის კალენდრის მიხედვით. ფართობი გამოთვლილია ამსონოვსკის სისტემის მიხედვით.
2	ართვინის ოლქი	3388,82	56480	"	"	
3	არდაგანის ოლქი	5644,74	85869	"	"	
4	ვორონეჟე-ლორეს რაიონი (პორჩალოს მხარის სამხრ. ნაწილი)	2367,44	37800	სომხეთის სსრ-ს	საქართველოს რევკომის 1921 წ. დეკლარაცია	
5	ზაქათალის ოლქი	3993,89	92608	აზერბაიჯანის სსრ-ს	"	
6	გარეჯის ველი და ქვემო ყარაბაღის სექტორი (თბილისის მხარისა)	658,89	მოსახლეობა არ არის	"	საქ. სსრ და აზ. სსრ რევკომების შეთანხმება და ამურკავკასიის ციკლის დადგენილება	
7	ელდარის (სიღნაღის მხარისა)	546,69	"	"	"	
8	ლოკ-დაღეარის ქედის ჩრდ. ფერდობი (პორჩალოს მხარე)	207,94	"	სომხეთის სსრ-ს	"	
9	პილენკოვო (აფხაზეთი)	268,15	3500	რსფსრ-ს	სსრც ციკლის 1925 წ. დადგენილება	
10	მელხენსკი და ცეკარო (დუშეთის მხარისა)	166,78	1600	"	სსრც ციკლის 1927 წ. დადგენილება	
11	წინა მინდორი (ალანისპირა ველი, ზაქათალის მხარისა)	188,44	მოსახლეობა არ არის	საქართველოს სსრ-ს	ამურკავკასიის ციკლის 1923 წლის დადგენილება	
12	ჩაობა (ველი, კახეთის მხარისა)	132,66	"	"	ამურკავკასიის ციკლის 1927 წლის დადგენილება	



ქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციათა კონფერენციაზე გაირკვა, რომ ზაქათალა აზერბაიჯანის შემადგენლობაში რჩებოდა და ეს ოფიციალურადაც უნდა ყოფილიყო დეკლარირებული. წინასწარ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების რეკომოთა თავმჯდომარეებმა ფილიპე მახარაძემ და ნარიმან ნარიმანოვმა<sup>42</sup>. 1921 წლის 15 ნოემბერს კი საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრის თაობაზე შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ რეკომის თავმჯდომარემ ბუღუ მდივანმა და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მუსტარ გაჯიევმა. ცოტათი ადრე, 1921 წლის 6 ნოემბერს ბუღუ მდივანისა და ალექსანდრე მისანიკოვის მიერ ხელმოწერილი იქნა დოკუმენტი, რომლის მიხედვით დადგინდა საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვარი. ამ ოფიციალური შეთანხმებით ხორცი შეესხა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს გადაწყვეტილებას სომხეთის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონის, ხოლო აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში ზაქათალას (როგორც ითქვა, შეთანხმება მიღწეულ იქნა საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციათა კონფერენციაზე) დატოვების შესახებ.

გასაბჭოების პირველ წლებში საქართველოს ტერიტორიული ცვლილებების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 30-ე გვერდზე დამოწმებული ცხრილი, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოში 1937 წელს ოქტომბრის რეკოლუციის 20 წლისთავთან დაკავშირებით\*.

ეს ცხრილიც ადასტურებს ბატონი რეზო თაბუკაშვილის ნათქვამს: „მეზობელი აღარ დაგვრჩა ჩვენი მიწა რომ არ რგებოდაო“. გარკვეული ტერიტორიული ცვლილებები საქართველოში შემდეგაც ხდებოდა. მაგალითად, პილენკოვო (ამჟამად განთიადი) ერმოლოვკათი (ამჟამად ლესელიძე) 1929 წელს საქართველოს სს რესპუბლიკას გადმოეცა<sup>43</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1921—1928 წწ, აგრეთვე მომდევნო წლებში საქართველოს მიერ დაკარგული ტერიტორიის მოცულობისა თუ მოსახლეობის რაოდენობის შესახებ სხვადასხვა წყაროში ოდნავ განსხვავებულ ცნობებს ვხვდებით. მათი დაზუსტება, აგრეთვე ცხრილში დასახელებული დოკუმენტების (ამიერკავკასიის სს რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის დადებული ყარსის ხელშეკრულება, ამიერკავკასიის სს რესპუბლიკათა რეკომების დეკლარაციები და შეთანხმებანი, ამიერკავკასიის სფსრ და სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთა დადგენილებანი) კრიტიკული ანალიზი კიდევ უფრო გაამდიდრებენ ჩვენს ისტორიულ ცოდნას.

ნაშრომში წარმოვანიხნეთ ახლად გასაბჭოებული საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მხოლოდ ზოგიერთი საკითხი.

<sup>42</sup> კ. შელია, ვ. ი. ლენინი და საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებანი საქართველოში, თბ., 1980, გვ. 49.

\* ამ მასალის მოძიებაში დახმარებისათვის მადლობას მოვასხენებ პროფესორ ფარნაოზ ლომაშვილს, დოცენტ ენვერ თვარაძეს და საქართველოს სსრ ოქტომბრის რეკოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის სახელმწიფო არქივის დირექტორს ლევან დალიძეშვილს.

<sup>43</sup> ვ. В. А н ч а б а д з е, Очерки этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976, стр. 124; საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 334, აღწ. 12, საქ. 118, ფურც. 28.

Л. М. ТОИДЗЕ

## ПОСЛЕ 25 ФЕВРАЛЯ

Резюме

В работе освещаются некоторые вопросы политической истории насильственно советизированной Грузии. Грузинская ССР формально сохраняла статус независимого государства, но фактически она не являлась таковым — Красная Армия РСФСР не покидала Грузию. Не были учтены до конца неоднократные указания В. И. Ленина о создании Грузинской Красной Армии. Грузинские национальные военные соединения (дивизии) были образованы в составе Отдельной Кавказской Армии, но впоследствии и они были упразднены.

Коммунистическая партия Грузии, считавшаяся правящей силой Советской Грузии, являлась неотъемлемой составной частью построенной на принципах демократического централизма РКП(б) и пользовалась правами ее областной организации. Стало быть, ни КП Грузии, ни Грузинское советское правительство в своих решениях не могли быть независимыми.

В исследовании говорится о территориальных потерях Грузии после ее советизации; приводится таблица, по которой можно определить количество населения и площадь частей республики Грузии, отошедших к Азербайджанской ССР, Армянской ССР, РСФСР и Турции с 1921 до 1928 года, а также частей названных республик, отошедших к Грузинской ССР за тот же период.

L. M. TOIDZE

## AFTER FEBRUARY 25, 1921,

Summary

The article deals with some questions of the political history of the forcibly sovietized Georgia. The Soviet Georgia only formally had the status of an independent state, but de-facto it was not so—the RRFSSR Red Army would never leave Georgia.

B. L. Lenin's repeated instructions to form the Georgian Red Army were not followed to the end. Georgian national military units (divisions) were formed as a part of the Detached Caucasian Army, but later on even these divisions were disbanded.

The Georgian Communist Party which was supposed to be the ruling force of the Soviet Georgia was inalienable integral part of the Russian Communist Party and enjoyed the rights of its regional branch. Hence it follows that neither the Georgian Communist Party nor the Georgian Soviet Government could be independent in their decisions.

The investigation deals with the territorial losses of Georgia after its sovietization. There is a table in the investigation with the help of which it's possible to define the total of the population and the territory which passed into the hands of other republics and Turkey from 1921 to 1928. The same table shows the parts of other republics which passed into the hands of Georgia during the same period.

## ქართული ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევის მიზანი და ამოცანები

ქართული ხალხური მედიცინის სამეცნიერო შესწავლას საფუძველი XIX ს-ში ჩაეყარა. ამ ხნიდან დღემდე საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებმა უნიკალური მასალის ფიქსირებასთან ერთად საინტერესო კვლევა გაშალეს და საყურადღებო დასკვნები გამოიტანეს. მათი მემკვიდრეობის გაცნობამ განსაზღვრა ჩვენი დღევანდელი მუშაობის მიმართულება და ხასიათი.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ქართული ხალხური მედიცინის სრული ისტორიოგრაფიის გაშუქებას<sup>1</sup>. შემოვივსაზღვრებით მხოლოდ აღნიშნული პრობლემის კვლევის ისტორიით ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

1938 წელს აკად. ნ. მარის სახელობის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში ეთნოგრაფიულ განყოფილებას სათავეში ჩაუდგა გ. ჩიტაია. მან ეთნოგრაფიული მეცნიერების საკვანძო საკითხების კვლევასთან ერთად, სამომავლო, პერსპექტიული მუშაობის ამოცანები დასახა და ფართო მოსამზადებელი მუშაობა გაშალა. ამ დროიდან, 1940—1950-იან წლებში პროფესიონალ მეცნიერთა და კვალიფიცირებულ კორესპონდენტთა მიერ, გ. ჩიტაიასა და ვ. ბარდაველიძის წინასწარ შედგენილი კითხვარების საფუძველზე, შეიკრიბა მდიდარი საველე მასალა ეთნოგრაფიის სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის ხალხურ მედიცინაზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მელანია ბალიურის მიერ მოპოვებული მასალა ფშავ-ხევსურეთის სამკურნალო ტრადიციებზე, სადაც ხალხური მედიცინა წარმოდგენილია ადგილობრივი მოსახლეობის ყოფის სხვა ელემენტებთან ურთიერთმიმართებაში. გამოირჩევა სისტემატურობით, კომპლექსურობით და დღემდე საველე მასალის შეკრების საუკეთესო მაგალითად რჩება. ის გარემოება, რომ მასალა ჩაწერილია 1940-იანი წლების დასაწყისში და მასში ფიქსირებულია მრავალი ისეთი ფაქტი, რომელიც დღევანდელ ყოფაში წაშლილია, ზოგ შემთხვევაში, კი მოხრობელთა მეხსიერებასაც არ შემორჩა, მას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს.

ხალხური მკურნალობის ცალკეულ საკითხებზე საყურადღებო მასალა შეკრებილი კორესპონდენტ გ. ლომთათიძის (ქართული ხალხური პროფილაქტიკა. ჰიგიენა და სანიტარია, 1939 წ.), ალ. დავითიანის (ყვავილისა და წითელას შესახებ, 1940 წ.), გ. ზედგინიძის (ჭავჭავთი, ბავშვის მშობიარობა და აღზრდა, 1948 წ.) და სხვათა მიერ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ალ. ოჩიაურის, ნ. მაკალათიას, ნ. ბალიურის ღვაწლის შესახებ, რომლებმაც ფშაველთა და ხევსურთა რელიგიური

<sup>1</sup> აღნიშნული საკითხის შესახებ. იხ. ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981, გვ. 6—10.  
3. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 3.



აზროვნებისა და ხალხური ყოფის სხვადასხვა ასპექტის წარმოჩენასთან ერთად, საუკეთესო მასალა დაგვიტოვეს ხალხური მედიცინის რიგ საკითხებზე.

ხალხური მედიცინის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული დამსახურება აქვს ინსტიტუტში 1945—50 წლებში არსებულ მედიცინის ისტორიის განყოფილებას, რომელსაც მ. სააკაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ განყოფილებამ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა მედიცინის ისტორიის მრავალტომეულის გამოცემას.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მედიცინის ისტორიის სპეციალისტები მკიდროდ თანამშრომლობდნენ ეთნოგრაფებთან. კერძოდ, 1947—49 წლების ქართლის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მედიცინის ისტორიის განყოფილების წევრები: ც. ჩხეიძე, ბ. რაჭველაშვილი, კ. ვეგელაშვილი, თ. ძიძიგური. მათი ეთნოგრაფიული მუშაობის შედეგები აისახა მედიცინის ისტორიის სახელმძღვანელოებსა და ცალკეულ ნაშრომებში. ჩვენთვის, როგორც ეთნოგრაფებისათვის, განსაკუთრებით ფასეულია ბ. რაჭველაშვილის ნაშრომი — „რაციონალური ელემენტები ქართულ ხალხურ მედიცინაში“, რომელიც მოხსენიებული იქნა 1964 წელს მოსკოვში გამართულ ეთნოგრაფთა საერთაშორისო კონგრესზე, შემდეგ კი გამოქვეყნდა<sup>2</sup>. ნაშრომში განხილულია ქართლის სამკურნალო ტრადიციები. გამოვლენილია მკურნალობის რაციონალური ელემენტები. ბარისა და მთის ხალხური მედიცინის ურთიერთშეჭერების მაგალითზე, წინ წამოწეულია საკითხი ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიონალური თავისებურებების შესახებ.

აღსანიშნავია, ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილების საქმიანობა, ხელმძღვანელი — მ. აბდუშელიშვილი. ანთროპოლოგების მიერ შესწავლილია განათხარი ტრეპანირებული თავის ქალები და მნიშვნელოვანი დასკვნებია გაკეთებული.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს პ. ფირფილაშვილის ნაშრომები. მან პალეოანთროპოლოგიური მასალის კვლევის გარდა, საინტერესო დასკვნები წარმოადგინა ქვეთ მკურნალობის, სამედიცინო იარაღ-ჭურჭლის და სხვ. შესწავლის შედეგად.

ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიულ კვლევას განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ვ. ბარდაველიძემ, რომლის დამსახურებებია ქართული ხალხური მედიცინის პირველი კითხვარის შედგენა. მან მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაგვიტოვა აგრეთვე ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ<sup>3</sup>.

საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული თ. ოჩიაურის მიერ რჩეულობის ისტიტუტთან დაკავშირებულ ფსიქო-ნერვულ დაავადებათა განხილვისა და ანალიზის შედეგად<sup>4</sup>.

ამგვარად, 1960-იანი წლების დასასრულსა და 1970 წლების დასაწყის-

2 იხ. კრბ. ქართველი ხალხის სამკურნეო ყოფა და კულტურა. თბ., 1964.

3 აღნიშნული საკითხების კვლევის ძირითადი შედეგები იხ. В. Бардавелиძე, Древнейшие религиозные верования и графическое обрядовое искусство грузинских племен, Тб., 1957; მისივე ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება. ბაბარ-ბარბარ) თბ., 1941.

4 იხ. თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954.



სისათვის უკვე იყო საფუძველი იმისა, რომ ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევის ხაზით სათანადო კადრები მომზადებულიყო, რაც განხორციელდა გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში მომზადდა ორი ასპირანტი, 80-იანი წლებიდან მუშაობა უფრო ფართოდ გაიშალა და შეიქმნა ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევის სპეციალისტთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც 1987 წელს გაფორმდა საპრობლემო ჯგუფის სახით, სადაც ამჟამად 6 თანამშრომელია ამ ჯგუფის საქმიანობას ჯერჯერობით არ შეეგებებით.

ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიულ კვლევას უკვე საყურადღებო ისტორია აქვს<sup>5</sup>. ეს პრობლემა განსაკუთრებული აქტუალობით წარმოჩნდა 1962 წელს სტოკჰოლმში გამართულ სიმპოზიუმსა და 1975 წელს ლენინგრადში ჩატარებულ საკავშირო კონფერენციაზე. ორივე ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევის მიზანს, ამოცანებსა და მეთოდს შეეხებოდა.

სტოკჰოლმის სიმპოზიუმზე გამოიკვეთა რამოდენიმე საკითხი, კერძოდ, ხალხური მედიცინის ისტორიული // ვერტიკალური და ეთნო-სოციოლოგიური // ჰორიზონტალური კვლევის შესახებ. ასევე ხალხური სამკურნალო ტრადიციების ორი სახის: თვითმყოფადი, ხალხის მიერ უშუალოდ შექმნილი და შეძენილი — გარკვეულ ვითარებაში საზოგადოების მიერ მიღებული და დროთა განმავლობაში ხალხურ ტრადიციად ჩამოყალიბებული სამკურნალო ცოდნის შესახებ. აღინიშნა, რომ ხალხური ტრადიციების ზემოაღნიშნული ორი სახის განსხვავებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განვითარების დაბალ დონეზე მდგარი საზოგადოების ხალხური მედიცინის შესწავლას.

ერთმანდ იქნა აღიარებული, რომ საველე მასალის ფიქსაცია უნდა წარმოებდეს ინტენსიურად, აუცილებლად პროფესიონალ მეცნიერ-ეთნოგრაფთა მიერ, რათა ხალხური მედიცინა განხილულ იქნას არა იზოლირებულად, არამედ, როგორც შემადგენელი ნაწილი ხალხური წეს-ჩვეულებების და რწმენა-წარმოდგენების, რაც საერთოდ ხალხურ სულიერ კულტურას ქმნის<sup>6</sup>.

ლენინგრადის კონფერენციაზე, რომლის შედეგები ასისახა ი. ბრომლის სტატიაში — „Народная медицина, как предмет этнографии“<sup>7</sup>, მკვლეობა გაიმართა ხალხურ მედიცინაზე, როგორც ეთნოგრაფიული კვლევის ობიექტზე. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა საკითხი ხალხური მედიცინის განსაზღვრებისა.

<sup>5</sup> ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევა ჯერ კიდევ XIX ს-ში წარმოებდა. ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებიდან საინტერესოა ედ. ტელიორის მიერ შედგენილი კითხვარი, რომელიც სწორედ ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევისათვის იყო გამიზნული. უფრო მოგვიანებით რელიგიის უმცველსი ფორმების მკვლევრები (ფრუზერის, შტერნბერგი და სხვ.) ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განიხილავდნენ ხალხური მედიცინის რიც საკითხებს. ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევა განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთში XX ს-ის დასაწყისიდან. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ტ. პოპოვის ორი ნაშრომი „Народно-бытовая медицина (СПб., 1903), Медицинская этнография (СПб., 1906); Б. ეი-სოცის „Народная медицина (М. 1911); მ. ლახტინის, Медицинское мышление первобытного человека, Харьков, 1911 და სხვ. ამ მხრივ საქართველოში საინტერესოა ს. მაკალათის, გ. თედორაძის, განსაკუთრებით კი ვ. ბარდაველიძის ზემოდასახელებული ნაშრომები.

<sup>6</sup> იხ. Papers of Folk-Medicine given of an Inter-Nordic Symposium at Nordiska Museet, Stockholm, 1962—63.

<sup>7</sup> Ю. В. Бромлей, Современные проблемы этнографии, М., 1981.

ისტორიულად ჩამოყალიბებული სამედიცინო ცოდნა წარმოდგენილ იქნა სამ შემადგენელ ნაწილად: 1. ხალხური მედიცინა (ვიწრო მნიშვნელობით), რომელიც ზემოხსენებულ თვითყოფად ტრადიციებს ვულისხმობს და ემყარება თაობიდან თაობაზე ცოდნის ზეპირ გადაცემას, ამიტომ მას ტრადიციულ-ზეპირ მედიცინას უწოდებენ, 2. ტრადიციული ანუ ტრადიციულ-წერილობითი, რომლის აღმოცენება უკავშირდება მსოფლიოს ცალკეული ცივილიზაციების შექმნის ხანას, მისთვის დამახასიათებელია განვითარების პროფესიონალური დონე, ემყარება ცოდნის ფიქსირებულ, წერილობით გადაცემას, ასეთად მიჩნეულია ინდო-ტიბეტური, ჩინური, არაბული მედიცინა და სხვ. 3. მეცნიერული მედიცინა, თავისუფალი ყოველგვარი რელიგიური გააზრებისა და ნაციონალური თავისებურებებისაგან, დაფუძნებული ექსპერიმენტზე. თანამედროვე ეთნოსების ხალხურ მედიცინაში აშკარად ჩანს: ტრადიციულ-ზეპირი, ტრადიციულ-წერილობითი და მეცნიერული მედიცინის ელემენტები. ამიტომ ამ შემთხვევაში ტერმინ ხალხური მედიცინის ნაცვლად „ეთნომედიცინის“ გამოყენებას უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევენ.

აქვე იდგა საკითხი „პროფესიონალიზმის“ შესახებ. ხალხურ ე. წ. ტრადიციულ-ზეპირ მედიცინაში აშკარად ჩანს ორი შრე: ყოფითი, რომლის მატარებელია საზოგადოების თითქმის ყველა წევრი, ყოველი ოჯახი და ე. წ. პროფესიონალური, რომელიც წარმოდგენილია ექიმბაშების, შამანების, ჯადოქრებისა და სხვ. სახით. ამ ორ შრეს შორის არსებობს ურთიერთკავშირი, რომელიც უზრუნველყოფს მკურნალობისათვის შესაბამის ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს.

ეთნოგრაფის მოვალეობად მიჩნეულია ძირითადად ხალხური მედიცინის (ვიწრო მნიშვნელობით) შესწავლა, გარკვეული გამოწაკისების დაშვებით. ხაზგასმულია აგრეთვე, რომ კვლევის უშუალო ამოცანებს, უპირველეს ყოვლისა, სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათი უნდა ჰქონდეს. ამიტომ ეთნოგრაფიული კვლევა უნდა ითვალისწინებდეს ხალხური მედიცინის ყველა „სტრუქტურულ“ კომპონენტს, ყველა მის სამედიცინო ასპექტს და როგორც თანამედროვე მედიცინა, შეისწავლებოდეს შემდეგი პრობლემების მიხედვით: წარმოდგენები ანატომიასა და ფიზიოლოგიაზე, დაავადებათა ეტიოლოგიაზე და დიაგნოსტიკაზე, ფარმაკოლოგია, ქირურგია, მეანობა და გინეკოლოგია, პედიატრია, ფიზიოთერაპია დიეტოლოგია და დიეტოთერაპია, ფსიქოთერაპია, სანიტარია, ჰიგიენა და კოსმეტიკა<sup>8</sup>.

ჩვენ რამდენადმე განსხვავებულად წარმოგვიდგება ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევის მიზანი და ამოცანები. უდავოა, რომ ხალხური მედიცინა უნდა შეისწავლებოდეს ზემოჩამოთვლილი პრობლემების მიხედვით და ამზე ვრცლად აღარ შევიჩრდებთ. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს საკმარისი არ არის. უპირველეს ყოვლისა მიგვაჩნია, რომ ეთნოგრაფიული კვლევის უშუალო ამოცანებს არა სამედიცინო-ბიოლოგიური, არამედ კულტურულ-ისტორიული ხასიათი უნდა ჰქონდეს. ამავე დროს, სამედიცინო ცოდნის ისტორიული განვითარების ეტაპების გამოყოფის ზემოაღნიშნული ცდა შესაძლებელია დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ სამკურნალო ტრადიციების ამ სქემის მიხედვით კვლევა გაჭირდებოდა, ხალხური მედიცინა არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ, როგორც თვით ბრომელიც აღიარებს<sup>9</sup>, ისტორიული

<sup>8</sup> Ю. Б. Бромлей, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 218—219.



განვითარების ადრეულ ეტაპებზეც, მოიცავს „ტრადიციულ-ზეპირი“ და „ტრადიციულ-წერილობითი“ მედიცინის ელემენტებს, მათი გამიჯვნა კი ხალხური მედიცინის მთლიანობაში წარმოდგენას ხელს შეუშლიდა. ამიტომ ტერმინ ხალხურ მედიცინას ფართო მნიშვნელობით ვხმარობთ.

სპეციალური ლიტერატურისა და სავლე-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე, ჩვენ ქართული ხალხური მედიცინის კვლევის გარკვეული პროგრამა დავსახეთ.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ შევისწავლით საქართველოს მოსახლეობას, რომელიც XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში ცხოვრობდა. რასაკვირველია რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, ვედილობთ უფრო ძველი სურათის აღდგენას, სამკურნალო ტრადიციების წარმოშობისა და განვითარების გზების კვლევას, ხოლო ხალხური მედიცინის თანამედროვე მონაცემების ანალიზით, რიგი ფაქტების ახსნას. ვიკვლევთ სოციალურად დაბალ ფენას, უმეტესწილად სოფლის მოსახლეობას, მატარებელს იმ კულტურისა, რასაც ხალხური ეწოდება (უცხოელი სპეციალისტები აღნიშნულ კულტურას ხშირად გლეხურს უწოდებენ) ამავე დროს, როგორც განსხვავებული ფენომენი, შეისწავლება ქალაქის მოსახლეობის სამკურნალო ტრადიციები.

ხალხური მედიცინა, ხალხის ყოფისა და კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, წარმოგვიდგება გარკვეულ სტრუქტურად, ხალხური ცოდნის განვითარებად სისტემად, რომელიც აერთიანებს თვითმყოფად-ემპირიული დაკვირვების საფუძველზე შექმნილ და გარკვეულ ვითარებაში შექმნილ, დროთა განმავლობაში ხალხურ ტრადიციად ჩამოყალიბებულ სამკურნალო გამოცდილებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეთნოგრაფიული კვლევა გულისხმობს ხალხური მედიცინის შესწავლას არა იზოლირებულად, არამედ კომპლექსურ მთლიანობაში ყოფის სხვა ელემენტებთან ურთიერთკავშირში, ეკოლოგიური გარემოს, ისტორიული პირობებისა და სათანადო ეთნო-ფსიქოლოგიური ფონის გათვალისწინებით.

ამგვარად, აუცილებლად მიგვაჩნია, როგორც ეთნო-სოციოლოგიური // პორიზონტალური // სინქრონული, ისე ისტორიული // ვერტიკალური // დიაქრონული მეთოდის გამოყენება. სავლე მასალა იკრიბება კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის საფუძველზე, რომელიც გ. ჩიტაიას მიერ ჯერ კიდევ 1926 წელს იქნა შემუშავებული და კვლევის სწორედ შემოსხენებულ პრინციპებს ითვალისწინებს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფიქსირებული მასალა და მთელი რიგი სხვა მონაცემები საშუალებას გვაძლევს ხალხური მედიცინა განვიხილოთ, როგორც ზონალური, ისე რეგიონალური თვალსაზრისით. მთისა და ბარის განსაკუთრებულმა ეკოლოგიურმა გარემომ, ისტორიულმა პირობებმა, მოსახლეობის განსხვავებულმა ცხოვრების წესმა განსაზღვრა, როგორც დავადებათა სპეციფიკური ხასიათი, ისე სამკურნალო ტრადიციების თავისებურებანი. თუნდაც ის ფაქტი, რომ მთის ხალხური მედიცინისათვის, განსხვავებით ბარისაგან, ძირითადად დამახასიათებელია ტრავმების მკურნალობის პროფესიონალური დონე — მრავლისმეტყველია.

რაც შეეხება რეგიონალურ თავისებურებებს, მაგალითისათვის საქართველოს ორი კუთხეც იკმარება: სამეგრელო, რომელიც ცნობილია მაღარის //

ციების გავრცელების სიხშირით და სვანეთი, რომლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი (ზოგიერთ სოფელში) ჩიყვით იყო დაავადებული.

ყურადღებას იმსახურებს გარემოს გამოცვლასთან დაკავშირებული (უმეტესად მთიდან ბარში ჩამოსახლების შემდეგად), ასევე ქალაქის მოსახლეობაში გავრცელებული სპეციფიკური დაავადებანი და ქალაქის სამკურნალო ტრადიციების განსაკუთრებული ხასიათი.

ჩვენი ინტერესის სფეროში შემოდის აგრეთვე ინფექციურ და ეპიდემიურ დაავადებათა კერების მიკვლევა, მათი გავრცელების ინტენსიობის დადგენა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რასაკვირველია, დაავადებულთა მოვლისა და მკურნალობის წესების შესწავლა.

ამგვარად, საქართველოში გავრცელებულ დაავადებათა და მათი მკურნალობის ეთნო-რეგიონალური თავისებურებების დადგენა, ამ თავისებურებათა მიზეზების ახსნა, თუ მათ შესახებ ხალხური დაკვირვების გამოვლენა, ხალხური ცოდნის მიკვლევა რეგიონალურ დაავადებათა ეტიოლოგიისა და მკურნალობის ხასიათის შესახებ ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

როგორც აღვნიშნეთ, ხალხური მედიცინა სამკურნალო ცოდნის ორ სახეობას აერთიანებს. ერთი, ყოფითი, რომლის მატარებელია საზოგადოების თითქმის ყველა წევრი, ძირითადად მოიცავს მკურნალობის მარტივ საშუალებებს, ხოლო მეორე თავმოყრილია სახალხო მკურნალთა ხელში. მათ შორის არსებობს გარკვეული სპეციალიზაცია, რომელიც ზოგჯერ პროფესიონალურ დონეს აღწევს. ჩვენი ამოცანაა, როგორც ყოფითი სამკურნალო საშუალებების, ისე სახალხო მკურნალობის საქმიანობის გამოვლენა და შესწავლა, მათი მკურნალებად ჩამოყალიბების პროცესის კვლევა, სოციალური სტატუსის დადგენა და სხვ.

ხალხური მედიცინის კვლევის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი თავისებურებანი, როგორცაა, ხშირ შემთხვევაში, მკურნალობის სიმპტომატური ხასიათი, მაგიურ-რელიგიური საშუალებების გამოყენება და სხვ. ჩვენი ამოცანაა გამოვავლინოთ და ავხსნათ ამ თავისებურებათა განმსაზღვრელი ფაქტორები. მაგ., ცნობილია, რომ ხალხური სამედიცინო ცოდნა ხშირად ვერ წვდება დაავადების რეალურ არსს, ამიტომ დაავადება წარმოდგენილია მხოლოდ სიმპტომების სახით, ამაზე მიგვიითივებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ დაავადების გამომხატველი ხალხური ტერმინი, ზოგჯერ მისი რომელიმე სიმპტომის ამსახველია. მაგ., სიყვითლე, წითელა, ყვიანა-ხველა და სხვა.

ამავე დროს, ხალხური სამედიცინო აზროვნება ყოველთვის ცდილობს განსაზღვროს დაავადებათა ეტიოლოგია. დაავადება გააზრებულია, როგორც შედეგი რაიმე რეალური თუ ირეალური მიზეზებისა, რაც გარკვეულად განაპირობებს მკურნალობის ემპირიულ-რაციონალურსა თუ მაგიურ-რელიგიურ ხასიათს.

ხოლო მაშინ, როდესაც ავადმყოფის მდგომარეობა მძიმეა ან საერთოდ უიმედო. როგორც ყოველი გასაჭირის, უბედურების შემთხვევაში დასახმარებლად მიმართავენ ზებუნებრივ ძალებს, მაგრამ ამჯერად საქმე გვაქვს არა რაიმე განსაკუთრებულ სამკურნალო წესთან თუ რიტუალთან, არამედ უმეტესწილად ჩვეულებრივ ვედრებასთან, მსხვერპლშეწირვასა და სხვ.

ხალხური მედიცინის პრაქტიკაში თავს იჩენს ერთი მეტად საინტერესო გარემოება, როდესაც საქმე დაავადებას ეხება, თითქმის ყოველგვარი ნაციონალური თუ რელიგიური ზღვრები იშლება. მაგ., იქ, სადაც ქრისტიან მონასტრობასთან ერთად მაჰმადიანები ცხოვრობენ, ქრისტიანები სხვადასხვა დაავადებათა დროს ხშირად მიმართავენ მაჰმადიან მოლეებს და პირიქით, მაჰმადიანები ქრისტიანულ სალოცავებს შესთხოვენ შევლას. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქალაქის მაგალითზე. მაგ., თბილისში წმ. ბარბარეს, მამა დავითის, თელეთის და სხვ. სალოცავებში, რომელთაც გარკვეულ დაავადებათა მკურნალობის ფუნქცია აქვთ, თავს იყრის თბილისის მონასტრობის თითქმის ყველა ნაციონალობის და რელიგიის წარმომადგენელი. ეს შეიძლება შედარებით გვიანდელი მოვლენაა, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს, რომელთა გამოვლენა და ახსნა ჩვენი ამოცანაა.

ცნობილია, რომ მთელი რიგი გარემოებანი განაპირობებდა დაავადებებზე თუ მათ გამომწვევ მიზეზებზე წარმოდგენათა შექმნას, რაც არსებული რწმენა-წარმოდგენების სისტემის საფუძველზე ჩამოყალიბდებოდა, ამ სისტემაში გარკვეული ადგილის მიჩენა კი დაავადების გამოვლენაზე, მის ბუნებასა და ხასიათზე იყო დამოკიდებული.

აღნიშნულ წარმოდგენათა კვლევა ხალხური სამედიცინო აზროვნების მეტად საყურადღებო მხარეს წარმოაჩენს. როგორც ზემოთ ვთქვით, რწმენა-წარმოდგენები იქმნება უმეტესწილად ისეთ დაავადებებზე, რომელთაც ეტიოლოგია უცნობია და გამოვლენაც განსაკუთრებული. ასეთ დაავადებათა რიგს, ქართული ხალხური მედიცინის მაგალითზე, ფსიქო-ნერვული და ბავშვთა ინფექციური დაავადებანი (სახადები) განეკუთვნება. რასაკვირველია არსებობს გარკვეული გამოჩენილები, მაგრამ ეს ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. აღნიშნული საკითხების დინამიკაში კვლევამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ დროთა განმავლობაში, გარკვეულ დაავადებათა ეტიოლოგია ირკვევა და მათ ზებუნებრივ ახსნას საფუძველი ეცლებათ. ამ დაავადებათა შესახებ ადრე არსებულ წარმოდგენებზე კი ზოგჯერ სწეულების აღმნიშვნელი ტერმინი ან რაიმე მაგიური საშუალება მიუთითებს, რომელიც იხმარება მექანიკურად ყოველგვარი გააზრების გარეშე. მაგ., ციების დროს ცივი წყლის შესხურება და სხვ.

ვასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ უძველეს დროში შექმნილი მაგიურ-რელიგიური საშუალებებიდან, რიგი დღემდე უცვლელი დარჩა, რიგმა კი ფორმა ან შინაარსი შეიცვალა და მხოლოდ ფუნქცია შემორჩა, როგორც ჩანს, საზოგადოებას რელიგიური აზროვნების ცვლილებასთან ერთად აღნიშნული საშუალებანი შესაბამისი გააზრებით იტვირთებოდა. ამ მხრივ საინტერესოა ავგაროზის მაგალითი. ავგაროზი ამულიტის, თილისმის ერთ-ერთი სახეობაა. წარმოადგენს ქალაღის პატარა გრაგნილის ან რაიმე მუქ ნაჭერში (ხავერდში გამოკრულ) წვრილად დაკეცილ ქალაღს, რომელზედაც შელოცვა ან შელოცვის ფრაგმენტია დაწერილი. ატარებენ უმეტესად ყელზე ჩამოკიდებულს ავი თვალის, ავი სულის ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. ეს საშუალება უკავშირდება ცნობილ ქრისტიანულ ლეგენდას ედესის მეფის ავგაროზის შესახებ, რომელმაც, განუკურნებელი სენით შეპყრობილმა, დასახარებლად ქრისტეს მიმართა. პასუხად მან ქრისტეს ლოცვა-კურთხევის წერილი მიიღო და განიკურნა. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში დატულია მრავალი ავგაროზი არა მხოლოდ ამულიტის სახის, არამედ წიგ-



ნად აკინძული (ზოგჯერ გრაგნილი), მოცულობით საკმაოდ დიდი, სამკურნალო ლოცვების კრებული, რომელსაც წინ უძღვის (ან ბოლოში ერთვის) ავგაროზის და ქრისტეს ეპისტოლეები ან ფრაგმენტები ამ ეპისტოლედან.

ავგაროზის მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიქმნა თილისმის — უძველესი პროფილაქტიკური საშუალების ნაირსახეობა. ამ შემთხვევაში მან შეინარჩუნა მხოლოდ ფუნქცია, მიიღო ახალი ფორმა და შინაარსი.

ქართული შელოცვების ამ კუთხით კვლევა მომავალში საინტერესო სურათს წარმოაჩენს. ჯერ კიდევ ადრე<sup>10</sup> გამოითქვა მოსაზრება, რომ ხალხში გავრცელებული შელოცვების გარკვეული ნაწილი ქრისტიანული სამკურნალო ლოცვების გახალსურებული ვარიანტებია... მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად ამის მანიშნებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ სვანეთსა და სამეგრელოში, სადაც საეკლესიო მსახურება ქართულ ენაზე წარმოებდა, ყოფაში დამოწმებული შელოცვების გარკვეული ნაწილი ქართულენოვანია.

ჩვენი კვლევის სფეროში შემოდის აგრეთვე ხალხურ მედიცინასთან დაკავშირებული მითების, თქმულებებისა და გადმოცემების გამოვლენა. რასაკვირველია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არგონავტების მითი. ვცდილობთ მივაკვლიოთ, როგორ არის ასახული მედეა ან მისი სამკურნალო საქმიანობა ხალხურ მითოლოგიასა და ყოფაში, თუ უკავია მას რაიმე განსაკუთრებული ადგილი. ამავე დროს გვინტერესებს ეთნოგრაფიული მონაცემები ქრისტიანული წმინდანების სამკურნალო ფუნქციების შესახებ, რამ განაპირობა გარკვეულ დაავადებათა, გარკვეულ წმინდანებთან დაკავშირება მაგ. წმ. ბარბარე — ინფექციურ სნეულებებთან, წმ. გიორგი — სულიერ დაავადებასთან და სხვ.

ხალხური სამკურნალო ცოდნის სრული წარმოდგენისათვის ეთნოგრაფიული კვლევა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულისხმობს თვითმყოფადი და შექმნილი სამკურნალო ტრადიციების შესწავლას. ხალხური სამედიცინო ტერმინოლოგიის, სამკურნალოწამლო არსენალის, მცენარეული, ცხოველური, მინერალური თუ კომბინირებულ საშუალებების, სამკურნალო მანიპულაციების გამოვლენა, მათი თვითმყოფადობის დადგენა, მოქმედების მექანიზმის ახსნა, — ჩვენ ამოცანას შეადგენს. ცნობილია, რომ ძველთაგანვე<sup>1</sup> პროფესიონალური მედიცინა გარკვეულწილად ხალხური მედიცინის ბაზაზე მდიდრდებოდა. ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში მრავალი ხალხური სამკურნალო საშუალებაა დამოწმებული. მაგრამ ადგილი ჰქონდა უკუპროცესსაც ხალხური მედიცინის თანამედროვე მონაცემების შესწავლის შედეგად ჩანს, რომ მრავალი ოფიციალური სამკურნალო საშუალება მაგ., იოდი, სპირტი და სხვ. ხალხური სამკურნალო ცოდნის დონეზეა<sup>11</sup>. რასაკვირველია ეს მხოლოდ თანამედროვე მოვლენა არ არის. ეთნოგრაფიული და წერილობითი წყაროების ურთიერთშეჯერებით კარგად ჩანს ქართული ხალხური და პროფესიონალური მედიცინის ურთიერთკავშირი და ურთიერთგავლენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ცენტრიდან საკმაოდ მოშორებულ პერიფერიებშიც აშკარად იგრძნობა ქართული კარაბადინების გავლენის კვალი.

<sup>10</sup> იხ. მაგ. ზ. ქიქინაძე, ისტორია ქართული მკურნალობის უძველესი დროიდან, თბ., 1917, გვ. 11.

<sup>11</sup> ბ. რაჭველიშვილი, დასახ. ნაშრომი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რასაკვირველია დგება საკითხი, თუ რამ განაპირობა ეს ვარემოება, როგორც ვრცელდებოდა პროფესიონალური სამედიცინო ცოდნა ხალხში და პირუტყუ. თვალსაჩინოებისთვის ამ საკითხს უფრო ვცლად შევხებით. რასაკვირველია საფიქრებელია, რომ ეს ხდებოდა პროფესიონალური ექიმების მიერ, რომლებიც ჩვენში ძველთაგანვე მოღვაწეობდნენ მაგრამ, არა მხოლოდ შორეულ წარსულში, არამედ XIX საუკუნეშიც კი საქართველოში პროფესიონალ მკურნალთა რიცხვი იმდენად დიდი არ იყო, რომ მათ საქართველოს ყოველი კუთხის, ყოველი სოფლის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ. სწორედ ამიტომ მკურნალობის ფუნქცია, ყოველ შემთხვევაში, პირველი დახმარების აღმოჩენა გარკვეულ პირებს ეეისრებოდათ, რომელთაც, როგორც ჩანს ელემენტალური სამედიცინო განათლება ჰქონდათ მიღებული. ასეთებად უპირველეს ყოვლისა გვესახება სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რომლებიც ძველთაგანვე სულით მკურნალობასთან ერთად, ხორციით მკურნალობასაც ეწეოდნენ. შორს რომ არ წაივიდეთ, მაგალითად იაკობ ცურტაველის, ასურელ მამათა, ილა-რიონ ქართველისა და სხვათა მოღვაწეობაც გამოდგებოდა.

ამ მხრივ საყურადღებოა კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა, რომლებიც, როგორც ცნობილია. თავის უშუალო მისიის განხორციელებასთან ერთად, სამკურნალო საქმიანობასაც ეწეოდნენ.

სულიერ მამათა სამედიცინო მოღვაწეობა, მხოლოდ მკურნალობით არ ამოიწურებოდა, როგორც ჩანს, მათი ერთ-ერთი მიზანი ხალხური სამკურნალო გამოცდილების გაცნობასთან ერთად, ხალხში ელემენტარული სამედიცინო ცოდნის გავრცელება იყო.

მისიონერთა დაინტერესებაზე ხალხური მკურნალობით. მიგვიითებეს ჟან შარდენის ერთი ცნობა „... პატრმა რაფაელმა ორი საათი გამატარებინა ერთი ბებერი დედაკაცის სახლში, რომელიც ათსგვარი სიიდუმლო საშუალებით აჭიმობას ეწეოდა და ზოგი რამ, რომლის შესახებაც ქება გაუგონია, ჩემს უბის წიგნაკში ჩამაწერინა“<sup>12</sup>.

ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ელემენტარული სამედიცინო განათლება ხალხში სასულიერო პირთა ინიციატივითაც შედიოდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, კარაბადინებისა და ავგაროზების გავრცელება უმეტესწილად ეკლესიის გზით ხორციელდებოდა.

საინტერესოა დეკანოზ დავით ლამბაშიძის მოღვაწეობა, რომელსაც თავის უშუალო მოვალეობად მოსახლეობის სამედიცინო კულტურის ამაღლებაც მიაჩნდა: „დღეს ექიმობის სწავლა იქამდისინ არის მისული, რომ დიდ შემწეობას მისცემს ხალხს ავთამყოფობის დროს, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ ქართველებს იმისთანა ხაცები არა გვყავს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ხალხს დაეხმაროს და სამკურნალო სწავლა ჩვენს ენაზე მათში გაავრცელოს...“

...გამოუთქმელმა ჩვენი ხალხის უბრალო ავადმყოფობისაგან წარმოუდგენელმა ტანჯვამ აღძრა ჩემში აზრი და მომდობილება ამ სამკურნალო წიგნის შედგენისა...

...მე ყოველისფერი ღონის — ძიება ვიხმარე ამ წიგნის შედგენის დროს, რომ ეს საექიმო წიგნი მდაბალი ხალხის ადვილ გასაგებად და სასარგებლოდ

12 შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 354.

შედგენილიყო. რამდენად აღვასრულე მე ჩემი სურვილი ამის გადაწყვეტა მიმინდვია მკითხველისათვის...

...იმედი მაქვს, რომ თუ ყველას არა, ეს ჩემი შრომა რამოდენიმეს მანინც ააცილებს უბრალო სწეულებისაგან წარმოდგენილ ტანჯვას, და ზოგს უდროოდ დროს სიკვდილს და საფლავში ჩასვლასაც. ეს იქმნება ჩემი უდიდესი დაჯილდოება<sup>13</sup>.

ეს სიტყვები წინ უძღვის დ. ლამბაშიძის მიერ შედგენილ კარაბაღის, რომელიც სწორედ შემოხსენებულ მიზანს ემსახურებოდა.

საინტერესოა დალაქების საქმიანობაც. დალაქები არა მარტო ჩვენში, არამედ ყველგან, სადაც ეს ინსტიტუტი მოწმდება თავის უშუალო საქმიანობასთან ერთად, მთელ რიგ სამკურნალო მანიპულაციებს აწარმოებდნენ, როგორც იყო სისხლის გამოშვება, კბილის ამოღება და სხვ. საქართველოს თითქმის ყველა სოფელში ჩანს დალაქების საქმიანობის კვალი. იოანე ბაგრატიონის განმარტებით, დალაქებს სპეციალურად ამზადებდნენ სამკურნალო საქმისათვის, „... იყო დალაქების, უფროსი, ესენი განაწავლიდნენ შეგირდებსა კარგად, და ესენი მისცემდნენ რიგსა სამართებელისა ნეშტარს და სხვათა სადალაქოთა სახმართა ნივთებთა და ამათ მიერ წარივლინებოდნენ სოფელში დალაქები, რომ დროსა სისხლის გამოშვებისა ანუ კოტონის მოკიდებისასა, იყენენ გამოცდილნი. რომ კაცი ან არ მოკლან უცოდინარობით და ან არ დააშაონ“<sup>14</sup>.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ლეჩხუმში ერთ-ერთ სოფელში დამოწმებული ფაქტი<sup>15</sup>. აქ ისეთ ქირურგიულ მანიპულაციებს, რომელსაც დანით ჩარევა ჰქონებოდა აწარმოებდნენ სვანიძეების ოჯახის მამაკაცები, რომლებსაც ზედმეტსახელად „დალაქისანებს“ უწოდებდნენ. როგორც ჩანს, მათ თავიანთი წინაპარი დალაქისაგან შთამომავლობით მიღებული სამკურნალო ცოდნა გაამდიდრეს და ნამდვილ დასტაქრებად იქცენ.

ამგვარად, თუ ერთ შემთხვევაში ხდება პროფესიონალური სამედიცინო ცოდნის გახალხურება, მეორე შემთხვევაში თვით პროფესიონალ სპეციალისტთა, მათ შთამომავალთა ხალხურ მკურნალებად ჩამოყალიბების პროცესებთან გვაქვს საქმე.

ყოველივე შემოხსენებული ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ ხალხური მედიცინა უნდა განვიხილოთ, არა როგორც მხოლოდ ემპირიული, თვითმყოფადი ხალხური ცოდნა, არამედ, როგორც მოცემულ ეკოლოგიურ და ისტორიულ გარემოში ჩამოყალიბებული, განვითარებული ხალხური სამკურნალო აზროვნებისა და საქმიანობის რთული სისტემა.

რასაკვირველია, ჩვენ სრულად ვერ წარმოვადგინეთ და მხოლოდ მეტნაკლებად გავაშუქეთ ის საკითხები, რომლებიც ჩვენი კვლევის სფეროში შემოდის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ გარკვეული წარმოდგენა შევქმენით ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევის მიზნებსა და ამოცანებზე. მომა-

<sup>13</sup> სახალხო საქმიანო წიგნი კარაბაღის, შედგენილი დავით ლამბაშიძისაგან, თბ., 1879. გვ. II. IX.

<sup>14</sup> იოანე ბაგრატიონი, სწუღება, თბ., 1957, გვ. 16.

<sup>15</sup> აღნიშნულ მასალას მიაკვლია მ. ბურდულა. იხ. მ. ბურდული, ლეჩხუმის ეთნოქსპედიციის აღწერები, თბ., 1984, გვ. 88—95, მთხრ. დიდი ვლადიმერის ძე სვანიძე, 53 წ. შალვა ვლადიმერის ძე სვანიძე — 58 წ ვერა მაქსიმეს ას. ყურაშვილი-სვანიძე, 84 წ.



ვლისათვის ჩვენი მიზანია კვლევის საზღვრების გაფართოება და არა მხოლოდ ხალხური მედიცინის, არამედ ჯანმრთელობის დაცვის ხალხური სისტემის გამოვლენა და შესწავლა.

Н. Р. МИНДАДЗЕ

### ЦЕЛЬ И ЗАДАЧИ ЭТНОГРАФИЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ НАРОДНОЙ МЕДИЦИНЫ

Резюме

Народная медицина — один из существенных компонентов народного быта и культуры, сложная система традиционных медицинских знаний, является самостоятельным предметом этнографических исследований.

Цель и задачи этнографического изучения грузинской народной медицины состоят в выявлении и изучении многовекового лечебного опыта и медицинского мышления грузинского народа, с учетом особенностей экологической среды, исторических условий и психики населения отдельных регионов Грузии.

N. MINDADZE

### THE PROBLEMS AND OBJECTIVES OF THE ETHNOGRAPHIC STUDY OF THE GEORGIAN FOLK MEDICINE

Summary

Folk medicine is a major component of traditional culture. Therefore, this complex system of medical lore represents one of the basic subjects of ethnographic research.

The study of the Georgian folk medicine sets as its goal identifying and learning the patterns of thinking, developed as a result of centuries-old tradition folk therapeutic practice in Georgia. Along the way a special emphasis is laid on regional differences that may range from environmental and historical to those involving psychic peculiarities of the local populace.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

ილია ღათნაშვილი

მუხაჯირობა ჩრდილო კავკასიელეზში  
(ჩეჩენთა გადასახლება)

რუსეთის სამხედრო-ვეოდალური სახელმწიფო ვოლგა-ასტრახან-კასპიის ზღვის ხაზზე გაბატონებისთანავე ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში მაჰმადიანი ხალხების პირისპირ აღმოჩნდა. ამ ხალხებთან აღრიდანვე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ირანისა და თურქეთის მმართველებს, ამიტომ იყო, რომ ირანის შაჰი შაჰ სულთან ჰუსეინი 1701 წ. აღი სულთან წახურელს<sup>1</sup> რუსეთის წინააღმდეგ მოუწოდებდა. 60 ათასი რუსი ჩამოდგა თერგს, დაღისტნის შამხალს მიეშველეთ მათ წინააღმდეგ<sup>2</sup>. დაღისტნელებში ისლამის გამარჯვებამ და რუსეთის კავკასიელებთან გამეზობლებამ, ბუნებრივია, მთის დიდკაცობა და რელიგიური წრეები ირანისა და ოსმალეთის მმართველ წრეებთან ახლო პოლიტიკურ და რელიგიურ ურთიერთობაში შეიყვანა. რამდენადაც ჩრდილოეთის მზრინად მიეფის რუსეთის პოლიტიკური დაწოლა ინტენსიური ხდებოდა, იმდენად აქაური ისლამი უფრო და უფრო მებრძოლ ანტიქრისტიანულ სახეს ღებულობდა. ამ საქმეში არც თუ ისე მცირე ღვაწლი მიუძღვოდათ შაჰებსა და სულთანებს, რომელთა წაქეზებითაც, როგორც ჩრდილოეთისკენ, ე. წ. „ლინის“ გადაღმა, რუსეთისა-

<sup>1</sup> წახურად ამ დროს იწოდებოდა დაღისტნისა და საინგილოს ტერიტორიის ერთი ნაწილი (მდ. სამურის ზემო წელი, რუთულის რ-ში — დაღისტნის ასრ-ში და აზერბ. სსრ-ში კახის რაიონის მთიანი მხარე). იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში წუქეთად არის ცნობილი. იხ: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1969, გვ. 263; უფრო აღრე ირანის შაჰმა წუქეთი ჩამოართვა კახეთის მეფეს და წახურელ ალიბეგას უწყალობა და იგი აქ სულთანად დასვა. შაჰ აბასმა კახეთის მეფე ალექსანდრეს (1574—1605 წწ.) ჩამოართვა კაქისა და ენისელის (ელისენის — ახლანდელი ალიაბადის, — ი. დ.) სამოურაოების აღმოსავლეთი მხარე და შექმნა სასულთნო, რომელიც „რენეგატ კახელ თავადს უწყალობა“. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 220; ზოგ მკვლევართან ეს „რენეგატ თავადი“ გვარად ვახაჩიშვილია (გ. ჩანგაშვილი, საინგილო, თბ., 1970, გვ. 23); ზოგან კი ხან გურამიშვილია და ხანაც ვახაჩიშვილი. იხ.: მ. ჯანაშვილი, საინგილო, 1910, გვ. 8; მისივე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, თფილისი, 1914, გვ. 9; აქაური უკანასკნელი ელისოს სულთანი იყო დანიელ-ბეგი (შამაშოვალი „რენეგატი კახელი თავადისა“), რუსეთის არმიის გენერალი, რომელმაც 1844 წ. ივნისში უღალატა რუსეთს და გადავიდა შამილის მხარეზე იხ. ЦГВИА СССР, Ф-ВУА, т. 6544, л. 11—13, 35—38; ხოლო შემდეგში, როდესაც შამილს საქმეები ცუდად წაუვიდა (1859 წ.) უღალატა მას და ისეც რუსებს მხარეზე გადავიდა. (Н. А. Волконский, Окончательное покорение Восточного Кавказа (1859 г.) „Кавказский сборник“, т. IV, Тифлиси, 1879, გვ. 87—90). მეტე იგი, როგორც მთიელთა მოძრაობის სხვა ხელმძღვანელები, ოსმალეთში გადასახლდა, ე. წ. ერთ-ერთი მუჰაჯირთაგანი გახდა!

<sup>2</sup> Акты Кавказской археологической комиссии, т. II, Тифлиси, 1868, გვ. 1089; მ. ჯანაშვილი, საინგილო, 1913, გვ. 37.

კენ, ისე სამხრეთისაკენ — საქართველოსაკენ მთიელთა დაცემები ინტენსიურ ხასიათს ღებულობდა. ერთი მხრივ, ჩრდილოეთის მხრიდან სამეურნეო ტერიტორიის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, მეორე მხრივ, სამხრეთით საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლა-დაქუცმაცება და, მესამე მხრივ, ალაჰისა და მოციქულის მიერ ქრისტიანი ხალხებისა და მათი ქონების დაცეების კურთხეულ საქმედ გამოცხადება<sup>3</sup> მთიელ ფეოდალებსა და რელიგიურ წრეებს ხელფებს უხსნიდა დაეყოლიებინა მთიელი მოსახლეობა მთელი XVII—XVIII და XIX სს-ის პირველ ნახევარში მოეწყო საქართველოში მუდმივი დაცემები, ძარცვა-გლეჯა და ტყვეთა დატაცება; რამაც, თავის მხრივ, საქართველოში მეურნეობის საყოველთაო მოშლა და „ეკონომიკური დეგრადაცია გამოიწვია“<sup>4</sup>. საუკუნეების განმავლობაში დაღისტნელებისა და ჩეჩნების მიერ ქრისტიანთა ქვეყნებში — საქართველოში და რუსეთში წარმოებულ პრაორგანიზებულ, მაგრამ სისტემატური აბრაგობა და ჟაჩალობა XIX ს-ის დასაწყისიდან თანდათანობით იღებს ორგანიზებულ ხასიათს; რაც განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

საქართველოს დახმარებით ამიერკავკასიაში შემოჭრილმა მეფის რუსეთის ჯარებმა კავკასიის მთიელები მალე ალყაში მოაქცია და დაღისტანი ყოველმხრივ მტრებისაგან გარემოცული აღმოჩნდა. გენერალმა ერმოლოვმა, რომელმაც კავკასიელეებში განსაკუთრებული სიმკაცრით „სახელი გაითქვა“<sup>5</sup>, დაღისტნელებს როგორც ჩეჩნეთისაკენ, ისე ამიერკავკასიისაკენ გადაუტატა ყოველგვარი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გზა<sup>6</sup>, თან აუკრძალა მთიელებს მექასა და მედინაში მოსალოცად გამგზავრება, სასულიერო წრე-

<sup>3</sup> გასული საუკუნის რუსი ავტორი წერს, რომ დაღისტნელების პატარ-პატარა ჯგუფები იმალბოდნენ საქართველოს ტყეებში და თავს ესხმოდნენ სოფლებს, იტაცებდნენ ბაღვენახებში მომუშავე ქალებსა და ბავშვებს და საერთოდ, მისდევდნენ რა წერილ-წერილ ძარცვა-გლეჯას, დარწმუნებული იყვნენ, რომ ასრულებენ ჰაზავოს, ანუ ალაჰისა და მუჰამედის სამებლად ეწვეიან საღთო ომს ურწმუნოთა, ამ შემთხვევაში ქრისტიანთა, ე. ი. ქართველთა წინააღმდეგ (იხ. Н. Львов, Домашняя и семейная жизнь дагестанских горцев аварского племени; Сборник сведений о Кавказских горах, вып. III, Тифлиς, 1872, გვ. 3).

<sup>4</sup> Б л и е в М. М. Кавказская война, социальные истоки, сущность. История СССР, 2, март—апрель, 1983, გვ. 74; აქვე ავტორი წერს, რომ მიურიდელი მოძრაობა დაიწყო მთიან დაღისტანში, სადაც ფეოდალიზმამდელი ურთიერთობა ბატონობდა (ე. ი. ფეოდალური ურთიერთობას ჯერ არ გავმარჯვა), ცარიზმის კოლონიური ხელისუფლებაც აქ არ ვრცელდებოდა; სპაგვიროდ ბარის დაღისტანში, სადაც ფეოდალური წყობილება ბატონობდა და რუსეთის კოლონიური უფელიც არსებობდა, არც მოძრაობას ჰქონდა ადგილი და არც ანტიფეოდალური, ანტიკოლონიური და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომსო (იქვე, გვ. 54). არადა თანამედროვე ისტორიულ ლიტერატურაში მთიელთა მოძრაობა შეფასებულია, როგორც ანტიფეოდალური, ანტიკოლონიური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რასაც მ. ბლიევი არ ეთანხმება ამ ომის წარმოშობა-განვითარების, ხასიათისა და შინაარსის ასეთ შეფასებას და რიც საყურადღებო „ორიგინალურ მოსაზრებას გამოთქვამს... იქვე, გვ. 63, 75.

<sup>5</sup> Р. Магомедов, Борьба горцев за независимость под руководством Шамиля, Махачкала, 1939, გვ. 28.

<sup>6</sup> История Дагестана, т. II, М., 1968, გვ. 83.



ებს აუკრძალა სამოქალაქო საქმეების შარიათით წარმართვა და 1820 წ. კავკასიელ მუსლიმებს შეუთხზა სპეციალური ლოცვანი, რითაც ისინი ყოველი საჯარო ლოცვის დროს ვალდებული იყვნენ წარმოეთქვათ და დმერთისაგან ეთხოვათ ალექსანდრე I-ის დიდება და ჯანმრთელობა<sup>10</sup>. ყოველივე ამან დაღისტანში დაძაბა მდგომარეობა, ხალხი მოიცვა მათი მომავალში ძალდატანებითი გაქრისტიანების შიშმა. ასეთმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ კავკასიაში (ავარეთში) რელიგიურ ანტიკოლონიური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის გავლივებას, რომელიც ისტორიაში მიურიდული მოძრაობის სახელით იყო ცნობილი.

მაგრამ აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ დაღისტანში მიურიდული მოძრაობის დაწყებას დაემთხვა რუსეთის სპარსეთთან და თურქეთთან ომებში გამარჯვება და თურქმანჩისა (1828 წ.) და ადრიანოპოლის (1829 წ.) ზავევებით კავკასიაში დიდი წარმატებების მიღწევა. რუსეთის მიერ კავკასიაში ტერიტორიების ხელში ჩაგდება ძალიან შეაშფოთა არა მარტო მუსლიმური სამყარო, არამედ ინგლისისა და საფრანგეთის აგრესიული წრეებიც. ისინი ცდილობდნენ, როგორმე შეეკავებინათ რუსეთის კავკასიისაკენ მოწოლა და ამ მიზნით 30-იანი წლების დასაწყისიდანვე მრავლად აგზავნიდნენ თავიანთ ემისრებს, რათა რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ მთიელი მოსახლეობა. ამიტომ ცნობილია, რომ ომის გაჩაღებაში გარკვეული როლი შეასრულა თურქეთისა და ინგლისის მიერ კავკასიაში შემოგზავნილმა აგენტურამაც<sup>12</sup>.

ყაზი-მაჰმადის (1828—1832), ჰამზათ-ბეგისა (1832—1834) და შამილის (1834—1859) ხელმძღვანელობით წარმოებული ომის დამარცხებას უშუალოდ მოჰყვა მთელს კავკასიაში მუჰაჯირული ანუ სამშობლოდან ოსმალეთში გადასახლებისათვის ფართო მოძრაობა. მთიელთა ამ რელიგიურ-ანტიკოლონიური ომის გახსენება ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სწორედ ამ ომის დამარცხებამ, როგორც უკვე ითქვა, დიდი ბიძგი მისცა მთიელებს მასობრივად გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში. ეს საბედისწერო პროცესი ხანგრძლივი გამოდგა. იგი XX ს-ის 20-იან წლებამდე გაგრძელდა. ამ ხანგრძლივმა ეპოქამ წარმოშვა ოთხი კატეგორიის მუჰაჯირი.

აქედან, პირველი კატეგორიის მუჰაჯირები, რომლებიც 1858—1860 წლებში ძირითადად გამოყო აღმოსავლეთმა კავკასიამ, იყვნენ რელიგიური მოტივით გადასახლებულნი. ამ დროს „ქერა ურჯულოთა“<sup>13</sup>, ე. ი. რუსების ბატონობის ქვეშ „სულის წაწყმედით“ შეშინებული მთიელები, რომლებიც უფრო მექა-მედინის მოლოცვის ღოზუნგით მიდიოდნენ, ცდილობდნენ უკან არ დაბრუნებას, იქვე დარჩენას. ამ წლებში გადასახლებული მთიელები უნდა ჩაითვალოს თავისი ნება-სურვილით წასულ მუჰაჯირებად. სწორედ ამათ

<sup>10</sup> „Русская старина“, т. 9—12, 1881, გვ. 454.

<sup>11</sup> „Русская старина“, т. 9—12, გვ. 75.

<sup>12</sup> Шамиль—ставленник султанской Турции и английских колонизаторов; Сборник документальных материалов, Тб., 1953, გვ. 4, 6, 7, 46—48; Воспоминания 1855 г. — Майора Осман бей, „Кавказский сборник“, т. II, Тифлиси, 1877, გვ. 206.

<sup>13</sup> თურქულ-არაბული გამოთქმა „სარი გაურ“ („ქერა ურჯულო“) საერთოდ მიღებული იყო მთიელებში, განსაკუთრებით კი მიურიდული მოძრაობის წლებში. იხ. ЦГВИА, ф-ВУА, Ед-Хр. 6478, л. 9.

ამოდრავეს კავკასიელები და ამით გააფართოვეს, მანამდეც ოსმალეთისაკენ კანტი-კუნტად მიმავალი მუჰაჯირობის „ვიწრო ბილიკები“.

მეორე კატეგორიის მუჰაჯირები, ყველაზე მრავალრიცხოვანი, დასავლეთმა კავკასიამ, ჩერქეზ-ადიღებმა „გამოყვეს“. აღმოსავლეთ კავკასიის დაცემის მერე, 1861—1864 წლებში, ალყაში მოქცეული და გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი ჩერქეზულ-ადიღური ტომები ცარიზმთან უთანასწორო ომში ზედღვივდნენ და მათგან მორჩილება გამოაცხადეს. მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობის გეგმებში მთიელთა მთებში საცხოვრებლად დატოვება არ შედიოდა. მისი გეგმის თანახმად, ჩერქეზები მდინარე ყუბანის ჭაობიან მხარეში უნდა გადმოესახლებინათ<sup>14</sup>. იმ ტომებს, რომლებიც ამ მოთხოვნას არ ემორჩილებოდნენ (ასეთები კი, სამწუხაროდ, დიდი უმრავლესობა იყო!), თურქეთში ერეკებოდნენ იარაღის ძალით. ზარბაზნის, თოფისა და ხიშტის გამოყენებით აყრილ და თურქეთში წასასვლელად შავი ზღვის სანაპიროზე ჩარეკილი ჩერქეზთა მიერ დატოვებულ მიწა-წყალზე დაუყოვნებლივ იქმნებოდა კახაკთა სტანიცები, სადაც ფუძეს იქმნიდნენ აგრეთვე ოფიცრები, ჯარისკაცები, და რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან მოყვანილი მოსახლეობა. ამ გზით წასული მთიელები უნდა ჩაითვალოს იძულებით მუჰაჯირებად. ამგვარად, ცარიზმის სამხედრო-ფეოდალურმა მანქანამ, ოსმალეთმა (ისლამმა!) და ჩერქეზ-ადიღთა მოჭარბებულმა სიამაყემ ასე გაიმეტა დასაღუპავად ასიათასობით კავკასიელი მკვიდრი. მესამე კატეგორიაში შედიან ის მუჰაჯირები, რომლებიც აიყარნენ ცარიზმის კოლონიური ხელისუფლების მიერ გარედან წაქეზებისა და ხელშეწყობის შედეგად, თუმცა, იმდროინდელი ოფიციალური პროპაგანდის მიხედვით, „თავის ნებით“ გადასახლდნენ ოსმალეთში. ასეთები იყვნენ ჩეჩნები და ყარაბულაკები, რომლებიც 1865 წ. ზაფხულში, კავკასიის ხელისუფლების მიერ დაფინანსებითა და საგანგებო ხელშეწყობით გადასახლებულ იქნენ უცხოეთში. მეოთხე კატეგორიაში შედიან ის მუჰაჯირები, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციამდე, ე. ი. მთელი 60 წლის განმავლობაში ხან ჯგუფურად, ხან თითოთოროლა ოჯახი და ხანაც ცალკე პირები მიდიოდნენ ოსმალეთში, თავისი გაჭირვებული ცხოვრების გამოსწორების იმედით, სხვები კი ისევ უკან ბრუნდებოდნენ კიდევ უფრო გაუბედურებულნი და დაცემულნი<sup>15</sup>. ამ შემთხვევაში მათ რელიგიურ მოტივთან ერთად წასასვლელად უბიძგებდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება.

წინამდებარე წერილში შევეცდებით დავადგინოთ, თუ როგორ წარმოიშვა მესამე კატეგორიის მუჰაჯირი, ანუ კავკასიის კოლონიური ხელისუფლების ინიციატივითა და საგანგებო ხელშეწყობის შედეგად როგორ დაიყოლიეს ჩეჩენ-ყარაბულაკელთა ხუთიათასზე მეტი კომლი, აყრილიყვნენ სამშობლოდან და „თავის ნებით“ წასულიყვნენ უცხოეთში<sup>16</sup>.

<sup>14</sup> Дзагуров Г. А., Переселение горцев в Турцию, Ростов-Дон, 1925, гл. 2.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> შამილის იმპატიის დაცემისთანავე შეშინებულ და მორწმუნე დაღესტნელთა და ჩეჩენტთა ერთი ნაწილი (ასი ათასზე მეტი კაცი, იხ. ЦГВИА, ф-38, оп. 7, Ед. Хр. 382, л. 62) წავიდა თურქეთში, მალე ეს მუჰაჯირები იქ ცუდ და უბედურ დღეში აღმოჩნდნენ (იხ. ЦГИА Груз. ССР, ф-545, оп. 1, Ед. Хр. 23, л. 5—6; ЦГВИА, ф-38, оп. 7, Ед. хр. 382, л. 175, 178, 179). და უკან, სამშობლოში დაბრუნებისათვის ბრძოლა-პიდილი

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ის იყო მინელდა თოფისა და ზარბაზნის გრიალი და აქაურ მოსახლეობას ჯერაც ვერ მოესწრო მთლიანად თურქეთში გადასვლა, რომ კავკასიის კოლონიურმა ხელისუფლებამ დაიწყო იმის შესახებ ფიქრი, თუ რა საშუალებით გაეხადა იძულებული აღმოსავლეთ კავკასიაში ჩეჩენი მოსახლეობის ერთი ნაწილი, თურქეთში გადასახლებულიყო. იგი შეეცადა, რომ პირველ რიგში მშობლიური ადგილებიდან აეყარა მოსახლეობის ყველაზე „მოუსვენარი“, მებრძოლი ნაწილი. როგორც ირკვევა, ჩეჩენები სულაც არ აპირებდნენ სამშობლოს მიტოვებას და სადმე შორის წასვლას, ვინაიდან რიგით ჩეჩენებშიც კი ძალიან ძლიერი იყო ეროვნული შეგნება და აქედან გამომდინარე სამშობლოს სიყვარული<sup>17</sup>. მაგრამ მათ ბოლო 20 წლის განმავლობაში არ ჰქონდათ საშუალება ორ წელიწადს ერთ ადგილას, ერთ სოფელში ეცხოვრათ, ვინაიდან მათს სოფლებს წვედნენ და ანგრევდნენ მეფის ჯარები ან თვითონ შამილი გადასახლებდა ხოლმე მათ მეფის ჯარების მოძრაობის შესაბამისად. ამ ამბების თვითმხილველი ჩეჩენი უმაღლეს ლაუდაევი წერს: „ჩეჩენები, რომლებსაც გამუდმებით არბევდნენ რუსები, ისე შეეჩვივნენ ერთი ადგილიდან მეორეში გადასახლებას, რომ ეს თითქოს ეროვნულ განმასხვავებელ ნიშნად ექცათ... შამილის დროს მომხდარა, რომ ზოგ ოჯახს ოც ადგილას უშენებია საცხოვრებელი“<sup>18</sup>.

მეფის მთავრობის აზრით, აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიაში საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ ჩრდილო კავკასიელთა შორის ჩეჩენები კვლავ ყველაზე საშიშ და მოუსვენარ ხალხებად რჩებოდნენ. ამიტომ

დაწყეს. გრ. ორბელიანი 1861 წ. 29 ნომბერს სამხედრო მინისტრს აცნობებს: ეს გაჭირვებული ხალხი გადაფუყვით ჩავასახლოთ იქ, საიდანაც წავიდნენ, ე. ი. თერგის ოლქში, და არა ორენბურგის მხარეში, რასაც თვითონ გრ. ორბელიანი დაქინებით ითხოვდა იმავე წლის 6 ივნისის პატაჟში (იხ. ЦГВИА, ფ-38, оп-7, Ед. хр. 382, лл. 22, 23, 24) — ერთობა პოეტზე უმოქმედია გატანჯულ ჩეჩენებთან შეხვედრას და ამიტომ იგი თავის მეორე პატაჟში სამხედრო მინისტრის სახელზე, ასეთ შემყენარებლობას იჩენს ყოფილი მტრების მიმართ: „... ჩეჩენები ხანგრძლივი ხეტიალისა და შიმშილის გამო დასუსტებულნი არიან ისე, რომ მომავლადი ბავშვებით სიარული უჭირთ; მზად არიან წავიდნენ ყველგან, ოღონდ გადაარჩინონ ოჯახი შიმშილისაგან და ტანჯვისაგან. კათმოყვარეობამ გვაიძულა მოვლაპარაკებოდით თერგის ოლქის უფროსებს ჩეჩენების თავიანთ სამშობლოში დაბრუნებაზე, სადაც ადვილად მოლონიერდებიან და თან სამაგალითოც იქნება, რომ რუსთა მფლობელობაში ცხოვრება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ერთმორწმუნე თურქეთში“. იქვე, ფ. 188.

<sup>17</sup> Дзагуров Г. А. დასახ. ნაშრომი. გვ. 60.

1865 წ. 25 მარტს ჩერკლიონიაიდან პოლკოვნიკი ბელლიკი მიხეილ ტარცილის ძე ლარის-მელიქოვისადმი მიწერილ წერილში წერს:

„ერთხელ ჩემთან მოვიდა ორი ჩეჩენი, მცირე ჩეჩენთის მაცხოვრებელი, და ჩემთან საუბარში, ჰქვა პორტერთან, ერთმა თურქეთში გადასახლების თაობაზე შემდეგ თქვა: „საიდუმლო, ალგუნო და ბოტაში ხალხს უცხადებენ, სარდალმა კუნდუხოვს ყველა ჩეჩენთა თურქეთში გადასახლება დაავალა... არ წავალთ თურქეთში და არც იმთავე გაუღმებთ, ვისაც წასვლა უნდა. თურქეთში სიკვდილი გველის. იგი აქაც გველის, მაგრამ აქ იგი უფრო სასიამოვნოა, იმიტომ რომ აქ ჩეჩენი სამშობლოა და აქ ჩეჩენი მამები არიან დამარხულნი, რუსების მიერ დახოცილები...“ იქვე, გვ. 60.

<sup>18</sup> „Чеченское племя“, (с примечаниями). Умалат а Лаудаева; Сборник сведений о кавказских горцах, вып. VI, 1872, с. 50; П. Г а в р и л о в, Устройство поземельного быта горских племен Сев. Кавказа; сб. свед. О кавказских горцах, вып. II, 1869, с. 4; Ад. Б е р ж е, Выселение горцев с Кавказа, „Русская старина“, т. 36, № 10—12, с. 8; ЦГВИА, ф-38, оп. 7, Ед. хр. 470, л. 4.





კავკასიის კოლონიური ხელისუფლება, როცა ჩეჩენთა მშობლიური ადგილებიდან გადასახლებას უწყობდა ხელს, ამით შემდეგ მიზნებს ისახავდა: ჯერ ერთი, გაეწმინდა მოსახლეობა არასაიმედო, საშიში ელემენტებისაგან; მეორე, დაესუსტებინა ეს ხალხი ფიზიკურად და სულიერად; და მესამე, ხელსაყრელი პირობები შეექმნა კახაკთა ახალი სტანიცების შექმნისათვის. მეფის ხელისუფლება არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავდა იმაში, რომ პირველი: ყველა ჩეჩენი ძალით უნდა გადაესახლებინათ თურგისა და სუნჯის მარცხენა მხარეში და მათ ადგილებში სუნჯის კახაკური პოლკები დაესახლებინათ; მეორე: ეს ხალხი მთებშივე თანდათანობით შეევიწროებინათ და მერე თავისი ნებით ჩამოსახლებაზე ან თურქეთში გადასახლებაზე დაეყოლებინათ<sup>19</sup>. გენერალ-ადიუტანტი გრაფი ევლოკიმოვი, რომელიც შამილის იმამატის არსებობის ბოლო, 1858—1859 წლებში შამილს ჩეჩენთის მხრიდან უტევდა, მისი დატყვევების შემდეგაც მუდმივ გრძნობდა აჯანყების საშიშროებას ჩეჩენთში. ამიტომ მან თავიდანვე მიზნად დაისახა მთის ჩეჩენთი ვაკის ჩეჩენთისაგან გამოეთიშა მთის წინეთის მთელ სივრცეზე კახაკთა სტანიცების მოწყობით. ჩეჩენთის მოსახლეობა ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კოლონიური ხელისუფლება შიშობდა, რომ ხალხი აჯანყდებოდა. ეს უსაფუძვლო არ იყო, რადგან „ხანგრძლივ ომში ჩვენ (ჩეჩენებს, ი. დ.) ბევრი მიწები წაუართოთ“<sup>20</sup>. გრაფი ევლოკიმოვის გეგმის თანახმად, 1860 წ. მცირე ჩეჩენთის მთის წინეთში შეიქმნა კახაკთა სტანიცები და ადგილობრივ მოსახლეობას ძალიან ცოტა მიწა შერჩა. აულებში ყოველ ოჯახზე 5 დან 10 დესეტინამდე მიწა მოდიოდა, სულზე 2 დესეტინაზე ნაკლები<sup>21</sup>. ამის გამო ზოგი ისევ მთებში გარბოდა. მაგრამ ადგილობრივი კოლონიური აღმინისტრაციის აზრით, ჩეჩენთა მთებში დაბრუნება „მხარის მშვიდობიანობას უქმნიდა საფრთხეს“, ამიტომ მათ კვლავ ძალით ერეკებოდნენ ბარში<sup>22</sup>. ჩეჩენები წინააღმდეგობას უწყევდნენ. მათ „იჩქერაჟმა“ (ჭირკეი) და არღუნის ოლქში იარაღი აიღეს ხელში და აჯანყდნენ; მაგრამ მათი აჯანყებები სასტიკად ჩააქრეს. დამნაშავე თემები: აკინელები და ბენოელები ვაკეზე გადაასახლეს<sup>23</sup>. 1860 წლის მისში დაიწყო „იჩქერიაში“ (ჭირკეიში) მღელვარება, რომლის ჩაქრობა მხოლოდ 1861 წ. თებერვალში მოხერხდა; ტყვედ ჩაუარდა აჯანყებულთა მეთაური ბაისურგუნი, არღუნის ოლქში აჯანყება 1861 წ. დეკემბერში ჩაახშეს<sup>24</sup>.

1863 წლიდან მთავრობამ კავკასიის კოლონიურ ხელისუფლებას უფლება მისცა თურგისა და დაღისტნის ოლქში კერძო პირებისათვის გაენაწილებინათ მიწის ნაკვეთები<sup>25</sup>. ამ ღონისძიებამ კიდევ უფრო გააუარესა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. ამას შედეგად მოჰყვა ე. წ. ზიქრისტა მოძრაობა. ეს იყო რელიგიური დროშით მოწყობილი საპროტესტო დემონსტრაცია, მიმართული ცარიზმის მიერ ჩეჩენთის პოლიტი-

<sup>19</sup> ЦГВИА, ф-38, оп. 7, Ед. хр. 470, л. 10.

<sup>20</sup> Ад. Б е р ж е, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>22</sup> იქვე, დასახ. ნაშრომი გვ. 10; ЦГВИА, ф-ВУА, Ед. хр. 6682, Л. 50, 51, 55, 56, 57.

<sup>23</sup> ЦГВИА, ф. 38, оп. 7, Ед. хр. 374, л. 23; ф. ВУА. л. 16, л. 28, 29, 30.

<sup>24</sup> Кавказский календарь на 1866 г., с. 40—41.

<sup>25</sup> ЦГВИА, ф. 38, оп. 7, Ед. хр. 427. л. 13—17, л. 10.

კური და ეკონომიკური დაპყრობის წინააღმდეგ. ეს ხალხი, რომელიც დაბაშალიში გამოვიდა, რელიგიურ პიმნებს მღეროდა. ამ გზით, როგორც ხალხს ზიქრისტთა ხელმძღვანელები არწმუნებდნენ (კუნტა—ჰაჯი) უნდა მომხდარიყო ღვთაებრივი სასწაული და უიარაღოდ, სისხლის დაუღვრელად უნდა დაეხსნათ თავი ურწმუნოთა მონობიდან<sup>26</sup>. არავითარი სასწაული, რა თქმა უნდა, არ მომხდარა, მაგრამ მოხდა ჩეჩენი მოსახლეობისათვის მორიგი დიდი უბედურება, 1864 წ. 18 იანვარს გენერალ თუმანოვის სარდლობით სოფ. შალისთან „ზიქრისტების“ წინააღმდეგ გამოიყენეს რეგულარული ჯარი და ამონოცეს ისინი; დახოცილთა შორის ხუთი ქალი იყო<sup>27</sup>.

ამგვარად, ცარიზმის მიერ აღმოსავლეთი კავკასიის დაპყრობის შემდეგ ჩეჩენ-ინგუშური მოსახლეობის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა გაუარესდა. ამიტომ ისინი იარაღით თუ მისტიკურ-რელიგიური, ზიქრისტული მოძრაობის გზით ცდილობდნენ თავისი დამოუკიდებლობის აღდგენას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს კავკასიის მთიანეთში საშინაო და საგარეო ფაქტორების ზემოქმედებით უკვე 7 წელზე მეტი იყო, რაც თითქოს მთარულ სენად იქცა კავკასიის მოსახლეობაში ფართო მოძრაობა თურქეთში გადასახლებისათვის. მაგრამ სხვა კავკასიელებისაგან განსხვავებით, ჩეჩენ-ინგუშები თურქეთში გადასახლებისათვის მოძრაობას, ამ ეტაპზე, ადგილი არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით ერთეულ შემთხვევებს, როცა მიურიდთა მცირე ჯგუფი აიყოლიებდა ხოლმე ცალკეულ პირებს. ჩეჩენები მშობლიური ადგილების დატოვებაზე არ ფიქრობდნენ; ისინი იბრძოდნენ თავის მიწა-წყალზე თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; მეფის კოლონიური ხელისუფლება კი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ როგორმე თავიდან მოეცილებინა ამ „მოუსვენარი“ „მტაცებელი“ და „ველური“ მოსახლეობის ნაწილი მაინც. კავკასიის ჯარების სარდლობისა და მეფის კოლონიური ხელისუფლების პოლიტიკას, მათ განზრახვას თავიდანვე კარგად იცნობდა ოს ფეოდალთა წრიდან გამოსული გენერალ-მაიორი მუსა ალხაზ კუნდუხოვი. იგი ბოლო დროს ერთხანს ჩეჩენთის ოკრუგის უფროსად იყო გაწესებული. მან ხელი-სუფლებას თავი ვახსენა და ჩეჩენთა შორის გადასახლებისათვის მოძრაობის დაწყების საქმეში სამსახური შესთავაზა<sup>28</sup>. იგი ოლქის ჯარების მთავარსარდლისადმი მიწერილ წერილში წერდა, რომ არსებულ ვითარებაში მთიელების, ე. ი. ჩეჩენების ადგილზე დატოვება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მომავალში მშვიდობიანობა იქნება შენარჩუნებული. მისი სიტყვით, აქ არ შეიძლება არ დავენახოთ ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ძალა, რომელ-

<sup>26</sup> А. Ипполитов. Учение „Зикр“ и его последователи; Сб. свед. О кавказских горцах, вып. II, Тифлиси, 1869, с. 15;

აღსანიშნავია, რომ „ღვთის მთავარი ტრობუტების შესაბამისად ზიქრისტები მას ასეთი წამოძახილებით მიმართავენ: 1, ღმერთი ერთია, ამიტომ მას ამოწმებენ სიტყვებით: ლა-ილა-ლაჰა-ილაჰაჰი 2, ია ალაჰი — ჰოი, ღმერთო! ამ შეძახილით ზიქრისტი და საერთოდ მორწმუნე ამტკიცებს ღმერთის ყოვლისშემძლეობას; 3. იაჰუ! ჰოი, შენ; რომელიც მუდმივ ხარ! ეს ღმერთის მარადიულობის აღიარებაა; 4. ია ჰაჰ! ჰოი სამართლიან ღმერთო! 5. ია ხაი! ჰოი, ღმერთო ცხოველო, 6, ია ყაიჰ! ჰოი ყყოფო ღმერთო; 7. ია ჰახხარ! ჰოი; შურისმგებელი ღმერთო, იქვე, გვ. 6; ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე,

Н. С. Смирнов. Мюридизм на Кавказе, М., 1963, с. 159.

<sup>27</sup> ЦГВИА, ф. 38, оп. 7. Ед. хр. 429, л. 58.

<sup>28</sup> ЦГИА Груз. ССР, ф. 545, оп. 1, Ед. Хр. 64, л. 1.

თავან დამარცხებული ელოდება შემთხვევას, რომ ახალი ძალით განაახლოს გაფთრებული ბრძოლა<sup>29</sup>.

მერე მან უშუალოდ გააცნო თავისი გეგმები თერგის ოლქის უფროსს გენერალ-ადიუტანტ ლორის-მელიქოვს. მან კი, თავის მხრივ, მ. კუნდუხოვის მიერ წამოყენებული წინადადება და პირობები, რომ მეთაურობა და ხელმძღვანელობა გაეწია ჩეჩნების თურქეთში გადასახლებისათვის, თბილისში კავკასიის ხელმძღვანელობას გააცნო<sup>30</sup>. ეს პროვოკაციული წინადადება, რომელიც მიზნად ისახავდა ათიათასობით კავკასიელ მკვიდრთა გაუბედურებასა და დაღუპვას, რა თქმა უნდა, კავკასიის კოლონიურმა ხელმძღვანელობამ მაშინათვე მოიწონა. მთიელთა თურქეთში გადასახლების ერთ-ერთმა მთავარმა მოქმედმა პირმა, კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსმა, გენერალ-ადიუტანტმა კარცოვმა<sup>31</sup> ცენტრალურ ხელისუფლებას წარუდგინა ვრცელი მოხსენებით ბარათი კავკასიის სხვადასხვა რაიონებში ცარიზმის კოლონიური ხელისუფლების სიმტკიცის შესახებ. მან ეს ბარათი დაწერა მ. კუნდუხოვისა და ლორის-მელიქოვის გეგმების გულდამსთი გაცნობის შემდეგ, — 1864 წ. სექტემბერს. რა თქმა უნდა, შამილის იმამატის დამხობისა და დასავლეთ კავკასიიდან ჩერქეზულ-ადიღური მოსახლეობის დიდი ნაწილის თურქეთში გასახლების შემდეგ ხელისუფლებისათვის აღმოსავლეთი კავკასია, განსაკუთრებით ჩეჩნეთი ისევ საშიშ რეგიონად რჩებოდა. ამიტომ თავის ვრცელ მოხსენებაში კარცოვი, ითვალისწინებდა რა კოლონიური ხელისუფლების ინტერესებს, წერდა, დასავლეთ კავკასიაში, სადაც ასი ათასამდე ყოფილი მთიელი ბარში ჩამოვიდა<sup>32</sup> და ერთმანეთისაგან გათიშულად დავასახლეთ, მათ წინააღმდეგ ორას ოცი ათასი შეირაღებული კარგი მეომარი კახაკი გვეყავს, ამიერიდან აქ უჯაროდაც იოლად გავალთ<sup>33</sup>. მაგრამ, როდესაც ეხება აღმოსავლეთ კავკასიას, იგი წერს: სრულიად სხვაგვარ მდგომარეობაში ვიმყოფებით აღმოსავლეთ კავკასიაში. თერგისა და დაღისტნის ოლქების 800 ათასიანი მთიელი მოსახლეობა აქ თითქმის მთლიან მასას შეადგენს... მუსლიმური ფანატიზმით გაქვნილი, რომელიც ხანგრძლივმა ომმა გააღვივა, ისინი კვლავ სიძულვილით გვეკიდებიან, როგორც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინანდელ მოსისხლე მტრებს, როგორც ურწმუნოებს, და ეს გრძნობა არ გაუქრებათ მანამდე, სანამ მათ თვალში გიაურებად დავრჩებით. რაც არ უნდა გვაკეთოთ ჩვენ მთიელებისათვის, რაც უნდა კეთილდღეობა მოუტანოთ მათ ჩვენი მმართველობით... ისინი ყველაფერს შეხედავენ, როგორც გაიურის საძულველ საჩუქარს... ჩვენ მხოლოდ ძალით შეგვიძლია მათი მტრობის შეკავება... და ხუთი წლის წინ დამთავრებულმა ომმა კვლავ შეიძლება იფეთქოს ძველებური მასშტაბით და ძველებური ძალით<sup>34</sup>.

<sup>29</sup> ЦГИА Груз. ССР. ф. 545, оп. 1. Ед. хр. 64.

<sup>30</sup> Ал. Берже, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

<sup>31</sup> Дзагуров Г. А. დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

<sup>32</sup> 1861—1864 წლების ომის პროცესში ჩერქეზ-ადიღი მოსახლეობის დაახლოებით 80% გასახლებული იქნა თურქეთში, ხოლო თავიანთ სამშობლოში, ჩრდ. დასავლეთ კავკასიაში, დარჩა ასი ათასზე ცოტა მეტი კაცი, იხ, კარცოვის მოხსენებითი ბარათი: ЦГВИА, ф. 38, оп. 7, ед. хр. 470, л. 1—10.

<sup>33</sup> იქვე, ფ. 1,

<sup>34</sup> ЦГВИА, ф. 38. оп. 7, ед. хр. 470, л. 1, 2.



კარცოვი აქვე აღმოსავლეთ კავკასიაში მყარი მშვიდობიანობის დამყარებისათვის საჭიროდ თვლის დაღისტინისა და ჩეჩნეთის ერთმანეთისაგან გათიშვას. ამისათვის საჭიროდ მიიჩნდა, იძულებული გაეხადათ ჩეჩნები, რომ მდინარეების სუფჯისა და თერგის მარცხენა მხარეში გადასახლებულიყვნენ, ხოლო I და II სუფჯის პოლკის სტანიცები ჩეჩენთა ყოფილ ადგილებში შეექმნათ, რათა ჩამოეცილებინათ ისინი როგორც თერგის ოლქის მთიანი ნაწილისათვის, ისე დაღისტინისათვის. ამგვარად, მისი აზრით, დაღისტინის მოსახლეობის ჩეჩნებისაგან მოწყვეტა იმის გარანტიას იძლეოდა, რომ დაღისტინელები ვეღარ აჯანყდებოდნენ თუნდაც იმის შიშით, რომ მაშინათვე შეუწყდებოდათ პურით მომარაგება. ვადმოსახლებული ჩეჩნები სრავკომპაქტურად, არამედ შერეულად უნდა დაესახლებინათ და ამით მუდმივ კონტროლქვეშ ჰყოლოდათ; თუ ეს ღონისძიება ვერ გატარდებოდა, მაშინ ხელი უნდა შეეწყოთ ერთი ნაწილის თურქეთში გადასახლებისათვის<sup>35</sup> და აქვე იგი ატყობინებს მ. კუნდუხოვის შესახებ: ჩეჩნეთის ოკრუგის ყოფილი უფროსი გენერალ-მაიორი კუნდუხოვი, რომელიც თავისი სამსახურითაც და თავისი წარმოშობითაც ახლო იცნობს მთიელთა მდგომარეობას, ჯარების სარდლისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში ჩეჩნეთის ოკრუგის შესახებ შემდეგს ამბობს<sup>36</sup>, და იმოწმებს კუნდუხოვის წერილიდან იმ ადგილს, რომელიც წინამდებარე წერილის 50-ე და 51-ე გვერდებზე შემოკლებული და გადმოქართულებული სახით ჩვენცა ვვაქვს. ამაზე ცოტა ადრე (1864 წ. 17 მაისს), იგივე კარცოვი ლორის-მელიქოვისადმი გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „დიდი თავადი (მეფის ძმა, მიხეილ რომანოვი—ი. დ.) თანახმაა გენერალ „კ“ (ე. ი. კუნდუხოვის, — ი. დ.) წინადადებაზე, ვუსურვებ დიდ წარმატებებს, რაც მეტი იქნება მით უკეთესი“<sup>37</sup>.

რა თქმა უნდა, მ. კუნდუხოვს ამ ანტიხალხურ საქმიანობაში თავისი პირადი ინტერესები ამოძრავებდა. მის გეგმაში არ შედიოდა არც „ისლამი და მისი სიწმინდის დაცვა“, არც ჩეჩენ მშრომელთა ინტერესები და, მითუმეტეს, არც რუსეთის კავკასიურ-კოლონიურ ხელისუფალთა მიზნები, რაც გულისხმობდა კავკასიელების (ამ შემთხვევაში ჩეჩნების) „მოთვინიერებას“ და ამ რეგიონში საბოლოოდ მშვიდობიანობის დამყარებას. იგი ამოფარებული იყო კავკასიის კოლონიურ ხელისუფალთა გეგმებს და თავისი მიზნების განხორციელებაზე ოცნებობდა; კერძოდ, კუნდუხოვი როგორც ფეოდალი, წინააღმდეგი იყო საგლეხო რეფორმების, რომლის ჩატარებასაც მეფის მთავრობა ცოტა ხანში უნდა შედგომოდა კავკასიაში. ამასთან, ხელისუფლებისაგან მას თავის სახლ-კარში და მამულებში დიდი ფულადი თანხა უნდა მიეღო; მნიშვნელოვანი თანხა უნდა მიეღო აგრეთვე გადასახლებასთან დაკავშირებით მოსამზადებელ სამუშაოებისათვის სათანადო „ავიტატორების“ დასაფინანსებლად; კუნდუხოვს იმის იმედიც ჰქონდა, რომ გადასახლებულ მთიელებს აზიური თურქეთის ერთ ოლქში მოუყრიდა თავს; იგი ოს გლეხებსაც გაიყო-

<sup>35</sup> ЦГВИА, ф. 38, оп. 7, ед. хр. 64 л. 3, 4, 6, 7, 10.  
<sup>36</sup> ЦГВИА, ф. 38, оп. 7, ед. хр. 470, л. 8, 9.  
<sup>37</sup> Тотоев М. С. დასახ. ნაშრომი, გვ. 36.



ლიებდა თან და როგორც ეგვიპტის ფაშა, თვითონ გახდებოდა სულთნის მემკვიდრეობითი ვასალი<sup>38</sup>.

ერთი სიტყვით, მ. კუნდუხოვი გაგზავნილი იქნა კონსტანტინოპოლში (სტამბოლში), რათა საიდუმლოდ მოლაპარაკებოდა თურქეთის მთავრობას ჩეჩენთა მიღების თაობაზე<sup>39</sup>. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ხელისუფალთ ჯერ კიდევ მანამდე თურქეთში ჩერქეზ მუჰაჯირთა დიდი რიცხვი ვერ დაებინავებინათ და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა ან დაღუპვის პირზე იყო მისული<sup>40</sup>, მაინც დიდი კმაყოფილებით განაცხადეს თანხმობა ჩეჩენთა მიღებაზე „თავის ღვთაებრივ“ ქვეყანაში. კონსტანტინეპოლიდან დაბრუნების შემდეგ მ. კუნდუხოვმა მოხსენება წარუდგინა რუსეთის კოლონიურ ხელისუფლებას, რომ თურქეთის მთავრობა თანახმაა მიიღოს ჩეჩენთა 5 ათასი კომლი და ჩაასახლოს ისინი ყარსსა და ვანის ტბას შორის არსებულ ტერიტორიაზე<sup>41</sup>.

ამასთან დაკავშირებით ლორის-მელიქოვმა მ. ი. უდ-ას, დიდ თავადს მიხეილს მისწერა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, სადაც წერდა:

„ჩემს პირად მოხსენებებში თქვენი იმპერატორული უდიდებულესობისადმი და ჩემს მიერ წარმოდგენილ ბარათებში მე მუდამ გამოვთქვამდი რწმენას, რომ მცირემიწიანი და მჭიდროდ დასახლებული ჩეჩენებიდან მოუსვენარი და ჩვენს წინააღმდეგ ორმოცდაათწლიან ბრძოლაში აღზრდილი ტომის რომელიმე ნაწილის მოშორება უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ჩეჩენთა საკითხის გადაჭრის გზაზე, მაშასადამე, თერგის მხარის დაშოშმინებისა და ამ მხარეში მოქალაქეობრიობის დამკვიდრების გზაზე“<sup>42</sup>. აქვე იგი შეეცადა დაესაბუთებინა (მომავალში რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით) თერგის ოლქიდან გასახლებული ჩეჩენების ყარსისა და ვანის ტბას შორის ტერიტორიაზე დასახლების მიუღებლობა. იგი წერს: გასახლებულ, ძარცვა-გლეჯას მიჩვეულ, ჩეჩენთან უზომოდ მტრულად განწყობილ ჩეჩენთან მეზობლობა გვიძლეებს სასაზღვრო ხაზი გავამაგროთ ორჯერ და სამჯერ უფრო მეტად არა მხოლოდ ომიანობის, არამედ მშვიდობიანობის დროსაცო. მისი აზრით, მართალია, თერგის ოლქისათვის დიდად სასურველია აქედან 5 ათასი ოჯახის გასახლება, მაგრამ აზიური თურქეთის აღნიშნულ მხარეში მათი დასახლება ბოროტების ჩადენა იქნებოდა რუსეთის მიმართ. ამიტომ ამის განხორციელება დიდ შეცდომად მიიჩნდა. აქედან გამომდინარე, იგი სთავაზობდა წინადადებას, რომ ან არ უნდა დათანხმებულიყვნენ თურქეთის მთავრობის მიერ გენერალ კუნდუხოვისათვის შემოთავაზებულ ადგილებში ჩეჩენთა ჩასახლებაზე, ანდა უნდა ეთხოვათ თურქეთისათვის, რომ ჩეჩენები ჩაესახლებინათ ერზინჯან-დიარბაქირის იქეთა მხარეებში, საიდანაც ისინი ვეღარ შეუქმნიდნენ რუსეთს საშიშროებას. თუ ამ ბოლო წინადადებას

<sup>38</sup> Татоев Н. С. დასახ. ნაწროში, გვ. 34—35; ЦГИА Груз. ССР, ф. 534, оп. 1, д. 58, л. 127—129; იქვე, დ. 48, л. 247—249.

<sup>39</sup> ЦГИАГ, ф. 545, оп. 1, ед. хр. 64, л. 1.

<sup>40</sup> Дзидзария Г. А. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми—1982, с. 229.

<sup>41</sup> ЦГИАГ, ф. 545, оп. 1, ед. хр. 64, л. 1.

<sup>42</sup> იქვე, ფ. 1.

უურქები არ მიიღებდნენ, მაშინ საერთოდ ჩეჩენთა გასახლების საკითხი უნდა გადაედო რუსეთისათვის მისაღები მომენტის დადგომამდე<sup>43</sup>.

მეფის მთავრობამ უსიტყვოდ მიიღო ლორის-მელიქოვის რჩევები და დაავალა კავკასიის ჯარების მთ. შტაბის უფროსს გენ. ად. კარცოვს ეთხოვა კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩ ივანტიევისათვის, რომ გაემართა დიპლომატიური მოლაპარაკება, რათა დაეყოლებინა სულთნის მთავრობა ჩეჩენთა ერზინჯან-დიარბაქირის მხარეში ჩასახლებაზე. მაშინ კარცოვი ივანტიევს წერდა: ჩვენდამი მტრულად განწყობილი ხალხის (ჩეჩენების, — **ო. დ.**) აღნიშნულ მხარეში ჩასახლება ჩვენთვის სულაც არ არის ხელსაყრელი. მშვიდობიანი დროსაც კი სასაზღვრო დაცვა უნდა გავაორკევოთ, ომის მსვლელობაში კი ამ მხარეში უფრო მეტი ჯარი უნდა გამოვყოთ. ამ მხარის ძირითადი მცხოვრებნი ქურთებია, რომლებიც ნათესაურ კავშირში არიან იმ ქურთებთან, ჩვენს მხარეშიც მომთაბარეობას რომ ეწევიან; ამიტომ ომი წარმატებით რომ ჩავატაროთ, აქ მოწინააღმდეგე კი არ უნდა გვყავდეს, არამედ ადგილობრივი ხალხის მხარდაჭერის იმედი უნდა ვიქონიოთ; ასე იყო წინანდელ ომშიც... ჩეჩენთა აქ ჩასახლება მდგომარეობას საწინააღმდეგოდ შეატრიალებს. ამიტომ მ. ი. უდ-კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა დამავალა გთხოვოთ, რომ იქნებ როგორმე დაითანხმოთ თურქეთის მთავრობა, რომ ჩეჩენები ჩასახლონ არზურტუმის საფაშოს გარეთ, ერზინჯანისა და დიარბაქირის იქეთა მხარეებში, რათა ამ გადასახლებულებმა ჩვენ ვეღარ შეგვიქმნან საფრთხე<sup>44</sup>.

ივანტიევი 1864 წ. 19 დეკემბერს კონსტანტინეპოლიდან თავის საპასუხო წერილში კარცოვს თბილისში სწერდა, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი ფაშამ განაცხადა: „ჩეჩენთა დიარბაქირის მხარეში გადასახლება დიდ ხარჯებს მოითხოვს“, ამიტომ მან უარი თქვა ამ თხოვნის შესრულებაზე. „მე ვუთხარი მინისტრს, — წერდა ივანტიევი, — მაშინ კავკასიის ხელმძღვანელობა არ გამოუშვებს თურქეთში არც ერთ ჩეჩენს“. ამან იმოქმედა მასზე და შეცვალა გადაწყვეტილება. იგი თანახმაა, რომ ამ ხუთი ათასს ჩეჩენთა კომლს თურქეთი ჩასახლებს ალეპოში. ისინი უნდა მოვიყვანოთ ახალციხეზე გამოვლით, მხოლოდ არა ერთბაშად... არამედ ნაწილ-ნაწილად<sup>45</sup>, — განაცხადა მან. იმ ეპოქის ოფიციალური ისტორიკოსი ად. ბერჟე წერდა: „რა თქმა უნდა, ველურ ჩეჩენთა ამ რეგიონში ჩასახლება ჩვენთვის არც ერთი მხრივ მისაღები არ იყო, მით უმეტეს ომიანობის შემთხვევაში<sup>46</sup>.

როგორც კი მეფის მთავრობამ თურქეთიდან დადებითი პასუხი მიიღო, უერგის ოლქის ჯარების უფროსმა, გენ. ად. ლ. მელიქოვმა მაშინათვე გამოიძახა მ. კუნდუხოვი და წინადადება მისცა, შესდგომოდა ჩეჩენთა შორის თურქეთში გადასახლებისათვის მომზადებას. კუნდუხოვმა თავისი კონკრეტული მოთხოვნები წამოაყენა: 1. თავის უძრავ ქონებაში (სახლ-კარი, მამულ-ლი) მოითხოვა 45000 მ. ვერცხლით; 2. ჩეჩენებში გადასახლების განწყობილე-

<sup>43</sup> ЦГИАГ. ф. 545, оп. 1, ед. хр. 64, л. 7.

<sup>44</sup> იქვე, ფ. 9.

<sup>45</sup> იქვე, ფ. 19; თურქეთის მთავრობამ ჩეჩენთა ახალციხეზე გატარებით თურქეთში შეყვანა ეპეკარეშეა, იმიტომ მოითხოვა, რომ მესხეთის მუსლიმ ქართველებშიც შეიმუშავებულყო განწყობილება და მათთვის „ერთმორწმუნე“ თურქეთში გადასახლებისათვის ზიჭი მიეცა.

<sup>46</sup> Ад. Берже. დასახ. ნაშრომი, გვ. 14.





ბის მოსამზადებლად და წინასწარი სამუშაოების ჩასატარებლად მოითხოვა 10 ათასი მან. ვერცხლით და 3. მოითხოვა თავისი ოჯახის წევრების წინასწარ გემით კონსტანტინოპოლში გამგზავრება. მეფის ხელისუფლებამ ყველა ეს მოთხოვნა უსიტყვოდ მიიღო. მ. კუნდუხოვიც შეუდგა აქტიურად თავის საქმიანობას<sup>47</sup>. ამ საქმის წარმატებისათვის მან მოქმედებაში ჩართო აგრეთვე რამოდენიმე გავლენიანი ჩეჩენი. მცირე ჩეჩნეთის ნაიბი სიდულაჰი და ყარაბულაკელთა მთავარი მამასახლისი ალიკო ცუგოვი, რომელთაც დაიფიცეს ყურანზე, რომ აუცილებლად გადასახლებოდნენ თურქეთში, თუკი მ. კუნდუხოვი მაგალითს მისცემდა მათ<sup>48</sup>. მ. კუნდუხოვმა და მისმა „აქტივისტებმა“ ფართო მუშაობა გაწაღეს ხალხში. ისინი „ურწმუნო“ რუსების ხელში მომავალ ცხოვრებას ძალიან პირქუშად ხატავდნენ და მოუწოდებდნენ ხალხს „მუსლიმთა აღთქმულ ქვეყანაში“ — თურქეთში გადასახლებისაკენ<sup>49</sup>. უფრო დიდი ფეჟქტისათვის, როგორც ვთქვით, კუნდუხოვმა და მისმა მახლობლებმა ყველაზე ადრე გაავაზვნეს თურქეთში თავიანთი ოჯახები. ადგილობრივი კოლონიური ხელისუფლების წინასწარი გეგმითა და სურვილით ჩეჩენი მოსახლეობის სწორედ ის ნაწილი იქნა აყოლიებული თურქეთში წასასვლელად, რომელიც, ადმინისტრაციის აზრით, ყველაზე მოუსვენარი „მტაცებელი“ („ხიშჩინიკები“) იყო.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ასი ათასობით ჩერქეზი მოსახლეობის თურქეთში გასახლების დროს ბარბაროსული მეთოდების გამოყენებამ და შემდეგში (თურქეთში), მათმა ტრაგიკულმა ხვედრმა, ევროპის პროგრესულ წრეებში გულისწყრომა გამოიწვია. ამიტომ იყო, რომ თუ ჩერქეზული ტომების გასახლების პროცესში ცარიზმის მიერ გამოყენებული იქნა ხიშტი და ზარბაზანი, ახლა, როდესაც ჩეჩენები „თავისი ნება-სურვილით“ მიდიოდნენ სამშობლოდან თურქეთში, კავკასიის ხელისუფლება მათ ჰპირდებოდა თურქეთის საზღვრამდე მიცილებას<sup>50</sup>, საჭიროების შემთხვევაში მათ ურმებსაც ახმარდა<sup>51</sup>, პირუტყვს გზაზე საძოვრებით უზრუნველყოფდა, შუშით ამარაგებდა და სხვა<sup>52</sup> (ამათგან განსხვავებით ჩერქეზებს არაფრის წაღება არ შეეძლოთ, რადგან ისინი ზღვით მიდიოდნენ თურქეთში).

მოტყუებული ჩეჩენი მოსახლეობა აჰყვა გენერლების, მოლებისა და მამასახლისების პროპაგანდას და ყარაბულაკელთა 1500 ოჯახმა, 3500-ზე მეტმა ჩეჩენთა ოჯახმა „გამოთქვა სურვილი“ თურქეთში გადასახლებაზე. სულ ვლადიკავკაზთან (შესაკრები პუნქტი) თავი მოიყარა 5008 ოჯახმა<sup>53</sup>, მათ თან ჰქონდათ 6919 ურემი, 4497 ცხენი და 11681 რქოსანი პირუტყვი<sup>54</sup>. აქ ისინი დაანაწილეს დაახლოებით 150 ოჯახიან 28 ჯგუფად. ვლადიკავკაზი — მცხეთა — აწყური — ახალციხე და ახალქალაქის, მარშრუტით სპეციალური სამხე-

<sup>47</sup> Ад. Берже. Дахаб. ნაშრომი, გვ. 15.  
<sup>48</sup> იქვე, გვ. 15, ( )  
<sup>49</sup> Абрамов Я. Кавказские горы, Краснодар, 1927, с. 10.  
<sup>50</sup> ЦГИАГ, ф. 545. оп. 1, ед. хр. 90; лл. 1, 2, 3, 4, 5, 6, 13, 205, 288, 348, 357.  
<sup>51</sup> Абрамс Я. Дахаб. ნაშრომი, გვ. 10.  
<sup>52</sup> Касумов А. Х. Разные судьбы, Нальчик, 1967, с. 11.  
<sup>53</sup> ЦГИАГ, ф. 545. оп. 1, ед. хр. 90, л. 116.  
<sup>54</sup> იქვე, ფურც. 260, 320. \

დრო ბადრაგის თანხლებით გაუდგნენ გზას. პირველი ჯგუფი დაიძრა 1865 წლის 23 მაისს<sup>55</sup> და თურქეთის საზღვარზე გადავიდა ხოზათინის საგუშაგოსთან ამავე წლის 17 ივნისს<sup>56</sup>. ბოლო 28-ე ჯგუფი ვლადიკავკაზიდან გამოვიდა 17 აგვისტოს<sup>57</sup> და საზღვარი გადაიარა 11 სექტემბერს.

მეფის მთავრობამ ჩეჩნების გადასახლებისათვის მომზადებაზე, ვლადიკავკაზიდან თურქეთის საზღვრამდე მათ მიცილებაზე და სხვა ღონისძიებებზე დახარჯა 130,582 მან. და 72 კ. ვერცხლით<sup>58</sup>. კავკასიის კოლონიური ხელისუფლება ძალიან შიშობდა და ფრთხილობდა, რომ ეს ორგანიზებული და სავანგებოდ დაფინანსებული გადასახლება არ ჩაშლილიყო; ამიტომ იგი აღმოსავლეთ ანატოლიაში თავის წარგზავნილს — შტაბს კაპიტან ზელიონის (რომელსაც დავალებული ჰქონდა დაეწესებინა სპეციალური კონტროლი, რათა თურქებს ჩეჩნები ყარსისა და არზრუმის მხარეში არ ჩავსახლებინათ და ისინი გადაერკათ დიარბაქირ-ერზინჯანის მხარეში), სავანგებოდ ავალებდა, რომ მას ეშუამდგომლა თურქების ხელისუფალთა წინაშე ჩეჩენტა პირველი პარტიები განსაკუთრებული თავაზიანობით მიეღოთ; ეს ამბავი უთუოდ ჩამოაღწევს თერგის ოლქის „ტუხუმცებამდე“, წერდა თერგის ოლქიდან 1865 წ. 9/VI ლორის-მელიქოვი დიდ თავადს მიხეილ ნიკოლოზის ძეს<sup>59</sup>.

საზღვარზე გადასვლისას ჩეჩენტა ლიდერები და მოღებები კმაყოფილებით ლოცავდნენ კავკასიის ხელისუფლებას იმ დიდი მზურნველობის გამო, რომ ეს დიდი გზა ისე გაიარეს არავითარ სავანგებო შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. საზღვარს აქეთ ქრისტიანთა მეფისაგან ასე „ნასიამოვნები“ ჩეჩნები საზღვარს იქეთ გადასვლის შემდეგ დიდი მოწიწებით ეამბოვნენ მართლმორწმუნე მუსლიმთა ფადმაჰის მიწას და მოღების შთაგონებით აღავლინეს სავანგებო ლოცვები: რომ, როგორც იქნა, მის წმინდა და ძლიერ კალთას შეაფარეს თავი. ეს ლოცვა — დაამთავრეს სიტყვებით: „ვათანა გელდიმ, იმანა გელდიმ“<sup>60</sup> (სამშობლოში მოველ და ჭეშმარიტების გზაზე დავდექი, ანუ ნამ-

<sup>55</sup> ЦГИАГ. ф. 545, оп. 1, ед. хр. 90, л. 453, 454, 455.

<sup>56</sup> იქვე.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> Ад. Бер же. დასახ. ნაშრომი, გვ. 17. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩეჩნების თურქეთში გადასახლებამ, — როგორც ამის შესახებ წერს იმ ეპოქის ავტორი, — მნიშვნელოვანად გადავიდა მიწის საკითხის გადაწყვეტა... მაგალითად, ყარაბულაყელებისაგან დაცული მხარეს კახაკები დაეპატრონენ, რადგან მათ მიწა საკმარისი არ ჰქონდათ; იხ. П. Гаврилов. დასახ. ნაშრომი, გვ. 4. 58.

<sup>59</sup> ЦГИАГ, ф. 545, оп. 1, Ед. хр. 90, л. 235, 236; როგორც წესი, ჩეჩენტა პარტიელების გამცილებელ ბადრაგთა ნაწილი ჩრდილო კავკასიელი მთიელებისაგან შედგებოდა. ამიტომ, როგორც კი ჩეჩნებს საზღვრამდე მიაცილებდნენ და თურქებს ჩაახარებდნენ, ეს გამცილებელნი ვალდებულნი იყვნენ მაშინათვე შინ დაბრუნებულიყვნენ. თურქეთის მიერ ჩეჩენტა სახეიბო მიღების ამბავიც მათ ჩამოჰქონდათ თერგის ოლქში. იხ. იქვე, ფ. 235, 236.

<sup>60</sup> სიტყვები: „ვათანი“ და „იმანი“, ორივე არაბულია, სამშობლოს და რწმენას ნიშნავს, ხოლო სიტყვა „გელდიმ“ თურქული ზმნა „გელმექიდანაა“ — მოსვლა, მათ ეს წინადადება თურქულ-თათრულ ენაზე წრმოთქვს იმიტომ, რომ კავკასიელებში უკვე დიდი ხნის წინ ასეთი ტრადიცია იყო ჩამოყალიბებული: ლოცვები არაბულ ენაზე წარმოითქმებოდა, ხოლო ბრძნული გამონათქვამები, აფორიზმები, ანდაზები და კულეტები, რომლებიც სპარსეთში და არაბეთში იყო შექმნილი და კავკასიელებში აღწევდა გათურქებული ვარიანტით (კავკასია ხომ XI ს-იდან თურქული მოდგმის ალყაში იყო მოქცეული), აუცილებლად წარმოითქმოდა: ხოლმე თურქულ-თათრულ ენაზე.

დვილი მუსლიმი გავხდი). კავკასიელ მუსლიმთა რწმენით კი „ნამდვილი მუსლიმობა“ იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლეში თუნდაც ცუდი, ბოროტი და მტრული ადამიანი იყოს, ბოლოს მას საიქიოში, ხანგრძლივი ტანჯვა-წამების მერე, ალაჰის წინაშე მუჰამედის შუამდგომლობით, როგორც მუსლიმს ეპატიება ყველა დანაშაული, და ჯოჯოხეთიდან სამოთხეში იქნება გადაყვანილი<sup>61</sup>. მაგრამ, მომავალში სამოთხის უზრუნველყოფასთან ერთად, ჩენნებისათვის, პირველ რიგში, საჭირო იყო მუსლიმთა ფადიშაჰის „წმინდა“ მიწა-წყალზე ამ ქვეყნად ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფაც. ამ რწმენა-განწყობლებით ისინი ეამბორებოდნენ ფადიშაჰის მიწას და აღავლენდნენ მადლობის ლოცვას. მაგრამ ჩენნებს იმედები სწრაფად გაუცრუვდათ.

თურქეთში გადასულ ჩენნებს ისეთივე ტრაგედიამ უწიათ, როგორც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან გასახლებულ ჩერქეზებს: თურქეთის მთავრობა, როგორც წესი, მუჰაჯირებს არავითარ სადგომ-თავშესაფარს არ ამოვლევდა. ისინი თვეობით ეყარნენ ღია ცის ქვეშ. მათში სწრაფად ვრცელდებოდა ავადმყოფობა, შიმშილი, რაც იწვევდა ხშირ სიკვდილიანობას<sup>62</sup>. თურქების მიერ ჩენნებისათვის გამოყოფილი მიწა იყო დასამუშავებლად სრულიად უვარგისი, ქვადორიანი<sup>63</sup>. ამიტომ იმთავითვე ჩენნთა ერთი ჯგუფი, რომელიც თავდაპირველად 200 სულისაგან შედგებოდა და შემდეგ კი 2600 სულამდე გაიზარდა, სამშობლოში დასაბრუნებლად რუსეთის საზღვრისაკენ გამოემართა. დანარჩენები ყარსის მუშისა და არზრუმის მხარეში კვლავ ღია ცის ქვეშ ეყარნენ. ასეთ ვითარებაში მალე მათ გაახსენდათ ნამდვილი სამშობლო და უკან დაბრუნების დაუოკებელი სურვილი აღეძრათ.

როგორც უკვე ითქვა, ორი მთავრობის წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, თურქებს ჩენნები უნდა ჩავსახლებინათ ერმიჯან-დიარბაქირის სამხრეთით და არა რუსეთის საზღვართან ახლოს. თურქეთის მთავრობის დაპირება რომ ზუსტად შეესრულებინა, მეფის ნაცვალმა ზედამხედველად აღმოსავლეთ თურქეთში შტაბს კაპიტანი ა. ს. ზელიონი გაგზავნა. იგი აღმოსავლეთ ანატოლიაში 1867 წლის ოქტომბრამდე დარჩა. მან ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა ეს დავალება. ა. ს. ზელიონიმ მუშში და ვანში ადრე დასახლებულ ჩენნებსაც არ მისცა მოსვენება, ისინი კვლავ ააყრევინა და სამხედრო ძალის გამოყენებით, თურქებს დიარბაქირის მხარეში გადაარეკინა.

ყარსის მხრიდან რუსეთ-თურქეთის საზღვარზე მოგროვილი ათასობით ჩენნი პირობას იძლეოდა, რომ იცხოვრებდა მშვიდობიანად, ოღონდ კავკასიაში შემოგვიშვითო, და თანახმა იყო დასახლებულიყო იქ, სადაც რუსეთის მთავრობა ისურვებდა, თუ საჭირო იქნებოდა ქრისტიანობასაც მივიღებთო. მაგრამ მათი გაჭირვებული და მძიმე მდგომარეობა ამ ეტაპზე არავის აწყუბებდა. პირიქით, რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნით, თურქეთის მთავრო-

XV—XIX სს-ში ქართული ენის, როგორც კავკასიელთა ურთიერთსალაპარაკო ენის განდევნას ხელს უწყობდა შემდეგი გარემოებები: 1. თურქული მოდგმის დიდი სიჭარბე; 2. თურქული სახელმწიფოებისა და საერთოდ თურქული მოდგმის აქტიურობით კავკასია-ელთა ნაწილის ისლამიზაცია-ასიმილაცია; 3. საქართველოს ერთიანი და ცენტრალიზებული სახელმწიფოს დამლა-დაქუცმაცება.

<sup>61</sup> Омаров, Абдулла, Воспоминания муталима, Сб. свед. о кавказских горцах, вып. II, Тифлис, 1869, с. 60.

<sup>62</sup> ЦГИАГ, ф. 545, оп. 1, ед. хр. 97, лл. 49, 185, 212.

<sup>63</sup> იქვე, ფ. 49, 50.



ბამ საზღვარზე მოგროვილ ჩეჩნებს ზარბაზანი დაუშინა და ასე მოაცილა ისინი საზღვარს<sup>64</sup>. აქედან სამხედრო ბაღრაგის თანხლებით გადენეს ყარსის მხარეს. 1865, 1866 და 1867 წლები მეტად ტრაგიკული აღმოჩნდა თურქეთში გადასული ჩეჩნებისათვის. განაწამებ ჩეჩნთა მცირე ჯგუფი საიდუმლო ბილიძეებით მაინც ახერხებდნენ საზღვარზე გადმოსვლას. ეს მათხოვრად ქცეული, ძონძებიანი, ფეხშიშველი, ავადმყოფი ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც თან ტიტლიკანა ავადმყოფი ბავშვები ჰყავდათ, ხშირად ჩნდებოდნენ ხოლმე თბილისისა და გორის ქუჩებში და საქართველოს სამხედრო გზაზე.

შემდეგში, როცა ჩეჩნების ნასახლარზე უკვე საქმარისად მომავრდა, რუსეთის მთავრობა თურქეთიდან გადმოსულ ჩეჩნებს ძალით აღარ აბრუნებდა უკან, თურქეთში, პირიქით, ახლა მათ, გარკვეული მოსაზრებით, შინ დაბრუნების ნებას რთავდა. ისე, რომ სულეირად, მორალურად და ნივთიერად გაძარცვული ამ ადამიანების ნაწილი დიდი ტანჯვა-წამებით მაინც აღწევდა სამშობლოში.

1868 წელს მთავრობამ ჩეჩნთა რამდენიმე ასეთი გამათხოვრებული ჯგუფი თბილისიდან სამხედრო გზით კი არ დააბრუნეს შინ, არამედ ისინი ჩეჩნეთში წაიყვანეს შემოვლითი გზით — ზაქათალის ოკრუგზე (საინგილოზე) და დაღისტანზე გატარებით, რათა ამით სათანადო ზემოქმედება მოხდინათ იმ ფანატიკურ ჯგუფებზე, რომლებიც ჯერ კიდევ თურქეთში წასვლაზე ოცნებობდნენ<sup>65</sup>. მაგრამ ამ გაძვალტყავებულ ჩეჩნებს არსებითი გავლენა არ მოუხდენიათ ზაქათალის ოკრუგისა და დაღისტანის ოლქის მოსახლეობის ერთ ნაწილზე, რომელიც „ალაპის მიერ ყველა მუსლიმთა ბედნიერებისათვის შექმნილი თურქეთის“ სიყვარულითა და ისლამის ფანატიზმით იყო შეპყრობილი. ადამიანთა ეს ჯგუფი ქრისტიანი მეფის ბატონობის ქვეშ სულის წაწყმედის შიშს შეეპყრო და მათ თურქეთში ბედნიერი ცხოვრების იმედი ლა შერჩენოდათ<sup>66</sup>.

მაგრამ გასაკვირია ის ფაქტი, რომ 1869 წ. ზაფხულში სხვებთან ერთად ზაქათალის ოკრუგიდან (საინგილოდან) თურქეთში საცხოვრებლად გადავიდა ახლად გამაჰმადიანებული ქართველი (ინგილო) მოსახლეობის ნაწილიც<sup>67</sup>. ისინი წასულან ალიაბადიდან (ელისენიდან) და მიმდგომი სოფლებიდან<sup>68</sup>.

<sup>64</sup> Абрамов Я. დასახ. ნაშრომი, გვ. 11; Ал. Берже, დასახ. ნაშრომი, გვ. 19; ЦГИАГ, ф. 545, оп. 1, ед. хр. 97, л. 1, 84.

<sup>65</sup> Ал. Берже, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

<sup>66</sup> საყურადღებოა, რომ ზაქათალის ოკრუგის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად (1869 წ.) გამოირკვა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტმა ოჯახმა გადასახლების სურვილი გამოთქვა. ზოგიერთი სოფლის მცხოვრებმა, როგორცაა სოფ. ჰარი, თალა, მუხახი და სხვა თითქმის მთლიანად თურქეთში გადასახლება ისურვეს. იხ. ЦГИАГ, ф. 545, оп. 1, ед. хр. 442, л. 28, 29.

<sup>67</sup> ინგილო-ჯანაშვილი, ზაფხულის ტვინთხელაქები და ფეთხუმების შესაქცივი, „მნათობი“, 1869 წ., სექტემბერ-ოქტომბერი, გვ. 108—114;

<sup>68</sup> ზაქათალის ოკრუგის უფროსი პოდპოლკოვნიკი შელკოვნიკი 1869 წ. აგვისტოს მისი ოკრუგიდან (ასევე ალიაბადის მხრიდანაც) თურქეთში გადასახლებული ოჯახების საზღვრამდე მიცილებისა და მათი თურქებისათვის გადაცემის შესახებ თბილისში ზელმძღვანელობისათვის წარდგენილ პატიკში წერდა, რომ მუჰაჯირების უმრავლესობა დაღერემილნი იყვნენ და სამშობლოს დაკარგვის გამო მთელს გზაზე ტიროდნენ იხ: ЦГИАГ, ф. 535, оп. 1, ед. хр. 442, л. 24—28 и 53.

საჭიროა აქვე დასკვნის სახით ისიც ითქვას, რომ მუჰაჯირული მოძრაობა დაღესტნიდან, შაქი-შირვანიდან, ზაქათალის ოკრუგიდან და საერთოდ მთელს მუსლიმურ-სუნიტურ კავკასიიდან არ შეწყვეტილა XIX ს-ის განმავლობაში და XX საუკუნესაც გადმოედო ეს მავნე სენი. თითქმის 1921 წლამდე კავკასია თავის წიაღიდან განუწყვეტლვ გამოყოფდა გარკვეული რაოდენობის მუჰაჯირს.

И. И. ДАТУНАШВИЛИ

## МУХАДЖИРСКОЕ (ПЕРЕСЕЛЕНЧЕСКОЕ) ДВИЖЕНИЕ С СЕВЕРНОГО КАВКАЗА

(Переселение чеченцев)

Резюме

После Крымской войны и особенно после падения Имамата Шамиля царское правительство приступило к активным военным действиям для окончательного покорения черкесско-адыхских племен северо-западного Кавказа. Как в процессе военных действий, так и после покорения всего Кавказа (май 1864 г.) вплоть до 20-ых годов XX века среди горцев шел процесс переселения в Турцию, который начался еще в середине XIX столетия в период войны.

В 1858—1864 годах под влиянием религиозных, политических, экономических и социальных факторов сотни тысяч горцев переселились с северо-западного Кавказа — это была чисто военно-политическая акция с целью колонизации края.

В статье на основе архивных и литературных данных изучены причины и история особой категории мухаджирства (переселения) после покорения всего Кавказа. Чеченцы, которые не думали о переселении из родных мест в чужие края, летом 1865 г. были специально подстрекаемы и поощряемы «к добровольному» переселению в Турцию. Для достижения этой цели колониальным властям Кавказа пришлось израсходовать сотни тысяч рублей.

I. DATUNASHVILI

## MUHAJIR (MIGRATION) MOVEMENT FROM THE NORTH CAUCASUS

(Migration of the Chechens)

Summary

After the Crimean War and especially after the defeat of Imam Shamil, the Tsar government started active military adventures to subdue Cherkeesian-Adyghian tribes of the North-West Caucasus. During the military actions, as well as after the occupation of the whole Caucasus (May, 1864), till the twenties of the 20th century, the process of migration to

Turkey had been going on among the mountain people. This process started during the war, in the middle of the 19th century.

In 1858—1864 under the influence of religious, political, economic and social factors thousands of highlanders migrated from Daghestan and Ossetia and hundreds of thousands of Cherkezians and Adyhians were evicted from the North-West Caucasus. It was a purely military political measure to colonize the territory.

On the basis of the archival and literary data the article studies the causes and the history of the peculiar category of the migration after „subduing“ the whole Caucasus. In Summer of 1865. The Chechens, who never thought of leaving their native land for foreign countries, were specially encouraged and instigated to „voluntary“ migration to Turkey. To achieve this goal the colonial authorities of the Caucasus had to spend hundreds of thousands of roubles.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა



გიორგი მამულია

ვახტანგ გორგასლის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ

ვახტანგ გორგასლის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ ისტორიოგრაფიაში ფართო ლიტერატურა მოიპოვება. უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, კ. კეკელიძის, კ. თუმანოვის, ზ. ალექსიძის და სხვათა შრომები თუმცა ისინი საპირისპირო დასკვნებს შეიცავენ<sup>1</sup>. სამწუხაროდ, ერთი წერილის ფარგლებში საკითხის ისტორიოგრაფიის მიმოხილვის საშუალებას მოკლებულნი ვართ. ამიტომ გამოკვლევას პირდაპირ შეუძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის კვლევა ძირითადად წყაროების სიმცირის გამო ჭირს. ცნობილია, რომ საეკლესიო ცენტრის პირობებში წყაროებში სათანადოდ გადამუშავებულ იქნა ცნობები ქართლში მწვალებლური მოძრაობების არსებობის შესახებ. ამრიგად, დასახელებული პრობლემის სათანადოდ გადაწყვეტა მხოლოდ წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არის შესაძლებელი.

ვახტანგ გორგასლის ეპოქის საეკლესიო ისტორიის შესასწავლად ძირითად წყაროს ჯუანშერი წარმოადგენს. ჯუანშერთან შემონახული ვადმოცემის თანახმად, ქართლის მეფე მირდატის (V ს-ის I ნახევარი) გარდაცვალების შემდგომ, დედოფალმა საგდუხტმა, მახდენაობის ქართლში გავრცელების შეზღუდვის მიზნით, ბიზანტიიდან გამოიხმო „მღელი ჭეშმარიტი“ მიქაელი და ქართლის მთავარეპისკოპოსად განაჩინა. ქართლში მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე, მიქაელი ებრძოდა მახდენაობას და „ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჭეშმარიტსა“<sup>2</sup>. მანვე ცეცხლს მისცა მისი წინამავალი მთავარეპისკოპოსის, მობიდანის მიერ დაწერილი მწვალებლური წიგნები.

1 იხ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1979, გვ. 353—358; ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 291—292; კ. კეკელიძე, კანონიერი წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957, გვ. 335—338; ზ. ალექსიძე, ვახტანგ გორგასლისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსის შორის კონფლიქტის გამო, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976, გვ. 99—107; მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის II ნახევარში, თბ., 1979, გვ. 66—76; ა. კობახიძე, რამ გამოიწვია ვახტანგ გორგასლისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსის კონფლიქტი, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 1980, № 1, გვ. 38—48; ვ. გოლიაძე, მიქაელი იყო „მღვდელი ჭეშმარიტი“, მაგრამ არ იყო..., მნათობი, 1987, № 4, გვ. 171—176; ნ. ჯანაშია, „შუშანიკის წამება“, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბ., 1988, გვ. 352—356; ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 48—60; C. T o u m a n o f f, Christian Caucasia between Byzantium and Iran: New light from old sources, Traditio, t. 10, New York, 1954, გვ. 162—172.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 146.

ჯუანშერის ცნობით, მირდატისა და საგდუხტის ვაჟი ვახტანგი „იზარდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყურა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა“<sup>3</sup>. მაგრამ შემდგომ, მიქაელსა და ვახტანგ გორგასალს შორის მოხდა განხეთქილება. ჯუანშერის გადმოცემის თანახმად, ირანიდან მობრუნებულმა ვახტანგმა ბიზანტიაში მოციქული წარგზავნა, რათა ქართლის კათალიკოსად ეკურთხებინათ პეტრე მღვდელი, რომელიც მან პონტოზე ლაშქრობის დროს გაიწიო. შეიტყო რა მიქაელმა ამის შესახებ, „იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად, და მიუვლინა მეფესა და რქუა, ვითარმედ: „შენ დაგიტეობია ქრისტე და ცეცხლსა ესავ“<sup>4</sup>, რაზეც ვახტანგმა უპასუხა: „უბრალო ვარ, ღმერთიან იცის! მაგრა წარმივლენია მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა“<sup>5</sup>. გამწყურალმა მიქაელმა კი განიზრახა „შფოთითა დააცადოს საქმე იგი... და კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი“<sup>6</sup>. ვახტანგი შემორიგების მიზნით მიქაელს ეახლა და წესისამებრ ფეხზე ემთხვია ქართლის მთავარეპისკოპოსს, მიქაელმა კი „განძრა... ფერკი, და მიამთხვა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი“<sup>7</sup>. მთავარეპისკოპოსის უკადრისი მოპყრობით განრისხებულმა ვახტანგმა უპასუხა: „რაჟამს გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად მოყვანება, და აღეგზენ შურითა ბოროტად, ვითარცა იუდა პეტრესითა“<sup>8</sup>. ვახტანგმა მიქაელს მთავარეპისკოპოსის პატივი აპყარა და დასასჯელად კონსტანტინოპოლის პატრიარქთან წარგზავნა, რომელმაც ქართლის მთავარეპისკოპოსის დანაშაული სიკვდილით დასჯის ღირსად ჩათვალა და მღვიძარეთა მონასტერში აღკვეცა.

რადგანაც ქართლის ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის საყდარს ემორჩილებოდა, ქართლის კათალიკოსის ხელდასხმის მიზნით კეისარმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ანტიოქიის პატრიარქს შემდეგი წერილი მისწერეს: „ეპისკოპოსი იგი, რომელი მათ წიერ დადგინებულ იყო, უკუედადგინეთ, და დღეს იცოდეთ ახალნერგად ქეშმარიტად ქართლი. აწ ორნი ესე მათნი თხოილნი აკურთხენ... და ჩუენდა წარმოვიდენ, რათა ჩუენ ნიჭითა და საკმართითა ყოვლითა განუტევენთ“<sup>9</sup>. ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე ქართლის კათალიკოსის პატივში აიყვანა და, მის გარდა, ვახტანგს თორმეტი ეპისკოპოსიც უკურთხა.

ზემოთ მოტანილი გადმოცემა XI ს-ის წყაროშია შემონახული. ხოლო უფრო აღრიხნედი წყარო — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ვარკვეულწილად განსხვავებულ თხრობას გვაწვდის. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობით, „და მისა (მირდატის, — გ. მ.) შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გორგასალი, და მთავარ ეპისკოპოსი იყო იოველ. მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა. და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და მთავარ ეპისკოპოსი იყო მიქაელ. და მან მიამთხვა ფერკი პირსა მეფისასა ვახტანგს.

3 ქართლის ცხოვრება, გვ. 146.

4 იქვე, გვ. 196.

5 იქვე.

6 იქვე.

7 იქვე.

8 იქვე, გვ. 197.

9 იქვე, გვ. 198.



ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთა და ითხოვა მეფე-საგან და პატრეაქისაგან კათალიკოზი. ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი. და თანა ჰყვანდა მას სამოველ მონაზონი, წმიდა და ღირსი. და აღაშენა ქუეშოა ეკლესიაა ვახტანგ მეფემან. და დასუა პეტრე კათალიკოზი. და ესე იყო ქართლის მოქცევითგან: რა: წელსა. მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარ ეპისკოპოსნი ათცამეტნი. ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრე<sup>10</sup>.

ვახტანგ გორგასლის ხანის ქართლის საეკლესიო ისტორიის შესასწავლად ერთადერთი თანამედროვე წყაროა „შუშანიკის წამება“. ამ ძეგლში, რომელიც ქრონოლოგიურად დაახლოებით 467—475 წლების ამბებს მოიცავს, იაკობ ხუცესი მხოლოდ სამ ეპისკოპოსს ასახელებს: პიტიახშის სახლის ეპისკოპოსს აფოცს და იოვანე და სამოელ ეპისკოპოსებს. შეგვირდით უკანასკნელზე. 469 წლის ამბებთან დაკავშირებით იაკობი სამოელს, როგორც რიგით ეპისკოპოსს იხსენიებს, ხოლო 475 წელს, იაკობის თქმით, მომაკვდავი შუშანიკის სანახავად „მოიწია თავი იგი ეპისკოპოსთა სამოელ და იოვანე ეპისკოპოსი“<sup>11</sup>. ამრიგად, თუ 469 წელს სამოელი ეპისკოპოსის პატრეშია, 475 წელს იგი „თავი იგი ეპისკოპოსთა“, ანუ მთავარეპისკოპოსი გამხდარა<sup>12</sup>. რადგან ვახტანგისდროინდელ მთავარეპისკოპოსთა შორის წყაროები სამოელს არ ასახელებენ, მკვლევართა ნაწილი „ეპისკოპოსთა თავად“ წოდებულ სამოელს ქართლის იმ მეორე კათალიკოს სამოელთან აიგივებს, რომელსაც ჭუნაშერი ვახტანგის მიერ ბიზანტიიდან მოწვეულ თორმეტ ეპისკოპოსთა შორის ასახელებს. ზემოხსენებული თვალსაზრისი ეწინააღმდეგება ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციაში ასახულ ქრონოლოგიას, რადგან როგორც ჭუნაშერი, ისე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ერთხმად მიუთითებენ, რომ სამოელის ქართლის კათალიკოსად ხელდასმა ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდგომ ხანებში უნდა მომხდარიყო, იაკობი კი, როგორც ვთქვით, სამოელს მთავარეპისკოპოსად უკვე 475 წლის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს.

აღნიშნული ქრონოლოგიური შეუსაბამობა თავდაპირველად მ. თარხნიშვილმა შენიშნა და ვახტანგისდროინდელ ქართლის მთავარეპისკოპოსთა შემდეგი ქრონოლოგიური რიგი დაადგინა: 1. იოველ; 2. სამოელ; 3. მიქაელ. ამ დასკვნამდე მკვლევარი ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციაში შემონახული ცნობების შემდგემა ანალიზმმა მიიყვანა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობით, ქართლში ვაქრისტინანებიდან კათალიკოსობის დაწესებამდე ცამეტი მთავარეპისკოპოსი გარდაცვლილა<sup>13</sup>, ჭუნაშერისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობების ურთიერთშეჯერება კი თორმეტი მთავარეპისკოპოსის სახელის დადგე-

<sup>10</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 93.

<sup>11</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 27. შუშანიკის წამების ქრონოლოგიისათვის იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980, ტ. I, გვ. 117-118, შეად. M. T a r c h n i s v i l i, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur. Auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidze. Bearbeitet in Verbindung mit Dr. Julius Assfalg. Citta Del Vaticano, 1955, გვ. 85.

<sup>12</sup> მთავარეპისკოპოსად მოიხსენიება სამოელი „შუშანიკის მარტილობის“ ძველსომხურ ტექსტშიც. იხ. Памятники армянской агнографии, Ереван. 1973, вып. I, გვ. 214.

<sup>13</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 93.



ნის შესაძლებლობას იძლევა. ის მთავარეპისკოპოსი, რომლის სახელსაც წყაროები არ იცნობენ, მ. თარხნიშვილის აზრით, „შუშანიკის წამებაში“ მოხსენიებული სამოელი უნდა იყოს, რომელსაც მკვლევარმა მთავარეპისკოპოსთა რიგში მეთორმეტე ადგილი მიუჩინა, ქართლის უკანასკნელი მთავარეპისკოპოსის — მიქაელის წინ<sup>14</sup>. ეს ნიშნავს, რომ „შუშანიკის წამებაში“ მოხსენიებულ „თავი იგი ეპისკოპოსთა“ სამოელს და ქართლის მეორე კათალიკოს სამოელს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ. სამწუხაროდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში მ. თარხნიშვილის სამართლიანი დაკვირვება არ იქნა სათანადოდ გაზიარებული. ჩვენ კი შემდგომმა კვლევა-ძიებამ მ. თარხნიშვილის მოსაზრების სისწორეში დავგარწმუნა.

აღნიშნული თვალსაზრისის დასასაბუთებლად მოვიხმოთ წყაროები. მაშტოცის ქართლში მოღვაწეობასთან დაკავშირებით, V ს-ის სომეხი მწერალი კორიუნი გადმოგვცემს, რომ ქართლის გავარებიდან შეკრებილ მაშტოცის მოწაფეთა შორის „მოიძებნენ ღირსეულნი, რომელთაც მიღწიეს ეპისკოპოსობის რიგის საფეხურს, რომელთაგანაც უპირველესი, სახელად სამუელი, კაცი წმინდა და კეთილმსახური, გახდა სამეფო სახლის ეპისკოპოსი“<sup>15</sup>. შემდგომ, კორიუნი მოგვითხრობს, რომ მაშტოცის ქართლს მეორედ ჩამოსვლის ჟამს მასთან გამოცხადდა ტაშირის იშხანი აშუშა. მაშტოცმა გადასცა მას თავისი მოძღვრება, შემდეგ კი „ჩააბარა ისინი წმინდა ეპისკოპოსს სამუელს, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, თითონ კი დაბრუნდა დიდი სომხეთის მხარეში“<sup>16</sup>.

რადგან მაშტოცის ქართლში პირველსა და მეორე ჩამოსვლას შორის გარკვეული ხანი უნდა გასულიყო, არ არის გამორიცხული, რომ ამ დროის განმავლობაში სამუელი, მართლაც ეკურთხებიანთ ეპისკოპოსად. მაშტოცის ქართლში მეორედ ჩამოსვლის ამბებთან დაკავშირებით მოხსენიებული ტაშირის იშხანი აშუშა კი უთუოდ ვარსკენ პიტიახშის მამა — არშუშა პიტიახში უნდა იყოს. ამრიგად, სახელის, მოქმედების ადგილისა და წოდების დამთხვევის შემდეგ ადვილი მისახვედრია, რომ კორიუნის მიერ მოხსენიებული სამუელი და იაკობ ხუცესის „თავი იგი ეპისკოპოსთა“ სამოელი ერთი და იგივე პიროვნებაა<sup>17</sup>, რაც თავის მხრივ, სავსებით გამორიცხავს წარმოშობით ქართველი სამოელის და ბიზანტიიდან მოყვანილი ბერძენი სამოელის გაიგივებას.

ერთი შეხედვით, ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს ჯუანშერის და „მოქცევა ქართლისა“-ს ცნობების სისწორეში ეჭვი შევიტანოთ, ისინი ხომ საერთოდ არ იცნობენ ვახტანგის თანამედროვე სამოელ მთავარეპისკოპოსს. მაგრამ შემდგომმა კვლევა-ძიებამ ჩვენ სულ სხვა დასკვნამდე მივაცივანა. ცნობილია, რომ ჯუანშერისა და „მოქცევა ქართლისა“-ს ცნობა, რომელიც შუშანიკის მოწამებრივი ცხოვრების ამბავს ეხება, ანაქრონისმით გამოირჩევა, რომლის თანახმად, შუშანიკი ეწამა არა ვახტანგ გორგასლის ეპოქაში. არამედ ბევრად მოგვიანებით, ქართლში ბაკურის მეფობის

<sup>14</sup> M. Tarchnischvili, Die Entstehung und Entwicklung der kirchlichen Autokephalie Georgiens. Le Museon, LXXIII, 1—2, Louvain, 1960, გვ. 111—112.

<sup>15</sup> ნ. ჯანაშია, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 126.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 131.

<sup>17</sup> იქვე, იხილეთ აგრეთვე, М. А б е г я н, История древнеармянской литературы, Ереван, 1975, გვ. 191.

ვამს (VI ს.)<sup>18</sup>. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შატბერდულ ხელნაწერში ვკითხულობთ: „და მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ და კათალიკოზი იყო მაკარი. და მისა ზევე ვარსქენ პიტიახში იყო და შუშანიკ იწამა ცურტავს. და მისა შემდგომად კათალიკოზი იყო სამოველ და მერმე სიმონ-პეტრე. და მის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“<sup>19</sup>. ზემოდასახელებულ სამოველ კათალიკოსს არ იცნობს არც ჯუანშერი და არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჭელიშური ნუსხა. ამრიგად, ადვილი მისახედრია, რომ რაკი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი შუშანიკის მარტვილობას ქრონოლოგიურად ბაკურის მეფობის ხანაში ათავსებდა, მექანიკურად შუშანიკის თანამედროვე მთავარეპისკოპოსი სამოელიც ამავე ხანაში გადაიტანა და კათალიკოსის ტიტულიც მიანიჭა.

ამრიგად, სამოელის სახელი ვახტანგისდროინდელ მთავარეპისკოპოსთა სიაში სწორედ ზემოაღნიშნული ანაქრონიზმის გამო არ შეუტანიათ<sup>20</sup>.

ახლა დავადგინოთ ვახტანგ გორგასლის ეპოქის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თანახმად, როდესაც „წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა“, მთავარეპისკოპოსად იჯდა იოველი; ჯერ კიდევ მ. ბროსე მიუთითებდა, რომ ჯუანშერის თხრობა ვახტანგისა და სპარსთა მეფე ხუასროს ჯორჯანთა, ჰინდთა, სინდთა და აბაშთა წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობების შესახებ, ირანის შაჰის პეროზის მიერ მომთაბარე ჰუნთა წინააღმდეგ წარმოებული მრავალწლოვანი ბრძოლების ანარეკლს წარმოადგენს, რომელშიც შესაძლოა ვახტანგსაც მიეღო მონაწილეობა, როგორც ირანის შაჰის ხელქვეითს<sup>21</sup>. რადგანაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თანახმად, ვახტანგ გორგასლის ირანს გაწვევა მისი გამეფებისთანავე მომხდარა, ეს საფუძველს გვაძლევს იმ შეხედულების განზიარებისათვის, რომლის თანახმადაც ვახტანგს მონაწილეობა უნდა მიეღო პეროზის ომში ჰუნ-კიდიარიტთა წინააღმდეგ, რომელიც 468 წელს ირანელთა გამარჯვებით დამთავრდა<sup>22</sup>. ამას მხარს უჭერს ისიც, რომ ჯუანშერის თანახმად, ვახტანგს ირანში რვა წელი დაუუვგია. ცნობილია, რომ დაახლოებით ამდენ ხანს გრძელდებოდა პეროზის ომი კიდიარიტთა წინააღმდეგ, რომელიც პეროზის ტახტზე ასვლიდან (459 წ.) მცირე ხნის შემდეგ დაიწყო<sup>23</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ გორგასლის ქართლში არყოფნის განმავლობაში, ქართლის მთავარეპისკოპო-

<sup>18</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 216; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 94.

<sup>19</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ. 94.

<sup>20</sup> ზემოხსენებული სამოველ კათალიკოსის შესახებ საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ს. კაკაბაძემ: „ამ კათალიკოზის სახელი მოხსენიებულია მხოლოდ შატბ. ხელნაწ. რედაქციაში და ჩართული უნდა იყოს შუშანიკის წამების ავტორის ზეგავლენით. ხოლო ვინაიდან შუშანიკის წამების შესახებ ცნობა მ. ქ-საში არა თავის ადგილას არის ჩამატებული, ამიტომ ამ სამოელ კათალიკოზის საზოგადოდ არსებობაც საეჭვო ღდება“. იხ. ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ, საისტორიო კრებული, წიგნი II, ტფ., 1928, გვ. 31, შენიშვნა № 24.

<sup>21</sup> Histoire de la Géorgie. Traduite du géorgien par M. Brosset, I-ère partie, S.-Petersbourg, 1849, გვ. 189 შენიშვნა № 2, 3.

<sup>22</sup> J. M a r q u a r t, Eranšahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenaci, Abhandlungen der königlichen Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen, Philologisch-historische Klasse, Neue Folge Band. III, Berlin, 1901, გვ. 58.

<sup>23</sup> A. C h r i s t e n s e n, L'Iran sous les Sassanides. Copenhagen, 1944, გვ. 294.

5. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 1.

სად იოველი იყო, ხოლო 469—475 წლებს შორის, ქართლის მთავარეპისკოპოსის ტახტი იაკობ ხუცესის მიერ დასახელებულმა სამოელმა დაიკავა. შესაბამისად, მიქაელი ქართლის ეკლესიის თავად მხოლოდ სამოელის შემდგომ უნდა დამჯდარიყო.

დასადგენია, რა ვითარებაში და როდის გახდა შესაძლებელი ქართლის მთავარეპისკოპოსად ქალკედონიტი მიქაელის განჩინება (ცნობილია, რომ ქალკედონიტი ავტორების მიერ ნარედაქციევ ძველ ქართულ წყაროებში იგი მართლმადიდებლობის ანუ ქალკედონიტობის ბურჯად არის მიჩნეული). რადგანაც ქართლის მთავარეპისკოპოსის საყდარზე ქალკედონიტი მიქაელის დასმა ვახტანგის პრობიზანტიურ პოლიტიკაზე მიუთითებდა, ირანი, უნდა ვიფიქროთ, ამას წინაღუდგებოდა.

გადავავლოთ თვალი იმდროინდელ საერთაშორისო სიტუაციას. ცნობილია, რომ ბიზანტიაში ლეონ I-ის და ლეონ II-ის მეფობის დროს ბიზანტია-ირანს შორის მშვიდობიანი, მაგრამ საკმაოდ ცივი ურთიერთობა სუფევდა<sup>24</sup>. შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა. პეროზის მიერ ჰუნ-კიდარიტთა დამარცხების შემდეგ, მალე მათ მიერ დატოვებული თოხარისტანის ოლქებმა ირანელთა ახალმა მტრებმა პეტტალიტებმა, ანუ თეთრმა ჰუნებმა დაიკავეს. პეროზის პირველი ომი პეტტალიტების წინააღმდეგ დაახლოებით 476 წლისათვის ირანელთა მარცხით და პეროზის შეპყრობით დამთავრდა. ირანის შაჰი ტყვეობიდან იმპერატორმა ზენონმა გამოისყიდა<sup>25</sup>. ცხადია, ბიზანტია პეტტალიტებს ბევრად უფრო საშიშ ძალად მიიჩნევდა, ვიდრე მათთან ომში დამარცხებულ ირანს<sup>26</sup>. სავარაუდოა, რომ ირანისა და ბიზანტიის სწორედ ამ დაახლოებამ გახადა შესაძლებელი ქართლის მთავარეპისკოპოსად ბიზანტიიდან მოწვეული ქალკედონიტი მიქაელის დასმა.

ამრიგად, პირველი პრობიზანტიური ნაბიჯი ვახტანგმა სწორედ 476 წლის შემდგომ ხანებში, მიქაელის ქართლის მთავარეპისკოპოსად განწესებით გადადგა. ვახტანგის მთავარი დამსახურება ის არის, რომ მარჯვედ ისარგებლა ირანის მოუძღვრებით და 476 წლიდან პრობიზანტიურ პოლიტიკას დაუდო საფუძველი.

შესაბამისად, ვახტანგის მოღვაწეობა ძირითად ხაზებში ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: V ს-ის 60-იან წლებში, როდესაც ქართლის მთავარეპისკოპოსად იოველი იჯდა, იგი ჰუნ-კიდარიტების წინააღმდეგ პეროზის მიერ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობს. 475 წლისათვის ქართლის მთავარეპისკოპოსის საყდარი სამოელს ეპყრა, ხოლო 476 წლის შემდგომ, ვახტანგმა, ისარგებლა რა სავარეობოლიტიკური ვითარების გაუმჯობესებით, ქართლის მთავარეპისკოპოსად ქალკედონიტი მიქაელი განაჩინა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კონფლიქტი ვახტანგსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის მხოლოდ 476 წლის შემდეგ ხანებში უნდა მომხდარიყო, ჯუანშერის ცნობა, რომ განხეთქილებას ადგილი ჰქონდა ვახტანგის ირანიდან მობრუნებისთანავე, ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს.

<sup>24</sup> კერძოდ, ლეონ I-მა უარი უთხრა პეროზს იუროპაბაის ციხე-სიმაგრის დასაცავად მემორების ან ფულის მიცემაზე. იხ. J. Marquart, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

<sup>25</sup> Ed. Drouin. Mémoire sur les hunns Ephthalites dans leurs rapports avec les rois perses Sassanides, Le Museon, XIV, Louvain, 1895, გვ. 288.

<sup>26</sup> История Византии, М., 1967, т. I, გვ. 208.



ჯუანშერის თანახმად, მიქაელი ვახტანგს მავღდანობის მიღებაში სდებდა ბრალს: „შენ დაგიტობია ქრისტე და ცეცხლსა ესავ“<sup>27</sup>. რადგან 476 წლის შემდგომ ხანებში ვახტანგი ირანიდან დიდი ხნის მობრუნებული იყო, ხოლო თავად მიქაელი ქართლში მთავარეპისკოპოსად ვახტანგის ირანიდან მობრუნების შემდგომ იქნა შემოყვანილი, ცხადი ხდება, რომ მიქაელი ვახტანგს გამაზღვანებას ვერ დააბრალებდა. შესაბამისად, საჭიროა კონფლიქტის სხვა მიზეზები ვეძიოთ<sup>28</sup>.

V ს-ის 80-იანი წლების ქართლის პოლიტიკური ვითარების შესასწავლად უთუოდ სანდო წყაროა ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორია“. ლაზარ ფარპეცის ცნობების თანახმად, 482—484 წლების კავკასიის ხალხების აჯანყება ირანის წინააღმდეგ დამარცხებით დამთავრდა. ირანელთაგან დევნილი ვახტანგი იძულებული შეიქნა ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშეყოფ ეგროსში გაიხსნულიყო. მაგრამ სულ მალე საერთაშორისო ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. იმავე 484 წელს, ჰეფთალიტების წინააღმდეგ გალაშქრებულმა პეროზმა სასტიკი მარცხი იწვნია. ბრძოლაში დაიღუპა თავად პეროზი<sup>29</sup>. 484 წელს შაპის ტახტზე ასულმა ვალარშმა ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გამო 485 წელს კავკასიის ხალხებთან ზავი დადო, რის შედეგადაც ვახტანგს ქართლში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცა. კ. თუმანოვის სამართლიანი შენიშვნით, ზავის უშუალო შედეგი იყო ვახტანგის ბიზანტიასთან დაახლოება, რაც ვახტანგის იმპერატორ ზენონის ნათესავზე ქორწინებით განმტკიცდა<sup>30</sup>.

ზემოხსენებული საკითხის უკეთ წარმოჩენის მიზნით, განვიხილოთ ბიზანტიაში არსებული რელიგიური სიტუაცია. ცნობილია, რომ ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის მონოფიზიტთა გაათვრებული წინააღმდეგობის გამო იმპერატორი ზენონი (474—491) იძულებული შეიქნა მონოფიზიტთა მიმართ რელიგიური ტოლერანტობის პოლიტიკა გაეტარებინა, ნესტორიანელებისადმი განსაკუთრებით მკაცრი ზომების მიღებისა, და, გარკვეულწილად ქალკედონიტთა იგნორირების ხარჯზე. ამიტომაც იყო, რომ 482 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აკაკიუსმა გამოსცა ე. წ. ჰენოტიკონი, რომლის მთავარი მიზანს, დოგმატური დათმობების საფუძველზე ქალკედონიტთა და მონო-

<sup>27</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I გვ. 196.

<sup>28</sup> ჯუანშერის ზემოაღნიშნული ანაქრონიზმი უთუოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მცდარ ცნობაზე უნდა იყოს დამყარებული. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგის ლაშქრობა ოგსთა წინააღმდეგ მის მიერ პირველი განხორციელებული პოლიტიკური ღონისძიება იყო, ხოლო ჭორჯანთა, პინდთა, სინდთა და აბაშთა წინააღმდეგ ლაშქრობა კი მისი მეფობის ბოლო წლებშია გადატანილი, როგორც ა. ბოგვერაძემ დამაჯრებლად დაამტკიცა, ვახტანგის ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობა სწორედ მისი ირანიდან დაბრუნების შემდეგ უნდა მომხდარიყო. იხ. ა. ბოგვერაძე, პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 196—197; მისივე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 30—41. არსენ ბერი კი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ ვახტანგი „ვიდრე ყრმაღა იყო, იძულებით წარვიდა სპარსეთად.“ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1971, წ. III, გვ. 47.

<sup>29</sup> R. N. Frye, *The Political History of Iran under the Sassanians*. Cambridge History of Iran, Cambridge, 1983, Vol. 3(1), გვ. 148.

<sup>30</sup> C. Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History*, Georgetown, 1963, გვ. 365—368.

ფიზიკთა შერიგება წარმოადგენდა<sup>31</sup>. თავის მხრივ, ვახტანგის ბიზანტიასთან დაახლოება მისგან, რასაკვირველია, ზენონის საეკლესიო პოლიტიკის შეწყნარებას მოითხოვდა. შესაბამისად, მეფე-მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარი კონფლიქტის მიზეზებიც ამ საფუძველზეა საძიებელი. სავარაუდოა, რომ ურყევი ქალკედონიტი მიქაელი, თავის ბიზანტიელ თანამომძემა დარად ჰენოტიკონის მიღებაზე უარს განაცხადებდა. ამიტომაც იყო, რომ ვახტანგმა კონსტანტინოპოლის პატრიარქ აკაკიუსისა და იმპერატორ ზენონის შემწეობით გადააყენა მიქაელი და მის წილ ქართლის კათალიკოსად ჰენოტიკონის მომხრე პეტრე განაჩინა<sup>32</sup>.

ჯუანშერის ცნობა პეტრე კათალიკოსის ქართლში თორმეტი ეპისკოპოსით ჩამოსვლის შესახებ ჩვენი აზრით, ქართლში თორმეტი საეპისკოპოსო საყდრის დაარსებით კი არ უნდა აიხსნას, როგორც ეს ზოგ მკვლევარს მიაჩნია, არამედ უფრო იმით, რომ ვახტანგმა მიქაელ მთავარეპისკოპოსთან ერთად, მისი თანამოაზრე ეპისკოპოსებიც გადააყენა და ისინი ჰენოტიკონის მომხრე მღვდელმთავრებით შეცვალა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯუანშერი, ვახტანგ გორგასლის ჭეშმარიტ მართლმადიდებლად წარმოჩენის მიზნით, ფაქტებს ამახინჯებს. იგი ქართლის მთავარეპისკოპოსებად არ ასახელებს არა მხოლოდ სამოელს, არამედ არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“—დან ცნობილ იოველს. ჯუანშერმა მიქაელის ჭეშმარიტ ქალკედონიტობაში მოიძია გამოსავალი და ვარაუდობდა რა, რომ მიქაელის ურყევი ავტორიტეტი ასეთსავე დიდებას მოუტანდა მის გაზრდილს, შეთხზა ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგს სიყრმიდანვე მიქაელ მთავარეპისკოპოსს ზრდიდა<sup>33</sup>. კონფლიქტის კონფესიონალურ ხასიათზე შემიღვივც მიუთითებს. ჯუანშერის ცნობით, ვინაიდან ქართლის ეკლესია ანტიოქიის პატრიარქს მორჩილებდა, ზენონმა და აკაკიუსმა პეტრე ხელდასხმისათვის ანტიოქიის პატრიარქთან წარგზავნეს. ცნობილია, რომ ამ დროისათვის (485—488 წწ.) ანტიოქიის პატრიარქად მონოფიზიტი პეტრე მკაწრვალი იჯდა, რომელიც ან-

<sup>31</sup> J. R. Bury, *History of the Later Roman Empire*, London, 1923, Vol. I, გვ. 402—404; E. Stein, *Histoire du Bas-Empire de la disparition de l'Empire d'Occident à la mort de Justinien (476—565)*, Paris-Bruxelles-Amsterdam, 1949, გვ. 25; R. Haacke, *Die kaiserliche Politik in den Auseinandersetzungen um Chalkedon (451—553)*, Das Konzil von Chalkedon Geschichte und Gegenwart, Würzburg, 1952, Bd. II, გვ. 120—121; G. Ostrogorsky, *Geschichte des Byzantinischen Staates*, München, 1963, გვ. 54; A. Vasiliev, *History of the Byzantine Empire*, Madison and Milwaukee, 1964, Vol. I, გვ. 107—108.

<sup>32</sup> ვარაუდი მიქაელ მთავარეპისკოპოსის ჰენოტიკონის საფუძველზე გადაყენების შესახებ პირველად გამოთქვა კ. თუმანოვმა, მაგრამ ვერც მან გადაჭრა მთავარი წინააღმდეგობა — აიგივებდა იაკობ ხუცესის მიერ მოხსენიებულ „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ სამოელს კათალიკოსს სამოელთან, რომელსაც ის სხვათაშორის ქართლის პირველ კათალიკოსად თვლის. ეს კი, თავის მხრივ, გამოირჩევა მის საკუთარ მოსაზრებას. ვევიხსენოთ, რომ ჰენოტიკონი 482 წელს გამოქვეყნდა იაკობი კი „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ“ სამოელს, როგორც ვთქვით, 475 წლის ამებთან დაკავშირებით მოიხსენიებს. იხ. C. Toumanoff, *Christian Caucasus between Byzantium and Iran*, გვ. 170—171, შენიშვნა № 270.

<sup>33</sup> ეს სხვათაშორის ჯუანშერის ცნობებიდანაც გამოსწევთ. ჯუანშერის გადმოცემის თანახმად, ირანის წინააღმდეგ აჯანყებულმა ვახტანგმა ბიზანტიის კეისარს ასე აცნობა: „და დავსუ ეპისკოპოსად მიქაელ, კაცი სარწმუნო“. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 179. ტექსტიდან ამჟღავნებს ჩანს, რომ მიქაელ მთავარეპისკოპოსად უშუალოდ ვახტანგის მიერ იყო დასმული.

ტიოქიის ტახტზე ჰენოტიკონის მიღების საფუძველზე იქნა აღსაყდრებული<sup>34</sup>. კ. ი. ჰეველეს თქმით, ჰენოტიკონის აღიარებით პეტრემ შემოიღო მონოფიზიტები და მართლმადიდებლები, ხოლო ზენონის საეკლესიო პოლიტიკის მოწინააღმდეგე მღვდელმთავრები განკვეთა ეპისკოპოსების პატივისცანა<sup>35</sup>.

ცნობები პეტრე მკაწრვალის ქართლის ეკლესიასთან კავშირის შესახებ ასახულია ანტიმონოფიზიტურ ტრაქტატში „პეტრეს მკაწრვალისა და ალაჯის-თს თხრობა“. ვიდრე აღნიშნულ ტრაქტატში შემონახულ ცნობათა ანალიზზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევეხოთ მის შინაარსს.

ტრაქტატში მოთხრობილია, რომ ოდესღაც კონსტანტინოპოლის პატრიარქად განწესებული იყო პეტრე, „კაცი წმიდა, უბიწო და მართალი“<sup>36</sup>. ერთხელ, ყამისწირვისას პატრიარქის წმინდა ბარძიმი სისხლით აივსო. დამნაშავე დედოფალი აღმოჩნდა, რომელსაც „შემეზხა... არაწმიდებამ ბუნებითისა წესისაებრ დედათასა“<sup>37</sup>. განრისხებულმა პეტრემ დაკრულა დედოფალი, რის გამოც იგი განდევნეს კონსტანტინოპოლიდან. შემდეგ ის ანტიოქიის პატრიარქის ტახტსაც დაუფლება, მაგრამ იქიდანაც გააძევეს. შეურაცხყოფილი პეტრე „ჰგმობდა სჯულსა ბერძენთასა“<sup>38</sup> (ქალკედონიტობას, —გ. მ.), სომხეთს გაემგზავრა და მონოფიზიტობის ქადაგებას მიჰყო ხელი. სომხეთში მოღვაწეობის შემდეგ, პეტრე ქართლს ეწვია და მოაწია რა კანგარის მთამდე, მოიხმო ქართლის კათალიკოსი მიქელი; „რათა ანუ სჯულსა მისსა ეზიაროს, ანუ თუ ღრე ექმნეს, საყდრისაგან განიყვანოს“<sup>39</sup>. მიქელ კათალიკოსი ეპისკოპოს-ხუცესებისა და მორწმუნე ერის თანხლებით მკაწრვალს ეახლა, თან თითოეულს ქედში ქვა ჰქონდათ დამალული. პეტრემ წესისამებრ სამთხვევლად სახელო გაუწოდა. მიქელი სახელოზე მოექცა, ძირს დასცა იგი და საკუთარ მხლებლებთან ერთად ჩაქოლა.

ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთელი თხრობა რეალურ-ისტორიულ ამბებს არ უნდა ასახავდეს. მაგრამ შემდგომმა კვლევა-ძიებამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ისეთი ანაქრონიზმები, როგორცაა პეტრე მკაწრვალის კონსტანტინოპოლის პატრიარქად ყოფნა, მისი მოსვლა სომხეთსა და ქართლში და კანგარის მთაზე ჩაქოლვა, იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ დროთა ვითარებაში ისტორიულმა ცნობებმა დიდი ცვლილებანი განიცადეს, რის გამოც ის კონკრეტული ისტორიული პირები, რომელთაც გარკვეული კავშირი ჰქონდათ ქართლში ჰენოტიკონში ფორმულირებული კომპრომისული დებულებების გავრცელებასთან, შემდგომში ცნობილ მონოფიზიტ პეტრე მკაწრვალში იქნენ პერსონიფიცირებულნი. კერძოდ, კონსტანტინოპოლის პატრიარქში არა პეტრე მკაწრვალი, არამედ აკაკიუსი უნდა ვი-

<sup>34</sup> C. Karalevskij, Antioche. Dictionnaire d'histoire et de géographie ecclésiastiques, Paris, 1924. t. III col. 576; G. Bardy, Du Concile de Chalcédoine à l'avènement de Justin I (451—518). Histoire de l'Eglise depuis les origines jusqu'à nos jours, publiée sous la direction de: Augustin Fliche et Victor Martin, Bloud et Gay, 1937, t. IV, გვ. 293—294. G. Downey, A History of Antioch in Syria from Seleucus to the Arab Conquest, Princeton, New Jersey, 1974, გვ. 496.

<sup>35</sup> C. J. Hefele, Conciliengeschichte. Freiburg im Breisgau, 1875, Bd. II, გვ. 568.

<sup>36</sup> Л. Меликсет-Бекоев, Грузинский изгд связания о посте „Ардჯვორ“. Христианский Восток, 1917, V вып., II, гв. 85.

<sup>37</sup> იქვე გვ. 85—86.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 87.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 94—95.



გულისხმობთ, ქართლში მოსული პეტრე მკაწრვალის პროტოტიპი, ქართლის პირველი კათალიკოსი პეტრე იყო, ცნობა პეტრე მკაწრვალის ანტიოქიის საყდარზე ასვლისა და მისი განდევნის შესახებ, რეალურ-ისტორიული ფაქტია, ხოლო პეტრე მკაწრვალის ჩაქოლვის ამბავი გვიანდელ შენათხზად მიგვაჩნია<sup>40</sup>.

ამრიგად, ტრაქტატი შემდეგ ისტორიულ ცნობებს შეიცავს: 1. ბრძოლა ქართლის პირველ კათალიკოს პეტრესა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის დოგმატურ ნიადაგზე მოხდა, 2. მიქაელი და პეტრე მკაწრვალი თანამედროვეებად წარმოგვიდგებიან. უეჭველია, რომ შემდგომ, ქართლის საეკლესიო წრეებში ის დოგმატური დათმობები, რაც ჰენოტიკონში აისახა, წმინდა მონოფიზიტობად იქნა მიჩნეული<sup>41</sup>. მიქაელის ურყევე ქალკედონიტობა ზემოთქმულის გარდა, ჯუანშერის ცნობებიდანაც გამოსკვივის. ჯუანშერის ვადმოცემის თანახმად, მთავარეპისკოპოსის ტახტიდან მოკვეთილი მიქაელი, წარგზავნილ იქნა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან. ამ უქანასწავლმა მიქაელის საქციელი სიკვდილის ღირსად ჩათვალა და დასჯის მიზნით მღვიძარეთა მონასტერში შეაყენა.

მ. ვან ესბროეკის სამართლიანი აზრით, ჯუანშერის ცნობაში მოხსენიებულ მღვიძარეთა მონასტერში აკემეტა მონასტერი უნდა იგულისხმებოდეს<sup>42</sup>, რომელსაც ეს სახელი, დღე-ღამის განმავლობაში მღვდელთმსახურების აღსრულების გამო ეწოდა. მკვლევარნი მიუთითებენ, რომ სწორედ აკემეტი-მონაზვნები ითვლებოდნენ კონსტანტინოპოლის ქალკედონიტთა მძლავრ ბურჯად<sup>43</sup>. ამის დასადასტურებლად ის ფაქტიც კმარა, რომ სწორედ აკემეტებმა აცნობეს რომის პაპ ფელექს III-ს აკაიუსის მიერ, მათი თვალსაზრისით

<sup>40</sup> ინტერესმოკლებული არ იქნება აღენიშნოთ, რომ აკაიუსის მიერ ჰენოტიკონში გატარებული შეხედულებები ქართლში ქალკედონიტების საბოლოო გამარჯვების შემდეგაც არსებობდა. კერძოდ, ეფრემ მცირეს თქმით, ანტიოქიის პატრიარქმა თეოდორემ (თეოდორე I (750/751—773/774), თეოდორე II (970—976), თეოდორე III (1034—1042) გამოგზავნა ქართლში ბასილი გრამატიკოსი „წვავლებისათვის აკაიუსასა“. იხ. ეფრემ მცირე, უწყებამი ზეზსა ქართველთა მოქციებისასა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიგსენიების, თ. ბრეგაძის გამოც., თბ., 1959, გვ. 10.

<sup>41</sup> არ უნდა დავიწყოთ, რომ ჰენოტიკონის გამოქვეყნებით ზენონმა წამოაყენა იმპერატორის მიერ საეკლესიო საქმეებში აქტიური ჩარევის და მსოფლიო კრებების დადგენილებების გადასინჯვის უფლება, რაც საერო ხელისუფლების სასულიეროზე უზენაესობას ნიშნავდა. იხ. J. B. Bury, დასახ. ნაშრომი, გვ. 403. ეს შეაფიოდ ჩანს ჯუანშერის მიერ მოყვანილი კონსტანტინოპოლის პატრიარქის (უეჭველად აკაიუსის) სიტყვებიდან, რომლებითაც ის გადაყენებულ მიქაელს მიმართავს: „კადრებისათვის მეფისა თანაგაც შენ სიკუდილი, ვითარცა იტყვა: „დაემორჩილენით თქვენ მეფეთა, რამეთუ არა ეუდაც გრძალს აბიეს, რამეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი შორის ცხოვრავს“. ქ. ც. გვ. 197. სავარაუდოა, რომ ჰენოტიკონის მიღებით, მიქაელის გადაყენებით და მის ადგილას ჰენოტიკონის მომხრე კათალიკოსის დასმით ვახტანგმა საბოლოოდ განამტკიცა ქართლში საერო ხელისუფლების პრევილენცია სასულიეროზე. მოსაზრება, რომ მეფე-მთავარეპისკოპოსს შორის შეტაკებას საფუძვლად ედო ძალუფლებისათვის ბრძოლა, საერო და სასულიერო ხელისუფლების დაპირისპირება გამოთქვა ა. კობრიძემაც. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 38—42.

<sup>42</sup> M. Van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens, Etude descriptive et historique, Louvain-La-Neuve, 1975, გვ. 300.

<sup>43</sup> R. Janin, Les églises et les monastères des grands centres Byzantins (Bithynie, Hellespont, Latros, Galèstas, Trébizante, Athènes, Thésalonique), Paris, 1975, გვ. 14.

მწველებლური პენოტიკონის გამოქვეყნება<sup>44</sup>. ამვე აკემეტებმა გადასცეს აკაეუსს რომის პაპის მიერ გამოგზავნილი პენოტიკონის მემობელი სიგელი, რის გამოც, ისინი სიკვდილით იქნენ დასჯილი<sup>45</sup>. უეჭველად, მიქაელი ჭეშმარიტი ქალკედონიტი რომ არ ყოფილიყო, აკემეტები მას თავის სამომში არ შეუშვებდნენ და, რაც მთავარია, არც ბიზანტიის ხელისუფლება მიანიჭებდა მათ იმ დროს ასეთ პატივს<sup>46</sup>.

კ. თუმანოვი სამართლიანად შენიშნავს, რომ ქართლში კათალიკოსობის დაწესება 482—484 წლების აჯანყებისა და 485 წლის ვალარშის ზავის შედეგად იყო შესაძლებელი. შესაბამისად, ქართლში კათალიკოსობის დაწესება 486—487 წლების ახლო ხანებში უნდა ვივარაუდოთ<sup>47</sup>.

<sup>44</sup> J. P a r g o i r e. Acémètes, Dictionnaire d'archéologie chrétienne et de liturgie, t. I, I-ère partie, Paris, 1907, col. 318-319; S. V a i l h é, Acémètes, Dictionnaire d'histoire et de géographie ecclésiastiques, t. I, Paris, 1912, col. 277-278.

<sup>45</sup> J. J a r r y, Hérésies et factions dans l'empire byzantin du IV-e du VII-e siècle, Le Caire, 1968, გვ. 268.

<sup>46</sup> მ. ვან ესბროკის სამართლიანი აზრით, მიქაელის „მღვიძარეთა“ მონასტერში აღკვე-  
რის ფაქტი იმის მიჩვენებელია, რომ ქართლში იმ დროს ისეთივე რელიგიური სიტუაცია  
სუფიქვდა, როგორც კონსტანტინოპოლში, სადაც აკემეტთა მონასტერში თავს იყრიდნენ ჯერ  
ზენონის, ხოლო შემდეგ ანასტასიუსის საეკლესიო პოლიტიკის მოწინააღმდეგენი. მიქაელი  
მისი აზრით, იყო უკიდურესი ორთოდოქსი ქალკედონიტი, ხოლო ვახტანგი პენოტიკონის  
მომხრე. იხ., M. V a n E s b r o e c k, დასახ. ნაშრომი, გვ. 300, ვან ესბროკის მოსაზრებებს  
იზიარებენ ე. მეტრეველი და თ. მგალობლიშვილი. იხ. ე. მეტრეველი, ახალი ნაშრომი  
ქართულ მრავალთავზე, მაცნე, ვნისა და ლიტ. სერია, 1976, № 4, გვ. 80—81; თ. მგა-  
ლობლიშვილი, ქრისტიანული ქართლი IV—V სს-ში, მაცნე, ვნისა და ლიტ. სერია,  
1988, № 1, გვ. 112—113.

<sup>47</sup> მოსაზრება ქართლში პეროზის დროს კათალიკოსობის დაწესების შესახებ შემდე-  
გი მიზეზით უნდა იქნეს გამორიცხული. როგორც ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ  
პეროზი ივლიადისაგან განსხვავებით ამიერკავკასიაში ძალდატანებითი გამაზღვანების პო-  
ლიტიკას არ მიმართავდა, სამაგიეროდ ყოველ ძალ-ღონეს ხმარობდა ირანისა და ბიზან-  
ტიის ქრისტიანთა შორის მტრობის ჩასაგდებად, რასაც გარკვეულწილად მიაღწია კიდევ.  
484 წელს ბეთ-ლაპატის საეკლესიო კრებაზე ნესტორიანობა ირანის ქრისტიანთა ოფიცია-  
ლური სარწმუნოებად იქნა გამოცხადებული, რასაც შედეგად მოჰყვა ირანის ეკლესიის გან-  
ხეთქილება ქალკედონიტურ ანტიოქიასთან, იხ. J. L a b o u r t, Le christianisme dans  
l'empire Perse sous la dynastie Sassanide (224—632), Paris, 1904, გვ. 130; G. B a r d y,  
Les Eglises de Perse et d'Arménie au V-e siècle. Histoire de l'Eglise depuis les origines  
jusqu'à nos jours, publiée sous la direction de: A. F l i c h e et V. M a r t i n. Bloud  
et Gay, 1937, t. IV, გვ. 328; J. A s m u s s e n. Christians in Iran. The Cambridge History  
of Iran, London, New York, New Rochelle, 1983, Vol. 3(2), გვ. 944.

უეჭველია, რომ ამ პოლიტიკას პეროზი ქართლის ეკლესიის მიმართაც ახორციელებდა  
და, რა თქმა უნდა, არ დაუშვებდა ქართლში ვახტანგის მიერ ბიზანტიის უმადლეს იერარ-  
ქებთან მკიდრო კავშირში კათალიკოსობის დაწესებას. ვალარშის ზავით სომხეთმა ავტონო-  
მია მოიპოვა, ხოლო ალბანეთში აღდგენილ იქნა ირანელების მიერ გაუქმებული მეფობა.  
ამრიგად, ქართლში კათალიკოსობის დაწესების ხელშემწყობი პოლიტიკური სიტუაცია მხო-  
ლოდ ვალარშის მმართველობის წლებში არსებობდა. კ. თუმანოვის აზრით, კათალიკოსო-  
ბის დაწესება 486—488 წწ. უნდა მომხდარიყო. იხ. C. T o u m a n o f i, დასახ. ნაშრომი, გვ.  
172. ჩვენ საეკლესიო დოკუმენტო ვალარშის ზავის პირველ წელსვე კათალიკოსობის დაწესების შე-  
საძლებლობას, რაც უთუოდ გარკვეულ დროს მოითხოვდა და უფრო მისაღებად 486—487 წწ.  
მიგვაჩნია.

დაბოლოს უკანასკნელი, ჭუნშერის ცნობა არაორაზროვნად მიგვიანინებს, რომ ანტიოქიის პატრიარქი კონსტანტინოპოლის პატრიარქისა და კეისრისადმი გარკვეულწილად დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაკი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დათანხმდა მათ თხოვნას ქართლის ეკლესიისადმი ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე. ცნობილია, რომ სწორედ ამგვარი ურთიერთობა სუფევდა კონსტანტინოპოლის პატრიარქ აკაკიუსსა და ანტიოქიის პატრიარქ პეტრე მკაწრვალს შორის. რ. დევრესეი სამართლიანად მიუთითებს, რომ ჰენოტიკონის მიღებით პეტრე კონსტანტინოპოლისადმი დამამცირებლად დამორჩილებულ პატრიარქად გადაიქცა<sup>48</sup>.

უეჭველია, კონსტანტინოპოლისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ და ქართლში მონოფიზიტობის გავრცელების სურვილმა განაპირობა პეტრე მკაწრვალის მიერ ქართლის ეკლესიისადმი ავტოკეფალიის მინიჭება, რამაც თავის მხრივ, განხეთქილება გამოიწვია ვახტანგ გორგასალსა და მთავარ-ეპისკოპოს მიქაელს შორის<sup>49</sup>.

<sup>48</sup> R. Devresse, *Le patriarcat d'Antioche depuis la paix de l'Eglise jusqu'à la conquête arabe*, Paris, 1945, გვ. 67.

არ შეიძლება ანგარიში არ გავწიოს ჭუნშერის ცნობას იმის შესახებ, რომ ქართლის პირველი კათალიკოსის კურთხევის დროს კეისარსა და კონსტანტინოპოლის და ანტიოქიის პატრიარქებს შორის სრული თანხმობა სუფევდა. ცნობილია, რომ პირველად პეტრე მკაწრვალმა ანტიოქიის საყდარი მემამოხე მონოფიზიტთა დახმარებით 471 წელს დაიკავა. მაგრამ მისმა ზეობამ დიღხანს ვერ გასტანა, რადგან იმავე წელს, ქალკედონიტობის მომხრე კონსტანტინოპოლის პატრიარქმა გენადიუსმა და იმპერატორმა ლეონმა ის დაამხეს და დასასჯელად აკემეტთა მონასტერში შეაყენეს. ეს კი, თავის მხრივ საყენებლად გამოირიქხავს მათ შორის რაიმე მშვიდობიანი ურთიერთობის შესაძლებლობას. მეორედ პეტრე ანტიოქიის საყდარს 475—477 წლებში დაუფლდა. ამ დროს იმპერატორის ტახტი მცირე ხნით უსურპატორმა ბასილესკმა დაიკავა, რომელიც ოფიციალურად მონოფიზიტებს მიემხრო და მათი გადაყენებული იერარქები ძველ პატივში აღადგინა. მაგრამ 476 წელს, კონსტანტინოპოლის პატრიარქ აკაკიუსის დახმარებით იმპერატორად ისევ ზენონი გამხდარა, რის შედეგადაც, პეტრე ვითარცა ბასილესკის მომხრე და მონოფიზიტი კვლავ გადაყენებულ იქნა. იხ.

H. Bacht, *Die Rolle des orientalischen Mönchtums in den kirchenpolitischen Auseinandersetzungen um Chalkedon (431—519). Das Konzil von Chalkedon. Geschichte und Gegenwart*, Würzburg, 1952, Bd. II გვ. 260—262.

ამრიგად, ქართლის ეკლესიისადმი ავტოკეფალიას პეტრე ვერც 475—477 წლებში მინიჭებდა, ვინაიდან ბასილესკის პრომონოფიზიტურ პოლიტიკას სასტიკი წინააღმდეგობა სწორედ აკაკიუსმა გაუწია. გარდა ამისა, როგორც „შუშანიკის წამებიდან“ ცნობილია, 475 წელს ქართლში მთავარეპისკოპოსად სამოელი და არა მიქაელ ყოფილა. შესაბამისად, ჭუნშერთან აღწერილი ეკთლი ურთიერთობები კეისართან და კონსტანტინოპოლის პატრიარქთან პეტრე მკაწრვალს მხოლოდ მისი მესამე, 485—488 წლებში პატრიარქობის დროს ჰქონია დაჰყარებული.

<sup>49</sup> სავარაუდოა, რომ სწორედ ამან განაპირობა 506 წლის დენის კრებაზე ქართლის ეკლესიის მიერ ჰენოტიკონის მიღება. დენის კრებაზე ჰენოტიკონის მიღების შესახებ იხ.: E. T e r M i n a s s i a n t z, *Die armenische Kirche in ihren Beziehungen zu den syrischen Kirchen bis zum Ende des 13. Jahrhunderts nach den armenischen und syrischen Quellen*, Leipzig, 1904, გვ. 31; M. O r m a n i a n, *L'Eglise arménienne. son histoire, sa doctrine, son régime, sa discipline, sa liturgie, sa littérature, son présent*, Paris, 1910. გვ. 28; Fr. T o u r n e b i z e, *Arménie, Dictionnaire d'histoire et de géographie ecclésiastiques* t. IV, Paris, 1930, col. 303; V. I n g l i s s i a n, *Chalkedon und die armenische Kirche. Das Konzil von Chalkedon Geschichte und Gegenwart*, Würzburg, 1952, Bd. II. გვ. 365—370; *La Narratio de rebus Armeniae*; Edition critique et commentaire par Gérard Garrite, Louvain, 1952; *Corpus scriptorium christianorum orientalium*, Vol. 132, Subsidia, t. IV,



Г. Г. МАМУЛИА

 ОТНОСИТЕЛЬНО ЦЕРКОВНОЙ ПОЛИТИКИ  
 ВАХТАНГА ГОРГАСАЛА

Резюме

В работе, на основании критического сопоставления источников исследуются основные тенденции церковной политики Вахтанга Горгасала в эпоху ожесточенных христологических споров.

Установлено, что в эпоху Вахтанга во главе Картлийской церкви стояли архиепископы Йовель, Самуэл и Микаэл. Автор статьи приходит к выводу, что про-Византийская политика Вахтанга и желание антиохийского патриарха Петра Кнафея распространить в Картли монофизитство обусловили дарование Картлийской церкви автокефалии (486—87) и назначение первым Картлийским католикосом сторонника энотикона византийца Петра. Это, в свою очередь, способствовало тому, что на Двинском церковном соборе (506) Картлийская церковь официально одобрила энотикон, еще раз подтвердив этим свою приверженность про-Византийской ориентации.

G. MAMULIA

 CONCERNING THE CHURCH POLICY OF VAKHTANG  
 GORGASAL

Summary

The main tendencies of the Church policy of Vakhtang Gorgasal at the time of bitter Christological controversies are studied on the basis of a critical comparison of sources. It has been ascertained that in the time of Vakhtang Gorgasal the Church of Kartli was led by the Archbishops Iovel, Samuel and Mikael. The author of the paper arrives at the conclusion that Vakhtang's pro-Byzantine policy and the desire of the Antiochian Patriarch Peter the Fuller to introduce Monophysitism in Kartli led to the granting of autocephaly to the Church of Kartli (486—87) and to the appointment of the Byzantine Peter, a champion of Henoticon, as the first Catholicos of Kartli. This in turn, contributed to the formal endorsement of Henoticon by the Church of Kartli at the Dvin Church Council (506), confirming once again its adherence to a pro-Byzantine orientation.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ

გვ. 153, С. Toumanoff, Christian Caucasia between Byzantium and Iran, გვ. 139; K. Sarkissian, The Council of Chalcedon and the armenian Church, London, 1965, გვ., 211; ზ. ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, შპენე, ისტორიის სერია, თბ., 1973, № 3, გვ. 145—166.

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“...

### შესავალი

1921 წლის 12 თებერვალს საბჭოთა რუსეთი ომის გამოცხადებლად თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამ აქტით საბჭოთა მთაურობამ ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც აღიარა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენობა. საქართველოს ისტორიული მიწა-წყლით რომ ხელი მოეთბო ენერგიულად ამოქმედდა თურქეთიც.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაჩაღდა მძიმე სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლები. სამშობლოს თავისუფლების დამცველებმა უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს ბრძოლის ველზე. მათ შორის, ვინც თავი ისახელა ამ უთანასწორო ბრძოლებში, სხვებთან ერთად იყვნენ თბილისის იუნკერთა სკოლის აღზრდილები, რომლებმაც განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს ტაბახმელასთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში.

წინამდებარე მოგონებების ავტორები ნიკოლოზ მათიკაშვილი და მიხეილ კვალიაშვილი იუნკერთა სკოლის ყოფილი კურსანტები და ტაბახმელის ბრძოლების თვითმხილველნი და უშუალო მონაწილენი არიან. მათ შემოგვინახეს ბევრი საინტერესო ფაქტი და დეტალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი დღეების შესახებ.

დღი ინტერესით იკითხება მოგონებების ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია ემიგრირებულ ქართველ სამხედრო პირთა მოღვაწეობის შესახებ პოლონეთში. მოგონებების ავტორთა ცნობით, პოლონეთში სამხედრო სამსახურს გადიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 81 მოქალაქე, რომელთა შორის იყო 6 გენერალი, 35 უფროსი ოფიცერი და 46 ყოფილი ქართველი იუნკერი. შექმდომში მათგან 15 კაცმა სამხედრო აკადემია, ხოლო ოთხმა უმაღლესი საინტენდანტო სკოლა დაამთავრა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში საქართველოდან გადახვეწილმა ბევრმა ქართველმა სამხედრო პირმა თავი ისახელა ფაშისხმის წინააღმდეგ ბრძოლებში და თავისი

წვლილი შეიტანა პოლონელი და ევროპის სხვა ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ვფიქრობთ, მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა ნიკოლოზ მათიკაშვილისა და მიხეილ კვალიაშვილის მოგონებებს „იუნკრები“ და თავად დარწმუნდება, რომ ჩვენი თანამემამულეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რომლებიც იძულებით იყვნენ მოწყვეტილნი სამშობლოს, ბევრი რამ გააკეთა უცხოეთში საქართველოს სადიდებლად. სამწუხაროდ, მათი ღვაწლის დაფასებამ მრავალი ათეული წლით დაიგვიანა...

ნიკოლოზ მათიკაშვილის და მიხეილ კვალიაშვილის მოგონებები პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ (პარიზი, 1988, № 32, გვ. 5-32), რომელსაც მიხეილ ქათარაძე უძღვება. მოგონებების ტექსტი იბეჭდება უცვლელად, გარდა უმნიშვნელო ორთოგრაფიული ჩასწორებებისა.

ოთარ ჟორდანია

## იუნკრები

ქართველი ახალგაზრდობა ერთსულოვნად და აღფრთოვანებით შეხვდა რუსეთის რევოლუციას, სიხარულით მიიღო საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორების და დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტი და, რაკი სამშობლოს ყოველი მხრიდან მტერი ეტანებოდა, საჭიროდ ცნო მის დამცველთა რიგებში ჩამდგარიყო. სადაც კი რაიმე სამხედრო ნაწილი დგებოდა, მოხალისეთა საგრძნობი რიცხვი უწყვეტად მოედინებოდა საქართველოს ყველა კუთხიდან, მთიდან და ბარიდან. მცირე რიცხვი ამ ახალგაზრდობისა იუნკერთა სასწავლებელშიც მოჰყვა. იმ იუნკერთა, რომლებმაც სახელი გაითქვეს თავდადებული და მედგარი ბრძოლებით ტაბახმელაზე 1921 წელს.

იფიქრებს ზოგი, რად უწოდეს ქართულ სამხედრო სკოლას იუნკერთა? მოხდა ეს იმიტომ, რომ საქართველოს ჯართა ორგანიზაციას იმ დროს სათავეში ედგა ომებში გამოცდილი, გენერალური შტაბის აკადემიადამთავრებული, მაღალი ხარისხის ჩინებული ოფიცრობა. რუსეთში ხანგრძლივი ცხოვრების გამო ბევრ მათგანს ქართული ენა დაევიწყებოდა. ქართული სამხედრო ტერმინოლოგია დამუშავებული არ იყო და სკოლას რუსულის მიბაძვით „იუნკერთა“ უწოდეს.



სკოლა ორწლიან სწავლებას ითვალისწინებდა. პირველ კურსზე მსმენელი ეუფლებოდა საერთო სამხედრო ხელოვნებას თეორიულად და პრაქტიკულად. მეორე კურსზე კი გაყოფილი იყვნენ: ქვეითა ჯარის, ცხენოსანთა, საარტილერიო და მესანგრეთა დარგებად. პირველი კურსი ამოქმედდა 1919 წლის შემოდგომაზე, მეორე — 1920 წლის შემოდგომაზე. ლექციებს თეორიულ დარგში გვიკითხავდნენ ცნობილი ქართველი გენერლები. პრაქტიკულ დარგს გვასწავლდნენ სათანადო დარგის რჩეული აფიცრები. ამათგან მეხსიერებაში ჩამჩნენ: როტმისტრი — სულხანაშვილი, კაპიტნები — ჩაჩუა, შავდია, ხომტარია, ლეიტენანტი თოიძე. სკოლის უფროსად თავიდანვე პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე იყო, ამ დარგში დიდად გამოცდილი და დახელოვნებული. სასწავლო პროგრამის თეორიულ დარგთანავე გვასწავლიდნენ: სამხედრო ისტორიას, ტაქტიკას, ტოპოგრაფიას, ფორტიფიკაციას. ამ დარგთა მასწავლებლები იყვნენ: გენერლები — კვინიტაძე, ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკი ვახვახიშვილი და სხვები... გვეყავდა ერისკაცე მასწავლებელიც. ეს იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ბარნოვი. გვიკითხავდა ის ლექციებს ქართულ ისტორიასა და ლიტერატურაში და თავისი სახოვანი, გულში ჩამწვდომი ქართულით გვინერგავდა სამშობლოს უზომო ერთგულებასა და სიყვარულს. სკოლის საბოლოო მიზანი იყო მიეცა მსმენელთათვის საკმარისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სამხედრო ხელოვნებაზე, ჩაენერგა მკაცრი დისციპლინა და ფიზიკურად მოემზადებინა მძიმე სამუშაოთა ამტანობისათვის. სწავლა დილა-საღამოს მიმდინარეობდა, დილით — თეორიულ და საღამოს — პრაქტიკულ დარგებში. გაკვეთილებს შორის, ხანმოკლე დასვენებისას, ეზოში ცეკვა-სიმღერას ვაჩალებდით. ჩვენ შორის, ბევრი აღმოჩნდა მშვენიერი ხმის მქონე, ხალხური სიმღერების მცოდნე ცეცხლოვანი ენერჯით აღჭურვილი პიროვნებები. მათი გულში ჩამწვდომი სიმღერები დასტრიალებდნენ საქართველოს გმირულ წარსულს. საყოფაცხოვრებო, გასართობ და საცეკვაო თემებს. ხანდახან ორად გაყოფილნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მომღერლები. უნდა გენახათ მამინ რა სასიამოვნო და გულში ჩამწვდომი იყო მათი შესრულებით ტკბილხმოვანი ქართული სიმღერები. მომღერალთაგან და მოცეკვავეთაგან ვინ დავასახელო? ერთმანეთსა სჯობდნენ: ნაცვლიშვილი, ჯამასპიშვილი, წიკლაური, რატიშვილი, დავით და ლადო ლალიძეები, მრეელიშვილი, სხირტლაძე, უგრეხელიძე, თაყაიშვილი და სხვა მრავალი.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩვენ ლხინზე დასწრება მოუსურვებია გენერალ კვინიტაძეს, გამოსულა თავის მეუღლესთან ერთად (პოლკოვნიკ ჩხეიძის ოჯახიდან. პოლკოვნიკ ჩხეიძის მეუღლე იყო და გენერალ კვინიტაძისა. ცხოვრობდნენ სკოლის შენობაში) და ყურადღებით მოუსმენია ჩვენი ცეკვა-სიმღერები. ბევრჯერ საცეკვაოდ გამოუწვევიათ გენერალ კვინიტაძის მეუღლე ჩვენ ჩინებულ მოცეკვავეებს და მასაც უარით არავინ გაუწბოლებია.

ვიდრე შევუდგებოდე სკოლის ცხოვრებასა და ტაბახმელის ამბების მოყოლას, ზედმეტი არ იქნება ორიოდ სიტყვით მოვიხსენიო: ვინ იყვნენ, რა წრიდან, რა სულისკვეთებისანი და საიდან მოსდგამდათ მათ ეს სულიერი სიმტკიცე და უდრეკელობა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისი იქნებოდა პასუხი მოგვესმინა იუნკერთაგან ერთადერთ კითხვაზე: რამ მოიყვანა ის სამხედრო სასწავლებელში? საუბედუროდ ამ კითხვაზე პასუხის მიღება დღეს შეუძლებელია, ერთი იმიტომ, რომ ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის,

გადარჩენილები კი იმდენად არიან დაქსაქსულნი მსოფლიოში. რომ მათგან რაიმე ცნობის მიღება გაძნელებულია. ეს ხარვეზი შემიძლია მხოლოდ საკუთარი მოგონებებით შევეცხო: წლოვანებით თანატოლი ვიყავით, 20—23 წლისანი, ვიზრდებოდით ერთნაირ გარემოცვასა და ერთნაირ პირობებში. რაც გადამხდენია იმ დროს მე, უსათუოდ ემსგავსება მათ ცხოვრებასაც და აქედან გამომდინარე სულისკვეთებასაც.

აღამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაზე სამი პირობა ახდენს ზეგავლენას: პირველი არის არსებული საზოგადოებრივი განწყობილება, მეორე — წრე და გარემოება, რომელშიც ვიხდება ცხოვრება, და მესამე — და უმთავრესი ოჯახი.

საზოგადოებრივი განწყობილება ჩვენს ბავშვობაში და ახალგაზრდობაში შემდეგნაირად გამოიყურებოდა: რუსეთს ღრმად ჰქონდა ფესვები გადმული საქართველოს რუსული წესით მმართველობაში. არა სცნობდა მის თავისებურებას, დაუზოგავად სარგებლობდა ბუნებრივი სიმდიდრეებით, საჭიროდ არ სთვლიდა ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას. უკმარი იყო საშუალო სასწავლებელთა რიცხვი, უმაღლესი სკოლა არ არსებობდა, ქართული ენის სწავლა საშუალო სასწავლებელში დამატებით საგანს წარმოადგენდა, მიმდინარეობდა გარუსების პროცესი. ცოტა იყო პირველდაწყებითი სკოლები სოფლად.

ქართული საზოგადოება ამ დროს გამოფხიზლებულია, ცდილობს თავის თავზე აიღოს ყველა ზემოთ ხსენებული საჭიროებანი, იბრძვის ეროვნული თავისუფლების გადარჩენისათვის. მიმდინარეობს გარკვეული განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობას სათავეში უდგას ილია ჭავჭავაძე. მას გვერდში უდგანან და მხარს უმშვენებენ აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ვასილ ბარნოვი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ნიკოლაძე, დავით სარაჯიშვილი და მრავალი სხვა. არსდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მრავლდება პირველდაწყებითი სკოლების ქსელი. არსდება სათავადაზნაურო ბანკი, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელიც ხელს უწყობს ეროვნულ გამოღვიძებას. გამოდის მაღალ დონეზე მდგარი ყურნალ-გაზეთები, იბეჭდება ქართული და უცხოურიდან ნათარგმნი წიგნები. ამდროინდელ მოძრაობაში ჩაბმულია მთელი იმდროინდელი საზოგადოება. ყველა ამას თვალყურს ადევნებს იმდროინდელი ახალგაზრდობა, ე. ი. ჩვენ, იმდროინდელი მოზარდი თაობა.

გარემოს ზეგავლენა ხასიათის ჩამოყალიბებაზე მეტად მძლავრი მოვლენაა. რამდენადაც მეტია ამა თუ იმ მხარეში ისტორიული ძეგლები და მათ ირგვლივ ვადმოცემები, მით უფრო ძლიერია მათი გავლენა სამშობლოს სიყვარულის განმტკიცებაში.

ჩემმა ახალგაზრდობამ ცივ გომბორის კალთებს მიბჯინლ მოზრდილ სოფელ პატარძელში გაიარა. თვით სოფელში ორი ამაყად გამოშობილი კოშკია და ერთიც მოზრდილი ციხის ნანგრევი, რომელიც დიდ როლს ასრულებდა. როგორც საიმედო თავშესაფარი, განსაკუთრებით ლეკიანობის დროს. ამ ციხეს გვერდით ჩაუდის საცალფეხო გზა ტყეში მიმალული კოშკგალაგნებშემოვლებული სამების მონასტრისაკენ. ამ გზის ერთ სივიწროვეში მიუთითებენ ადგილს, სადაც ჩასაფრებულ და-ძმას გზა შეუტრავთ სამებისაკენ მიმავალი ლეკებისათვის. მრავალი გამოასალმეს წუთისოფელს, ვიდრე ტყვია-წამალგამოლეულნი თვითონ არ დაცემულან სამშობლოს სამსხვერპლოზე.

მეზობელ სოფელ ნინოწმინდაში გადარჩენილია კოშკგალანდინი წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია, რომლის ჩამონგრეულ ჭერსა და კედლებზე შენარჩუნებულია ლექთა მიერ თვალდათხრილი საეკლესიო მხატვრობა: სამრეკლოს უმაღლეს მე-4 სართულზე დიდი პატივით ესვენა ერეკლე მეფის დროინდელი სპილენძის ქვეშები. ნინოწმინდიდან არც ისე შორსაა დავით გარეჯის კლდეში გამოკვეთილი მონასტერი. ის ხომ, არც ისე შორეულ ხანაში, მძლავრი ქართული კულტურის კერა იყო. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი სულხან-საბა ორბელიანი. აქ ატარებდნენ დიდმარხვის დღეებს ქართველი მეფეები. აქვეა აკლდამა 300 ბერის ჩონჩხით სპარსელებმა რომ ამოხოცეს აღდგომა ღამეს ლოცვაზე მდგომნი.

დამწვინდებულ ცხოვრება პატარძელში არც ჩემს ახალგაზრდობაში ყოფილა. იყო შემთხვევები, რომ მეზობლად მცხოვრები მულანლოელი თათრები სახნავად გასულ ეკლესიებს ან საძოვარზე გარეკელ ფარებს დასცემიან, ხალხი ამოუხოცავთ, წაუხსნავთ და გაუჩინარებულან. ასეთ შემთხვევაში სოფლის სამივე ზარი განგაშს ატეხავდა. სოფლის ყველა კუთხეს გამაგებელი ჭენებით რამდენიმე მხედარი შემოუბრუნდა. და ხალხს მდევარზე გამოსასვლელად იწვევდა. არ გაივლიდა დიდი ხანი და ცხენებზე ამხედრებული, თავით ფეხამდე შეიარაღებული ახალგაზრდობა და შუა ხნის ხალხი, რამდენიმე დღის საგზლით სამამასახლისო ეზოს მოაწყდებოდა: ყველაფერი ეს ისე სწრაფად და წესიერად ხდებოდა, თითქოს მეფე ერეკლეს დროინდელი მორივე ჯარი შეყრილიყოს. ორჯერ დავესწარი ამნაირ მდევრის გასტუმრებას, ორჯერვე 8—10 წლის ყმაწვილს მდევარში მითხოვნია წაყვანა, ცხადია, უშედეგოდ. მასსოვს მესამე შემთხვევა. უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში იმავე მულანლოელმა თათრებმა მოკლეს ახალგაზრდა ვაჟაკი სოფელ ბაღიათრიდან. პატარძელის მდევართან ერთად, გოგუაძის ცნობილმა ჯავშნოსანმა მატარებელმაც მიიღო მონაწილეობა.

ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაში, ვგონებ, უმთავრესი და გადამჭრელი ოჯახის ზეგავლენაა, ტყუილად ხომ არ არის ძველთაგან თქმული ქართული სიბრძნე: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხეო“. აქაც პირად მაგალითს უნდა მივმართო. ვფიქრობ, რომ ჩემ ახანავთა ოჯახური პირობები ბევრად არ განსხვავდებიან ჩემისაგან.

მამა ღარიბი სოფლის მასწავლებელი იყო, შემდეგში — მღვდელი. 7 წლისას იგი უკვე გარდამეცვალა; პატარა სამოთახიანი ფიცრული სახლის გარდა თავისი ეზოთი, რაიმე უძრავ-მომრავი ქონება არ დაუტოვებია. ჯიბეში რამდენიმე უხალთუნი უპოვეს. ეს იყო და ეს. ცხოვრებაში გამოუტყდელი დედის კისერზე დავრჩით ოთხი ვაჟი 5-დან 10 წლამდე. ერთადერთი იმედი თავის გადარჩენისა იყო ოციოდე თვალი ფუტკარი და ნათესავთა დახმარება. ოთარაანთ ქვრივივით ჩაება დედაჩემი მუშაობაში. ნინოწმინდელი გულისაშვილების შეძლებული, ფუფუნებაში გაზრდილი ქალისთვის ეს არც ისე ადვილი იყო. თანდათანობით ფუტკარი მოიმარავლა, ძროხა შეიძინა, თვითონ ბევრს იკლებდა ჩვენ კი სიღარიბეს არ განგვაცდევინებდა. სახლის კარი მუდამ ღია ჰქონდა მიმსვლელ-მომსვლელთა და სტუმართათვის. მისი ჩვენზე ზრუნვა ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით არ ამოიწურებოდა. მთავარი იყო მისთვის ჩვენი სულიერი თვისებების გამოუმუშავება, სამშობლოს სიყვარულისა და ადამიანობის, პატიოსნების, შრომისმოყვარეობის, უფროსთა პატივისცემის ჩანერგვა.



პოეტ გოვლა ლეონიძეს თავის „ნატურის ხეში“ აღწერილი აქვს „დეიდა მაიკო“. ეს სწორედ დედაჩემი იყო. მის მოთხრობაში მეთედრე არ არის მოთხრობილი იმ საზოგადო მოღვაწეობის შესახებ, რომელსაც დედაჩემი ეწეოდა, ავადმყოფთა მკარნალობით, საავიტაციო საქმიანობით და იარაღის დამალვით, უსახსრობა დახმარებით, ტყეში გასულთა და დავით გარეჯის აკლამებში მიმალულ რევოლუციონერთა დასახმარებლად.

ასეთ ვითარებაში წვა-დაგვითა და გაჭირვებით დაგვზარდა ოთხი ვაჟი. ყველას საშუალო განათლება მიგვადებინა. უფროსი ჩემი ძმა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის შეიპყრეს, აწამეს და ცოცხალ-მკვდარი მოუყვანეს ოჯახს. ერთი კვირაც აღარ უცხოვრია. ამის შემდეგ მომდევნო ძმა დატუსაღებას ვერ ასცდა და კვლევისა და ძიების შემდეგ ძლიერ გაანთავისუფლეს. მესამე ძმა 1924 წელს პატარძელულ ახალგაზრდობას სათავეში ჩასდგომია, ადგილობრივი ხელისუფლება დაუტუსაღებია და თავისი ჯგუფით მუხროვანში ბანაკად მდგომი საარტილერიო პოლკის განსაიარაღებლად წასულა. გზაში პატარძელისკენ მიმავალ ბოლშევიკთა ერთგულს დასჯახებინა, ბრძოლა წაუგიათ და გაფანტულან. დატუსაღებული, ლენინგრადის ფსიქიურ საავადმყოფოში მოუთავსებიათ. განთავისუფლების შემდეგ გეოლოგიურ ინსტიტუტადამთავრებულს, მონაწილეობა მიუღია ჩრდილო კავკასიაში ნედლეულის ძიებაში. აქ, სუსტსა და დაავადებულს ოპერაცია ვერ გადაუტანია და გარდაცვლილა სრულიად ახალგაზრდა. მოკლე და მწარე იყო მისი ცხოვრება და არავინ უწყის სად განისვენებს მისი გვამი. აქ უნდა დავუმატო, რომ ჩვენს გარდა დედაჩემმა აღზარდა პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ობოლი ქურთი, რომელიც ომის ქარცეცხლში მშობლებს მიეტოვებინათ და იმ დროს იქ მყოფ ჩემ ბიძას (დედის ძმას) ფრონტიდან დაბრუნებისას თან წამოეყვანა. ერთ მისგან მიღებულ წერილში მწერს: „მე ეს სულიერი ვარ, ჩვენთვის ძვირფასმა ადამიანმა, დეიდა მაიკომ, რომ გამზარდაო“.

პირველი ომის შემდეგ საქართველოს და პატარძელსაც შავი სახადი ეწვია. სიკვდილის შიშით ავადმყოფს ახლობლებიც კი ერიდებოდნენ.

შავი სახადით დაავადდა ბიძაჩემი, მღვდელი ივანე გულისაშვილი და მისი მნათე ესტატე ზუკაიშვილი. ორივეს გულმოდგინედ უვლიდა, სულიერიანი, თვითონაც გადაეფო და სამივენი ერთი თვის განმავლობაში სიცოცხლეს გამოესალმენ. ვიდრე თითებში ძალა ჰქონდა და გრძნობა არ დაკარგა, თავისი გარკვეული ქართულით ანდერძად დაგვიტოვა: „ამა და ამ კაცისა ყუშიტანთ უბნიდან ამდენი და ამდენი ლიტრა პური მმართვეს და გადახდა არ დაუგვიანოთო“.

ზოგი რამ ვთქვი ჩვენი ოჯახის ავებდობაზე, იმაზედ კი რაც მთავარია, სულიერ აღზრდაზე არაფერი მომიხსენებია.

თავის დროის კვალობაზე დედაჩემი დიდად განათლებულ ქალთა წრეს ეკუთვნოდა. თავის ცოდნას უმადლიდა მაღალხეობრივ, განათლებულ საგარეოელ მოხუც მღვდელ ოქრომჭედლიშვილს. მისი მეოხებით მშვენივრად იცოდა ძველი და ახალი ქართული მწერლობა, უყვარდა კითხვა. ყიდულობდა ქართულად გამოსულ წიგნებს ქართულს და ნათარგმნსაც. ჩვეულებად, ჰქონდა მათი დროგამოშვებით კარადიდან გამოღება და გამოსაჩენ ადგილზე დალაგება. ჩვენც კვითხულობდით და ამ გზით ვიცოდით ვინ იყო და რისთვის იბრძოდა ილია ჭავჭავაძე, რასა სწერდნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშა-



ველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი, იაკობ გოგებაშვილი; რა შრომები დაგვიტოვეს შოთა რუსთაველმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, გრიგოლ ორბელიანმა, რაფეელ ერისთავმა; რაზე სწერდნენ შანშიაშვილი, გრიშაშვილი, ან კიდევ სენკევიჩი, პრუსტი, ტოლსტოი; ვინ იყო დონ კიხოტი და რა საკითხს ეხებოდა „ბიძია თომას ქიხი“.

ზღაპრები ხომ უამრავი იცოდა. ზამთარში შემოვუსხდებოდიოთ გახურებულ თუნუქის ღუმელს ნახვრეტიდან მრგვალ მოციმციმე კვალს რომ ამჩნევდა კედელზე. კრუსუნებდა სიბოთი დამტკბარი შავი კატა და ვუსმენდიოთ დედაჩემის ზღაპრებს: ამირანზე, ბაყბაყ დევზე, ნაცარქექიაზე, ვახრაკა და იამან კაცზე. ბაყაყების, თევზების, გველების ქურქში განვეულ მზეთუნახავებზე და თვით ღმერთზე სიკეთისთვის სიკეთეს რომ უძღვნიდნენ ზღაპრის გმირებს და ისადგურებდა ჩვენ გულში შემბრალებლობა, სუსტთან თანადგომა, გასაჭირში მყოფთა დახმარება, გულკეთილობა და ცხოველთა სიყვარული: არც იმდროინდელი სოფლის ცხოვრება იყო აზრს მოკლებული. არსებობდა მსახიობთა წრე, მომღერალთა გუნდი, სოფლის ახალგაზრდობას წარმოადგენდნენ შემდეგი ცნობილი ადამიანები: ზაქარია ბილანიშვილი, გიორგი ჭილაური, იანქოშვილთა ოჯახი, გოგლა, ლევან და სიკო ლეონიძეები, საშა ბურთიკაშვილი, ალექსანდრე უსტიაშვილი, კოტე და ლევან ბილანიშვილები და სხვები... მათთან სიახლოვე და მათ წრეში ტრიალი, უსათუოდ მოქმედებდა ჩვენ განწყობილებაზე. არც იმდროინდელი სკოლა იყო უმნიშვნელო ხასიათის ჩამოყალიბებაში. მე ბედად მხვდა მოწაფე ცყოფილიყავ ისეთი პედაგოგებისა, რომელთა სახელი ამშვენებდა და შემდეგშიც დაამშვენებს იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა რიგს. აი, ისინი: ვასილ ბარნოვი, არჩილ კეკელიძე, იპოლიტე ვართავაძე, შიო შიუკაშვილი, ანტონ ნატროშვილი, ნიკოლოზ სულხანიშვილი, ია კარგარეთელი. სამხედრო სასწავლებელში კი გენერალი კვინიტაძე, გენერალი ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე. სკოლებში ერთად ვიზრდებოდიოთ და ერთმანეთს ვემგობრობდიოთ: სიღამონ ერისთავი, შემდეგში საქართველოს კათალიკოსი ეფრემ მეორე, გრიგოლ ფერაძე — შემდეგში ქართველი არქიმანდრიტი ფაშისტებმა რომ დახვრიტეს პოლონეთში. ნიკო კეცხოველი, შემდეგში ცნობილი პროფესორი და საზოგადო მოღვაწე, გოგლა ლეონიძე — დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

ასეთ ვითარებაში მოგვისწრო საქართველოს დამოუკიდებლობამ. მე იმ დროს ქართული უნივერსიტეტის აგრონომიული დარგის სტუდენტი ვიყავი. მიყვარდა ბუნება და მეურნეობა და ამისდა მიუხედავად მივანებე უნივერსიტეტს თავი და ჩემ უფროს ძმასთან ერთად დიდუბეში არტილერიის პოლკის მეტყუეიმფრქვევეთა ასეულში ჩავეწერე მოხალისედ. ამასობაში დაარსდა ცხენოსანთა ასეული ქართული კორპუსის შტაბთან. გადავედი იქ ისევ ჩემ უფროს ძმასთან ერთად. იქიდან კი, მხოლოდ მე — იუნკერთა სასწავლებელში. იქ მოხვედრა არც ისე ადვილი იყო სკოლაში შესვლის მსურველთა რიცხვი ბევრად აღემატებოდა სკოლის შესაძლებლობის ფარგლებს. მთავარი სიძნელე გამოიხატებოდა სკოლის უფროსის, ალექსანდრე ჩხეიძის განაჩენში: ივარგებს თუ არა ქართველ აფიცრად? ამათვლიერ-ჩამათვალიერა, ოჯახური ვინაობა გამომკითხა, განათლებით დაინტერესდა და დიდი დაფიქრების შემდეგ სკოლაში მიღების ღირსად ჩამთვალა. ეს იყო 1920 წლის შემოდგომაზე.

ცხადია, სხვანი, ჩემთან ერთად სკოლაში მიღებულნი, დიდად არ განირჩეოდნენ ჩემგან, არც აღზრდის, არც ვარემოს ზეგავლენის და არც სამშობლოს სიყვარულის მხრივ. ზოგი მათგანი უსათუოდ მჭარბობდა კიდევ.

1921 წლის 11 თებერვლის გათენებისას საყვირის განგაშით მშვიდად მიძინებული სკოლა ფეხზე წამოყარეს. სწორედ იმ დროს დარაჯად ვიდექი სკოლის ალაყაფის კარებთან. მივირბინე მორიგე ოფიცერთან, რომ გამეგო საქმის ვითარება. სანანსა და ბორჩალოს მაზრებში ჩვენ სანაპირო ჯარებს თავს დასხმია სომხების ჯარი და ამის გამოა განგაშით.

მოკლე ხნის განმავლობაში სკოლა თავისი დამხმარე ერთეულებით დაწინწულ ადგილზე მოეწყო, მეც იმათ შეეუერთდი.

სკოლის ზურგში ცოტა მოშორებით ნაცვალთა ათასეული ეწყობოდა. წოწოლა ფაფხანდახურულმა პოლკ. ჩხეიძემ. პატაკი ჩაიბარა, ერთეულები დაწერილებით შეამოწმა. ნაკლოვანების შევსების ბრძანება გასცა და დაახლოებით 10 საათზე ტაბახმელისაკენ გაგვიძღვა: გზა მიხაილოვის გამზირით, ვერის ხილით, რუსთაველის გამზირით კოჯრისკენ მიემართებოდა. წინ ცხენზე ამხედრებული პოლკ. ჩხეიძე მიგვიძღოდა თავისი მცირე ამალით, მას სამხედრო ორკესტრი მოსდევდა და მერე — ჩვენ.

საიდან გაიგო თბილისის საზოგადოებამ, რომ სწორედ ამ დროს სკოლა ფრონტზე მიდიოდა. ქუჩები საცხე იყო ხალხით, დიდებით და პატარებით, მშობლებით, თანამკრძნობით, ნათესალებით. თოფები სმენაზე გვექონდა მხარზე აყუდებული. მწყობრის სიზუსტის მოთხოვნილებები საშუალებას არ გვაძლევდა თავი მიგვებრუნებინა და საზოგადოების განწყობილება გავგენაწილებინა. შიგადაშიგ თვლების მიტრიალებით თუ ვხედავდით რა ხდებოდა ირგვლივ. ერთი ასეთი გახედვისას ჩვენ მასწავლებელ ვასილ ბარნოვს მოეკარი თვალი. თავჩაღუნული, მიწას მიჩერებული, ღრმად ჩაფიქრებული, ჭარბაწვერიანი, სათვალეზიანი, მიჰყვებოდა აზვირთებულ ტალღას. მისი დადახევა ჩვენთვის ჯანლიან დღეში მზის გამოჩენას უდრიდა. რას ფიქრობდა? ალბათ, ერთი მხრივ, გული დარდით ევსებოდა საქართველოს ავებდობის გამო და ემაყებოდა, რომ მისი აღზრდილი მხედრები სამშობლოს დასაცავად მიემართებოდნენ. გაცვდით ვერის ხიდს. გავედით რუსთაველის გამზირზე, მარცხნიდან რომელიღაც მაღალი შენობის მოაჯირიდან ხმამაღალი მოწოდება გაისმა. ვილაც „შოთა რუსთაველის“ პარტიაში ჩასაწერად ეპატიეებოდა საზოგადოებას. რამ გაასულელა? ასეთ მომენტში რა დროს პარტიაში ჩაწერაო, პასუხობდნენ ირგვლივ.

მისი მოწოდებისთვის, ცხადია, ყურადღება არავის მიუქცევია. ბოტანიკური ბაღის დასაწყისთან პოლკ. ჩხეიძემ დასვენება ბრძანა. ახლა-ღა მიეცათ საშუალება გამცილებლებს და მახლობელ ნათესალებს გულში ჩაეკრათ თავისი მახლობელი იუნკრები და გამომშვიდობებოდნენ ზოგიერთს სამუდამოდ.

მზე ჩასვლაზე იყო თოვლით დაფარულ კოჯრის მაღლობზე რომ ავედით. მაშინათვე პოლკ. ჩხეიძის მითითებით პოზიციების დაკავებას და მოწყობას შევეუდევით. საქმე არც ისე ადვილი იყო. ციოდა. თოვლით დაფარულ, ღრმად გაყინულ მიწის სანგრებად და ძნელ მისადგომ პოზიციებად გადაქცევა დიდ ჯაფას მოითხოვდა. ჩვენ მესამე ოცეულს მარცხენა ფრთაზე მოხვდა პოზიციები. თვალწინ მაღლობს ამოფარებული ტაბახმელა იყო, მარცხნივ სოღანლულისკენ დაქანებული ფერდობი. ოცეულს განაგებდა ლეიტენანტი ანდრო-



ნიკაშვილი და მისი თანაშემწე, უფროსკურსელი იუნკერი გელაშვილი. ჩვენ მარჯვნივ პოზიციები დაიკავა პირველმა ოცეულმა, ლეიტენანტ თოდის თაოსნობით.

ღამდებოდა. გვიბრძანეს ადგილების დაკავება, დარაჯების წინ წაწევა. მოსადგომების თვალყურის დევნება და ყოველგვარი მოძრაობის აღკვეთა. შუალამე გადასული იყო ტაბახმელას მხრიდან ჩვენკენ მომავალ გზაზე ურემი აკრიტიკნდა. ვინ იყო? რა უნდოდა? სად მიიწევდა ამ სიცივესა და შავბნელ ღამეში? გვიბრძანეს ცეცხლის გაჩენა. ეს პირველი შემთხვევა იყო ტაბახმელაზე, რომ ტყვიები ასისინდა. ურემის კრიტიკი შეწყდა. სროლა შევეწყვიტეთ. სიჩუმე ჩამოვარდა და სანგრებში მყოფ იუნკერთა რიგებში სიფხიზლემ და ბრძოლისთვის მზადყოფნამ დაისადგურა. დამატული ყურადღებით ვაკვირდებოდით ქარის სისისსა და თოვლის ფშვინვაში სხვა რამ საეჭვო ხმა არ შემოგვპაროდა. ვგონებ, 14 თებერვალს დილით ჩვენი განლაგების წინ ბოლშევიკების მოწინავე რაზმებმა ამოყვეს თავი. მანამდე კი გულდასმით ვმუშაობდით და სანგრების, სადარაჯო პუნქტების, ტყვიამფრქვევთა სადგომების მოწყობა და შენობვა მოვასწართ. ბოლშევიკები თავდაჯერებით და გულიანად მოიწვედნენ წინ, ჩქარობდნენ თბილისისკენ დაშვებას. იქ ზომ თბილი ბინები, უხვი სურსათი და, ალბათ, ხელმოსაცარიც ეგულებოდათ. არ მოელოდნენ და უცებ, თბილისის კარებთან ძნელად დასაძლევ დამბრკოლება აღემართათ. აქ თბილისის მისადგომებს ერეკლეს დროინდელი თავდადებული იუნკერთა სკოლა და მის ვევრდით მებრძოლი ერთეულები იცავდნენ. პირველი გამოჩენისთანავე დარწმუნდნენ, რომ თბილისში შესვლა ადვილი არ იყო და სიფრთხილეს, დაფიქრებას და მომზადებას მოითხოვდა. ამ დღიდან არ შეწყვეტილა ცხარე და უღმობელი ბრძოლები. ბევრჯერ სცადეს ხაზში შემოჭრა, მოგერიებითი ხაზის გარღვევა. ზარბაზან-ტყვიამფრქვევთა და ხელყუმბარათა გრუხუნი არა წყდებოდა, სტვენა-სისინით გადადიოდა ჩვენ თავზე და ყრუ დგაფუნით მიწაში ეფლებოდა ტყვია და ყუმბარათა ნამსხვრევები. სარგებლობდნენ ჯანლით, ნიადავის უსწორმასწორობით, ქარბუქის მოძალებით, ღამის სიბნელით, მაგრამ უშედეგოდ.

იუნკერთა თვალები, ლეიტენანტ ანდრონიკაშვილისა და მისი თანაშემწის სიფხიზლე ყველაფერს დროზე ამჩნევდნენ და სროლით, ხელყუმბარებით, უკუიერიობით დიდი ზარალით უკან ავადებდნენ და არც ერთი ნაბიჯის დათმობას არ აპირებდნენ.

ტაბახმელის ამბების მოგონებებისას ყველა და ყოველთვის იუნკერთა სკოლის თავგანწირვას, უდრეკელობას, მოვალეობის პირნათლად შესრულებასა და გმირობას იხსენიებენ. ყველა ეს სიმართლეა, ოღონდ სიმართლის დარღვევა იქნებოდა, რომ ყველა ამაში სკოლის უფროსის პოლკ. ჩხეიძის ღვაწლი დაგვევიწყებინა. ყველაფერი რაც ტაბახმელაზე ხდებოდა, მისი ხასიათის სიმტკიცის, მდგომარეობის სწორი შეფასების, შესაბამისი განკარგულების დროზე ვაცემის შედეგი იყო. ჩვენ მხოლოდ მის ჩანაფიქრსა და ბრძანებას უზადოდ ვასრულებდით. ბრძოლის პირობები კი იუნკრებს ადვილი არა ჰქონდათ, ჯერ ერთი, ეს 20—23 წლის გამოუშუშავი ახალგაზრდები დაკაცებული და ომისთვის მომზადებულნი არ იყვნენ. არც ტანსაცმელი გააჩნდათ ამინდის შესაფერი, საზაფხულო სამოსელზე თხელი, წყლის გაუმტარი, სითბოს მოკლებული ხელოვნური იტალიური ქსოვილისგან შეკერილი პალ-

ტოები გვეცვა. ჩვენ ტანსაცმელში (ცხვრითა და მატყლით მდიდარ ქვეყანაში), ერთი ღერი მატყლიც არ ერია. დღისით სანგრებში ყოფნისას ტანსაცმელი წყლით იყინებოდა, ღამით ფიცრებად იყინებოდა და იარაღის მოხმარებასა და მოძრაობას გვიძნელებდა, ოღონდ გულში იმდენი ძალა შეგვეწედა, რომ ამ სიძნელეებისთვის ანგარიში არ გავგეწია და მტრის ყოველ მოძრაობას დროზე და შესაფერად შევხვედროდით.

მოკლედ ჩვენ სულისკვეთებაზე ვერაფერი სიძნელე ვერ მოქმედებდა და ვერ გვასუსტებდა. სიკვდილზე არც არვის გვიფიქრია და არც შეგვეშინებია. ზუსტუნებდნენ ტყეები, წიოდნენ ირგვლივ ხელყუმბარები და ჭურჭრთა ნამსხვრევები, ჩვენ კი სანგრებში ჩამალვას სანგრების პირას ფეხზე დგომას ვარჩევდით. შივა და შიგ ჯანდი რომ ჩამოწებოდა წრე შეგვიკარავს და სიმღერა და ცეკვა წამოგვიწყია. ძნელია მოიგონო ყველა სიმღერა, რომელიც გვიმღერია ომის გარემოცვაში. ზოგი კი დამამახსოვრდა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“, „ჰე, მუმლი და მუხასაო“, „ომში წასვლა მას უხარის“, „რად გინდა ქალი ღამაში“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „სულ არ წავალ მავ სოფელში“.

ამას მოჰყვებოდა საცეკვაო სიმღერები და რამდენიმე მოცეკვავის ცეცხლოვანი ლეკური. შორიდან რომ მოეკრა ყური ვისმეს, რას იფიქრებდა რომ ყველაფერი ეს გაჩაღებული ბრძოლების დროს ხდებოდა.

ამაირი ცეკვა-სიმღერა შემდეგში ხაშურშიც გავვიმართავს. აქ მთავარსარდლის მატარებელი იდგა და ჯარებს ახალი შეტევისთვის ამზადებდა. მტკვრის იქით ნაპირიდან ტყვიამფრქვევის სროლის ხმა მოდიოდა. ჩვენ რკინიგზის სადგურსა და მატარებელს ვიცავდით. სათანადო რიცხვის ღარაჯების განწესების შემდეგ დანარჩენებმა კონცერტი გავმართეთ. ჩვენთვის ეს არც არავის უთხოვია და არც აუკრძალავს. რა ვიცოდით, რომ სწორედ ამ დროს ჩვენი სათაყვანებელი მთავარსარდალი, ძველ, ცნობილ მხედართმთავართა დარი, ახლადფეხდამულ საქართველოს სამი ომი რომ მოუგო ცხოვრებაში, უმძიმეს ტრავმას განიცდიდა. აი, რას ამბობს იმდროინდელ ვითარებაზე მთავარსარდლის ვაგონში მყოფი გენ. შტაბის ოფიცერი ვალიკო თევზაძე თავის ჯერგამოუქვეყნებელ მოგონებაში: „მთავარსარდლის მატარებელი ხაშურის სადგურზე იდგა. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს პოზიციები ხაშურსა და სურამის მთებს შუა. ამასობაში მოვიდა ორი ქვეითა პოლკი თავისი არტილერიით, მოგხსენით ოსმალეთის საზღვრიდან, გარდა არდავანისა, იმ იმედით, რომ ოსმალეები არ შემოგვიტევენ. მეორე დღეს ჯარები უკუიერიშზე გადადიოდნენ. მარჯვენა ფრთის მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მარჯვენა-სი სურამის მთებზე დაყრდნობით. პოზიციები შეტევისთვის მეტად ხელსაყრელი იყო. ემორიგეობდით შტაბში. ვიჯექი ტელეფონთან მთავარსარდლის ვაგონში. ნაშუალამევს ტელეფონმა დარეკა. ლაპარაკობდა გენერალი კონიაშვილი, რომელიც გენერალ ჯიჯიხიასთან ერთად გვარდიაში მსახურობდა. მთხოვა მომეხსენებინა მთავარსარდლისთვის, რომ გვარდიელებმა დაადგინეს არ შეუტეონ მტერს. შტაბი და ჯარი იშლება და მათზე შეგავლენის მოხდენის საშუალება არა მაქვსო. მოახსენეთ ეს მთავარსარდალს და მეც ამ წუთში მოვდივარ მასთან სალაპარაკოდო. მაშინვე გავაღვიძე შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე და მთავარსარდალი და მოვახსენე ტელეფონით მიღებული ცნობა. ძნელი აღსაწერია მთავარსარდლის აღელვება. ამ მოულოდ-

ნელმა ცნობამ გული მოსწყვიტა. ამდენი შრომა ჩატარდა იერიშის მოსამზადებლად. შესანიშნავი გარემოცვის პირობებში უცაბედი დარტყმით მტრის დაძლევა უეჭვო იყო. შემდეგ თბილისის უკან დაბრუნებას ვერაფერი ვერ შეაჩერებდა. გვარდიელების სამარცხვინო ღალატმა ჩაშალა ბრძოლის ჩატარების შესაძლებლობა, მთავარი დარტყმა სწორედ მათ უნდა მოეხდინათ დაჯგუფების მარცხენა ფრთიდან. ცოტა ხნის შემდეგ გენერალი ზაქარიაძე თავის ოთახში გავიდა. გენერალი კონიაშვილი ჯერ არ მოსულყო. მთავარსარდალი მეტად ღელავდა: „აბა თევზაძე, თავის მოკვალა დამრჩენია, არა“? მომმართა მე სევდიანი ხმით. შევწუხდი ძალიან. ვგრძნობდი რა აზრები უტრიალებდა ამ დროს სარდალს თავში. სამი წლის განმავლობაში უძლეველად პატრონობდა საქართველოს თავდაცვის საქმეს. ზედიზედ მოიგო ომი სამ მუხობელთან — სომხებთან, ბოლშევიკებთან და ოსმალებთან. ეხლა კი დამარცხება ელის. ცვადე მისი დამშვიდება. კიდევ გვაქვს ხომ ხელსაყრელი მოგერიებითი პოზიციები. გამარჯვების იმედი არ უნდა დეკარგოთმეთქი“.

მაგრამ ამის მიღწევა ადვილი არ იყო. შავი ზღვის პირამდე ასეთი ხელსაყრელი პოზიციები აღარსად იყო. ეს ბატონ თევზაძეზე უკეთესად იცოდა და ეს იყო, რომ მთავარსარდალის გულს ჯოჯოხეთური ტანჯვით ავსებდა.

რა ვიცოდით, რომ სწორედ ამ დროს ასეთი ტრადიკული და დაჭიმული მომენტი იყო მთავარსარდალის გულში. ჩვენ კი ახალგაზრდული უდარდლობით კონცერტი ვეჭონდა გამართული, ცეკვა-სიმღერებით მისი ფანჯრების წინ. უსათუოდ ესმოდა ეს ყველაფერი და იქნებ ამ მოვლენამ შეიტანა მის ბუნებაში ცოტაოდენი დამშვიდება და თვითმკვლელობისგან ხელი ააღებინა. დაუბრუნდეთ ტაბახმელის ამბებს.

მოვისენინოთ, რომ მოზუზუნე ტყვიათა გარემოცვაში სანგრებიდან ამოვსულვართ, წრე შეგვიკრავს და ცეკვა-სიმღერები გაგვიმართავს. აქედან მკითხველი წარმოიდგენს, რა სულისკვეთება განაგებდა ჩვენ ქცევასა და მოქმედებას. ტყუილად იფიქრებდა ვინმე, რომ ადგილიდან დაგვიძრავდა და მოგერიებით ხაზში შემოგვეჭრებოდა, საამისო ცდები კი მტრის მიერ ბევრი იყო. არც მსხვერპლი გვაკლდა. ჩემს გვერდით სანგარში ჩამალული თოფ წინწაშვერილი იუნკერი ლოლუა დიდხანს იწვა უმოქმედოდ და დალაპარაკებაზე პასუხს არ იძლეოდა. ახლო მისვლისას გულისტკივილით დავრწმუნდით, რომ მისი ახალგაზრდა სიცოცხლე ტაბახმელის მიწას შეეწირა. დაჭრეს ჩვენი მწყობრის უფროსი ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი. მე სხვა ამხანაგებთან ერთად წილად მხვდა მისი მყუდრო ადგილზე გადაყვანა, კარბოლის სახელდახლო შეხვევა და სასანიტრო ბუნქტში მიყვანა. უკან დაბრუნებისას წვერმოშვებულ შუახნის ვაჟაკი შემხვდა. თოფით ხელში მოწინავე ხაზისკენ მიდიოდა. შეკითხვაზე, თუ ვინ იყო და სად მიდიოდა, გვიპასუხა: „რეზო ვარ გაბაშვილი, დამფუძნებელი კრების წევრი და თბილისიდან თქვენ საშველად წამოვედიო“. მისმა დანახვამ და გამოლაპარაკებამ დაჭიმულ მდგომარეობაში გული აგვიჩუყა; ეკატერინე გაბაშვილი და მისი „მაგდანას ლურჯა“ მომაგონა, შუახნის კლარაშერეულ საზოგადო მოღვაწეს, თავი არ ენანებოდა სამშობლოს სამსხვერპლობზე მისატანად. მომაგონდა ზეზვას დაძახებაზე ფშავლები ცხენებს რომ მიაგვლევბენ ბახტრიონზე ვასალაშქრებლად; ავხედ-დავხედე რეზოს. მინდოდა მის გამოხედვაში ფშავ-ხეცსურთა მრისხანება ამომეკითხა. ის კი გულკეთილობაჩამდგარი ღიმილით და გაბადრული



სახით შემოგვეტყუროდა. იფიქრებდი ამას ადამიანის მოკვლა კი არა ჭიანჭველის გაჭყლეტაც გაუძნელდებაო. მივასწავლეთ საუფროსოს სამყოფი და გზა განვაგრძეთ... რა დავალება მიიღო პოლკოვნიკ ჩხეიძესაგან და რა მოიმოქმედა ტაბახმელაზე, ჩვენთვის უცნობია. წაგებული ომის შემდეგ, ის, დამფუძნებელი კრების სხვა წევრებთან ერთად საზღვარგარეთ გაიხიზნა განზრახვით, რომ იქ სამშობლოს ბოლშევიკებისაგან განთავისუფლების საქმისთვის ემსახურნა. რით ცხოვრობდა, რას მიალწია, ჩვენთვის უცნობია. წამიკითხავს ფრანგულ ენაზე მის მიერ დაბეჭდილი წიგნაკი, სადაც ქართველთა ხეობთან ნათესაობას ამტკიცებდა. მეორე მსოფლიო ომის დროს სათავეში ჩაუდგა ქართულ წითელ ჯვარს და შეგროვილ შემოწირული სახსრებით ტყვედ ჩავარდნილ ქართველ ოჯახებს პატრონობდა. ვგონებ, 90 წელს გადაცილებული პარიზში გარდაიცვალა და იქ უნდა იყოს დამარხული.

დავბრუნდით თუ არა გაბაშვილთან შეხვედრის შემდეგ, მოწმენი გავხდით შემდეგი ვითარებისა: სკოლის მარჯვენა ფრთაზე ბოლშევიკთა მოზრდილმა ჯგუფმა მალღობი გადმოლახა და „ურას“ ძახილით ლეიტენანტ თოიძის ოცუელს შეუტია. ლეიტენანტი თოიძე უკუიერიშით მიეგება. მტერმა ხელჩართულს ბრძოლას ვერ გაუძლო, პირი იბრუნა და საფარს მიეფარა, ველზე კი დატოვეს დაჭრილ-დახოცილები. იქვე დარჩა ლეიტენანტ თოიძის გვამი და რამდენიმე იუნკრისა. მაშინ იყო, რომ ტაბახმელის მთავარი გმირი პოლკ. ჩხეიძე ომის მსვლელობას თვალს არ აშორებდა, ბრძანება გასცა მის გვერდით მდგომი ორი ზარბაზანი გამოეგორებინათ და წინ მიმავალი ბოლშევიკებისათვის პირდაპირი ცეცხლი გაეჩინათ. რამდენიმე ნიშანში ნასროლი ყუმბარა ლეიტ. თოიძის უკუიერიშთან ერთად საკმარისი გამოდგა მტრის უკან გასაბრუნებლად. ერთი და ორი არ იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ იუნკერთა ხაზი ვერსად გაარღვიეს. ვერ უშველეს ამას ვერც ბაქოდან ჩამოყვანილმა კურსანტებმა, ვერც ბორის ძნელაძემ, რომლის „დამსახურების“ აღსანიშნავად ძველია აღმართული თბილისში და ვაკეში ბავშვთა დასახელებულ პარკს მისი სახელი უწოდეს.

ლეიტენანტ თოიძის და მასთან დაღუპულ იუნკერთა გვამები თბილისში ჩასვენეს და მრავალრიცხოვანი საზოგადოების დასწრებით ქართულ მიწას მიაბარეს. რუსული მართლმადიდებელი „სობოროს“ კედლებთან. არ ეგონოს ვინმეს, რომ ტაბახმელის ბრძოლების აღწერისას მავიწყდებოდეს თავდადებული და მედგარი შეტევები ჩვენს მარჯვნივ. მაიორ თევზაძის თქმით, აქ გენერალ ანდრონიკაშვილის სარდლობით იბრძოდა მეოთხე ქვეითი ჯარის პოლკი, მეოთხე გვარდიის ათასეული შესაბამისი არტილერიით და ცხენოსანთა ნაწილებით. მიუხედავად მრავალი ცდისა ბოლშევიკებმა ადგილიდან ვერც ეს ნაწილები დაძრეს.

პოლკ. ალექსანდრე ჩხეიძემ მოუპოვა იუნკერთა სკოლას გმირთა სახელი და დიახ, რომ ღირსია პატივით მოხსენიებისა. დადგება ალბათ დრო, რომ მომავალი ისტორიკოსი თავის ადგილს მიუჩნევს სამშობლოსთვის დაღუპულ გმირთა შორის. უცხოეთში გახიზნული თვალს არ აშორებდა იუნკერთა ყოფას. ზინას მუდამ მათთან ახლო იკავებდა და მათ დევაჟკაცებასა, აღზრდასა და წვრთნას თვალს ადევნებდა. ასე იყო ოსმალეთში ზოსფორის პირას, ასე იყო ვარშავასა და რემბერტოვში, და შემდეგ ლვოვში, სადაც ერთ-ერთი მისი შვილი ცხენოსანთა პოლკში მსახურობდა. ორი (ტყუბი) ვაჟის პატრონმა ორიენი 1939 წლამდის დაკარგა. მეორე მსოფლიო ომის დროს, რუსეთ-

გერმანიის ხელშეკრულების ძალით ბოლშევიკებმა ქალაქი ლვოვი დაიკავეს და, იმ დროს იქ მყოფი გენერალი ჩხეიძე დააპატიმრეს. შემდეგ გერმანელთა შეტევის დროს ლვოვი დატოვეს და გენერალი ჩხეიძე თან წაიყვანეს. გზაში სადღაც მოსპეს და მისი კვალი გააქრეს. უბატრონოდ და უსასხროდ დარჩენილი მისი მეუღლე, ქალბატონი სოფიო, გენერალ კვინიტაძის და, ორ შვილ და ქმარდაკარგული, ხანში შესული და სუსტი, ძროხების მწველავად გადაასახლეს თურქესტანში, მძიმე და უჩვეულო შრომა ვერ აიტანა, დაავადდა და საქართველოში დაბრუნებული მოკლე ხანში გარდაიცვალა.

რაკი ვერც ტაბახმელაზე და ვერც მის მარჯვნივ, ბოლშევიკებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, სცადეს მოქმედების სიმძიმე სოღანლელის მიმართულებით გადაეტანათ. ამ ნაკვეთის ჯარებს სარდლობდა უძლეველი გენერალი მახინაშვილი. მის განკარგულებაში იყო, პოლკ. თევზაძის თქმით, 8 ქვეითი პოლკი, სასაზღვრო ათასეული, დედაქალაქის ტყვიამფრქვევთა ათასეული, არტილერიის ორი დივიზიონი, ჯავშნიანი მატარებელი და მანქანები.

ტაბახმელის მალღობიდან, როგორც ხელის გულზე, ჩანდა ბრძოლის მიმდინარეობა, განსაუთრებით ღამღამობით. ხელები გვექავებოდა და დახმარების სურვილისაგან თავს ძლივს ვიმაგრებდით, ზარბაზნთა ქუხილსა და ჭურვების წითელ სრიალს რომ ვხედავდით. განსაკუთრებით ერთი ღემე იყო გულში ჩამწვდომი. როდესაც ბოლშევიკებმა შეაკეთეს ნაკლებად დაზიანებული ხიდი და მტკვრის გამოღმა ჯავშნიანი მატარებელი გადმოიყვანეს. მეორე დღეს ტაბახმელაზე ხელიდან ხელში გადადიოდა მთავარსარდლის ბრძანება, რომელიც იერიშის უკუგდებას და უფროსთა მამაცობას გვაუწყებდა. ამის შემდეგ, რამდენიმე ხნით, აღარც სოღანლულიდან განუახლებიათ ბოლშევიკებს თბილისში შემოსვლის ცდები.

ამბები, რომლებსაც ვწერ, 66 წლის წინათ მოხდა. მას აქეთ საქართველოში მესამედ შედის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ოცწლიანთა თაობა. წარსული ამბები მათთვის ან სრულიად უცნობია ან ვაყალბებული სახითაა მიწოდებული. ბოლშევიკების მტკიცებით, საბჭოთა ჯარმა ქართველ მშრომელთა თხოვნით გაანთავისუფლა საქართველო მენშევიკურ-კაპიტალისტური რეჟიმისაგან, განდევნა მისი მთავრობა და საქართველოს, საბჭოთა ოჯახში შეყვანით, დაუმკვიდრა საუკუნო ბედნიერება. სინამდვილეში საქართველომ ისარგებლა რუსეთის რევოლუციური ქაოსით, გამოეყო მას, აღიდგინა დამოუკიდებლობა და შეუდგა მის მოწყობას. საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც იურიდიულად, ისე ფაქტიურად, სცნეს ევროპის ყველა სახელმწიფომ და თვით საბჭოთა რუსეთმაც. შემდეგში გამოირკვა, რომ ეს ცნობა დროებითი და მოჩვენებითი იყო. მოიმოქმედეს ეს მისთვის, რომ პოლონელებთან ომში ჩაბმულებს არ უნდოდათ მდგომარეობის გაართულება. დაამთავრეს თუ არა პოლონელებთან ომი და მეფისდროინდელ გენერლებთან ბრძოლები, იბრუნეს პირი კავკასიისა და საქართველოსაკენ, რიგ-რიგობით დაიპყრეს აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველოსაკენ გამოლაშქრებისთვის მზადდნენ შეუდგნენ.

მოხდა ისე, რომ საქართველოს გენერალურ შტაბს ხელში ჩაუვარდა საბჭოთა რუსეთის — XI ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით — XI ლაშქრის ნაწილები თავს დაესხმოდნენ საქართველოს 6 მხრიდან: 1) ჩრდილო დასავლეთიდან ვაგრა-სუხუმის მიმართულებით; 2) ჩრდილოეთიდან მამისონის უღელტეხილით; 3) ვლადიკავკასი-

დან დარილის ხეობით; 4) აღმოსავლეთიდან კახეთის მიმართულებით; 5) სამხრეთ-დასავლეთიდან ბორჩალოს მიმართულებით; 6) სამხრეთიდან ახალციხე-არდაგანის მხრიდან.

სწორედ ამ გეგმის შესრულებას შეუდგნენ 11/12 თებერვლის დამეს. კავკასია და საქართველო ესაჭიროებოდათ მათ, ერთი მხრივ, როგორც ყოველმხრივ მდიდარი ქვეყანა ბუნებრივი საბადოებით; მეორე მხრივ, სტრატეგიულ დასაყრდენად ოსმალეთსა და სპარსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში და როგორც ნავთობისთვის გზა ბაქოდან შავზღვამდე. ყოველგვარი მტკიცება, თითქოს, ბოლშევიკებს საქართველო გაენთავისუფლებინოთ მენშევიკების ბარბაროსული თუ კაპიტალისტური ხელისუფლებისგან არაკი და მტკნარი სიცრუეა.

25 თებერვლის დამეა. ტაბახმელაზე საშინელი ქარი ქრის. ხეტავს და პირში გვყარის ხორხომელასა და თოვლს. ავსებს თოვლით სანგრებსაც და უსწორმასწორობას. თხელ ფარაჯებში გახვეულნი, გაყინულნი, გულდასმით ვდარაჯობთ კუთვნილ სივრცეს. ბუნების ბობოქარი მძლეობა ჩვენზე ზეგავლენას ვერ ახდენს.

„მათიკაშვილი, სომხიანიცი, ანდრონიკაშვილი, ლომკაცი, ჩემთანო“ — გადმოგვეცეს ხაზით ოცეულის უფროსის ბრძანება. „წახვალთ სკოლის საუფროსოში და იქ მიიღებთ შემდეგ ბრძანებას პოლკ. ჩხეიძესგანო“, გვითხრა ოცეულის უფროსმა. მივდივართ ღრმა თოვლში, მოძრაობა გვიმიძის, ქარბუქში არაფერი არ ჩანს, ყოველ ფეხის გადადგმაზე თოვლში ვეფლობით. თოვლში მიმალული ტელეფონის ხლართები ფეხებში გვედება. არ ვიცით, სად ვართ და საით მივდივართ. გვეონია, რომ მივიწვევთ წინ, თურმე ჩვენ ნაკვალევს გარშემო ვუვლით. არ ვიცი რა ბედმა და რომლის ალლომ მოგვიყვანა საუფროსოსთან, ალბათ ტელეფონის მავთულები თუ დაგვეხმარა. ძლიერ შევდივართ კარებზე მიყრილ თოვლში. ოთახში ნახევრად სიბნელეა. გვახრჩობს პაპიროსის ბოლი. კარგია მოხვედით, გვეუბნება მაღალი ხარისხის ოფიცერი. ყოველ შემთხვევაში ეს პოლკ. ჩხეიძე არ იყო. „ტაბახმელის პოზიციებს ვტოვებთ. თბილისის გავლით მცხეთაში ახალ პოზიციებზე გადავდივართო, ეს ცნობა უნდა გადასცეთ გვარდიის ათასეულის უფროსს, თქვენ მარჯვნივ რომ უკავია პოზიციები და მცხეთაში გამოცხადდნენ, სადაც მიიღებენ შემდეგ ბრძანებასო. გაიმეორეთ, რაც გითხარით“ და მიგვანიშნა მიმართულება, საითაც უნდა წავსულიყავით. „თქვენც ბრძანების შესრულების შემდეგ მცხეთაში გამოცხადდებით და იქ დაგვეხვდებით თქვენი სკოლაო“, — მოგვაძახა გამომშვიდობებისას და გზა დაგვილოცა.

გარეთ გამაყრუებელი ქარი ისევ ბობოქრობს. თუ ყურში არ ჩაქაჩნით ერთმანეთს არაფერი გვესმის. ესლა მთავარია გვარდიის პოზიციებს მივაგნოთ, გზა არ ავეკებნეს და მტრის ბანაკში არ მოვხვდეთ. სასროლად გამზადებული თოფები ხელში გვიჭირავს. ოთხნი ვართ. არც ერთი 21 წელიწადს გადაცილებული არ არის. ტანითაც დაბალი და სუსტი აგებულებისანი ვართ. ყველაზე ჯმუხი აგებულებისაა სომხიანიცი, ქართველთა ერთგული და გულადი სომეხი. ყველაზე სუსტი ლომკაცია. თუმცა მისი გვარი საწინააღმდეგოს მეტყველებს! მივარდევთ ქარისგან გასწორებულ თოვლს. ორმოებსა და უსწორმასწორობაში ვვარდებით. ერთმანეთს ვშველით, იქიდან ამოსავლისას. ვიღლებით, ოფლი წურწურით ჩამოგვდის, გაყინული სამოსი ღხევა და სი-



ნესტე ტანში გვეპარება, რამდენჯერმე შევამჩნიეთ, რომ წინ წაწევის მაგიერ ადგილზე ვტრიალებდით, იმედი გვეკარგება რომ დანიშნულ ადგილს მივაგნებთ. ბრძანების შეუსრულებლად უკან დაბრუნება მიუღებლად მიგვაჩნია. ვუმაგრებთ ერთმანეთს გულს და განვაგრძობთ სელას. ბოლოს ერთმა ჩვენთაგანმა რალაცა საეკვო კუნძები შეამჩნია. საბედნიეროდ ეს კუნძები, ნაბადში გახვეული და ტკბილად მთვლემარე გვარდიელები აღმოჩნდნენ. ერთმა მათგანმა ათასეულის უფროსთან მიგვიყვანა. გადავეციტ ბრძანება, შვებით ამოვისუნთქეთ და დასაბრუნებელ გზას დავადექით. საუფროსოში აღარავინ არის კარებთან, თოვლზე დაჭრილი ვეკაცი ასვენია. კვენისის, იხვეწება თან წამიყვანეთ, ბოლშევიკების ხელში ნუ დამტოვებთო. სად და როგორ უნდა წაგვეყვანა? სასანიტრო პუნქტი იქ აღარ იყო, ვერაფრით ვუშველეთ, ვინ იყო? რა დავემართა?

კოჯრიდან თბილისისკენ მოკლე ბილიკებით დავეშვით. თენდებოდა სოლოლაკში რომ შევედით. ქალაქის ქუჩებში სიჩუმე სუფევდა, შენობები ლილისფერი ჩანდით იყო მოსილი. რომელიღაც ეზოდან ცოცხანი მეგზოვზე გამობარბაცდა. შეკითხვაზე ჯარებს ხომ არ გაუვლიათო, გვიპასუხა კარგა ხანია ჩაიარეს და თქვენი სკოლაც შევამჩნიეთ.

მივიდვართ, მშვივრები, ჩაფიქრებულები, თავში ერთი აზრი გვიტრიალებს. რა მოხდა? რად ვტოვებთ თბილისს? ჩვენ ხომ ბრძოლა არ წავგვივია? შემდეგში მაიორ თევზაძის მოგონებებიდან გავიგეთ, რომ ამის მიზეზი გვარდიელების უკადრისი მოქმედება ყოფილა. თურმე გენერალ მაზნიაშვილის მარცხენა ფრთაზე მოქმედ გვარდიელებს, რომელთაც გენერალი ჯიჯინია სარდლობდა, ფრონტი დაუტოვებიათ, უკან დახეულან და ფრონტის მარცხენა ფრთა გაუშინებლბიათ. მტერი სიცარიელეში შეჭრილა და ცხენოსანი ერთეულებით მცხეთისაკენ მიმავალი გზის გადასაჭრელად გაუწევიან. ამას დამატებია ცნობა გენ. ანდრონიკაშვილისაგან, რომ მის მარჯვენე მტრის ცხენოსანთა ერთეულები წინ მიიწევენ და მცხეთისკენ მიმავალი გზის გადაჭრით და ზურგში მოქცევით, გვემუქრებიანო. სასწრაფოდ მომხდარა თბილისში სამხედრო საბჭოს სხდომა. გენერალ კვინიტაძეს განუცხადებია: არავითარი მარაგი მე არა მყავს, ორივე მხრივ გზას გვიჭრის მტრის ცხენოსანი ერთეულები. იძულებული ვიქნებით ბრძოლა ხალხსა და ქვეყანას მოწყვეტილ თბილისში ვაწარმოოთ და ამ ვითარებაში სხვა გამოსავალს ვერა ვხედავ და იძულებული ვარ უკან დახევის ბრძანება გავცეო. თავდაცვის საბჭოს ეს წინადადება მიუღია.

ჩვენ უბრალო მხედრებმა საერთო მდგომარეობისა და შექმნილი საფრთხის შესახებ არაფერი ვიცოდით და სატახტო ქალაქის დატოვებას ვერ ვეგუებოდით. გავცდით რუსთაველის გამზირს, ბოზარჯიანის ქარხანას, დილუბეს და წამოვეწით მცხეთისკენ წესიერად მიმავალ ერთეულებს. ჯარებს ზურგში მისდევდა და თავდასხმისგან იცავდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის, თეთრ ჩოხებში გამოწყობილი ცხენოსანი ასეული. შეგვამჩნიეს დალილები ვიყავით. მივიდიოდით და სიარულში გვთვლემდა. რამდენიმე მათგანი ჩამოქვეითდა და ცხენებზე შესხდომა შემოგვთავაზა. ცხენებზე შემსხდარნი ვხედავდით როგორ მიდიოდნენ წესიერად, დინჯად, ერთმანეთის მიყოლებით ერთეულები. არც თბილისში და არც გზაზე დიდი თოვლი არ იყო. მცხეთაში ჩვენი სკოლა დაგვხვდა. მიღებული ბრძანების შესრულება მოვახსენეთ, დავისვენეთ და შვებით ამოვისუნთქეთ. მცხეთაში დამხვდა ჩემი უფროსი ძმა შალვა, გარე

კახეთში მოხალისეები მოეკრიფა, ბრძოლებში მონაწილეობა მიეღო და ახალ ბრძანებას ელოდებოდა. გაუხარდა ჩემი ცოცხლად ყოფნა. გადმომცა ვერცხლით შეჭედული მსუბუქი და კობხად ნაკეთები ვინტოვკა. ეს მსუბუქია და მე შენსას წავიღებო.

რაკი იმ ღამეს სკოლა მცხეთიდან ვასვლას არ აპირებდა, ნებართვა ავიღე მცხეთაში მცხოვრები ჩემი ნათესავის აგრონომი რუზო გედევანიშვილის ოჯახი მენახა. იქ შემხვდნენ ჩემი დეიდაშვილები ლევანი და გოგლა ლეონიძეები. სახლის გვერდით დიდი ფუსფუსი იყო. შავად ჩაცმული დედაკაცები ცხელ-ცხელ შოთებსა და ლავაშებს თანდათან ჰყრიდნენ და ჭარისკაცებს ურიგებდნენ. მოკლე ხანში მოადგათ მათ გენერალი სოსო გედევანიშვილი. დღეს ვერ მომიგონებია ცხენით იყვნენ თუ ავტომანქანით. პატივი სცეს და გამარჯვების სურვილით გაისტუმრეს. ოჯახი დოვლათის მოწესრიგებაში იყო გართული. ნაწილს ეზოსა და სარდაფში შესანახად და ნაწილსაც თავიანთ მახლობელ სოფელ წეროვანში გადასამალავად ამზადებდნენ. დაძინებული ზარბაზნის გასროლის ხმამ წამომახტუნა. სირბილით სადგურზე მივირბინე. სკოლა იქ აღარ დამხვედრია. დავბუნდი უკან. დილით მასპინძელთან პროფესორ ლევან ლეონიძესთან ერთად ცხენებით ტირიფონის ველის თავიანთ წეროვანისკენ გავწიეთ. ტირიფონის ვაშლად მინდორზე ქარს თოვლის ზვინები აღემართა. თოვლით დაფარული გზა არა ჩანდა. ახელილ ნაკვალევზე ვხედავდით საით უნდა გვეივლო, გზადაგზა გვხვდებოდა ლაფსა და თოვლში ჩაფლული მიტოვებული საბარგულები. საკეტმოსხნილი ზარბაზანიც შეგხვდა. იქნებ ეს ჩვენი სკოლის ზარბაზანი იყო. ალბათ, ცხენებმა ვერ ატარეს და იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ. ეს რაღა არისო იკითხა რუზომ და ხელი გზის მახლობლად — თოვლში ჩაფლულ ცხვრის ფარისკენ გაიშვირა. ჭკუფ-ჭკუფად ეყარა ყელთამდის თოვლში ჩაფლული ცხვარი, ნაწილი ჭერ ფეხზე იდგა. მაგრამ სუსტი და დამშეული ნაბიჯს წინ ვეღარა სდგამდა. მიშველეთ რამე თქვენი ჭირიმეო. დავიწვი ამათი ცოლვით. აზერბაიჯანის საზღვრიდან მშვიერ-მწყურვლები აქამდეს მოვიყვანე და აქ მელუბებიანო. რა ეჭნა რა ვიღონო, რით ვუშველოო, შემოგვივილა თვალებზე ცრემლმორთულმა, გაყინულმა, ხელუბაკანკალებულმა, ნაბადში გახვეულმა მეცხვარემ. სოფელში რო ვაცივლით ვააცანიო ჩემი მდგომარეობა. მოვიდნენ ლასტიანი ურმებით, წაასხან ეს საცოდავი საქონელი, არაფერი მინდა მათგან, მუქთად წაიღონ, ოღონდ მათ საცოდავობას არ ვუყოროო. შეგვეცოდა ისიც და ცხვრებიც. მოზუზუნე ქარი თოვლის გამალეებული ტალღებით უღმობელ სკვდილს უმზადებდა მათაც და მეცხვარესაც. დავპირდით და შევასრულეთ თხოვნა. ფარის ვინაობა მახლობელ სოფლებს გავაცანიო. ალბათ, რამენაირად დაეხმარნენ.

ის ღამე წეროვანში გავათანეთ და გათენებისას მე და ჩემი დეიდაშვილი ლევან ლეონიძე უკვე ფეხით გორისაკენ ვაუღდექით. გზა და გზა ვგებულობდით რომ სოფელ-სოფელ ბოლშევიკთა აგენტები დაძვრებიან, ხალხს აჯანყებენ, მემამულეების და შეძლებულ გლეხთა დარბევას ჩასჩიჩინებენ, ოღონდ ხალხი გარინდებულია და მათ ლაქლაქს ყურადღებას არ აქცევსო. გორში იუნკერთა სასწავლებელი დამხვდა. გაიგო თუ არა პოლკ. ჩხეიძემ ჩამორჩენილი იუნკერი დაბრუნდაო, დამიბარა და მკაცრი კითხვები მომყარა: სად და როგორ ჩამორჩი სკოლასაო, საიდანა გაქვს ეგ დავერცხლილკონდახიანი

ვინტოვკო, რად გაცვია ფეხზე სკოლის ფეხსაცმელების მაგიერ ეგ თხელი „ვალინკები“-ო. თოფი ძმამ შემიცვალა, ტახანმელაზე ფეხები დამძვრა, ფეხსაცმელი ცეცხლს მივუშვირე, ფეხები ვერ გავითბე და ფეხსაცმელი დამეწვა სატარებლად აღარ ვარგოდა და გზაში შეხვედრილ გლეხს გავუცვალე-მეთქი.

რა გზით დაბრუნდი და გზაში ბოლშევიკები ხომ არ შეგხვედრიაო? ტირიფონის ველითა და წეროვანის გამოვლით და ბოლშევიკები არ შემხვედრია-მეთქი. ამ ლაპარაკში ვართ და სადგურის წინ აღმართული მალღობიდან, მეორე მხრივ ხიდისთავს რომ გადაჰყურებს, შიკრიკი მოვარდა და პოლკ. ჩხეიძეს მოახსენა: ხიდისთავში ბოლშევიკთა ერთეული შევიდა. თუ ისინი, აი, ამ გორას დაიკავენ ჩვენ აქ აღარ გვედგომებაო. სადგურზე იმ დროს მთავარსარდლის მატარებელი იდგა, რომელშიც შტაბის ოფიცრების გარდა მრავალი ერისკაცი იმყოფებოდა თავისი ოჯახებით. დამანება მე თავი პოლკ. ჩხეიძემ და სკოლის აფიცრებს უბრძანა: „სირბილით დაიკავეთ ეს გორაკი და იქ არავითარ შემთხვევაში ბოლშევიკები არ გააჰქანოთო“. ავირბინეთ გორაკზე და მის მწვერვალზე განვლაგდით. ხიდისთავთან გაშლილი წყობით ბოლშევიკთა მოზრდილი ცხენოსანი ერთეული გამოდიოდა. ჩვენ სროლაზე უკან დაბრუნდნენ. შენობებს ამოეფარნენ და სროლითვე გვიპასუხეს. ცოტა ხნის შემდეგ ახალი ბრძანება მოგვივიდა დაბლიდან: „საჩქაროდ დაეშვიტ გორაკიდან, მოთავსდით მატარებელში, ხაშურისკენ მივიღივართ“. ძლივს ჩავეტიეთ ხალხით და ბარგით გაჭედულ მატარებელში და მატარებელი დაიძრა. ხაშურში ლიანდავის, სადგურის გარემოსა და მთავარსარდლის მატარებლის დაცვა დაგვავალებს. ის რაც ხდებოდა მაშინ მთავარსარდლის ვაგონში და ჩვენ მიერ მის ფანჯრების წინ გამართულ კონცენტრტზე ზევით მოვიხსენიე.

გვარდიელთა ღალატის შედეგად ხაშურიდან განზრახული უკუიერიში ვერ განხორციელდა და ერთეულები ბათუმისაკენ დაიძრნენ. ხაშურში ერთ გაუგებარ მოვლენას ჰქონდა ადგილი. პოლკ. ჩხეიძის ადგილზე არყოფნის გამო სკოლას მაიორი გარდაფხაძე განაგებდა. შეეკრიბა უფროსოდ დარჩენილ ჯარისკაცთა ჯგუფი, ალყა შემოერტყა იუნკრებით და ვითომცა დეზერტირებს დახვრეტით ემუქრებოდნენ. სინამდვილეში ესენი აღმოსავლეთ საქართველოს მოხალისეები და ჯარისკაცები იყვნენ, ბრძოლა სწადლათ და სადმე მიკედლებას ეძებდნენ. იმის მაგიერ, რომ პატრონობა გაეწიათ ერთეულებად მოეწყობათ და უფროსები დაენიშნათ უსაბუთოდ ღალატსა სწამებდნენ.

ბათუმში გაურკვეველი მდგომარეობა დაგვცვდა. სადგური, ქუჩები, მოედნები საცხე იყო ჯარებით, გვერდით კი იმავე ქუჩებში პატარ-პატარა წითელი ფესებდახურული შეიარაღებული ოსმალეთის ჯარისკაცთა ჯგუფები დადიოდნენ. ზღვაზეც მოჩანდა თეთრიალქნიანი ჯარისკაცებით საცხე მოზრდილი ნაგები. მთის მწვერვლებზე მყოფი სიმაგრეებიდან სროლის ხმა მოისმოდა.

წესრიგის აღსადგენად და მორალის ასამაღლებლად გენ. კვინიტაძემ ალღუმის ჩატარება ბრძანა. დაფაცურდნენ უფროსები. წესრიგში მოიყვანეს ნაწილები და ერთი მეორეს მიყოლებით მის წინ სააღღუმო ნაბიჯით ჩაიარეს. ნაწილები ვაჟკაცურად და სრულფასოვნად გამოიყურებოდნენ. გეგონება ამ ხალხს ომი კი არ უწარმოებია, ალღუმისათვის ემზადებოდაო. საზოგადოება აღფრთოვანებით და იმედით შეჰყურებდა მწყობრად მიმავალ ნაწილებს. „ამნაირი ჯარებით ნახავთ ბედს შეატრიალებს გენ. კვინიტაძე“, —



ისმონდა აქეთ-იქიდან. ალღუმის შემდეგ სადაც გაქრნენ ოსმალთა ერთეულები. ბათუმის სიმაგრეების დამცველნი ტყვიამტრქვევით და ზარბაზნთა ცეცხლით ზღვასა და სიმაღლეებისკენ ერეკებოდნენ ოსმალეთის ნაწილებს. ბათუმის ოსმალთაგან გაწმენდა გენ. კვინიტაქემ გენ. მაზნიაშვილს მიანდო. ამ საქმეში მას ბოლშევიკთა ჯარებიც ეხმარებოდნენ და საერთო ძალებით ოსმალთაგან მთელ ბათუმის ოლქს გაწმენდნენ.

საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე ბათუმში გადაწყვეტილა, რომ მთავრობა საქართველოს ტოვებს, იხიზნება დასავლეთ ევროპაში, სადაც შეეცდება საქართველოს ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებას პოლიტიკური ზომებით.

მთავრობას მიჰყვება მთავარსარდალი და პოლიტიკურ მოღვაწეთაგან ვისაც კი საქართველოში დარჩენის შემთხვევაში, რაიმე საფრთხე მოელის. იუნკერთაგან, ვისაც სურვილი აქვს შეუძლია სამშობლო დატოვოს. საზღვარგარეთ მთავრობა ზომებს მიიღებს მათ ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო სასწავლებლებში მოსაწყობად.

ეს ჩვენ გამოგვიცხადეს და საფიქრებელშიც ჩაგვაგდეს, დავრჩეთ თუ წავიდეთ? დარჩენა მტრის სამსახურში ჩადგომას უდრიდა; წასვლით კი შეიძლება უცხოეთში უმაღლესი ცოდნა მიგველო და მომავალში განთავისუფლებულ საქართველოში ცოდნით აღჭურვილნი დავბრუნებულყოყავით. დაპირება, რომ იბრუნებენ ჩვენ სამხედრო სასწავლებლებში მოწყობაზე, უმნიშვნელო არ იყო. ზოგმა ჩვენგანმა სახლში დაბრუნება არჩია. „გავინაწილებთო სამშობლოს ბედსო და მშობლებსაც ხომ პატრონობა უნდაო“. უმრავლესობამ სამშობლოდან გასვლა არჩია. ბევრი ფიქრისა, ამხანაგებთან მოლაპარაკებისა და ყოყმანის შემდეგ, გადაწყვიტე გამსვლელებს მივკედლებოდი.

ზღვის ნაპირიდან კარგა მოშორებით მსუბუქად ქანაობდა თეთრად მოხასხასე, ვგონებ, იტალიელების უშველებელი გემი. მისგან დაშორებით და ნაპირთან უფრო ახლოს იდგნენ ჩვენი „ვესტა“ და „მარია“. ერთ-ერთ მათგანზე სანაპირო დაზვერვის ორი მოტორიანი ნავი იყო მიბმული. ზღვა წყნარი და სუფთა იყო. გემების ირგვლივ და ნაპირთან თოლიები დასრიალებდნენ. სანაპიროზე უამრავი ხალხი ირეოდა. გემზე მოხვედრასა და საქართველოდან წასვლაზე ოცნებობდნენ ოჯახებითა და ბარგი-ბარხანით. ნაპირს მრავალი ბატარა ნავი მოსდგომოდა. ტვირთავდნენ და გემებისკენ მოჰქონდათ რაღაც საქონელი.

„აბა, იუნკრებო, ნავეებში ჩასხედითო“, — გამოაცხადა ვიღაცამ. ორ ნავში მოვთავსდით და რამდენიმე წუთში „მარიას“ გემბანზე აღმოვჩნდით. თქვენთვის უკანა ნაწილებს სარდაფთა დანიშნული, ძირს არავინ ჩავსულვართ. დავრჩით გემბანზე და მოაჯირს მიყრდნობილნი ბათუმს გავკეპროდით. იქიდან ზარბაზნების გრგვინვა და ტყვიამტრქვევთა კაკანი მოისმოდა. ქალაქში აქა-იქ რაღაც იწვოდა. მეზღაურნი მომდგარი ნავეებიდან საქონელს იღებდნენ და გემის მუცელში უშვებდნენ, ჭრიალებდნენ ჩარხები. გაისმოდა „ვირა“ და „მინას“ შეძახილები, ე. ი. მალა და დაბლა დასწიეთო. იუნკერთა სევდიანი სახეები ღრმად ჩაფიქრებასა და სევდას მისციემოდა. გვაწუხებდა ბათუმის ზედაპირზე ჭურვთა სრიალი და აფეთქებათა ხმა. იქ გენ. მაზნიაშვილის ჯარებში ჩემი უფროსი ძმაც იბრძოდა და მე მას სამშობლოს დატოვების ამბავი ვერ გადავეცი. ტირილით არავის გვიტირია, მაგრამ გულს მოწოლილი სევდა გვახრჩობდა და სულს გვიხუთავდა. დიდხანს, შუალამედის

ვიდეკით ხმაგაკმენდილნი, მოაჯირს მიპყრობილნი ვიდრე მეზღვაურებმა არ დაამთავრეს ხალხისა და ბარგის მიღება, ხრიალით არ ამოყარეს გემბანზე ლუხები და მანქანები არ აამოქმედეს. შეტოვდა გემი. ნელ-ნელა მოსწყდა ადგილს და თანდათანობით აჩქარებით ღამის წყვდიადში შეიჭრა.

ეხლად მოგვაგონდა ჩვენთვის მოჩენილი გემის სარდაფი. დალილინი მშვიერი და ნაღვლიანი ჩავედით ძირს. ეს გემზე მომსახურე მეზღვაურების სამყოფი ყოფილიყო. თამბაქოს ბოლით გაყდენთილ კედლებს. იატაკზე მიყრილ-მოყრილ ნამწვავებსა და ჩერებს არ ეტყობოდათ, რომ იქ ოდესმე სისუფთავეზე ეზრუნა ვინმეს. ხანი გავიდა ვიდრე თამბაქოს სუნსა და ნავგის სიუხვეს მივეჩვიეთ და ფიცრის ხმელ ტახტზე ძილს მივეცით.

ღილით აღრიანად წამოვცვივდით, ავირბინეთ გემბანზე, რომ ქართული მიწისთვის უკანასკნელად შეგვეხედა. საუბედუროდ, ირგვლივ ჩანდი შემოკვროდა. ნაპირი აღარა ჩანდა. გემები ერთმეორეს მისდევდნენ შრიალით და უკან ზოლს ტოვებდნენ, იქვე იყო „მარიას“ გამოძებული „ავთანდილი“ და „ტარიელი“. სუფთ პაერმა, ცივმა ნიავმა გამოგვაფხიზლა. მზემ ჩანდი გაფანტა და ჩვენი ყურადღება ზღვის ზედაპირმა და ირგვლივ მომხდარმა მოვლენებმა გაიტაცა. გემს ერთმანეთის გასწორებით ვერცტლოვანი თევზები, ლამაზთვალა, კამეჩივით შავი, დამრგვალებული დელფინები მოსდევდნენ. ტყლამა-ტყლუში ვაპქონდა მათ პაერში ხტომას, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებინათ სიმალის მიღწევაში. თანაც გემის გასწრებასაც ცდილობდნენ ჭგუფებად დარაზმულნი.

გემის წინამხრის დარბაზიდან ამომავალმა ახალი გამოძეხარი პურის სუნმა და ოხშივარმა შიმშილი მოგვაგონა. ჩვენ ხომ ისე ჩავსხედით გემში, რომ პურის პატარა ნაჭერაც არა გვქონია. ვინ უნდა იყოს გემის მზარეულზე ბედნიერი-მეთქი, — გავიფიქრე და მგონი არც ჩემი ამხანაგები იყვნენ სხვა აზრისანი. მიხედნენ, ალბათ, გემის მმართველნი ჩვენ გაჭირვებას და საუზმე შემოგვთავაზეს. სამსუნის ნავსადგურზე არ ვიცი რატომ, სხვა იტალიურ გემზე გადავხსეს. „ვესტამ“ კი თავისი გზა განაგრძო. აქამდის არ მითქვამს და საჭიროა მოვიხსენიო, რომ მთავრობა საქართველოდან ჩვენზე ადრე წამოვიდა იმ თეთრი გემით ბათუმის ნავსადგურში რომ იდგა. სამსუნინიდან იმავე ღამეს წამოვედით. ნიავმა ნისლი გაფანტა და ვარსკვლავებით მოქედილი ცა გამოაჩინა. ზღვის ზედაპირზე ჩვენს უკან შუქმა იელვა. ზღვიდან ყვითელი მოზრდილი ლაქა ამოტივტივდა, ნელ-ნელა დამრგვალდა, მალა აიწია და ორ მრგვალ ყვითელ ბურთად იქცა. ერთი მალისსკენ მიიწეედა, მეორე ზღვის ზედაპირზე ტივტივებდა და თავის მიერ გაჩაღებულ სპილენძისფერ ტალღებში ბანაობდა.

„მკრთალი ნათელი შორის მთებისა მშობელ ქვეყანას ზედ დაჰფეროდა“, — წამოიწყო სევდიანი ხმით ფარნაოზ ნაცკლიშვილმა. ნელ-ნელა სევდიანი ხმითვე აპყვნენ მას სხვებიც და მორცხვად დაწყებული სიმღერა გულიდან ამონაწურ წუხილის სიმღერად იქცა. გემის კანკალი და მანქანების ღუგღუგი დაფარა. პირმოცინარე მთვარე კი ჩქარობდა მალისსკენ სრბოლას. იქიდან ხომ მშვენივრად ჩაიხედავდა საქართველოში. ჩვენ კი შევეყურებდით ღრუბლებში მოცურავე მთვარეს და გვწამდა, რომ ჩვენ მზერას ასხლეტით საქართველოს გადაცემდა. ბათუმიდან გამოსვლის, ვგონებ, მესამე დღას, ხმა

გაისმა ბოსფორს ეუახლოვდებოთ. გამოცვივდით გემბანზე, თვალს იზი-  
დავდა ზღვის სიციწროვე და ორი მხრივ რუხი ფერის კლდოვანი ნაპირი.  
აზიის მხარეს ნაპირი თანდათან მალღდებოდა და ტყით მოსილი მთებღტყე-  
ული შავად იკარგებოდა. მარგვნივაც ევროპის მხარეზე იმავე მოსხეპით  
ღმართული კლდოვანი ნაპირი ნაკლებ საინტერესო არ იყო. შორიღან მიხ-  
რეკილ ნაპირის თავზე ამყად მღგომი ძველი ციხე დღგვეყრებღა. ბევრის  
მნახველი უნღა ყოფილიყო ეს ზღვიღან მიუღღომელი ამყი ციხე. სრუტის  
შესავღლთღნ გემმღ ლუზები ჩყყარღ და ნაპირიღღან მოშორებღით გღჩერღღა. ვი-  
სარგვებღეთ დროით დღ რაც კი გვეკონღღა სღმხედრო მოწყობიღღობღ ვღზნები  
დღ საეკტმოსხნილი თოფები ზღვღში გღღღვეყრეთ. არ გღსულღ ბევრი ხანი დღ  
სტამბოლის მხრღღღან გემს სურსათით დღტვირთული პღტარღ ნღვები მოღღ-  
ნენ დღ სურსათის იარღღზე გღცკლღ შემოგვთღვღვნეს. შიშილით შეწუხებღული  
თღნღმგზღვრები, თითქმის უფღსოდ უცვლიღღენ კონღღახიღნ მღუზერებს, ვერ-  
ცხლითვედიღ ქღმარ-ხღნჯღღს, ხმღებს, ჭოგრიტებს, ვღზნებს დღ სხვღს.  
დღმთავრღღა ესეც დღ სტამბოლისკენ გზღ დღგვიღოცეს. რომელ ქღრთვეღს  
არ აუჩქროღღებს გულს სტამბოღს მიღხლოვებღ დღ სრუტეში შეტურებღღ.  
ბოსფორის ნღკეცი, ოღრო-ჩიღრო ნღპირები, აქღ-იქ გღშენებღული ლღმღზი  
დღბები, გღნსღკუთრებღით ევროპის მხარეზე. აქ ხომ არღერთხელ გღუვეღღით  
სღქღრთვეღოსკენ მიმღვღღ ოსმღღღთღ ჭარებს. ამ გზით ხორციელღდებოღ კულ-  
ტურულ-ეკონომიკური კვეშირი ბიზღნტიღსთღნ. სღმ გზით გღიღღ-მოღიღღღენ  
სღბერმნეთში მყოფ ქღრთულ კულტურულ კერღთღ დღ მონღსტერთღ მოღღვ-  
წენი. აქ გღვიღღღღ, აღბთღ, თორიკე ერისთავი სკღიაროსის აჯღწყების ჩღქ-  
რობისღს. ეს გზღ უნღღ გღვეღღ გიორგი სღკეკის ოსმღღეთში გღღღსღღღები-  
სღს დღ არგონღვებღსაც. შეიღღღბღ პომპეუსის დღ აღექსღღღრე მღკეღღონელის  
ჭარებღსაც. იქნებ შოთღ რუსთღვეღსაც. აქ იყო ერთხღნს მომწყვეღული შვე-  
ღების მოუსვენარი დღ მეღგარი მეფე კარლოს XII. აქ 1453 წელს დღამხეს  
ოსმღღებღ ბიზღნტიის იმპერიღღ, დღიპყრეს კონსტღნტინეპოლი, მეჩეთღღ აქ-  
ციეს მართღმღდიღდებულთღ უდიღღესი ტღმღრი ღღღ სოფღღ, მოჰკლეს ბერძენთღ  
პღტრიარქი; აქვე წარმოებულღ არღ ერთი ომი ბერძენებსღ დღ სპარსეღებს  
შორის.

რაც ღრმად მივიწვეღით სრუტით მით ხშირად მოჩღნღღ ევროპის მხარე-  
ზე კობტღღ ნღშენი, უმთავრესღღ ფიცრული დღბები, შიგღ დღ შიგ ქვითიკირის  
მოზრდილი სღსღხღღებღც მოჩღნღღ. ავერ ის, ენვერ ფღშღს სღსღხღღღღ გვიხს-  
ნიღღენ აქ ნღვღლი მეზღღღურები. ეს კი გღღღყენებღული სულთნის სღსღხღღღღღ,  
გვიითთებღღენ ზღღღში შემოჭრიღ მარმღრილითი ნღშენ სღსღხღღზე.

ოსმღღღეთი ამ დროს ოზიდ იყო გყოფილი: ერთი ევროპის გღმარგვებულ  
ერთღ ხელში დღ მეორე ღზიის მხარეზე, სღღღ, ანგორის ირგვეღღ, სღძირკ-  
ვეღს უყრიღღ ახღღ ოსმღღღეთს ქემღღ ფღშღ. სულთანი ამ დროს სტამბოღში  
ცხოვრობღღ თღვისი რღმღღენიღე ცოლით დღ სღზოგღღღებღს კვირღში ერთხელ  
ენღხვებოღღ ცხენზე შემჯღღარი დღ ცხენოსანი ამღლით გღრსშემოტყემული  
მეჩეთში წსღვლისღს. ოქროს რქის ნღვთსღღღურსღ დღ ევროპღ-აზიის დღმღკვე-  
შირებღღ ხიღთღღ დიღღ-პღტარღ გემების დღ იღღქნიღნი ნღვების ტვეღ არ იყო.  
იღღენენ ან აქეთ-იქით დღსრიღღღებღღენ დღ მღყურებღღს თვღღს უჭრეღღებღ-  
ნენ.

ღღსრულღღ ჩვენი მოგზღურბღ, გღღღგვსევს ძრღვიღნ ნღვში დღ ამღვე  
გზით თითქმის ბოსფორის სთღვემიღღღ დღგვღბრუნეს. აქ სღცხოვრებღღღღ მო-





გვიჩინეს დენიკინის ჯარების მიერ აზიის მხარეზე დატოვებული ბანაკი, ჯერ ბეიუკდერეში და შემდეგ ბეიუკლიმანში ევროპის მხარეზე. აქ სრუტეში შემოსვლის დამცველ ორი გრძელლულიანი შორს მსროლელი ზარბაზანი იდგა; ორივეს კლიტეები გამოცლილი და ლულები აფეთქებული ჰქონდა. ზარბაზანი ორ ფერდობს შუა იდგა ზღვიდან 50—100 მეტრის სიშორეზე, გვერდით კი ორი შეიობა იყო ხისა და ქვითკირისა, ზარბაზნების მომსახურე ჯარისკაცთა და ოფიცერთათვის. ერთ-ერთი ფერდობიდან, შენობების გვერდით, მშენებელი წყალი გადმოჩუხჩუხებდა. სწორედ ის ფიცრული შენობა მოგვცეს ბინად იუნკრებს. ქვითკირისაში კი ჩვენი ოფიცრები და ერისკაცული ემიგრანტები, მათ შორის თავადი კოკი დადიანი ოჯახებით მოათავსეს. ბანაკის მოწყობას, ცხოვრების წესს და საერთო მზრუნველობას ეწეოდა პოლკოვნიკი ალ. ჩხეიძე. ბინად მან სრუტის შემოსავლათან ახლოს მდებარე ქვითკირის სახლი აირჩია. ამ ბინაზე მას ერთ ჯანდიან ბნელ დამეს ყაჩაღები დაესხნენ და იარაღი და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. ერთ-ერთმა მისმა ვაჟმა მოახერხა ფანჯრიდან გადმოხტომა და ჩვენთან მორბენა. გავიქციეთ საშველად, ოღონდ დამტვრეულ ზარბაზანთა მცველმა ოსმალო ჯარისკაცმა სროლით განგაში ატეხა და ვიდრე ჩვენ მის ბინამდე მივალწვედით, ავაზაკები გაქცეულიყვნენ, თან წაეღოთ მამაპაპური ძველი ძვირფასი ხმალი.

კვების მსრივ ამერიკული წითელი ჯვარი გვეხმარებოდა. დავვირიგეს პატარა ჯარისკაცული ქვაბები, გვაძლევდნენ დროგამოშვებით ხმელ სურსათს და საჭმელი ჩვენ თვითონ უნდა მოგვემზადებინა. ვისაც როგორ შეეძლო. ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან ბოსფორის პირას არც ზე და არც ჯაგი არ მოიპოვება... პური მახლობელი დაბიდან პატარა ნავით მოგვქონდა ამერიკელების ხარჯზე.

ჩვენი ცხოვრება ბეიუკლიმანში შემდეგნაირად აეწყო: რაკი ზღვა თავის პატარა ნავსადგურით 200 მეტრითაც არ იყო დაშორებული ჩვენი ბინიდან, ვსარგებლობდით მისი სიახლოვით და მთელ დღეებს ზღვის პირას ვატარებდით. ვცურაობდით, მზეზე ვეფიცებოდით და შავი ზღვიდან მომავალ გემებს შევცქეროდით. იქნება ზოგიერთი მათგანი საქართველოდან მოედინება და თვალი მინც მოკრათო. რაც უნდა წყნარი ყოფილიყო ბოსფორში წყალი, სრუტის შემოსავლათან ზღვა მუდამ ლელავდა. გრვინავდნენ კლდიან ნაპირებსა და ერთმანეთს მინახეთქი ტალღები და ქაფის თეთრი ზოლით ქარგავდნენ აზიისა და ევროპის კლდოვან ნაპირებს. ქარაშხლისა და ლელვის მოლოდინში სრუტეში თუ სტამბოლში მყოფი ჯავშნოსანი სამხედრო გემები ზღვისკენ მიეშურებოდნენ. ხშირად სიჩქარით მოზრდილი თევზები დაუბორიალებიათ. ცხადია, ვჩქარობდით ზღვიდან მათ გამოტანას. ზოგიერთ ჩვენთაგანს ყინვისგან დამზრალი გვქონდა ხელ-ფეხი. ექიმი არ იყო, რომ საშველად მიგვემართა. საბედნიეროდ, ზღვის წყალს, თავისი მინერალური შემადგენლობით, სამკურნალო თვისება აღმოაჩნდა და მოკლე ხანში ბურთულეები დაგვოშუშდა და კუნთებმა მოძრაობისუნარიანობა დაიბრუნეს.

იმ დროს სტამბოლი სავსე იყო რუს ემიგრანტთა ჯარებით. ეტანებოდნენ ყველა სამუშაოს და ჩვენი ცდები სამუშაოზე მოწყობისა უშედეგო გამოდგა. საბედნიეროდ, გაჩნდნენ საიდანღაც პატარანავიანი ბერძნები და ამ ნაევების ზღვის ქვიშით დატვირთვა შემოგვთავაზეს. სიხარულით დავთანხმდით და თუმცა შრომა ძნელი იყო და ხელფასიც მცირე, მინც გულმოდგინედ ვმუშაობდით. ქვიშით უნდა აგვევსო ტომრები და ნაევებში ჩაგვეცალა. აგვებ-

რა ტყავი ზურგსა და ხელებზე ტომრების ზიდვისაგან, მაგრამ ვუძღვებდით ამას. გვინდოდა გვეშოვა ფული, რომ სტამბოლი და მისი ღირსშესანიშნაობები დაგვეთვალიერებინა. ესენი კი მრავლად იყო: მეჩეთები, მუზეუმები, ბიზანტიის დროინდელი მშენებლობა, აია სოფია, ბაზრები და სხვა. ვავაართო ამან და შეგვიმსუბუქა ცხოვრება, მაგრამ სამშობლოს დატოვების სევდას როგორ გააქარწყლებდა?

ერთხელ, ბოსფორზე განსაკუთრებული ქარიშხალი ამოვარდა. ყველაფერი შავმა ჯანლმა დაფარა, დღისით დაღამდა. სრუტის შემოსავალთან უქმად ბუტუავი ზღვის ფარნების გვერდით გამაფრთხილებელი საყვირები ამოქმედეს. ქარმა ჩვენ ბანაკს სახურავი აჰხადა და ზღვაში მოისროლა, ორთავე ფერდობიდან მოგლეჯილი ქვა და ღორღი გადმოგვეყარა უამრავი მორიელეებით, რომლებიც თურმე იმ ფერდობებში ბინადრობდნენ. ვერ ვხედავდით რა ზომის ტალღები ასკდებოდნენ სრუტესა და მის შემოსავალში. მათი გრიგალისა და გრუხუნიდან ვასკენდით რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა შიგ ზღვისა და სრუტის შემოსავალში. ეს შავი კი არა შავზე შავი ზღვის ამბობოქრება იყოს საშინელი და არ ვიცი ვისთვის როგორი, და ჩემთვის კი ბუნების სიძლიერით აღტაცება და ჯოჯოხეთური აურზაურით ტკბობა გამოიწვია. რამდენიმე დღე გასტანა ამ ქარიშხალმა და ღელვამ, ბოლოს ქარი ჩაღვა, ჯანღი გაიფანტა, ბოსფორში წყალი დაწყნარდა და ნაპირებზე ძველად დაღუპული ნაგებობისა და გემების ნაფლეთები, ფიცრისა და რკინის ყუთები, წყვილ-წყვილად დაღუპული დელფინების გვამები და უამრავი ფერად-ფერადი კენჭები გადმოყარა. ბოსფორი დამშვიდდა. სრუტის შემოსავალთან კი ზღვა ისევ ღელავდა. ამ აღელვებული ზღვის ნახვა მაინტერესებდა და სრუტის შემოსავლისკენ ვავწიე. მივედი იმ ციხის ნანგრევებთან, რომელიც მალლობიდან ამაყად გასცქერის ზღვის შორეთს. აღელვებული ზღვა, მართლაც თვალწარმტაცი სანახავია, მაგრამ აქ ჩემი ყურადღება სხვა მოვლენამ მიიპყრო: ადგილი სადაც ვიდექი და ზღვის ნაკვეთი, რომელსაც მალლიდან დავცქეროდი ნაცნობი მეჩვენა. ჩემს დაბლა ზღვას კლდიდან ჩამოგლეჯილი ნამსხვრევებისგან მოზრდილი ტბა შემოეფარგლა, ტბიდან მოშორებით ზღვაში კლდის უშველებელი ნაკლეჯი ედგო. ეს ხომ ის ადგილია ფატმანმა რომ ნესტან-დარეჯანი ზანგებს გამოსტაცა-მეთქი. ამ ციხის თუ სასახლის ფანჯრიდან ჰხედავდა კილობანის მოახლოებას. აქედან საიდუმლო ხერვლით ჩაეზაუნა მსახურნი ნესტან-დარეჯანის ხელში ჩასაგდებად. იქნებ, შოთა რუსთაველმა თავის მოგზაურობების დროს აქ გაიარა და შემდგ თვის ბოემში გამოიყენა? თუ ოდესმე ქართველი კინორეჟისორები განიზრახავენ ბოემის ამ ნაკვეთის გადაღებას, ურიგო არ იქნება ეს ადგილი მოინახულონ.

ნანახით აზროვნებადამძიმებული და ჩაფიქრებული ვბრუნდებოდი ისევ იმ გზით. ბანაკის ეზოდან ხმაბალი ლაპარაკი ისმოდა. იუნკრები ერთ ადგილზე დაჯგუფებულიყვნენ, წრე შეეკრათ, რაღაცას მისჩერებოდნენ და ხმაბალი ბუობდნენ. დამაინტერესა რას ჩაჰკირკიტებდნენ ასე გულმოდგინედ. დაუჭერიათ თურმე მოზრდილი მორიელი, დაუსვამთ მიწაზე, ირგვლივ მოვიზივი მუგუზლები შემოუწყვიათ. მორიელი გააფრთხილებით ეძებს გამოსავალს, დარბის ირგვლივ მუგუზლებით შემოფარგლულ წრეში, ეტყობა მეტად აწუხებს ცეცხლის სიმწვავე. ამხანაგები წრეს უვიწროებენ. საფრთხეში ჩავარდნილი მორიელი, კულში რომ შხამიანი ისარი აქვს იმით თავს მოიკლავს და ეს ვვინდა ვნახოთო. შემეცოდა ადამიანის ხელში ჩაგდებული უმწეო მო-

რიელი. ისიც ხომ ცოცხალი არებაა და ტკივილს ადამიანით განიცდის. დავგმე გულში ეს საქციელი, მაგრამ ვინ დაგანებებს, რომ შვება მოუტანო?.

კარგა ხნის შემდეგ ისევ მიუახლოვეს მუგუზლები, მორიელმა წვალემა ველარ აიტანა, ასწია მალა კუდი, მოკაკვა თავისკენ და შხამიანი ისარი თავში ღრმად ჩაირჭო. გათავდა მისი სიცოცხლე და ტანჯვაც. ადამიანი ყველა სულიერზე უსამართლო და ბოროტია — გავიფიქრე და თვალწინ წარმომიდგა ტორეადორების უმსგავსო საქციელი. შემოუშვებენ მოედანზე კისრის არესა და ზურგში შუბგარტობილ, ტკივილისაგან გამწარებულ, ნაპატიებ მოხვევრს. ხალხი კმაყოფილებით და ტაშისკერით ეგებება მის გამოჩენას. ელიან ტორეადორის გამოსვლას. ისიც გამოჩნდება, წითელი ქსოვილით აღიზიანებს ხარს და ახალ-ახალი შუბებით უესებს ტანს, რომ ბოლოს სისხლიდან დაეცლილ და დატანჯულს უკანასკნელი დარტყმით მოუხპოს სიცოცხლე. მყურებლები აღფრთოვანებულნი არიან ტორეადორის გამარჯვებით და აუწყებულ სიამოვნებას განიცდიან მომხდარის გამო.

ბოსფორზე ყოფნისას, სამშობლოს მოწყვეტილ, ენერგიით სავსე ახალგაზრდობას, სევდა არ გვემორდებოდა. კითხვა თუ რად დაეკარგეთ თავისუფლება მუდამ თან გვდევდა. კითხვა ვინ არის დამნაშავე სამარცხვინო მარცხისა არ გვასვენებდა. ვფიქრობდით და ვკამათობდით ამაზე თითოეული ცალ-ცალკე და ჭგუფობრივად და სხვა პასუხი ვერ მოგვეძებნა, რომ დამნაშავე მთავრობა და ის წრე, რომელიც მას ზურგს უმაგრებდა. ამ ისტორიულ მნიშვნელობის ხანაში საქართველოს მთავრობა დროის შესაფერ სიმაღლეზე არ აღმოჩნდა; სახელმწიფოს მშენებლობის გზა ყალბი და მავნებელი იყო. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ყურადღება ნორმალური სახელმწიფოს შექმნისათვის მიექციათ და შეექმნათ ეროვნულ საწყისებზე დაყრდნობილი ქვეყანა, ეზრუნათ ეროვნულ გაღვიძებასა და ერთსულოვნებაზე, გააჩაღეს კლასობრივი ბრძოლა და მცხოვრებთა ერთმანეთზე მისევა. კარგად შეირაღებულნი ჯარის შექმნის მაგიერ დაარსეს პარტიული ჯარი — გვარდია. მათ ოფიცრობას პრივილეგიურ პირობებს უქმნიდნენ და ნამდვილი რეგულარული ჯარის მოწყობას ხელს არ უწყობდნენ. თუნდაც მოპყრობა გენ. კვინიტაძესადმი, ადამიანს, რომელმაც არაერთხელ იჩინა თავი საქართველოს გაჭირვების დროს, რომელმაც სამი წლის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ მოიგო ომი ოსმალებთან, აზერბაიჯანიდან შემოსულ რუსებთან და სომხებთან, ჯარის მოწყობასა და მასზე ზრუნვის საშუალებას არ აძლევდნენ. გაჭირდებოდა თუ არა საქმე და მტრის მახვილი მათ კისრებს დაემუქრებოდა, თხოვნით მიმართავდნენ მთავარსარდლობა ეკისრა. გაიმარჯვებდა და მტერს საზღვარს იქით გადარეკავდა, თავიდან იზორებდნენ და ჯარიდან ათავისუფლებდნენ.

კლასობრივი ბრძოლის ქადაგებით, შინაგანი საქმიანობის ნიადაგს უშხადებდნენ ბოლშევიკთა გამარჯვებას. ისინიც ხომ იმავე დაპირებებით მოიწვედნენ წინ, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებდა. ამიტომ იყო, რომ გადამწყვეტ მომენტში პარტიულმა ჯარმა გააშიშვლა გენ. მაზნიაშვილის მარჯვენა ფრთა. შემოუშვა ბოლშევიკთა ნაწილები, რომელმაც სატახტო ქალაქი საფრთხეში ჩააგდო და მთავარსარდალი აიძულა ქალაქი დაეტოვებინა. მეორედ იმავე გვარდიელებმა უარი თქვეს ხაშურიდან განზრახულ უკუიერიში მონაწილებაზე, დატოვეს პოზიციები და ბრძოლის ვაგრძელების შესაძლებლობა დაასამარეს.



ვისაც წაუკითხავს ალ. მანველიშვილის წიგნი: „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა“ მშვენიერად იცის, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაგანაც საქართველოს მთავრობა შედგებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობა არ აინტერესებდათ. ისინი თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაწილად თვლიდნენ და მათ საწინააღმდეგოდ ნაბიჯს არ სდგამდნენ. ასეთი იყო ჩვენი მსჯავრი ბოსფორის ნაპირებზე ყოფნისას, მაგრამ ხილი რომ ვადაბრუნდა, დამნაშავეთა ძიება საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ დაუბრუნებდა, ჩვენი მდგომარეობა ოსმალეთში შესაშური არ იყო; სამუშაოს შოვნა უნაყოფო გამოდგა. უნივერსიტეტში მოწყობას სახსრები სჭირდებოდა, მთავრობის დაპირება — სამხედრო სასწავლებლებში მოწყობის შესახებ — ნაყოფს არ იძლეოდა.

ბოლოს ბედმა გავგილიმა და რიგ-რიგობით ხელი გამოგვიწოდეს და სამხედრო სასწავლებლებში მიგვიღეს. ჯერ საფრანგეთმა და შემდეგ საბერძნეთმა და პოლონეთმა. 1921 წელს შემოდგომაზე „სენ სირ“-ის სამხედრო სასწავლებელში გამგზავრა 5 იუნკერი: გიორგი ოდიშელიძე, კუკური თოხაძე, ივანე ვანნაძე, ჭინჭარაძე და კინწურაშვილი. სასწავლებლების დამთავრების შემდეგ მსახურობდნენ კოლონიალურ ჯარებში. მეორე მსოფლიო ომის დროს მონაწილეობა მიიღეს გერმანელებთან ბრძოლაში. ზოგმა მათგანმა პოლკოვნიკის ხარისხს მიაღწია, დაჯილდოებულ იქნენ სამხედრო ჯილდოებით, ზოგნი ლეგიის საპატიო ორდენით. მათგან ვინ დაიხოცა და ვინ გადარჩა დღეს ჩემთვის უცნობია.

საბერძნეთმა, როგორც დღეს მახსოვს, 13 კაცი მიიღო ათინის სამხედრო სასწავლებელში. ესენი იყვნენ: დავით, დიმიტრი და ვლადიმერ ლაღიძეები, სვიმონ კობიაშვილი, ილარიონ ლობჯანიძე, ვლადიმერ ციბაძე, ნ. მათიკაშვილი, ლადო მახარაძე, ფარნაოზ ნაცვლიშვილი, სვიმონ აბაშიძე, შოთა ნიკოლაძე და ივანე ნანუაშვილი. 1921 წლის გვიან შემოდგომაზე ეტოვებით ოსმალეთის ტერიტორიას. ბოსფორის პირას რჩებოდნენ დანარჩენი ჩვენი ამხანაგები. გულთბილად და თანაც სევდიანად მიგვაკიციეს სტამბოლის ნავსადგურამდე და საშუალო სიდიდის ბერძნული გემით გავუდევით გზას ათენისაკენ. ამინდი კარგი იყო. ზღვა მშვიდი და გზაც ლამაზი და საინტერესო. მარმარილოს ზღვის შესავალში ჩვენი სიბრალული გამოიწვია პატარა კუნძულმა, რომელზედაც სასიკვდილოდ განწირული სტამბოლის უპატრონო ძაღლები, მშვიერნი და დასუსტებულნი გულშემშარავი ღმუილით ადამიანის გმობის გრძნობით იხოცებოდნენ. თვალწარმტაცი იყო თვით მარმარილოს ლურჯი ზღვა მარმარილოს საბადოებით, დარდანელის სრუტე და ეგეის ზღვაზე ვაზნეული მწვანეში ჩაფლულნი დიდ-პატარა კუნძულები. საინტერესო იყო იმ დროს სმირნის ნავსადგური. გემთა სიმრავლისგან და მათი გაცხოველებული ტვირთვა-გადმოტვირთვიდან ჩანდა, რომ დიდად ჯიჟ დასაქმებული ომის მომსახურებით, რომელიც ინგლის-საფრანგეთის წაქეზებით წარმოებდა ბერძნებსა და ოსმალთა შორის. ბერძნები დიდად დაინტერესებულნი იყვნენ, რომ მათი გულადი და შორსმკვრეტი მეფე კონსტანტინე სტამბოლს და „აია სოფიას“ ტაძარს საბერძნეთს დაუბრუნებდა: ომი დიდ სახსრებს მოითხოვს და ამ დროს მათგან ჩვენი ბედით დაინტერესება იოლი საქმე არ იყო. საბერძნეთს ხომ თავის ტერიტორიაზე არა აქვს არც ბუნებრივი სიმდიდრეები და არც განვითარებული მრეწველობა.



სკოლაში გველოდებოდნენ, გულთბილად მიგვიღეს, როგორც სკოლის მმართველობამ, ისე ჩვენმა მომავალმა ამხანაგებმა.

ბევრი რამ იცოდნენ საქართველოსა და ბიზანტიის დროინდელი ურთიერთობიდან. ნანახი ჰქონდათ საბერძნეთში გადარჩენილი ქართული საეკლესიო და კულტურის ძეგლები. იცოდნენ ვინ იყო და რა მოიმოქმედა თორნიკე ერისთავმა, რომელი ქართველი რძალი მიათხოვეს ქართველებმა ბერძენთა სამეფო გვარეულობას, როგორ გაიტაცეს არგონავტებმა აიეტ მეფის ქალი... ჩვენ პელაზგების ჩამომავლები ვართო და პელაზგები კი ქართული ტომი იყო. მოსწონდათ ჩვენი სიმღერები. ცდილობდნენ ჩვენთვის ყოველმხრივ პატივი ეცათ და ესამოყენებინათ. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ბერძნული ენა შევითვისეთ, ჩვენ სანახავად სკოლას ეწვია ტანტის მემკვიდრე ბატონიშვილი გიორგი. გამოგველაპარაკა, გამოგვეკითხა თუ როგორ ვგრობდით თავს და კმაყოფილნი ვიყავით თუ არა სწავლის მეთოდითა და მოპყრობით, დაგვიპირდა მზრუნველობა არ მოეკლო. შემდეგვეც ერთ დღეს სტამბოლიდან პარიზისკენ მიმავალმა ჩვენმა მთავარსარდალმა გენ. კვინიტაძემ გვინახულა. ეროვნულ ტანსაცმელში შემოსილი, დიდი პატივით მიიღეს. საქართველოს ახლო წარსულით, მისი მომავალი პერსპექტივებით დაინტერესდნენ და პატივით გააცილეს.

სკოლა დიდ პატივში იყო მთავრობისა და საზოგადოების მხრივ. ამას თვით მისი სახელიც მოწმობდა. ერქვა მას „სხოლიონ ტონ ეველზიდონ“, ე. ი. „საიმედოთა სასწავლებელიო“. ჩვეულებად ჰქონდათ, რომ მეფის ოჯახის ერთ-ერთ წევრს ეს სკოლა უნდა დემთავრებინა. ჩვენ დროს მოწაფეთა შორის იყო იმდროინდელი ბერძენთა ჯარების მთავარსარდლის გენ. პაპულასის შვილი. დაგვიმეგობრდა, ხშირად გვესტუმრებოდა ხოლმე ჩვენ სასწავლო ოთახებში და გველაპარაკებოდა. არაერთხელ შემოუტანია მალულად ბერძნული საუკეთესო ღვინოები და ერთად დაგვილევია. სკოლაში მოხვედრა ადვილი არ იყო, იქ იღებდნენ მხოლოდ საუკეთესოებს, ფიზიკურად და ზნეობრივად, განვითარებულებს, საუკეთესო თვისებებით, სამშობლოსთვის გარჯილ ოჯახისშვილებს. ასეთები იყვნენ სკოლის ოფიცრობაც, სკოლის უფროსი ფრიად განათლებული კეთილი ხასიათის პოლკოვნიკი ცენტოსი თავის აღსაზრდელებს მზრუნველობასა და მომთხოვნელობასაც არ აკლებდა.

სხვა ოფიცერთაგან, წარმოსადგობით, ცოდნით და პედაგოგიური თვისებით გამოირჩეოდნენ ძმები პაპანდოპულოსები. ერთი მათგანი პარტიათა შორის ურთიერთობის გამწვავების შემდგომ ხანაში სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა, როგორც დიქტატორი და რამდენიმე წელიწადს განაგებდა მას. მოვიმოქმედე ეს ბოლშევიკური საფრთხის ასაცილებლად, იმართლებდა თავს სამსჯავროს წინაშე ხელისუფლების გადაცემისას.

რამდენად გულისყურით ეპყრობოდნენ ჩვენი სწავლების საქმეს ჩანს იქიდანაც, რომ ენის შესწავლის დასაჩქარებლად მოგვივლინეს თბილისში აღზრდილი მასწავლებელი. ამ მასწავლებელმა ერთ დღეს ჩვენ ამხანაგ პროკოფი აბულაძეს, რომელიც პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული, მოუტანა პოეტ ტრიკლემიდის მიერ არაბულიდან თარგმნილი შოთა რუსთაველის სამი ლექსი. პროკოფი აბულაძემ ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნა და მენება დამართო საქართველოში პოეტ გიორგი ლეონიძესთვის გადამეგზავნა. ის იმ დროს ჟურნალ „ბახტრიონს“ რედაქტორობდა და იქ მოათავსა კიდევ. ამ ამბავმა დიდი გამონმაურება გამოიწვია როგორც საქართველოში, ისე მის

გართავ. სურდათ ამ ლექსთა ორიგინალების მიგნება და ხელში ჩაგდება. სკოლაში გვეწვია ემიგრაციაში მყოფი გენერალი კერესელიძე, რომელიც თეთრ გიორგელების გახეთს რედაქტორობდა. მივასწავლეთ მას ტრიკილ-მიდის სამყოფელი და რა მოიმოქმედა შემდეგში არ ვიცით.

1967 წელს საქართველოში ყოფნისას გოგლა ლეონიძემ მომაგონა ეს ამბავი და დასძინა\*: „ჩვენი გამოკვლევით, ეს ლექსები შოთა რუსთაველისა არ არის. ის ვიღაც სხვა პოეტის დაწერილია და პოეტმა ტრიკილმიდისმა იცრუა, ისინი რომ შოთა რუსთაველს მიაწერათ“.

სკოლა მალეობ ვაკეზე იმყოფებოდა, ქალაქის გარეთ, ზაპიუს სახელობის პარკის გვერდით. შედგებოდა, ვგონებ, ექვსი ორსართულიანი ერთმანეთს დაშორებული შენობისაგან და სატანვარჯიშო მოედნის მოწყობილობისაგან. ამ ექვსი შენობიდან ერთი საპატიმრო დილეგს წარმოადგენდა სხვადასხვა წვრილმან დანაშაულობებისათვის, როგორც: მწყობრში შენძრევა, იღუტის არასწორად შესრულება, უმიზეზოდ და უადგილოდ გაცინება და სხვა.

მეც მქონდა ბედნიერება ამ დილეგში ერთი დღით ჯდომისა. წესი იყო, ყოველი საუზმის წინ, რიგში ჩამწკრივებულებს ათასეულის უფროსი მაიორი პოპანდიულისი დღიურ ბრძანებებს გვეკითხავდა წინა დღის ავ-კარგის აღნიშვნით და დამნაშავეთათვის მსჯავრის გამოტანით. რად იცინო? მომმართა მე. ერთი დღით დილეგით. განჩინება არ მწყყენია, თუმცა რიგში დგომისას არ გამოიცინია და თავს დამნაშავედ არ ვგრძნობდი. ამ ფაქტმა დიდად დაადონა ჩემი ქართველი ამხანაგები. სიბრაღულით შემომტკეპროდნენ ეზოდან მეორე სართულზე ფანჯრის პირას მჯდომ დამნაშავეს. კარგი რომ ოთახი სუფთა იყო და ფანჯარას სწვდებოდა სურნელოვანფოთლებიანი უშველებელი ხის ტოტები. სკოლის ეზოდან ქალაქის თავზე გადავლით შორი და სასიამოვნო ხედი იშლებოდა ათინისა და პირეუსის იქით, თვალს იტაცებდა ათინიდან თუ ათინისკენ მომავალი გემები და თვით მოლურჯო და წყნარი ზღვის ზედაპირი. დიდხანს უნდა გეცქირა, რომ ამ ბუნების სილამაზით დამტკბარიყავი. მერე, თუ მხედველობას თვით ქალაქზე გადმოიტანდი, მისი ლამაზი მშენებლობა, თვალწინ აზიდული აკროპოლის ტაძარი და ცოტა მოშორებით მთაზე მდგომი წმ. გიორგის მონასტერი მიიპყრობდა შენ ყურადღებას. აკროპოლის გულის-სიღრმეში ჩამწვდომი და განმასპეტაკებელი ნაგებობა არაერთხელ გამხდარა ადამიანის ღვარძლიანობის მსხვერპლად: უკანასკნელად, გვიყვებოდნენ ჩვენი ბერძენი ამხანაგები, იერუსალიმისკენ მიმავალმა ჯვაროსნებმა დაანგრიეს და გაძარცვესო. ხელს არ ვახლებთ და არ ვაწესრიგებთ ევროპელთა მიერ ჩადენილ ბოროტებას. აკროპოლის სიმაღლიდან მშვენიერად ჩანს თვით ქალაქი, მისი გარეუბნები, ქალაქში მდებარე ბიზანტიისდროინდელი ნაგებობანი, ღია ცისქვეშ გაშენებული თეატრი, მშვენიერი მარმარილოს ქანდაკებებით შემკული სასაფლაო, ნარინჯის ბაღში ჩაფლული სასახლე, რომლის ხეებსაც წელიწადის ნებისმიერ დროს უხვად ასხია მკვახე და მწიფე ნაყოფი და ყვავილები. დადიან თავისუფლად ამ ბაღში მოქალაქენი და არავის აზრდაც არ მოუვა მათი შეხება. სახლში დაბრუნებულს დიდხანს არ გტოვებს ნანახი სილამაზით გამოწვეული განმასპეტაკებელი ზეგავლენა.

სკოლა ორწლიანი იყო შინაარსიანი პროგრამით. პირველ წელს პრაქტიკული და თეორიული სამხედრო მეცადინეობის გვერდით დიდი ადგილი

\* 1967 წლის მაგიერ უნდა იყოს 1956 წელი, რამდენადაც გ. ლეონიძე 1967 წელს უკვე გარდაცვლილი იყო (შენიშვნა ჩვენია — თ. ჟორდანიას).



ჰქონდა დათმობილი ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს, როგორცაა მათემატიკა, ისტორია, მართლმსაჯულება, ჯარის მომარაგება, ტოპოგრაფია. მეორე წელს უფრო დაწვრილებით ეცნობოდნენ სამხედრო ხელოვნებას თავ-თავიანთი სპეციალობის მიხედვით: ქვეითა ჯარი, არტილერია, ცხენოსნობა, საინჟინერო დარგები. მართალია, დასაწყისში ბერძნული ენა არ ვიცოდით, ვალდებულნი ვიყავით მონაწილეობა მიგველო ყველა თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. ამისთვის იყო რომ, როცა უფროსკლასელი ბერძენი ამხანავები გვამეცადინებდნენ, ხშირად საჭირო განკარგულებების გვერდით გაიგონებდით „ელა, ვლადიმირე“, „პროსესხე, ილარიონე“, ე. ი. „აბა, ვლადიმირე“, „ყურადღება, ილარიონო“. ლადო ჩვენი საპიორი ციბაძე იყო, ილარიონი კი ვლადიკავკასიელი დინჯად მოძრავი ლობჯანიძე.

სწავლის ეს წელი საკმარისი გამოდგა ენის იმდენად შესათვისებლად, რომ სამი თვის შემდეგ ბერძენ ამხანაგებთან თანაბრად ვაბარებდით გამოცდებს. არამც თუ რაიმე შეღავათს ჩვენდამი ადგილი არა ჰქონდა, პირიქით მეტ მომთხვენლობასაც იჩენდნენ. დასანანია, რომ მეორე კურსზე გადასვლა და სკოლის დამთავრება არ დაგვეცალდა.

1922 წლის შემოდგომაზე იძულებული ვიყავით საბერძნეთი დაგვეტოვევინა და სწავლა პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში გაგვეგრძელებინა. ეს გამოიწვია შემდეგმა ვითარებამ. თურქებმა ანგორას მიღწეული ჯარი დაამარცხეს. ძლივს გადაურჩნენ გაულეტას უდაბნოში მიჭყლეტილი ჯარები, ჩასხდნენ გემებში და ათინისკენ გამოემგზავრნენ მეფის ტახტიდან ჩამოსაგდებად. აჯანყებულთ სათავეში ჩაუდგა ორი მაიორი: პლასტირასი და გონატასი. მეფეს, რომელსაც ომის დროს აღფრთოვანებით შეჰხაროდნენ, ქუჩებში და ყავახანაში უმღეროდნენ გამარჯვების სიმღერებს, (სჯუროდთ ამ კონსტანტინე მეფით დაეიბრუნებთ სტამბულს და თვით აია სოფიასაცო), სასახლის უკანა კარიდან რომ არ გაესწრო, სიკვდილი არ ასცდებოდა.

მეფის ერთგულმა ოფიცრობამ ამ გამწვავებულ მომენტში მის მხარეზე დგომა არჩიეს. გამოავარეს ორი ზარბაზანი და ათინისკენ მიმავალ გემებს ცეცხლის გაჩენით დაემუქრნენ. საპასუხოდ აჯანყებულებმა სკოლა დახურულად გამოაცხადეს და დავრჩით ცასა და მიწის შუა უპატრონოდ. დებეშით ვაცნობეთ მდგომარეობა გეგეჰკორს. პასუხი მივიღეთ, რომ მიღებული ხართ პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში და პირველივე გემით სტამბოლისკენ გამოემგზავრეთო, ასეც მოვიქეციით. და ბერძნული პატარა გემით სტამბოლისკენ გავწიეთ. ქრისტესშობითვე ახლოვდებოდა, ზღვაში ღელვამ მოგვისწრო გემი ბურთივით აათამაშა და რაკი პატარა იყო ერთდროულად ორ ტალღაზე ვერ თავსდებოდა. ხან მიახლოებულ ტალღის წვერზე მოექცეოდა და ხან ორ ტალღის შუა უფსკრულში ვარდებოდა. გემმა მართვის შესაძლებლობა დაკარგა. მიმართულების დაკავებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მიჰქონდათ ტალღებს გემი საითაც მოესურვებოდათ. გემის მმართველები მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ გემი ტალღებს ქიმით დახვედროდა. ვეიბრძანეს. საცურაო ქამრების შემორტყმა, აგვიკრძალეს გემბანზე ასვლა, ჩაკეტეს ყველა შემოსავალი. ვისხედით გაყვითლებულნი გულისრევა არგულნი, დასუსტებულნი, გემის ქანაობას აყოლებულნი და ვუსმენდით როგორ გადადიოდა გემის ბანზე უშველებელი ტალღები. ასე, უძილობასა და სიკვდილის მოლოდინში გაიარა ღამემ და გათენებისას სტამბოლის მაგიერ კუნძულ სი-

რას მყუდრო ნავსადგურში აღმოჩნდით. არც ქარი და არც ტალღები აქ არ იყო. წყნარ ზედაპირზე პატარა იალქნიანი ნავეები დანავარდობდნენ. თვალს იტაცებდა ზღვისკენ დაქანებულ ფერდობზე გაშენებული ქალაქი თავისი ხავერდოვანი სიმწვანით. წყლის სიმშვიდემ, გემების სილამაზემ მალე დაგვა-ვიწყა განვლილი სიდუხჭირე. დაღლილობამ ვაგვიარა და სტამბოლისკენ გა-მოსვლისას სანანებლად დავგვრჩა, რომ ქალაქში გასვლის ნება არ მოგვცეს. სტამბოლში ბეიუკლიმანის სანავო დაცარიელებულიყო. დარჩენილი ერისკა-ცული ემიგრანტობა გათათრებული ქართველის სასახლემ შეზიზნულიყო, ოქროს რქასთან. ჩვენც იქ დავიდეთ ბინა რამდენიმე დღით და ბულგარეთის და რუმინეთის ტერიტორიების გავლით ვარშავაში ჩავედით. ჩვენი პოლო-ნეთში ჩასვლა პოლონეთის სამწუხარო დღეებს დამთხვა. ჩვენი ჩასვლის წინა დღეს მოკლეს პოლონეთის პირველი პრეზიდენტი. ქუჩებში თეთრ-წი-თელი დროშები თავდაყირა ეკიდა, ხალხი თავჩალუნული და სევდიანი მიმო-დიოდა. ქუჩებში თოვლი იდო. ციოდა. გველოდნენ, მოგვიყვანეს სამხედრო სკოლაში, ტანსაცმელი გადაგვაცვეს, მწრთენელები მოგვიჩინეს და ჩვენ წერთნასა და სწავლებას შეუდგნენ. სწავლება 5 თვის წინათ დაწყებულიყო და ჩვენ ინტენსიური ვარჯიშობით მათ უნდა დავეწოდით. აქ სამხედრო წერთნას მესამედ ვიწყებდით თავიდან, რაც იოლი და სასიამოვნო არ იყო, რადგან ნორმალური წრთენისას ადგილი აქვს ისეთი სახის ვარჯიშობებს, რომელმაც უნდა ვადაჩვიოს ადამიანი უფროსის ბრძანებისადმი კრიტიკულ მიდგომას, მიაჩვიოს მის სწრაფ შესრულებას და გამოუმუშაოს სიპარდღე და ფიზიკური ამტანობა. ამ მიზანს ემსახურებოდა ჩვეულება, რომ ყველა უფროსკლასელ მოსწავლეს უფლება ჰქონდა უმცროსისათვის ნებისმიერი ბრძანება გაეცა და მისი შესრულება აეძულებინა. ბრძანებები არ იყო სასი-ამოვნო, როგორც დაწეჭი, ადეჭი, საწოლქვეშ გაძვირი, მიწაზე გაფოფნდი, მაგიდას ვადაახტი, იმღერე, იცეკვე და სხვა... ეს ჩვეულება იუნკერთა სას-წავლებელშიც შემოიღეს ყოფილმა კადეტის კორპუსის მოწაფეებმა. მართა-ლია, ჩვენდამი ამნაირ წვალებას ერიდებოდნენ როგორც საბერძნეთში, ისე პოლონეთში. მაგრამ თვით ამის ყურებაც საკმარისი იყო, რომ დაგვხმარე-ბოდა დისციპლინის გამოუმუშავებაში. პროგრამა და სწავლების წესი პოლო-ნეთსა და საბერძნეთს შორის განსხვავდებოდა. თუ საბერძნეთში თეორიული განათლება სჭარბობდა, აქ მთავარი ყურადღება პრაქტიკულ გაწვრთნაზე იყო მიქცეული.

პოლონეთში მიმავალ ოფიცერს ჯერ ერთწლიანი, ე. წ. „პოდბორუნაევი-ბის“ სკოლა უნდა დამთავრებინა და შემდეგ ორწლიანი თავის სპეციალო-ბის სკოლა. სკოლის ინსტრუქტორ-მასწავლებლები შერჩეული იყვნენ განა-თლებულ და ომში გამოცდილ ოფიცერთაგან უმთავრესად ყოფილ „ლევო-ონერთაგან“, რომლებიც პირველი ომის დროს შექმნა მარშალმა პილსუდ-ცკიმ. წერთნაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ფრანგი ოფიცრები, რომ-ლებიც იმ დროს ეხმარებოდნენ მათ ჯარის შექმნაში. დიდი ყურადღება ექ-ცეოდა ფიზიკურ აღზრდას, ამტანობის გამოუმუშავებას. გარდა ამისა, ყოვე-ლი წლის დასასრულს მოწაფეებს პოლკებში აგზავნიდნენ რამდენიმე თვით ჯარისკაცთა აღზრდაში მონაწილეობის მისაღებად. ცხადია, ასეთი თეორიუ-ლი და პრაქტიკული მომზადების შემდეგ ურიგო ოფიცრები არ დავდგებო-დით. მით უმეტეს, რომ თავს არ ვზოგავდით პირნათლად შეგვესრულებინა დაკისრებული მოვალეობები.

დასრულდა ბოლოს ჩვენი მოწაფეობა. მივიღეთ კონტაქტის ოფიცრების ხარისხები და მიგვაკლინეს სხვადასხვა პოლკში.

სკოლაში ყოფნისას ჩვენთან კავშირში იყო და მზრუნველობა არ შეწყვეტია გენერალ ჩხეიძეს. ბინას ჩვენს ახლოს ქირაობდა და სკოლაში ზმირად მოდიოდა ჩვენი მდგომარეობის გასაგებად. მისი საშუალებით ვიცოდით, რა ხდებოდა საქართველოში, როგორ ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხი დამპყრობლებს, რა იყო სენანეთის, ხევსურეთის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლები, 1924 წლის აჯანყების უღმობლად ჩაქრობა.

სკოლის დამთავრებამ, ოფიცრის ხარისხების მიღებამ სხვადასხვა პოლკში მივლინებამ იუნკრები ერთმანეთს დაგვაშორა, მაგრამ ჩვენ ერთმანეთთან კავშირი არ გაგვეწყვეტია. პირიქით, უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად შევექმენით „იუნკერთა კავშირი“, შევიმუშავეთ წესდება და გადავწყვიტეთ საკუთარი ჟურნალის „მხედრის“ გამოშვება ქართულ ენაზე პარიზში. კავშირის წესდება უმთავრეს მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ შრომას და ბრძოლას. ჟურნალში კი უნდა გაშუქებულიყო შემდეგი საკითხები: 1. საქართველოში მიმდინარე მოვლენების თვალყურის დევნება; 2. სამხედრო ხელოვნების გაღრმავება; 3. საქართველოს ტერიტორიის შესწავლა სტრატეგიული თვალსაზრისით; 4. დიდი ქართული მხედართმთავრები წარსულში და მათი წაგებული და მოგებული ომები; 5. ზრუნვა დაქსაქსულ ქართველ ემიგრანტთა ერთიანობისათვის; 6. კულტურული შემოქმედება საქართველოში: ლიტერატურა, მხატვრობა, ხელოვნება.

წელიწადში ერთხელ ვმართავდით იუნკერთა კავშირის კრებას. აქ გამგეობა ანგარიშს აბარებდა გასული წლის მუშაობის შესახებ. ირჩევდა ახალ გამგეობას და ისახავდა ახალ მიზნებს.

გამგეობის თითქმის მუდმივი და აქტიური წევრები იყვნენ: დავით ლაღიძე, ვანო ნანუაშვილი, ნიკოლოზ მათიკაშვილი. მათ ზურგს უმაგრებდნენ და ყოველი მხრივ ეხმარებოდნენ: ვალოდია ლაღიძე, პეტეიკო თაყაიშვილი, მიხეილ კვალაიშვილი, ფარნაოზ ნაცვლიშვილი, ლადო მახარაძე და პარიზში მყოფი „მხედრის“ გამომცემელი, დოლიკა ვანხაძე.

დღეს ვერ ვიტყვი რამდენ წელიწადს გრძელდებოდა „მხედრის“ გამოცემა ან რამდენი ნომერი გამოვიდა (იბეჭდებოდა სამ თვეში ერთხელ). მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლში მთელი მასალა, რაც კი იუნკერთა კავშირის მუშაობას შეეხებოდა, დამეწვა.

უნდა აღვნიშნო, რომ წესდებით განსაზღვრული მიზნებიდან ზოგიერთი ვერ განვახორციელებთ მასალის უქონლობის გამო, რადგან საქართველოში დაგროვილ მასალასთან მიდგომა არა გვქონდა. მეორე მსოფლიო ომის მოახლოება იგრძნობოდა, ახლოვდებოდა დიდი არევა-დარევის ხანა და ვაფრთხილებდით ქართულ ემიგრანტულ საზოგადოებას ფხიზლად ყოფილიყვნენ, ძალთა ერთიანობაზე ეზრუნათ და ვისაც ამისი შესაძლებლობა ჰქონდა პოლიტიკური, ნაბიჯები გადაედგა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

იუნკერთა კავშირი არსებობდა დამოუკიდებლად, ვისიმე ზეგავლენის გარეშე. ცდები, რომ პოლონეთის მთავრობას ეცნო იუნკერთა კავშირი, უშედეგოდ დამთავრდა. ალბათ, ვერიდებოდნენ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას. რაც შეეხება საქართველოს პარიზში მყოფ მთავრობას და მის წარ-





მომადგენელს პოლონეთში გენ. ზაქარიაძეს იუნკერთა კავშირისა და მისი ორგანოს „მხედრისადმი“ არავითარი მზრუნველობა არ აღმოუჩინიათ და არც დახმარება გაუწყვეიათ. პარიზში გადმოსახლებულთ პროლეტართა შეერთებისკენ სწრაფვა არ შეუწყვეტიათ: პატრიოტულად განწყობილთ თავიანთ მტრებად სთვლიდნენ და მათთან თანამშრომლობის ნაცვლად სიცოცხლეს უმწარებდნენ. ასე იყო გენ. კვინიტაძესადმი. ოჯახით დატვირთულ მთავარსარდლისთვის არ შეუთავაზებიათ გატაცებული სახსრებით ნაყიდ ლევილის მამულში დასახლება, არც დაინტერესებულან როგორ ინახავდა საკუთარი შრომით ოჯახს. ღირსეულად არ მოექცნენ ნაომარ, ნაწვლებ ჭაჭუცა ჩოლოყაშვილს და მის შეფიცულებს ემიგრაციაში ჯოფნისას. ნაცვლად იმისა, რომ პატივთ ეცათ მათი გამირობისათვის და დახმარებოდნენ სამუშაოს შოვნაში, ფიზიკურ შეურაცხყოფასაც არ იშურებდნენ. ამაზე დაწვრილებით მოგვცა ცნობები ჭაჭუცას მარჯვენა ხელმა ალ. სულხანიშვილმა თავის მოგონებებში. დაახლოებით ასეთივე მიდგომა ჰქონდათ ჩვენდამი, იუნკერთა კავშირისადმი.

მეორე ომის წინა პერიოდში პოლონეთში მიმდინარეობდა მუშაობა სახელწოდებით „პრომეთეიზმი“. მისი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის დანაწილება და განთავისუფლებულ ერებთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირის დამყარება. საქართველოს მომავალი არსებობა მათ წარმოედგინათ როგორც კავკასიის ერთა კონფედერაციის წევრისა. შეიმუშავეს სათანადო პროექტი და მას ხელი მოაწერეს ვარშავაში და შემდეგ ბრიუსელში. ამ კონფედერაციის ერთ-ერთმა წევრმა მთიულეთის წარმომადგენელმა გაიდარ ბამატიმა, ერთ მშვენიერ დღეს, განცხადებით მიმართა ორგანიზაციის პოლიტიკურ ხელმძღვანელ მინისტრ შეტცელს, რომელშიც დაკარგულად სთვლის პოლონელების მიერ გაწეულ შრომას და ზრუნვას კონფედერაციის შექმნისთვის და უარს აცხადებს შემდეგში ამ ორგანიზაციისთან თანამშრომლობაზე. თავის საქციელს ასაბუთებს შემდეგში: საქართველოს სოციალ-დემოკრატები არასდროს არ ყოფილან თავისი ქვეყნის პატრიოტები. 1918 წელს, ხელისუფლება ხელთ იგდეს რუსეთის ჯარისკაცთა დახმარებით, რომლებიც ამ დროს კავკასიის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. შემდეგში რუსეთში ჩატარებულ კონფერენციაზე რუსეთის ერთიანობის დამცველად და სეპარატიზმის წინააღმდეგ გამოვიდნენ. კავკასიის კონფედერაციაზე არასდროს უფიქრიათ. პარიზში ჩასვლისთანავე ნოე ჟორდანიამ სწრაფად დაამყარა კავშირი რუსეთის სოციალ-დემოკრატისთან. განუცხადა მათ, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება ნაკარნახევი იყო შექმნილი მდგომარეობით და, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატებს ვერ წარმოუდგენიათ საქართველოს არსებობა რუსეთის სოციალ-დემოკრატებთან მჭიდრო კავშირისა და თანამშრომლობის გარეშე. კონფედერაციის მოღვაწენი ყალბი მისამართით მუშაობდნენ იმ პიროვნებებთან, რომელთაც კავკასიაში ერთგულ საკითხთან არავითარი საერთო არ ჰქონიათ. იძულებული ვარ სენდისის კარნახით და პოლონელთადმი პატივისცემის გრძნობით უარი განვაცხადო იმ მუშაობაში მონაწილეობაზე, რომელიც ადრე თუ გვიან თვალთმაქცობით, მოტყუებით რამდენიმე პიროვნების მიერ სახსრების დაცანცვლით და საკუთარ განზრახვათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებად გადაიქცევა. მიკვირს, — აღნიშნავს განცხადების დასასრულში გაიდარ ბამატი, — რომ პოლონელები ასეთ გულჩვილობას იჩენენ იმათადმი, ვინც წარსულში რუსეთის ზედგავლენის



ქვეშ მყოფი აგენტები იყვნენ, დღეს კი იმ საერთაშორისო ძალებს ეკუთვნის, რომელნიც საბჭოთა კავშირს თავისი საქმიანობით ზურგს უმაგრებენ“.

სოციალ-დემოკრატებისა და საქართველოს მთავრობის დახასიათებაში დასამატებელი არაფერია და ჩვენ მიერ ზევით გამოთქმულ ქართული მთავრობის შეფასებას არ ეწინააღმდეგება.

ვიდრე შევუდგებოდე იუნკერთა ბედის აღწერას მეორე მსოფლიო ომში საქირთა მოვიხსენიო, რომ პოლონელებმა თავის ჯარში მიღებით კარი გაუხსნეს არა მარტო იუნკრებს. მათ სამხედრო სამსახურში მიიღეს უფროსი ოფიცრობაც და საშუალება მისცეს სამხედრო სასწავლებლებსა და სპეციალურ კურსებზე თავიანთი ცოდნა აელორძინებინათ. ესენი იყვნენ: გენერლები: ყაზბეგი, ბაქრაძე, კონიაშვილი, ზაქარაძე და ჩხეიძე — 6 კაცი\*. პოლკოვნიკები: გველესიანი, ვაჩნაძე, მიქელაძე, ბაგრატიონი, კანდელაკი, კვიციანი, ერისთავი და თევზაძე — 9 კაცი\*\*.

მაიორები: ქუთათელაძე დავითი, ქუთათელაძე აბიძინა, ტერიაშვილი კონსტანტინე, კოზიაშვილი ალექსანდრე, შალიკაშვილი დიმიტრი, სიამაშვილი ლადო, ფავლენიშვილი გიორგი, არონიშიძე არტემი, ალავიძე ალექსანდრე, ყიფიანი ალექსანდრე, მაჭავარიანი დავითი — 11 კაცი.

კაპიტნები: კვალიაშვილი ლევანი, კანდელაკი მიხეილი, იჩგია ვასილი, ვაჩნაძე დავითი, მამალაძე ზენონი, რუსიაშვილი მიხეილი, კლიმაშვილი დავითი, ქეთარაძე ივანე, ჭყონია — 9 კაცი.

ამათგან მაჭავარიანი ლევანი გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის წინ. დასაფლავებულია გილრიში.

მამალაძე ზენონი, მისი გვამი იპოვეს ომის დროის კატინის დახვრეტილთა სასაფლაოზე.

ჭყონია — მფრინავი, დაიღუპა თვითმფრინავის ავარიის 1939 წლამდის, დასაფლავებულია ვარშავაში.

პოლკ. ნიკოლოზ ვაჩნაძე გარდაიცვალა გერმანიაში ტყვეობაში, დასაფლავებულია ბუხენვალდის სასაფლაოზე ბერლინის მახლობლად.

გვამის სექციის დროს კუჭში აღმოაჩნდა პატარა ბოთლის ნამტვრევები შხამით (თავი მოწემა).

იუნკრები:

1. **ნანუაშვილი ივანე** — სამხედრო აკადემიადამთავრებული. გერმანელებთან ომის დროს ქვეითა ჯარის დივიზიის საოპერაციო დარგის უფროსი. გამოირჩეოდა ნიჭიერებით და შესანიშნავი მეხსიერებით. სამხედრო ხელოვნების ღრმა ცოდნით, ხასიათის სიმტკიცით. მოახერხა ტყვეობიდან გადასვლა და იქიდან მონაწილეობდა ომში გერმანელთა წინააღმდეგ. ომის შემდეგ გადავიდა საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ თავს ირჩენდა ავტომაქანის მძღოლობით. დაწერა ინგლისურ ენაზე შრომა სათაურით „რა უნდა იცოდეს ყველა ადამიანმა საბჭოთა კავშირზე“. ეს შრომა დიდი წარმატებით სარგებლობდა. იყო ბურჯი და აქტიური წევრი იუნკერთა კავშირისა. მონაწილეობას იღებდა „მხედრის“ შრომებში. ამერიკაში დაავადდა და გარდაიცვალა კალიფორნიაში. სხეულის გასინჯვისას აღმოუჩინეს კუჭის კიბო.

2. **მათიკაშვილი ნიკოლოზი** — სამხედრო აკადემიადამთავრებული. მსახურობდა ლეოვის ქვეით მე-19 პოლკში. მონაწილეობა მიიღო გერმანელებთან

\*. \*\* ასეა ტექსტში.

ომში პოლკის ტაქტიური ადიუდანტის (შტაბის უფროსის) თანამდებობაზე. პოლონეთში ტყვეობიდან დაბრუნებული გაიწვიეს განახლებულ ჯარში; მსახურობდა სამხედრო სამინისტროში ქვეითი ჯარის წრეთნის დარგში, იყო იუნკერთა კავშირის აქტიური წევრი და „მხედრის“ თანამშრომელი. აღმოსავლეთმცოდნეთა კავშირის წევრი პოლონეთში, თანამშრომლობს მათ ყურნალ „ფშვევლანდ ორინტალისტიჩში“.

იმის დასახასიათებლად თუ რა უბედურებაა ომი და როგორ ვებრძოდით გერმანელებს პოლონეთთა ჯარის რიგებში, მოვიყვან ორ შემთხვევას ჩემი პოლკის ბრძოლებიდან, რომლებიც, ალბათ, წააგავს ჩემ ამხანაგ იუნკერთა ბრძოლებსაც.

1939 წლის 13 სექტემბერს, ჩვენ პოლკს დავალებული ჰქონდა დაეცვა მდინარე ვისლას მარჯვენა ნაპირი ქალაქ პლუცკის მიდამოებში. დასაცავი ნაკვეთის სიფართოე 15 კილომეტრს აღმატებოდა. ეს პოლკისთვის კი არა დივიზიისთვისაც გადაჭარბებული სივრცეა. პოლკმა ვერ შეძლო პოზიციის მთელი სივრცის ერთეულებით ამოვსება და ერთ ადგილას გერმანელებმა მდინარე გადალახეს. უკუიერიშმა და დიდი დანაკარგით წარმოებულმა ბრძოლებმა უშედეგოდ ჩაიარა. გადმოვინაცვლეთ ხელსაყრელ ახლომდებარე პოზიციებზე და გერმანელებს წინ წამოწვევის საშუალებას არ ვაძლევდით. მთელი ფრონტის სიგანეზე გახურებულ ბრძოლაში წინ გვიდგა გერმანელთა მე-3 დივიზია, რომელიც ჩვენ ერთეულს ძალებით და იარაღით 3-ჯერ აღემატებოდა. ამის გარდა, მის განკარგულებაში იყო მძიმე არტილერიის ბატარეა. პოზიციის ცენტრში პოლკის უფროსის ადგილსამყოფელი იყო, ტელეფონით უკავშირდებოდა ყველა ერთეულის უფროსებს. გვერდით, თხრილებში მოთავსებული ჰყავდა მცირერიცხოვანი მარაგი პოლკის დამხმარე ერთეულისგან. შუალამე გადასული იყო, ყველაზე გართულებული მდგომარეობა ჩვენ მარცხენა ნაკვეთზეა, რომელსაც ათასეულის უფროსი მაიორი ბეშჩანინი განაგებდა. ხშირ-ხშირად გვირეკავს გაჭირვებას გვამცნობს, დახმარებას თხოულობს. არტილერიის, ტყვიამფრქვევთა, ხელყუმბართა ქარცეცხლში ვართ ჩვენცა და მაიორ ბეშჩანინის ერთეულიც. ვეღარ ვუძლებთ, უნდა დავიხიოთ, გადმოვცვა ტელეფონით და ტელეფონით კავშირიც შეწყდა.

უკუიერიშზე გადავდივართო, გვიბრძანა პოლკის უფროსმა. წამოაყენეთ მარაგი და მომყევითო. სამზადისში მყოფი ტკბილ ძილსმიცემული ჯარისკაცები სწრაფად წამოვაცენეთ და გაშლილ ფრონტად მივიწვიეთ წინ. მაწინძრევა ზარბაზნის ყუმბართა აფეთქებისგან ჩვენ წინ და ჩვენ წყობილებაში. გერმანელებს ჩვენი შეჩერება სურთ. ეცემიან დაჭრილ-დახოცილნი, რამდენიმე წუთის წინ ტკბილად მძინარე ჯარისკაცები. მივიწვიეთ წინ, უკან ვაბრუნებთ დახვევაზე გადასულ ათასეულს. ჩავებით ხელჩართულ ბრძოლაში. ორვე მხრივ უღმობლობაა. ჩასაფრებული გერმანელები დიდ ზიანს გვაყენებენ, მათმა გვამებმაც დაფარა გარემო დაჭრილ-დახოცილებით. ხელჩართულ ბრძოლას ვერ უძლებენ, გარბიან, მიგდევთ ათასეულის პოზიციის აღდგენამდის.

მეორე შემთხვევა.

პოლკი პოზიციებს იცვლის, დილაა. პოლკის უფროსთან ერთად მოტიციკლებით ერთეულების მოძრაობას ვამოწმებთ და ვაწესრიგებთ. ვართ გზის იმ მონაკვეთში, რომელიც ორ ხშირი ტყვით დაფარულ ფერდობზეა ვიწროდ



მოედინება. გვესმის ყუმბარათა აფეთქების ხმა და რას ვხედავთ? შემოჭრილა ამ ტყიან სიციწროვეში ექვსცხენშებმული არტილერიის ყუმბარათა მზიდი ერთეული და ქუხილი გააქვს ყუმბარათა აფეთქებას. ცხენების ყოველ წინ წამოწევაზე ფეთქდება მიწაში ჩამარხული ნაღმები. ერთმანეთში იხლართებიან და ერთმანეთს მიათრევენ დაჭრილი, სისხლში ამოსვრილი, ზოგჯერ ნახევარფხმოგლეჯილი ცხენები. სხედან თავის ადგილზე თავის ქალა ახდილი მძღოლები, ხელებში ვაკყინებთ აღვირების თასმები. გამოსავალი არ არის არც წინ, არც უკან, არც ადგილზე მობრუნება არ შეიძლება. ამ ვითარებაში, რომელიდაც ნაცვლის ტანსაცმლიანი ჯარისკაცი: თოფით ხელში სირბილით მიჰყვება ცხენთა რიგს და ყველა ცხენს, მიუხედავად ამისა, დაჭრილია თუ არა, სიცოცხლეს უსპობს. ამ საშინელების მაქკერალს გული მწყდება, რომ შველის აღმოჩენა არ შემეძლო. დღეს ამ განცდის მოგონება თვალწინ მიყენებს ტირიფონის ველზე გაყინულ უდანაშაულო ცხვრის ფარას, რომელიც ამავე ომის წყალობით იღუპებოდა.

3. **ღვით ლადიქ:** ჯერ არტილერიის კაპიტანი და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელდამათარებული ინტენდანტი. საბერძნეთში ყოფნის დროს ჯგუფის უფროსი, მაღალი ზნეობის ადამიანი, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით ამხანაგების, უფროსების და პოლონელი საზოგადოების წრეში, რომელთა-ნაც კავშირი გააბა და დიდად მიღებულიც იყო. ჰქონდა მშვენიერი ხმა და თავის სიმღერით არაერთი სიამოვნება მოუგვრია მსმენელისათვის. ცოლად შეირთო ექიმ ივანე გომართელის ქალი პარიზის ემიგრაციაში მყოფი თამარი და მასთან ერთად, ომის დამთარების შემდეგ, პარიზში გაიხიზნა.

1936 წელში ალყაშემორტყმულ ვარშავის მცხოვრებლებს და ჯარს დიდი დახმარება გაუწია, როგორც საინტენდანტო დარგის მუშაკმა. სამხედრო საწყობებიდან ამარაგებდა მათ სანოვავით. იუნკერთა კავშირში მუდამ ვირჩევდით გამგეობის თავმჯდომარედ და ისიც სამაგალითოდ ასრულებდა თავის როლს ჩვენი ერთსულოვნების და ძმური კავშირის დამყარებაში. გარდაიცვალა და დასაფლავებულია პარიზში.

4. **აბაშიძე ვახტანგი.** მე-13 ქვეითი პოლკის კაპიტანი. გერმანელებთან ომში მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში ვარშავის მიდამოებში. გერმანელების ოკუპაციის დროს მონაწილეობას იღებდა გერმანელებთან ბრძოლაში „არმია კრაიოვას“ (სახალხო ლაშქრის) რიგებში. ომის შემდეგ გაიხიზნა გერმანიაში, სადაც გარდაიცვალა.

5. **ხუნდაძე გენადი:** გერმანელებთან ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო 25-ე ქვეითი პოლკის შემადგენლობაში. პოლონეთის ოკუპაციის დროს მონაწილეობდა პარტიზანულ ბრძოლებში. დაიღუპა პარტიზანთათვის სამხედრო-აღჭურვილობის მოპოვების დროს. დასაფლავებულია პოლონეთში.

6. **მრეველიშვილი გიორგი:** კაპიტანი, იბრძოდა გერმანელებთან ქვეითი ჯარის 25-ე პოლკში. გარდაიცვალა და დასაფლავებულია გერმანიაში.

7. **ციბაძე ლადო:** ქვეითი ჯარის ლეიტენანტი. იბრძოდა ლიუბლინის ქვეითი ჯარის პოლკის რიგებში. პოლონეთში შემოსვლისას ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და 10 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. გადასახლებიდან დაბრუნებული სუსტი და დასნეულებული, გარდაიცვალა და დასაფლავებულია ქალაქ ლიუბლინში.

8. **ლობუანიძე ილარიონი:** ქვეითი ჯარის კაპიტანი, დამათარა უმაღლესი საინტენდანტო სასწავლებელი. მონაწილეობა მიიღო გერმანელებთან ბრძო-

ლაში. ომის შემდეგ დასახლდა დასავლეთ პოლონეთში, სადაც ცხოვრობს დღემდის.

9. **ჯავახიშვილი გიორგი:** ქვეითი ჯარის კაპიტანი. იბრძოდა გერმანელებთან, ჯერ პოლონეთში და შემდეგ დასავლეთში ინგლისის მხრიდან, როგორც ათასეულის უფროსი, გარდაიცვალა და დასაფლავებულია ინგლისში.

10. **სომხიანცი მელიქი:** ტომით სომეხი, საქართველოს ერთგული, გერმანელებთან ბრძოლებში მონაწილეობდა პოლონეთის ტერიტორიაზე და ინგლისის მხრიდან. ცხოვრობს ინგლისში.

11. **კაკაბაძე ილია:** ქვ. ჯარი.

12. **ბახუტაშვილი:** გარდაიცვალა 1922 წელს პოდხორუნეების სკოლაში ყოფნისას. დასაფლავებულია ვარშავაში.

13. **კეჯელი ლევანი:** გარდაიცვალა 1922 წელს პოდხორუნეების სკოლაში ყოფნისას, დასაფლავებულია ვარშავაში.

14. **ბალახვანელი სველი:** ქვეითი ჯარის ლეიტენანტი. მსახურობდა ქვეითი ჯარის 33-ე პოლკში ქალაქ ლომჟაში. გარდაიცვალა 1939 წლამდის. დასაფლავებულია ქალაქ ლომჟაში.

15. **თინიკაშვილი ბორისი:** ემიგრანტობა ვერ აიტანა და ფსიქიკურად დაუადამყოფებული დაბრუნდა საქართველოში 1922 წელს.

16. **ახულაძე პროკოფი:** არტილერისტი, გაანება სამხედრო სამსახურს თავი. გადასახლდა პარიზში, სადაც გარდაიცვალა.

17. **კიკიანი —**

18. **ყიფიანი დავითი:** ქვეითი ჯარის კაპიტანი. სამხედრო აკადემიადამთავრებული. მსახურობდა ქალაქ რუჟანის სამხედრო სასწავლებელში ინსტრუქტორად. თავი მოიკლა 1939 წლამდის და დასაფლავებულია რუჟანში.

19. **ყიფიანი:** ქვეითი ჯარის ლეიტენანტი. გარდაიცვალა 1939 წლამდის. დასაფლავებულია ქალაქ ლომში.

20. **რატიშვილი ტატი:** არტილერიის კაპიტანი. სამხედრო აკადემიადამთავრებული. ნიჟიერი, მუსიკის მოყვარული, მათემატიკის ღრმად მკოდნე. ბოლშევიკთა პოლონეთში შემოსვლის დროს დატუსაღებული, ბანაკში მოკლა დარაჯმა.

21. **ლაღიძე დიმიტრი:** მე-16 ცხენოსანი პოლკის ლეიტენანტი. 1939 წლამდის დაბრუნდა საქართველოში, სადაც 1930 წელს დახვრეტილ იქნა ბოლშევიკების მიერ.

22. **ლაღიძე ლადო:** სამხედრო აკადემიადამთავრებული არტილერიის კაპიტანი, იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ პოლონეთში, შემდეგ გენერალ ანდერსის ჯარების რიგებში დასავლეთის ფრონტზე. გარდაიცვალა და დასაფლავებულია ლონდონში.

23. **ფურცელაძე პავლე:** არტილერიის კაპიტანი. მსახურობდა მსუბუქი არტილერიის პოლკში კრაკოვში. იბრძოდა პოლონეთის ტერიტორიაზე, შემდეგ დასავლეთის ფრონტზე.

24. **წითლანაძე თადეოსი:** არტილერიის კაპიტანი. მსახურობდა მსუბუქი არტილერიის მე-17 პოლკში, ქალაქ გნეიზნოში, ცხოვრობს დასავლეთ პოლონეთში.

25. **ზაუტაშვილი იოსები:** არტილერიის კაპიტანი, მსახურობდა მსუბუქი არტილერიის პოლკში კრაკოვში. ომის შემდეგ იყო ინსტრუქტორად საარტილერიო სასწავლებელში. შეილთან ერთად დაიღუბა ავტომანქანის კატასტრო-



ფაში. დაჯილდოებული იყო მოქანდაკის ნიჭით. დატოვა ამ დარგში მრავალი ნატიფი ნამოღვაწარი.

26. **თაყაიშვილი პლატონი:** მფრინავი, საწინააღმდეგო არტილერიის კაპიტანი. ომის შემდეგ პოდპოლკოვნიკი, საპაერო ჯართა თვედაცვის უფროსი. ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ დასახლდა ქალაქ პოზნანში. სადაც გარდაიცვალა.

27. **ნიკოლაძე შოთა:** არტილერისტი. 1939 წლამდის დატოვა სამხედრო სამსახური, გადასახლდა პარიზში, დაამთავრა უნივერსიტეტი და მსახურობდა ინჟინერ-ელექტრიკოსად. გარდაიცვალა პარიზში.

28. **ბოჭუჩაძე გრიგოლი:** მიატოვა სამხედრო სკოლა. გადასახლდა გერმანეთში. შემდეგ დაბრუნდა ვარშავაში, სადაც გარდაიცვალა 1939 წლამდის.

29. **მახარაძე ლადო:** არტილერიის კაპიტანი. სამხედრო აკადემიადამთავრებული. იყო პოლონეთ-გერმანიის ომის პირველი მსხვერპლი. გერმანელებმა ომის გამოცხადებამდის პოლონეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე მოაწყვეს პროვოკაციული სამხედრო გამოსვლები. ის, როგორც დივიზიის შტაბის უფროსი, თავის დივიზიის უფროსთან ერთად ავტომანქანით წავიდა მდგომარეობის ადგილზე შესამოწმებლად. გზაში წააწყდნენ მიწაში ჩაფლულ ნაღმს და ორივენი დაიღუპნენ.

30. **დადიანი მიხეილი:** კავალერიის ლეიტენანტი. მსახურობდა ლეივის ცხენოსან პოლკში. ისეთი გაწრთვნილი ცხენი ჰყავდა, რომ ხალხით სავესე ყავახანაში ცხენდაცხენ შედიოდა. დარბაზში მდგომებს შემოუვლიდა ვისიმე შეუხებლად, და გამოვიდოდა გარეთ. დაანება სამხედრო სამსახურს თავი, გადასახლდა პარიზში და შემდეგ, ვგონებ, ამერიკაში, სადაც უნდა ცხოვრობდეს დღემდე.

31. **ერისთავი:** დატოვა სამხედრო სამსახური და გარდაიცვალა პარიზში.

32. **იაშვილი:** ერთ-ერთი ცხენოსანი ჯარის ლეიტენანტი. მსახურობდა მე-7 ცხენოსანთა პოლკში პოზნანში. პოლონეთში შემოსავლისას ბოლშევიკებმა დაატუსაღეს და 10 წლით გადასახლება მიუსაჯეს ციმბირში. იქ ჰავა ვერ აიტანა, დაჰქექდა. ნება მისცეს თბილისში ძმასთან დაბრუნებისა, სადაც გარდაიცვალა.

33. **ბაქრაძე ივანე:** მე-17 ულანთა პოლკის როტმისტრი, მიიღო მონაწილეობა გერმანელებთან ომში. ომის შემდეგ დასახლდა ევროპაში.

34. **უგრეხელიძე ვიტალი:** როტმისტრი, ცხენოსანი, მსახურობდა ლეოვში, მიიღო მონაწილეობა გერმანელებთან ბრძოლებში. ომის შემდეგ დასახლდა ლონდონში, სადაც დაავადდა ფსიქიურად.

35. **ჩხეიძე დავითი:** როტმისტრი, მსახურობდა მე-6 ცხენოსანთა პოლკში ჟულკევში. გარდაიცვალა 1939 წლამდის. დასაფლავებულია ქალაქ ლეოვში.

36. **ჩხეიძე გრიგოლი:** როტმისტრი, მსახურობდა ულანთა მე-2 პოლკში პოზნანში. გარდაიცვალა 1939 წლამდის და დასაფლავებულია პოზნანში.

37. **კობიაშვილი სვიმონი:** სამხედრო აკადემიადამთავრებული. გერმანელებთან ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო როგორც ბრიგადის შტაბის უფროსმა. მისი ბრიგადის უფროსი თავის მოგონებებში დადებითად აფასებს მას. როგორც ჩინებულ მხედარს და შტაბის ოფიცერს, ომის შემდეგ დასახლდა ამერიკაში, სადაც გარდაიცვალა.



38. **კვალიაშვილი მიხეილი:** მე-15 ულანთა პოლკის როტმისტრი. მსახურობდა პოზნანში. ბოლშევიკებმა პოლონეთში შემოსვლის დროს დაატუსაღეს და 10 წლით ციხიბრში გადაასახლეს. შემდეგ კიდევ ერთი წელიწადი მიუმატეს. 11 წლის შემდეგ პოლონეთის მთავრობამ გადასახლებიდან დააბრუნა პოლონეთში, მისცეს ბინა, გაუწიეს დანაშაულები და პოდპოლკოვნიკის ხარისხი მიანიჭეს. ამით დიდი შვება მისცეს მის მუხლს, რომელიც 3 პატარა ქალიშვილით ვაჭირვებით ცხოვრობდა. ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ მუშათა პოზნანის სამხედრო მუზეუმში დირექტორის მოადგილეს თანამდებობაზე დაინიშნა. მოახერხა ფართო კავშირის გაბმა ყველა ქართულ კულტურულ კერებთან საქართველოსა და მის გარეთ, აგრეთვე კერძო მოღვაწეებთან. შუამდგომლობდა მათ მიერ ურთიერთკავშირის დამყარებასა და შრომათა გაცვლა-გამოცვლაში. დაწერა და გამოქვეყნება ვერ მოასწრო შრომა ქართველ კათოლიკეთა ვინაობაზე საქართველოში. გარდაიცვალა ქალაქ პოზნანში. რამდენად გულმოდგინე პატრიოტი იყო და მისი ჭირვარამის მოჭირნახულე ჩანს მის მიწერ-მოწერიდან. მოვიყვან აქ ერთ მათგანს დათარიღებულს 1967 წლის 7 თიბათით: „ორიოდე სიტყვა ჩემი თავგადასავლიდან. ვიყავი ა. კ-ს (არმია კრაიოვა) რიგებში 1945 წლამდე. როდესაც პოზნანში პოლონეთის ჯარი შემოვიდა, გამოვცხადდი და ისევ მის რიგებში ჩავდექი. 1945 წლის 5 აპრილს, საბჭოთა ნ. კ. ვ. დ-მ ბევრი ძველი ოფიცერი დაატუსაღა და მათ შორის გრიშა იაშვილი და მეც. მიგვისაჩეს რუსეთის ჩრდილოეთ წრეში 10 წლით გადასახლება. იქ მეორედ გამასამართლეს და კიდევ ერთი წელიწადი დამიმატეს. ნიჩბით და წერაქვით გვამუშავებდნენ ქვანახშირის საბადოებში. სასჯელის მოხდის შემდეგ კიდევ 13 თვე ველოდი პოლონეთში დაბრუნების ნებართვას და ბოლოს 1956 წლის 5 სექტემბერს დაეუბრუნდი ოჯახს. რაც მე იქ ავიტანე აქ ვერ ავიწერ. საწყალმა გრიშამ ყველაფერი ეს ვერ აიტანა. ჯერ ფილტვების გაგანეირება დაემართა, შემდეგ გულზე გადავიდა და საქართველოში თავის ძმა სიმონიკასთან დაბრუნდა, გეხსომება ჩვენი ამხანაგი უმცროსკურსელი იუნკერი. საქართველოში ჰავის რადიკალური შეცვლა ვერ აიტანა და 1955 წლის 15 ნოემბერში გარდაიცვალა. მე 1956 წ. სახლში დავბრუნდი და რომ მოვიგონებ რაც გადამხდა, მივივს რომ ცოცხალი ვარ. მომცეს მაიორის ხარისხი და სათანადო პენსია პოზნანში პატიკო თაყაიშვილის ჯარიდან განთავისუფლებული სამხედრო პენსიით, იმისგან გავიგე, რომ შენ. მაიორები ალავიძე და არონიძე, ტურაშვილი, წითლანაძე აქა ხართ. კავშირში ვარ ტოლიკო უგრეხელიძესთან და მისი საშუალებით ინგლისში მყოფ კიკნაძესთან, ხელაძესთან, ვალოდია ლალიძესთან, ჯავახიშვილთან. პარიზში კი ოდიშელიძესთან, კუკური თოხაძესთან, სიმონიკა აბაშიძესთან, შოთა ნიკოლაძესთან, ვანო ბაქრაძესთან და ვანო ვაჩნაძესთან. ამერიკაში კი მივაგენი შაქრო ცერცვაძეს, სიკო კობიაშვილს, მიშა დადიანს. ვანო ნაწულაშვილს. თოხაძე მთხოვს აქ მყოფ იუნკერთა და მათი ოჯახის მდგომარეობაზე მივწერო რამე. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომავალში იუნკერთა კავშირი აღსდგება და თავის პატრიოტულ მუშაობას განაგრძობს. შენ როგორმე თავს მოუარე. ვინ იცის ხვალ რა იქნება. მხედარი მოვალეობის შესრულებისთვის მუდამ მზად უნდა იყოს. გადასახლებული ქართველებისაგან ვიცი, რომ საქართველოში იუნკერთა კავშირის არსებობა იციან. ახსოვთ ტაბახმელა და ამ პატარა გუფთზე დიდ იმედებს ამყარებენ“.



ეს და სხვა ამგვარი წერილები ბევრი მაქვს მისგან მიღებული. ყველაგან საქართველოს აწმყოს და მომავალს დასტრიალებს, მის ავ-კარგს აშუქებს და მომავალს იმედით შესცქერის. ეს მოგონებები მისი თანავეტორობით უნდა დაგვეწერა. მისგან ვსაჭიროებდი მხოლოდ ცნობებს იუნკერთა ვინაობაზე, რაც მან პირნათლად შეასრულა და თანავეტორობა დაიმსახურა.

39. **ნაცვლიშვილი ფარნაოზი:** როტმისტრი, მსახურობდა 99-ე ულანთა პოლკში ქალაქ გრეკოში. 1922 წელს პოლხორუნიების სკოლაში ყოფნის დროს სკოლას ეწვია საფრანგეთის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი (გვარი არ მახსოვს). მის პატივსაცემად სკოლამ სამხედრო მეცადინეობა მოაწყო რემბერტოვის პოლიგონზე. ნამდვილი ტყვია-წამლით, ხელყუმბარით, ნაღმტყორცნელებით და ზარბაზნებით. ნაცვლიშვილს ამ მეცადინეობაში წარმოების დროს ერთი ყუმბარა ლულაში გაეჭვდა. ფარნაოზმა მას ნიჩაფი დაარტყა რომ ყუმბარა თავის ადგილზე შეეგდო. ყუმბარა აფეთქდა და მარცხენა თვალი ამოუგდო. ცალთვალი განავრძობდა ჯარში სამსახურს. გერმანელებთან ომში მონაწილეობა მიიღო, მოხედა ლიტვაში, იქიდან გერმანელების მიერ ოკუპირებულ პოლონეთში გადმოიპარა. გაჭირვებულ ცხოვრებას ეწეოდა. გადავიდა დასავლეთში და იქიდან ებრძოდა გერმანელებს. ფრანგმა გენერალმა მეცადინეობის შეფასებისას ასეთი აზრი გამოთქვა: ბევრ ომში მიმიღია მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომშიც, მაგრამ ასეთ ზმაურნიან და სასტიკ ბრძოლას პირველად ვხედავო.

40. **ხელაძე:** ლეიტენანტი. მიიღო ბრძოლებში მონაწილეობა პოლონეთში და ინგლისის მხრიდანაც.

41. **სხირტლაძე არკადი:** კაპიტანი, მფრინავი. დიდიუბა გერმანელებთან საჰერო ბრძოლაში 1939 წელს. ვარშაის აჯანყებისას, ერთ-ერთ ჯვარედინ ქუჩაზე იბოვეს 12—13 წლის გოგონას გვამი, შეგვარდნის სამოსში გამოწყობილი, ჩანთაში ჩამოსარიგებელი სამხედრო ბრძანებები ედო დანიშნულებისამებრ გადასაცემად. ამბავმა საქართველოს მიაღწია. დანტერესდნენ და წერილით ქართველოლოგ პროფესორ ბრაუნს მიმართეს. მას კი მე აუფხსენი ვისი შვილიც იყო ეს ქალიშვილი. საქართველოში პოეტმა ბატიაშვილმა მას ლექსი უძღვნა, რომელიც ოჯახს გადაეუთარგმნე. სხირტლაძის რაჰველმა ნათესავებმა ქვრივი საქართველოში მიიწვიეს. დიდი პატივი სცეს და, ალბათ, მათ შორის ურთიერთობა დღემდის არ შეწყვეტილა.

42. **აღნაშვილი დიმიტრი:** ქვეითი ჯარის ლეიტენანტი. გარდაიცვალა 1939 წლამდის, დასაფლავებულია ვარშავაში.

43. **ყაზბეგი ირაკლი:** ჯავშნოსანთა ერთეულის ოფიცერი. მეტად ნიჭიერი და დიდი მომავლის პიროვნება, გარდაიცვალა 1939 წლამდის.

44. **ლომიძე ვიქტორი:** მეზღვაური, კომანდორი. გერმანელების ტყვეობიდან „ლა მანშ“-ის სრუტე გადაცურა და ინგლისში მყოფ პოლონურ ჯარებთან იბრძოდა გერმანელებთან. იყო წარმოსადეგი, ნიჭიერი, გულადი პიროვნება, გარდაიცვალა ინგლისში.

45. **კიკნაძე მიხეილი:** ქვეითი ჯარის კაპიტანი, იბრძოდა პოლონეთში და ინგლისში. ვგონებ ცოცხალია და ცხოვრობს ინგლისში.

46. **თუმანიშვილი:** მეზღვაური.

ამგვარად, პოლონეთის დანმარების წყალობით მის ჯარში სამხედრო



ცოდნას ეწაფებოდა 35 უფროსი ოფიცერი და 46 იუნკერი, სულ 81 მხედარი. ამათგან 15-მა დაამთავრა სამხედრო აკადემია და ოთხმა უმაღლესი საინტენდანტო სკოლა. გარდა ამისა, ყველა უფროსმა ოფიცერმა გაიარა ქვეითი ჯარის ათასეულის უფროსის და სხვა დარგის სპეციალური სასწავლებლები. ამგვარად, რიცხობრივადაც და ცოდნითაც საგრძნობ ძალას წარმოადგენდით. რომ დაგვცლოდა და დამოუკიდებლობა მოგვეპოვებინა უსათუოდ დადებით ზეგავლენას მოვახდენდით ქართული ჯარის შექმნაზე.

როდესაც 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანელები თავს დაესხნენ პოლონეთს, პოლონეთმა თავისი ჯარი ამოქმედა, ქართველ ოფიცერთა დაზოგვის მიზნით მათ აზრად არა ჰქონიათ ჩვენი ომში გაწვევა. ოღონდ ჩვენ ყველამ თხოვნები შევიტანეთ ჯარში გასაწესებლად. ამით გვინდოდა ნაწილობრივ მაინც გადაგვეხადა ჩვენზე გაწეული ზრუნვა. შედეგად აკადემია დამთავრებულები შტაბებში მოხდნენ. დანარჩენებმა მიიღეს მონაწილეობა თავთავიანთ ერთეულებში ხარისხის შესაბამის თანამდებობაზე. ცნობები იმაზე თუ რა მოიმოქმედა ყოველმა მათგანმა გაბნეულია პოლონელ ოფიცერთა და ერთეულების უფროსთა მოგონებებში და ზედმეტი არ იქნება მათი ამოკრეფა და სამუხეუმო არქივში შენახვა. ჩემი მოგონებები ომის შესახებ ინახება ქალაქ პლოცის მახლობლად მდებარე სოფელ „დობეიკოვოს“ ჰირველ-დაწყებით სკოლაში, სადაც მოწყობილია პატარა სამხედრო მუზეუმი და სკოლას დობეიკოვოს დამცველთა სახელი ჰქვია.

პოლონეთი დამარცხდა და გერმანელთა ოკუპაციაში მოხვდა. ბრძოლა მათ არ შეუწყვეტიათ. შექმნეს პარტიზანული რაზმები, რომელშიც ქართველი ოფიცრებიც იღებდნენ მონაწილეობას.

როდესაც 1939 წელს გერმანელები ვარშავას მიადგნენ, ვარშავა თავდაცვისათვის მომზადებული არ აღმოჩნდა: არც ჯარი, არც იარაღი და არც უფროსი. ვარშავის დაცვა იცირა საერთოდ ცნობილმა აკადემიის პროფესორმა პოლკოვნიკმა პორვიტმა და მოკლე ხანში შექმნა ქალაქის დაცვისთვის საჭირო ჯარიც, იარაღიც და პოზიციებიც. ვარშავის დაცვაში მონაწილეობა მიიღეს ქართველთაგან პოლკოვნიკმა თევზაძემ, მაიორებმა არონიშიძემ და ალავიძემ და კაპიტანმა დათო ლალიძემ.

ვარშავის თავდაცვის წრე გაყოფილ იქნა 4 ნაწილად და 1/4 ამ წრისა პოლკოვნიკ თევზაძის განკარგულებაში იყო. მის მეზობელ ნაკვეთში 1/3 ეკავა მაიორ არონიშიძეს, როგორც ათასეულის უფროსს. პოლკოვნიკ პორვიტის მოგონებებში ორივენი მოხსენიებულები არიან დიდი ქებით და მძღლობის გრძნობით. მაიორმა ალავიძემ და კაპიტანმა ლალიძემ დიდი დახმარება გაუწიეს ალყაშემორტყმულ და დამშუულ ვარშავას სანოვაგის მოწოდებით. ამგვარად ვიბრძოდით და ვიხდიდით ვალს პოლონეთის მიერ გაწეული დახმარებისათვის.

ტექნიკურმა და რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა, პოლონეთი ძლეულ იქნა და გერმანელების ოკუპაციაში მოექცა. მიჰყვეს გერმანელებმა ხელი თავის მიზნების განხორციელებას. მთავარი მიზანი კი იყო: პოლონეთის სახელმწიფოებრივი სახე მოესპოთ, მოსახლეობა ამოეწყვიტათ ან შავ მუშებად გადაექციათ. მიწები ჩამოერთმიათ და გერმანელებისთვის გადაეცათ, ასევე სამრეწველო მოწყობილობანი. იწებოდა, ისპობოდა და იძარცვებოდა საუკუნეებით შექმნილი კულტურის ძეგლები, სასახლეები, ეკლე-



სიები, მუზეუმები, წიგნთსაცავები. იჭრდნენ ქუჩებში ან სახლებიდან გამოპყავდათ ახალგაზრდა პოლონელები და სადღაც აჭრობდნენ. სად იყო ამ დროს საერთოდ აღიარებული გერმანელი ხალხის კულტურა? ძარცვა-გლეჯასა და სხვისი ქონების მითვისებაში უკლებრივ მონაწილეობდნენ ყველა პოლონეთში მცხოვრები გერმანელები.

ცხადია, ყველაფერ ამას პოლონეთის მოსახლეობა გულგრილად ვერ შეხვდებოდა და სადაც შეეძლო და როგორც შეეძლო წინააღმდეგობას უწევდნენ, გამრავლდა შეთქმულთა საიდუმლო კავშირები, ამოძრავდნენ პარტიზანული რაზმები, უფეთქებდნენ ხიდებს, საწყობებს, რკინისგზის ქსელს, ტრანსპორტს. ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველებიც და მათაც არ აცდათ უღმობელი სასჯელები. დახვრიტეს ვარშავაში მცხოვრები არქიმანდრიტი გრიგორ ფერაძე. სახლიდან გამოიყვანეს და სადღაც დახვრიტეს წვრილშვილიანი ოჯახის პატრონი, პოლიტიკის გარეშე მღვდომი, ხნეფი ათაბეგშვილი. დაატუსაღეს, საპყრობილეში ჩაავადეს ინჟინერი ხირსელი, პარტიზანთათვის იარაღის მოპოვებისას დაიღუპა კაპიტანი ხუნდაძე.

ვინ და რამდენი ქართველი იყო ჩაბმული პარტიზანულ მოქმედებაში ან ითვისებოდა საიდუმლო სამხედრო კავშირის წევრად დანამდვილებით არ ვიცო. ეს კი ვიცი დანამდვილებით, რომ მათ შორის იყვნენ: პოლკ. თევზაძე, მაიორები არონიშიძე და ალავიძე, კაპიტანი ფ. აბაშიძე, როტმისტერი მ. კვალიაშვილი, გენადი ხუნდაძე და მე. საერთოდ აჯანყების გამოსვლისთვის კადრები უკვე მომზადებული იყო. ერთ-ერთი ასეთი დივიზიის შტაბი ჩემი ყოფილი პოლკის უფროსის თაოსნობით მთლიანად ქართველებისგან შედგებოდა. ესენი ვიყავით: შტაბის უფროსი პოლკ. თევზაძე, საოპერაციო დარგის უფროსი გენ. შტაბის ოფიცერი ვახტანგ აბაშიძე, დანიშნულ ნიშანზე დივიზიები ერთდროულად უნდა გამოსულიყვნენ, უცდიდნენ მხოლოდ ფრონტისა და საბჭოთა ჯარების მიახლოებას. მოხდა ისეც და ვარშავა აჯანყდა. საბჭოთა ჯარებმა შეაჩერეს წინსვლა. ვარშავის მეგრძოლებს ბრძოლა ძნელ პირობებში მოუხდათ. საერთო აჯანყება შეაჩერეს და ჩვენი დივიზიაც არ გამოსულა.

ტყეში მყოფნი თვალყურს ვადევნებდით საერთო მდგომარეობას და ვარშავის ბრძოლებს. აჯანყებულთა რადიოგადაცემებიდან ვიცოდით, რომ გერმანელებმა თავისი და ტყვეთ ჩავარდნილი უკრაინელი გენერალ ვლასოვის ჯარით ალყა შემოარტყეს ვარშავას და ნაწილ-ნაწილ წმენდნენ აჯანყებულთაგან. ისე გერმანელები, როგორც უკრაინელები აჯანყებას სასტიკად აჭრობდნენ. სწევდნენ უზნებს. სახლებიდან გამოიყვანილ მამაკაცებს ადგილზე ხოცავდნენ. ქალებს აუპატიურებდნენ, ქონება ვაჭკონდათ, უბანზე შეტევისას წინ ბაშეებს და ქალების იმძლეარებდნენ. პოლონელები მათ სროლას არ აუტყვნენ და მათი საფარის დახმარებით უბანში შევადწევითო.

რაკი დივიზიის გამოსვლაზე არაფერი ისმოდა, ვადგწყვიტე მოვალეობა გადამებარებინა და ვარშავაში წავსულიყავი ქართველების დასახმარებლად. ვარშავიდან 20—25 კილომეტრის დაშორებით ბინა მქონდა დაქირავებული. ვარშავა იწვოდა. მის თავზე კუპრივით შავი ბოლი დაწოლილიყო. ბომბდამშენი თვითმფრინავები დასტრიალებდნენ თავს და დაუზოგავად უშენდნენ ბომბებს. გერმანელებს ორი ბანაკი მოეწყოთ. ერთი თვით ვარშავაში და მეორე ქალაქის მახლობელ დაბა პრუშკოვში. დაკავებული უზნებიდან გამოიყვანილ ხალხს ჯერ გაატარებდნენ ბანაკში, რომელსაც „ბელენიაკი“ ერქვა. აქ

გაძარცვულები, გაუპატიურებულები მეორე ბანაკში გადაჰყავდათ. თუ გსურდა ვისიმე ამბის გაგება ამ ბანაკს უნდა დაკავშირებოდით. და მეც ასე მოვიქეცი. ტელეფონის ელექტრონის ბოძები საცეცხე იყო მოკლე განცხადებებით. თხოულობდნენ ვარშავაში ჩარჩენილ ნათესავთა ამბავს. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. ეკლესიები საცეცხე იყო მლოცველებით. რამდენიმე დღე გავტარე ბანაკის კარიბჭესთან, მაგრამ ჩემს ოჯახსა და ქართველებზე ვერაფერი ვიცი. მანამ ვერ მოვიპოვე. რაკი დავრწმუნდი, რომ აქ დგომა შედეგს არ იძლევა, წერილობით ვაცნობე ბერლინის ქართველობას რა ვითარებაა აქ შექმნილი და ვთხოვე, რომ ზომები მიეღოთ ქართველთა ტანჯვისა და გვემის ასაცილებლად. პასუხად ორ თუ სამ დღეში ბერლინიდან ჩამოვიდა პროფესორი გიორგი ნაკაშიძე, გერმანიის ხელისუფლების მიერ უფლებამოსილი, დახმარება გაეწია ბანაკში მოხვედრილ ქართველთათვის. ვარშავაში დაჰყო მან რამდენიმე დღე. დაბრუნდა ბერლინში და თავისი რწმუნებულობა მე გადმომილოცა. ამ დღიდან უფლება მქონდა ბანაკში შევსულიყავ ქართველები გამომეყვანა და გზა მიმეცა.

ის რაც ბანაკში ხდებოდა უკიდურესად გულქვა ადამიანებსაც კი გულს აუჩქროლებდა. დალილინი, ხშირად დაჭრილინი, იმედგაცრუებულნი, ფიზიკურად ვატეხილინი ღამეებს ეზოში ატარებდნენ. თუ ვინმეს რაიმე საგნალი გამოჰყავ ერთმანეთს უზიარებდნენ. ღვთის ანაბარა დარჩენილინი ავლა-დიდებას შესტიროდნენ და თავიანთ მძიმე თავგადასავალს ერთმანეთს უზიარებდნენ. ჯოჯოხეთი იწყებოდა გათენებისას. მთელი ეს ხალხი ჯგუფებად უნდა დაეყოთ, სატვირთო ვაგონებში მოეთავსებინათ და ბანაკიდან მოეშორებინათ. როგორც შევამჩნიე ხალხს სამ ჯგუფად ანაწილებდნენ:

1. შრომისთვის გამოსადეგი ახალგაზრდობა; 2. დაჭრილები, ავადმყოფნი, ბრძოლების მონაწილენი; 3. ხანში შესულნი და მუშაობისათვის გამოუსადეგარნი.

დანაწილებას აწარმოებდა მაღალი ხარისხის გერმანელი. მის წინ უნდა გაეცლო ყველას და ის თითოთ მიაწინებდა საით წასულიყო და რომელი რიგში ჩამდგარიყო. ბევრთა ვინაობას, ოჯახის წევრობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მათ ერთმანეთს ამორებდნენ, ცალ-ცალკე მიავლენდნენ. ერთმანეთთან გამოშვიდობების ნებას არ აძლევდნენ, თუმცა ბევრი მათგანი, ალბათ, უქანასკნელად ხედავდა ერთმანეთს.

შესაბრალონი იყო ძალთა ბედი ბანაკში. პატრონ გამოყოფილებმა არ იცოდნენ ოჯახის რომელ წევრს გაყოლოდნენ ვაგონამდის მიანც, თორემ ვაგონში მათ ვინ შეუშვებდა? რჩებოდნენ ეზოში უპატრონონი. მათი რიცხვი ყოველდღე მატულობდა ახალმოსულებით. ვაგონებისკენ წასვლისას ხალხი ჰყრიდა რგოლებზე ასხმულ ბინის გასაღებებს. ამ გასაღებებით საცხე იყო გზა. ძაღლები ალღოთი პოულობდნენ თავთავიანთ გასაღებებს, გვერდზე უწევებოდნენ ღმუილით გამოსთქვამდნენ ღვთის უბედობას და ელოდნენ. იქნება ჩვენი პატრონი ამ გასაღებებს დაუბრუნდებო. არც ერთი მათგანი მიძღარი არ იყო, მაგრამ მიწოდებულ საზრდოს არ ეტანებოდნენ, რაც მე პირადად გამოვცადე.

ვტრიალებდი ამ ჯოჯოხეთში და ბანაკიდან ყველა ნაპოვნი ქართველი გამოვიყვანე, არაერთხელ პოლონელებიც ქართველებად გამისაღებია და ბანაკიდან გამომიყვანია. პოლონელები თავთავიანთ ოჯახებში ბრუნდებოდნენ, ქართველები კი დასავლეთის გზას ადგებოდნენ. თითქოს ამდენი უბედუ-

რება საკმარი არ იყო, როდესაც ბანაყის კართან ახალი ტრანსპორტი ჩამოაყენეს, ბოლშევიკთა მფრინავმა ამ მატარებელს გადაუჭროლა და რამდენიმე ყუმბარა ჩამოყარა. საბედნიეროდ მიზანს ააციდინა და არავინ დაშავებულა. იყო ასეთი შემთხვევა: ვარშავის რომელიღაც საავადმყოფოდან დაჭრილებით სავსე მატარებელი ჩამოაყენეს. დაცალეს საჩქაროდ ვაგონი, დაჭრილები ლიანდავის პირას აქა-იქ მიყარეს. გამოიჭროლა ამ დროს გვერდითი ხაზით საჩქარო მატარებელმა. სადღაც ეჩქარებოდა, გაუჩერებლივ განავრძო გზა და ლიანდაგსა და მის გვერდით მწოლარე დაჭრილებს გადაუარა. ბევრი იყო ალბათ, ხელმეორედ დაჭრილები და დახოცილებიც. ძნელი წარმოსადგენია რა ზეგავლენას ახდენდა მაყურებელზე ამ უბედურების ცქერა.

ლიტერატურული საქართველოს 1984 წლის 30 მარტის ნომერში მოთავსებულია რევაზ ჯაფარიძის შეფასება ორი ქართული ფილმისა, რომელიც თბილისში უნახავს და რომლებსაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ეს ფილმებია „პირველად იყო სიტყვა“ და „ფურცლები ფრანგული ბრძოლების დღიურიდან“, ქართველ კინორეჟისორ თაბუკაშვილის მიერ. ფილმში „ფრანგული დღიურიდან“ მოთხრობილია ფაშისტებთან ბრძოლებში დაღუპულ ქართველთა თავგადასავალი. ესენი ტყვედ ჩავარდნილი და ფაშისტებთან ბრძოლაში ჩაბმული ქართველები არიან. ნაჩვენებია საბრძოლო თავგადასავალი პოლკ. დიმიტრი ამილახვარისა. „ის აფრიკაში ებრძოდა უდაბნოს მელად წოდებულ ფელდმარშალ რომელს. მისი საფლავი დარჩა ლიბიის უდაბნოში“-ო. მართალია პოლკ. ამილახვარი იუნკერი არ იყო, მაგრამ თავისი ცხოვრების გზით და ბედით იმავე ოჯახს ეკუთვნოდა.

დღეს უკანასკნელი უბიძივით, მარტოკა დარჩენილი 87 წელს გადაცილებული, საჭიროდ ვთვლი არ დავუკარგო საქართველოს ჩემ ამხანაგ იუნკერთა არსებობის, შრომის, ოცნებების, ჩატარებული ბრძოლების და დაღუპვის კვალი, რომ მომავალმა თაობებმა დაეიწყებას არ მისცეს ჩვენი მწარე ბედი და საკუთარ გულში ჩახედვით გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები.

მოგონებებში არ მომიხსენებია დაღუპულ ქართველ ოფიცერთა ოჯახები. მათი დაობლებული ცოლ-შვილი. ისინი მრავლად არიან მიმობნეულნი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ქართველობა არ დაუკარგავთ და გული განთავისუფლებული სამშობლოს მოხმარების გრძნობით უცემთ.

1987 წ. 16 თებერვალი



პალარი სილოვაპა

**დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძი დამოწმებული  
ძველი ქართული საბუთები და ანდერძის დამოწმება  
ძველ ქართულ საბუთებში\***

6. ცალკე განსახილველია ანდერძში დამოწმებული საბუთი, რომლის შესახებ ტექსტში აღნიშნულია, რომ შიომღვიმის მონასტერს „ძუჭლითგან ვითა სიგელი შეუვალობისაჲ აქუს ცხუართათუს უსაბანჯრობჳსაჲ, სამი ათასისა ცხურისაჲ მთას და ბარს“ (სტრქ. 73—74). ასეთი საბუთის არსებობა დასტურდება, აგრეთვე, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელით, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ცხუარნი მათნი და მათთა სოფელთა: ცხევრელთა, გავაზელთა, ციხედიდელთა და სხალტბელთანი, ვითა ძუელითგან უსაბანჯრონი ყოფილან, ევრეთვე ჩუენგან შეუვალნია და ნუვისგან აიღების საბანჯრე“ (ქისკ, I, № 11:55—58).

როგორც ვხედავთ, გიორგი III-ის სიგელში უკვე კონკრეტულადაა დასახელებული მონასტრის ის სოფლები — ცხევრეთი, გავაზნი, ციხედიდი და სხალტბა, რომელთაგან „გამოსული“ ცხვრისაგან, აგრეთვე, საერთოდ მონასტრის სხვა ცხვრისგანაც („ცხუარნი მათნი და მათთა სოფელთანი“ ტექსტში წარმოდგენილია, როგორც სხვადასხვა ერთეული) საბანჯრე გადასახადი, ე. ი. მატყლის ბაჟი, არ აიღებოდა.

სამწუხაროდ, არც შიომღვიმისადმი დავით აღმაშენებლის ანდერძის და არც ამავე მონასტრისადმი გიორგი III-ის სიგელის მიხედვით არ ჩანს, თუ ვისი გაცემული იყო ეს საბუთი, ან რა დროიდან ჰქონდა იგი მონასტერს. მაგრამ ერთი მაინც ცხადია, რომ, როგორც ჩანს, იგი, მართლაც, ძალიან „ძუჭლი“ უნდა ყოფილიყო, რადგან შეეხებოდა, როგორც ეს ზემოთ ვეცადეთ გვეჩვენებინა, მონასტრის მიერ სწორედ უძველეს დროს მოპოვებული სოფლებიდან გამოსულ ცხვარს. ამიტომ, პირობითად, შეიძლება ეს საბუთი VI—VII სს. დავათარიღოთ.

7. ანდერძის ტექსტში ერთგან აღნიშნულია, რომ „ასი ფური მომივსენებია, რომელ თრიალეთს, მათსა სოფელსა ბჭითს და ბჭითის ზეით სოფლებს და მათსა საფურესა მუხნარს დგეს“ (სტრქ. 79—80). მაშასადამე, ამ ცნობის მიხედვით, მონასტერს საფურე ჰქონია ბჭითს და მუხნარს/მუხრანს (ჰქონდა თუ არა სხვაგანაც, ეს ანდერძის ტექსტიდან არ ჩანს, მაგრამ ამას ჩვენი საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს). ამ ცნობითვე, მართალია, პირდაპირ არა, მაგრამ საეარაუდოდ, ისიც ჩანს, რომ მონასტერს ამის შესახებ საბუთებიც ექნებოდა. მართლაც, ასეთი საბუთების არსებობას უკვე პირდაპირ ადასტურებს გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი,

\* დასასრული. დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 3, 1989.



რომელშიც კონკრეტულად არის აღნიშნული, რომ მონასტერს თრიალეთში ეკუთვნის „ბჭითი, ადარნესესგან ნასყიდი და შემოწირული“ (ქისკ, I, № 11:32), ხოლო მუხრანის ქვეყანაში მათი საფურე ყოფილა ქანდაი (იქვე, № 11:63).

მონასტრის კუთვნილ თრიალეთის სოფელ ბჭითის საბუთის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა მსჯელობა (იხ. 5.8) და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს საბუთი გაცემული უნდა ყოფილიყო X ს-ის II ნახევარში ადარნესე ჰერთა პატრიკის მიერ, ხოლო რაც შეეხება მუხრანის საფურის შესახებ საბუთს, აქ შემდეგი სურათი ჩანს.

საკუთრივ მუხრანის ქვეყანაში საფურე კონკრეტულად სად ჰქონდა მონასტერს, ამის შესახებ, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პირდაპირ არის მითითებული გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში: „ქანდაი მათი საფურე“ (ქისკ, I, № 11:63)<sup>78</sup>. ამავე საბუთის მიხედვით ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს ქანდაი დემეტრე I-ს „მოუცვალებია“ და გიორგი III-ის დროს იქ მონადირეთა სადგომი ყოფილა (ქისკ, I, № 11:94). როგორც ჩანს, დემეტრე I-ის მიერ ქანდაის საფურეს მონადირეთა სადგომად „მოცვალების“ შემდეგ (რაც, აგრეთვე, ცალკე საბუთით იქნებოდა გაფორმებული, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია და მხოლოდ გიორგი III-ის ამ სიგელის მიხედვით ჩანს მისი არსებობის კვალი. მაგრამ ეს ჩვენი კვლევის საგანს სცილდება) მონასტერმა ფიცი დაკარგა. ამიტომაცაა, რომ გიორგი III 1170 წლის სიგელში აღნიშნავს „ქანდაისა ნაცვალი ჩვენ მოვაქსენოთ წმიდასა შიოს, სადაცა მემღუიმემან ინებოს“-ო (ქისკ, I, № 11:67—68). მაგრამ მოხდა თუ არა ასეთი ფაქტი, ეს ჩვენთვის უცნობია, რადგან გიორგი III-ის სიგელს ამის შესახებ (შიომღვიმისათვის ქანდაის ნაცვლად საფურედ სხვა ადგილის შეწირვის შესახებ) ჩვენამდე არ მოუღწევია.

შიომღვიმის მონასტრის მუხრანულ საფურესა და ქანდასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ლაშა გიორგის შიომღვიმისადმი 1212 წლის ბრძანებაზე XV—XVI სს. ხელით მიწერილი საბუთების ნუსხაში „ერთი ქანდაურა“ სიგელის დასახელება (ქისკ, I, გვ. 111:1). ჩვენთვის უცნობია თუ როდის და ვის მიერ უნდა ყოფილიყო ასეთი სიგელი გაცემული, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ რადგან ქანდა გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის მოწმობით, დემეტრე I-ის დროიდან შიომღვიმის მონასტერს უკვე არ ეკუთვნოდა, ცხადია, იგი მანამდე გაცემული იქნებოდა. იქნებ სწორედ ეს უნდა იყოს დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში მუხრანში მონასტრის საფურეს არსებობის შესახებ დამოწმებული საბუთი და მას „ქანდაური სიგელი“ ეწოდებოდა? ვფიქრობთ, არსებული მასალები ასეთი დასკვნისათვის სრულ საფუძველს გვაძლევს.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, თუ რა დროიდან ჰქონდა შიომღვიმის მონასტერს ქანდაში საფურე და, შესაბამისად, ამის შესახებ საბუთი. მაგრამ გარკვეული ვარაუდისათვის არაპირდაპირი მონაცემები გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში, თითქოს, მაინც მოგვეპოვება. კერძოდ, ქანდა ამ სიგელში დასახელებულია ისეთ „გარემოცვაში“, მონასტრის კუთვნილ ისეთ უჭეველს

<sup>78</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, გვ. 343.

სამფლობელოებს შორის (რუეთი, სხალტა, წყალშატროანი, ჩიქუნურნი — იხ. ქისკ, I, გვ. 69), რომ ქანდაც და იქ საფურცე მონასტერს უკვე უძველეს დროსვე მოპოვებული უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, უფრო კონკრეტულად მეტის თქმა ამჟამად შეუძლებელია, ამიტომ, მხოლოდ ვარაუდის მიხედვით, „ქანდაური სიგელი“ VI—VII სს. უნდა დავათარილოთ.

8. დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტში დამოწმებული საბუთების შემდეგი ჩვეულება უმაღლეს სასულიერო ხელისუფალთა — ქართლის კათალიკოსთა მიერ შიომღვიმისადმი გაცემული საბუთები.

8.1. დავით აღმაშენებელი ანდერძის ტექსტში ცალკე და სავანგებოდ აღნიშნავს მისი დროის ქართლის კათალიკოსის იოვანეს შეწირულების შესახებ: „ვითა წინამძღუარსა შჯულისა ჩუენისასა მეუფესა იოვანეს ქართლისა კათალიკოსსა უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესიისა ჩემისადა, რომელ საქონებელნი და ავარანი ჰქონან მღვმესა, საშჯულოდ სამრებლოდ არს ყოველგან, თუთ მემღმისა დიაცონმან მოსამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაქმაროს“ (სტრქ. 57—60).

დავით აღმაშენებლის ანდერძის ეს ადგილი თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში, სადაც ანდერძში რამდენადმე ბუნდოვნად გამოთქმული აზრი უფრო ნათლად და შედარებით გარკვევითაა გადმოცემული: „მათი (შიომღვიმის) სოფელნი, იოვანე ქართლისა კათალიკოსისა შინაჭებთა, ყოველგან, და პაპისა ჩემისა, დიდისა მეფისა დავითისაგან მათისა ეკლესიისათვის ბოძებულნია, რომელ სასჯულოდ მოსავალი სანთლად მოიკმარონ; ეგრევე, აწ გუიბრძანებია და დაგუიმტკიცებია ჩუენ, რომელ მათთა სოფელთა სასჯულოსა ნუვინ ეცილებს“ (ქისკ, I, № 11:59—63).

მაშასადამე, ანდერძის ტექსტში დამოწმებულია იოვანე ქართლის კათალიკოსის საბუთი, რომლითაც მას დაუწესებია, რომ მონასტრის კუთვნილი სოფლებიდან და ავარებიდან „სასჯულოდ“ შემოსავალი დავით მეფის სურვილით აშენებულ და მის კუთვნილ ეკლესიას („ეკლესიისა ჩემისადა“) ზეთად (ანდერძის მიხედვით) ან სანთლად (გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის მიხედვით) უნდა მოხმარებოდა. როგორც XIII ს-ის 20-იანი წლების ერთი შიომღვიმური საბუთიდან ჩანს, იოვანე ქართლის კათალიკოსის ამ საბუთს „კელი“ ეწოდებოდა, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით. ითვლება, რომ ქართლის კათალიკოსად იოვანე იყო 1100—1142 წლებში; რადგან მისი საბუთი დავით აღმაშენებლის 1124 წლის ანდერძში დამოწმებულია, ცხადია, რომ შიომღვიმისათვის შედგენილი მისი „კელი“ სასჯულო შემოსავლის ეკლესიის ზეთად მოხმარების შესახებ 1100—1124 წწ. დათარიღდება.

8.2. იოვანე ქართლის კათალიკოსის საბუთის გარდა, ანდერძის ტექსტში დამოწმებულია „ძუშლთა და აწინდელთა ქართლისა კათალიკოსთა კელნი“ (სტრქ. 126). ვინ არიან ისინი და რამდენი ქართლის კათალიკოსის „კელზეა“ აქ აღნიშნული ანდერძის ტექსტიდან გაურკვეველია, მაგრამ XIII ს-ის 20-იანი წლების ერთ შიომღვიმურ საბუთში, რომლის შესახებ წერილის მეორე ნაწილში გვექნება უფრო დაწვრილებით საუბარი, ეს ქართლის კათალიკოსები და მათი „კელები“ ასეა დამოწმებული:

„ვინცა ესე დაწერილი და გაგებული წმიდასა უდაბნოსა მღუიმისასა შეუცვალოს, [ანუ იგიცა დაწერილი უწ]ინდელი — წმიდისა მამათათარისა



იოვანე ქართლისა კათალიკოზისა, ანუ ოქრობირ ქართლისა კათალიკოზისა, ანუ გაბრიელ ქართლისა კათალიკოზისა... და წმიდისა მამათმთავრისა მელქი-ზედეკისი, პრისხავს ღმერთი დაუსაბამოი<sup>79</sup>.

მშასადამე, ამ საბუთზე დაყრდნობით, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტში, სულ ცოტა, ქართლის ოთხი კათალიკოსის საბუთების დამოწმება მიიწევა უნდა ვიგულისხმოთ. ერთი მათგანის — იოვანე ქართლის კათალიკოსის მიერ გაცემული საბუთის შესახებ, რომელიც შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სოფლებიდან „სასჯულოა“ შემოსავალს ეკლესიის ზეთად (ან სანთლად) მოხმარებას აწესებდა, უკვე გვქონდა საუბარი (8.1) და იგი 1100—1124 წწ. დავათარიღეთ. რაც შეეხება სხვა დანარჩენი ქართლის კათალიკოსების მიერ გაცემულ საბუთებს, მათ შესახებ მხოლოდ ის შეიძლება აღენიშნოდეს, რომ, როგორც ჩანს, ისინი შეუვალლობის საბუთები იყო, რადგან „ველებად“ იწოდებოან, ხოლო მათი დათარიღება თითოეული დასახელებული კათალიკოსის ზეობის წლების მიხედვით შეგვიძლია.

ამდენად, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში, იოვანე ქართლის კათალიკოსის მიერ გაცემულ საბუთთან ერთად, შეიძლება უმაღლეს სასულიერო ხელისუფალთა შემდეგი საბუთების დამოწმებაც ვივარაუდოთ:

1. კელი მელიქიზედეკ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1012—1030, 1039—1045.
2. კელი ოქრობირ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1031—1039, 1045—1049.
3. კელი გაბრიელ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1065—1080.

8.3. დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დამოწმებულ სასულიერო პირთა საბუთების ჯგუფში უნდა განვიხილოთ არსენი ბერის ორი საბუთი — ვ ა ნ წ ე ს ე ბ ა. არსენი ბერი, როგორც სხვა წყაროებითაც კარგად არის ცნობილი, მეფესთან დაახლოებული პირი იყო. როგორც დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტიდან ვიცით, იგი იყო მთავარი ინიციატორი ამ ანდერძის შედგენისა („სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა“ — სტრქ. 4—5). მეფეც ანდერძის ტექსტში იმოწმებს და ამტკიცებს არსენის მიერ შედგენილ ორ საბუთს.

ანდერძის ტექსტიდან ჩანს, რომ არსენის მიერ შედგენილი ერთი საბუთი შიომღვიმის მონასტრის სოხასტერს შეეხებოდა. სოხასტერი მონასტრებთან არსებული „სადაყუდებულო“ იყო<sup>80</sup>. ისინი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა წმინდანის სახელზე იყო აგებული. ცნობილია, მაგალითად, კალიოპოსის (ანტიოქიაში) ქართველთა მონასტრის სოხასტერი, რომელიც მდებარეობდა „მონასტრისა აღმოსავალით“ და აგებული იყო წმინდათა მთავარანგელოზთა სახელზე<sup>81</sup>. შიომღვიმის მონასტრის სოხასტერი, როგორც ჩანს, წმ. სვიმეონ საკვირველთმოქმედის სახელზე ყოფილა აგებული, რადგან

<sup>79</sup> თ ვ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 51. აქ მონასტრის ტექსტის ნაწყვეტი შესწორებულ-დაზუსტებულია.

<sup>80</sup> ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 401.

<sup>81</sup> ვ. ს ი ლ ი ა ვ ა, XI საუკუნის ქართველი მწიგნობარი ბასილი თორელ-ყოფილი და მისი ანდერძი, „მრავალთაჲ“, XV, 1989, გვ. 162.



დავით აღმაშენებელი, ანდერძის ტექსტის მიხედვით, სწორედ მას სწირავს ხოლმე, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით.

შიომღვიმის მონასტრის სოხასტერიისათვის არსენი ბერს ცალკე განწესება შეუდგინა: „სოხასტერი, ვითა ბერსა, განმანათლებელსა ჩემსა, არსენის გაუწესებია“ (სტრქ. 96), აღნიშნულია ანდერძის ტექსტში. საერთოდ, XII ს-ის I მეოთხედში, როგორც ჩანს, უფრო 1124 წლისათვის, შიომღვიმის მონასტრის, როგორც სამეფო მონასტრის სტატუსის განმტკიცებასთან დაკავშირებით, რამდენიმე განწესება და საბუთი შედგა. ერთი მათგანია, საკუთრივ დავით აღმაშენებლის ანდერძი, რომელსაც აქ განვიხილავთ, მეორეა, სვიმეონ ბედიელ-ალავერდელის განწესება<sup>82</sup>, რომლის შესახებ ამ ნაშრომის სხვა თავში („მონასტრის სტატუსი“) გვაქვს საგანგებოდ საუბარი. მათ რიცხვში შედიოდა აგრეთვე, არსენი ბერის ორი განწესება და ერთი მათგანი — მონასტრის სოხასტერის შესახებ, რომელსაც იმოწმებს დავით აღმაშენებელი. სამწუხაროდ, ამ განწესებას ჩვენამდე არ მოუღწევია, არ ვიცით, თუ რას აწესებდა და გულისხმობდა იგი. შეიძლება ამ განწესებით პირველად დაარსდა მონასტერთან „სადაყუდებულო“, შეიძლება მანამდეც არსებულს რაიმე წესი დაუდგინდა. 1124 წლისათვის ეს განწესება უკვე შედგენილი ყოფილა და ამიტომ, პირობითად, შეიძლება იგი XII ს-ის I მეოთხედით დავათარილოთ.

8.4. ასევე XII ს-ის I მეოთხედით უნდა დავათარილოთ არსენი ბერის მეორე საბუთი, რომელიც დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძშია დამოწმებული. ეს საბუთი მონასტრის ლიტურგიული პრაქტიკის სფეროდან ყოფილა და იგი მონასტერში კვირა დღეს ღამისთევას აწესებდა: „ვითა აწ არსენის გაუწესებია, ყოველთა კვირათა ღამე ყოველ ღამისთევად, ნუენი შეცვლის ამას წესსა“ (სტრქ. 103—104) — აღნიშნულია ანდერძში.

ეკლესიაში, ან მონასტერში ღამისთევის დაწესება, რომელ დღესაც არ უნდა ყოფილიყო იგი, საგანგებო შემთხვევა იყო და გარკვეული ლიტურგიული წესის შესრულებას უკავშირდებოდა. ამიტომაც, რომ საბუთები ასეთ დადგენილებათა შესახებ ძალზე იშვიათია. ამდენად, მით უფრო საინტერესოა ერთი ეპიგრაფიკული საბუთი, რომლითაც X ს-ის II ნახევარში ელია ბოლნელს კვირაძალს (ე. ი. კვირა დღის წინა საღამოს, ანუ შაბათ საღამოს) ღამისთევა დაუწესებია „ფიჩოსანთათჳს“ (ე. ი. ბერებისათვის). დადგენილება ამის შესახებ მას ამოუკვეთინებია ბოლნისის ტაძრის სამხრეთი შესასვლელის ტიშანზე — „ამა საყდარსა ღამისთევად არა დებულყო; კვრასძალთა მე დავდე და ზედაშე ღამისთეველთათჳს, საგალობელად ღმრთისა“-ო, აღნიშნულია სხვა ამბებთან ერთად ამ წარწერა-საბუთში<sup>83</sup>.

<sup>82</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 127—128, № 7.

<sup>83</sup> Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, енисийск. моаб. ет., 1940, გვ. 74—75 (ა. შანიძის წაკითხვით). როგორც ჩანს, „კვირაძალის“ მნიშვნელობის არასწორად გააზრების შედეგად, წარწერის ტექსტის ეს ადგილი ბოლო პუბლიკაციაში ასეა წარმოდგენილი: „ამას საყდარსა ღამისთევად არა დებულ იყო. კვრის ძალითა მე დავდე და ზედაშე ღამისთეველთათჳს“ (ქართული წარწერების კორპუსი, I, № 137, გვ. 250), რაც სწორი არ არის. „კვირის ძალით“ ღამისთევის დაწესება („დადება“) გაუგებარია, ხოლო „კვირასძალი“, ანუ კვირაძალი, რა დროსაც ეკლესიაში ღამისთევა იქნა დაწესებული, „კვირა დღის წინა საღამოს, შაბათ საღამოს“ ნიშნავს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული,

ჩვენთვის უცნობია არსენი ბერის განწესება შიომღვიმის მონასტერში კვირას ლამისთვის დაწესების შესახებ ეპიგრაფიკული საბუთის, თუ სხვა-რბილ საწერ მასალაზე შესრულებული ჩვეულებრივი დოკუმენტის სახით იყო გაფორმებული, მაგრამ, ფაქტია, რომ ასეთი საბუთი-განწესება, თუმცა, მას ჩვენამდე არ მოუღწევია, არსებობდა და იგი დამოწმებულია დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი.

9. ანდერძში დამოწმებული საბუთების შემდეგი ჯგუფია თვითონ დავით აღმაშენებლის მიერ ანდერძის შედგენამდე შიომღვიმისადმი გაცემული საბუთები. ასეთი საბუთების არსებობის პირდაპირ დამოწმებას ადგილი აქვს XIII ს-ის 20-იანი წლების ზემოთ არაერთგზის დასახელებულ ერთ შიომღვიმურ საბუთში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ვინცა „დიდისა დავითის ანდერძი და სიგლები მათი შეცვალებულ-ყოს, ჰრისხავს ღმერთი დაუსაბამოი“-ო და სხვა წყევლადა მოყვანილი<sup>84</sup>. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს ჩვენამდე არ მოუღწევია<sup>85</sup> და მხოლოდ ანდერძის ტექსტშია, ალბათ, მათი მხოლოდ ერთი ნაწილის შესახებ მითითებები. განვიხილოთ ისინი ანდერძში დამოწმებული თანმიმდევრობით.

9.1. „ქალაქს ტფილისს, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და რომელი აწ უყიდა, და რომელი მე მომიჯსენებია იგი და, ანუ წაღმართ მოიგონ იგიცა, ყუელად უბაჟოდ და უსუხაროდ ყოვლისა სასაფომსა გამოსავლისაგან ჰქონდეს“ (სტრქ. 54—56) მონასტერსო, აღნიშნულია ერთგან ანდერძის ტექსტში. ანდერძის ტექსტის ამ ადგილის მიხედვით, შიომღვიმის მონასტერს, ტფილისში არსებული მისი კუთვნილი ქონების შესახებ, სულ ცოტა სამი საბუთი მაინც ჰქონია.

ერთი შეეხებოდა იმ ქონებას, რომელიც მონასტერს ქალაქში გაანდა იქ სპარსთა (არაბთა) ბატონობის დროს; მეორე — იმ ქონებას, რომელიც „აწ უყიდა“ — უნდა ვივარაუდოთ დავით აღმაშენებლის მიერ 1122 წელს ტფილისის განთავისუფლებისა და საქართველოს სამეფოსათვის შემოერთების შემდეგ და მესამეა — საბუთი იმ ქონების შესახებ, რომელიც ქალაქის შემოერთების შემდეგ თვითონ დავით აღმაშენებელს შეუწირავს („რომელი მე მომიჯსენებია“) მონასტრისათვის. მასასადამე, ორი უკანასკნელი საბუთის ზუსტად დათარიღებაც არის შესაძლებელი და ისინი 1122—1124 წწ. უნდა დათარიღდეს.

ანდერძის ტექსტში სხვა ადგილას დავით აღმაშენებელი კიდევ ერთხელ ასახელებს მის მიერ ტფილისში მონასტრისათვის გაღებულ შეწირულებას და აქ უკვე კონკრეტულად აღნიშნავს გაღებულ შეწირულების სახეობას: „ტფილისს საამიდოათ, ვითა სხვთაცა ნიშნითა, თვთ ჳელითა ჩემითა დამიწერია ასი დრაჰმანი მღელთა და მგალობელთათს“.

ობ., 1986, გვ. 264). ლ. მუსხელიშვილის მიხედვით, წარწერის ტექსტში განხილულ ადგილას „კრებულისა ძალითა“ უნდა წავიკითხოთ (იხ. ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენციკლის მოამბე, 111, 1938, გვ. 339), მაგრამ, ფაქტობრივი მდგომარეობით ეს არ მტკიცდება.

84 თ. ყორღანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 51.

85 მართალია, დავით აღმაშენებლის გაცემულმა შიომღვიმურმა საბუთებმა ვერ მოაღწიეს ჩვენამდე (ერთის — ანდერძის გამოკლებით), თორემ ცნობილია მისი (სამწუხაროდ, ბოლონაკლული) საბუთი — სიგელი ნინია ნინიაისძისადმი, (ქისკ I, № 7), დათარიღებული 1104/1108 წწ., რომლის დედანი ამჟამადაც დაცულია საქართველოს სსრ ცენტრალურ. საისტორიო არქივში (№ 1448—1015).



წუენ დააკლებს. მას დღესა, რომელსა მომიჯენოს ღმერთმან, გაიყონ მდღელ-თა და მგალობელთა“ (სტრქ. 99—103).

როგორც ვხედავთ, აქ დამოწმებულია კიდევ ერთი, მეოთხე „ტფილისური“ საბუთი ქალაქის საამიღო გადასახადიდან ასი დრაჰკანის შიომღვიმის მონასტრის „მღღელთა და მგალობელთათჳს“ გამოყოფის შესახებ, რომელიც მათთვის უნდა დაერიგებინათ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. აღსანიშნავია, რომ ამ საბუთის შესახებ დავით აღმაშენებელი საგანგებოდ აღნიშნავს „თვთ კელათა ჩემითა დამიწერია“-ო, ვარდა იმისა, რომ იგი (შეწირულება) სხვა „ნიშნითაც“ (საბუთით) ყოფილა გაფორმებული. აქ, ან ორი საბუთის არსებობა უნდა ვიგულისხმობთ ამ ასი დრაჰკანის შესახებ, რომელთაგან ერთს „ნიშანი“ ეწოდებოდა, ხოლო მეორე, დავით აღმაშენებლის ხელით ყოფილა ცალკე დაწერილი, ან იმ „ნიშანს“ დართული ჰქონია დავით მეფის დამტკიცება-ხელრთულობა და იგი უნდა ვიგულისხმობთ სიტყვებში „ველითა ჩემითა დამიწერია“.

როგორც ჩანს, უფრო უკანასკნელი ვარაუდი უნდა მივიღოთ და ანდერძის ტექსტში აქ ვიგულისხმობთ ისეთი საბუთის („ნიშანი“) არსებობა ასი დრაჰკანის მონასტრისათვის გამოყოფის შესახებ, რომელსაც დავით აღმაშენებლის საკუთარი ხელრთულობა ახლდა<sup>86</sup>.

მაგრამ, დავებურუნდეთ მონასტრის იმ სამ „ტფილისურ“ საბუთს, რომელთა შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ. ანდერძის ტექსტიდან არ ჩანს თუ რას შეეხებოდა კონკრეტულად ეს საბუთები და ქალაქში არსებული მონასტრის კუთვნილი ქონებიდან თუ რას მოიცავდნენ ისინი. იქნებ სხვა საბუთების მონაცემები დავეხმაროს ამის გარკვევაში.

მართლაც, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში ერთგან აღნიშნულია, რომ შიომღვიმის მონასტრის „ეგრეთვე ქალაქს, რომელნი ქულბაგნი აქუან: ხუთი სპარსობითგანვე და ოთხნი, რომელ უკანის მოუსყიდიან და შემოუწირვან. თავისუფალნი და უხარჯონია საამიროისა, საამიღოსისა, სარაისოსისა, სამუსტასიბოისა და ყოვლისა სანუკერისაგან“ (ქისკ, I, № 11:48—52). მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტში დამოწმებული „ტფილისური“ საბუთები შეეხებოდა ქალაქში არსებულ მონასტრის ქულბაგებს — სავაჭრო დუქნებს; ერთი — ხუთ „ქულბაგს“. რომელიც სპარსთა (არაბთა) ბატონობის დროსაც („სპარსობითგანვე“) ჰქონიათ: მეორე — ოთხ „ქულბაგს“, რომელიც ამის შემდეგ („უკანის“) „მოუსყიდიან“ (დავით აღმაშენებელს) და „შემოუწირვან“ მონასტრისათვის; ხოლო მესამე საბუთის რაობა, რომელიც დავით აღმაშენებლის კიდევ სხვა შეწირულებას შეეხებოდა, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის ცნობის მიხედვით გაურკვეველია.

მაგრამ მის გარკვევაში გვშეველის ისევ დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტი, სადაც ეს ქულბაგებიც არის დასახელებული შემდეგ კონტექსტში: „სხუთა — ნაბჭობი და ქულბაგთა და საზეთეთა და წისქვილთა ყოველი შესამოსლად განეყოფოდის“ (სტრქ. 70—71). მაშასადამე, სასამართლო განხილვის გადასახადი, ქულბაგთა, ზეთსახდლების და წისქვილთა ბაჟი შესამოსლად უნდა გამოყოფილიყო და როგორც ჩანს, მესამე „ტფილისური“ საბუთიც ამის შესახებ იყო შედგენილი.

<sup>86</sup> დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ეს ადგილი, საბუთის აღნიშნულ ტერმინ „ნიშნის“ შემოსვლის თარიღის გარკვევასთან დაკავშირებით, საგანგებოდ განიხილა ივ. ჭავჭავიძე (იხ. მისი, ქართული სიგელთა-მოცოდნობა, გვ. 51).

9.2. შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტში დამოწმებულია საბუთი დავით აღმაშენებლის მიერ მონასტრისათვის ცვილის შეწირვისა: „ცვილი, ვითა გამიჩენენიან(!) ვაჭართა ზედა ჟამად-ჟამადი, იგი ამსახურონ“ (სტრქ. 65—66), ე. ი. ცვილით მონასტრის მომარაგება ვაჭართა გარკვეული ნაწილისათვის ყოფილა შეწერილი.

საინტერესოა, რომ ეკლესია-მონასტრებისათვის საჭირო აუარებელი ცვილის ერთი ნაწილით მათი მომარაგება სწორედ ვაჭრებს ჰქონდათ ტრადიციულად შეწერილ-დაკისრებული. მაგალითად, ჰიაზერ მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის 1189 წლის ცნობილ დაწერილში შიომღვიმისადმი, რომლითაც იგი ქონოვნელ მიხთარაისძეებს, როგორც ჩანს, ვაჭრებს, სწირავს მონასტერს, აღნიშნულია: „ვითა სადაცა სხუაგან შემოწირულნი ვაჭარნი თქუენნი (შიომღვიმის მონასტრისა) ყოვლისა მავნებელისაგან შეუვალნი და ნებიერნი სხენანა, ეგრეთვე ესენი (დავითის შვილნი ოქრაი, მახარაი, ბრაჰი და იოვანე მიხთარაისძენი) სხდენ. და ყოველთა წელიწადსა ამას ცუნისა მოგართუმიდენ თხუთმეტსა ლიტრასა“ (ქისკ. I, № 19: 38—41).

ანდერძის ტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ დავით აღმაშენებლის შეწირულებათა ერთი ნაწილი მთლიანად მონასტერს ეკუთვნის (მათში შედის, ძირითადად, ძველ შეწირულებათა განახლება და მათ შესახებ არსებული საბუთების დამტკიცება), ხოლო მეორე ნაწილი — საკუთრივ მის მიერ აშენებულ ღმრთისმშობლის ეკლესიას (ამის შესახებ დაწერილებით ამ ნაშრომის ცალკე თავში გვაქვს საუბარი — „შეწირულებანი მონასტრისადმი“). რაც შეეხება საბუთს ვაჭართა მიერ „ჟამად-ჟამად“ მონასტრისათვის ცვილის „მსახურების“ შესახებ, იგი, როგორც ჩანს, საერთო სამონასტრო შეწირულების საბუთი იყო, რადგან, მის შესახებ აღნიშნულია „ვითა გამიჩენენიან“—ო, ე. ი. აღრევე, 1124 წლამდე, შიომღვიმისადმი ანდერძის შედგენამდე ფაქტს გადმოსცემს.

ამდენად, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ შიომღვიმის მონასტერს მოგებობოდა საბუთი დავით აღმაშენებლის მიერ მონასტრისათვის ცვილის შეწირვის (ვაჭრების მიერ „ჟამადი-ჟამად“ სამსახურად მისი გამოღების) შესახებ, რომელსაც იგი იმოწმებს მისავე ანდერძში ამ მონასტრისადმი.

9.3. დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დასტურდება ფაქტი მეფის მიერ მონასტრისათვის, უფრო ზუსტად მონასტერთან არსებული სოხასტერისათვის, მიწის შეწირვის და, შესაბამისად, ამის შესახებ არსებული საბუთის დამოწმების შესახებ.

არ შეიძლება საგანგებო ყურადღება არ მიიქციოს იმან, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი, რომლითაც იგი დიდძალ ქონებას სწირავს, ან ძველი საბუთების დამოწმებით აღრევე შეწირულს განუახლებს მონასტერს, მიწის, სოფლის, ადგილის ან სხვა უძრავი ქონების შეწირვის შესახებ საერთოდ არ არის აღნიშნული. ამის შესახებ, ისევე როგორც დავით აღმაშენებლის მიერ მონასტრისა და მის მიერ აშენებული ეკლესიის შეწირულებათა შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, ამ ნაშრომის სხვა თავში გვაქვს საუბარი, ხოლო აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ამის მიზეზი უნდა იყოს ყოველი ასეთი შეწირულების შესახებ ცალკე საბუთის შედგენა. მართლაც, მეფის მიერ მონასტრისადმი ასეთ შეწირულებებს (მიწის, სოფლის ან სხვა უძრავი ქონების შეწირვას) რომ ადგილი ჰქონდა, ამას მოწმობს გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის ერთი ადგილი, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, ხოლო აქ აღვნიშნავთ

მიწის შეწირულების იმ ერთადერთი საბუთის შესახებ, რომელსაც თვითონვე იმოწმებს დავით აღმაშენებელი შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტში:

„მე ხუ და ბუნი შემიწირავს მუხრანს წმიდისა სვეთონ საკრველთმოქმედისადა, რომელმან სამისა დლისა მკუდარი აღმადგინა“ (სტრქ. 97—98), აღნიშნულია ანდერძში ერთგან. ვიცით, რომ წმ. სვეთონ საკრველთმოქმედის სახელზე შიომღვიმის მონასტრის სოხასტერი, ანუ „სადაყუდებულო“ იყო აგებული, რომლისთვისაც არსენი ბერს საგანგებო განაწესი შეუდგენია (აქვე, 8.3) და დავით აღმაშენებელსაც მუხრანში მისთვის ხუდაბუნი (ყანა, სახანგ-სათესი მიწა) შეუწირავს.

ანდერძის ტექსტიდან, თითქოს, მაინცდამაინც არ ჩანს ეს ხუდაბუნი ადრევე შესწირა დავით აღმაშენებელმა შიომღვიმის სოხასტერს და აქ მხოლოდ ამის შესახებ საბუთის დამოწმებასთან გვაქვს საქმე, თუ იგი ამ ანდერძით ადგენს ამ შეწირულებასაც. მაგრამ, რადგანაც ანდერძის ტექსტში აღნიშნულია, რომ წმ. სვეთონ საკრველთმოქმედმა „სამისა დლისა მკუდარი აღმადგინა“-ო, ე. ი. აღნიშნულია ადრე, ანდერძის შედგენამდე მომხდარი ფაქტი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამაგიერო სამადლობელი შეწირულებაც ადრევე იქნებოდა გაღებული და ანდერძის ტექსტის ამ ადგილასაც ამის შესახებ საბუთის დამოწმება იჯულისხმება.

როგორც ჩანს, „მუხრანს წმ. სვეთონ საკრველთმოქმედისადა“ ხუდაბუნის შეწირვა დაკავშირებულია დავით აღმაშენებლის ცხოვრების იმ ეპიზოდთან, რომლის შესახებ მისი ისტორიკოსი მოგვითხრობს შემდეგს: „ნაღირთა დევნასა შინა ოდესმე მუხნარს წაეჭვა ცხენი, და ესოდენ შეიშუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულლო მდებარე იყო უძრავად, სამშვენიელისაგან ოდენ საცნაურ ცოცხლად. და შემდგომად სამ დღე ნამტყნარსა სისხლისასა აღმოყრელსა მოეჭვა სული და სიტყუა, და ძლითა აღდგა ცოცხალი“<sup>87</sup>.

მართალია, ისტორიკოსს არა აქვს აღნიშნული თუ როდის მოხდა ეს, რომ ამის მიხედვით შესაძლებელი იყოს საბუთის დათარიღებაც, მაგრამ, რადგან ეს ფაქტი მეფის სასწაულით გადარჩენის ეპიზოდებს შორის ყველაზე წინ, პირველად არის მოთხრობილი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი უფრო მისი ახალგაზრდობის დროის ამბავს გადმოგვცემს. ყოველ შემთხვევაში, ანდერძის ტექსტში გადმოცემული თხრობის მიხედვით ისეთი სურათი ჩანს, რომ მეფეს ეს უნდა შემთხვევად შიომღვიმეში ღმრთისმშობლის ტაძრის მშენებლობის დაწყებამდე, ე. ი. მის მიერ მონასტრის აბულეთისძეთაგან გამოთავისუფლებამდე, ანუ მეფის მიერ ძაგან აბულეთისძის შეპყრობამდე შიომღვიმის მონასტერში, რასაც ადგილი ჰქონდა მეფის მიერ 1103 წელს ზედაზნის ციხის აღების შემდეგ<sup>88</sup>. მაშასადამე, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დამოწმებული მისივე საბუთი მუხრანს წმ. სვეთონ საკრველთმოქმედისადმი ხუდაბუნის შეწირვის შესახებ შეიძლება 1103 წლის ახლო დროით დავათარილოთ.

**9.4.** ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გიორგი III-ის 1170 წლის სიგელს დაუცავს ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი მიწის შეწირვის და, მაშასადამე, ამის შესახებ საბუთის არსებობის შესახებ. „მანგლისკევს—ბორცუის-ჯუარი, ტუელადვე მლუიმისაი, ლიპარიტეთგან წაღებული, აწ ახლად პაპისა ჩემისა დიდისა მეფისა დავითისაგან შემოწირულა“

<sup>87</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 361: 18—21.

<sup>88</sup> რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, გვ. 100—101.



(ქისკ, I, № 11: 32—35), აღნიშნულია ამ საბუთში. მაშასადამე, ამ სიგელში ასეთი ამბავია გადმოცემული: ბორცუისჯუარი „ძუელადვე“ მღვიმის საკუთრება ყოფილა. როდის გახდა ის მღვიმის საკუთრება ეს ჩვენთვის ცნობილია, რადგან არსებობს ბაგრატ IV-ის 1057 წლის სიგელი, რომლითაც იგი შიომღვიმის მონასტერს („ლავრასა მღვიმისასა“) სამუდამო მფლობელობაში სწორავს „ადგილს ბორცუისჯუარს“ (ქისკ, I, № 4). ეს ბორცუისჯუარი „ლიპარიტთა“, ანუ ბლავაშთა სამფლობელოში არსებულა (უნდა ვიგულისხმობთ, რომ ბაგრატ IV-ის მიერ სიგელის გაცემის დროისათვის — ყოფილ სამფლობელოში). ამის მაჩვენებელია ის, რომ ამ საბუთს სულ სამი პირი ურთავს ხელრთვლობა-დამტკიცებას და, მეფესა და კათალიკოსთან ერთად, ეს მესამე პირია ივანე ძე ლიპარიტ ერისთავთერისთავისა, აწ უკვე დამცრობილი, რომელიც თავისთავს მხოლოდ სახელით იხსენიებს, რაიმე ტიტულის ან წოდების გარეშე, თანაც ორგზის სიმდაბლის ფორმულით („მიწასა მეფობისა მათისა“, „მონისა მათისაგან“ — ბაგრატ IV-ისა: ქისკ, I, № 4: 59—65).

შემდეგში ამ ბორცუისჯუარს ბლავაშები ისევ დაპატრონებიან, იგი „ლიპარიტეთგან წაღებულა“ და მათი დამარცხებისა და დამხობის შემდეგ დავით აღმაშენებელს შიომღვიმის მონასტრისათვის „ახლად“ შეუწირავს, რაც, ცხადია, სათანადო საბუთით გაფორმდებოდა. ბლავაშთა დამხობას და საქართველოდან მათი უკანასკნელი წარმომადგენლის დავით აღმაშენებლის მიერ განდევნას ადგილი ჰქონდა 1097 წელს<sup>89</sup> და ამიტომ, მათ სამფლობელოთა ნაწილის (ბორცუისჯუარის) შიომღვიმისათვის გადაცემას ამ წლის ახლო დროს ეჭვნებოდა ადგილი და საბუთიც ამის შესახებ ამ დროით შეიძლება დათარიღდეს.

მაშასადამე, დავით აღმაშენებელს შიომღვიმის მონასტრისათვის უძრავი ქონებაც შეუწირავს, რამაც ასახვა ვერ ჰპოვა მის ანდერძში. ეს ფაქტი იმას საილუსტრაციოდაც გამოდგება, თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში (ამ შემთხვევაში სულ ნახევარი საუკუნის მანძილზე) მონასტრის მფლობელობა ამათუ იმ სოფელზე, ან ადგილზე. ამიტომ, მართალია, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში აღნიშნულია, რომ „ცხირეთს—ცხევერი და გავაზელნი წმიდისა შიოს ოქროითა და ვეცხლითა მონასყიდი ფავენელთა და ტბელთაგან“—ო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს სოფლები შიომღვიმის მონასტერმა მიინცდამაინც მათ დროს (X ს.) მოიპოვა პირველად. ამდენად, ეს ფაქტიც ზემოთწარმოდგენილ ვარაუდს ამ სოფლების მონასტრისათვის ჯერ კიდევ „უძველეს“ დროს, ფარსმან მეფის მიერ „მინიჭების“ შესაძლებლობის შესახებ (აქვე, 1.1) მეტ საფუძვლიანობას სძენს.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯამებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში, მონასტრისადმი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხელისუფალთა მიერ გაცემული შეწირულობების განახლება-დამტკიცებისას, იგულისხმება შემდეგი ძველი ქართული საბუთების დამოწმება, რომლებიც, სავარაუდოდ განსაზღვრული მათი თარიღების მიხედვით, ასე დალაგდებიან:

1. დაწერილი მღვიმის კრებულისა ევაგრე მთავრისაგან სოფელ სხალტბის მოსყიდულობისა. VI ს-ის II ნახ.

<sup>89</sup> ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 11, თბ., 1983, გვ. 195.



2. დაწერილი მღვიმის კრებულისა ევაგრე მთავრისაგან გოროვანის მოსკიდულობისა. VI ს-ის II ნახ.
3. დაწერილი ევაგრე მთავრისა ციხედიდის აგარის შიომღვიმისადმი შეწირულებისა. VI ს-ის II ნახ.
4. სიგელი ფარსმან მეფისა ოთხი სოფლის შიომღვიმისადმი „მინიჭებისა“. VI ს-ის II ნახ.
5. „ძეშლი სიგელი შეუვალობისაჲ ცხუართათჳს უსაბანჯრობისაჲ“. VI—VII სს. (?).
6. სიგელი მუხრანს შიომღვიმის მონასტრის საფურეს არსებობისა („ქანდაური სიგელი“). VI—VII სს. (?).
7. ანდერძი წმ. შიოსი. VII ს. დასაწყ.
8. დაწერილი სტეფანოზ მთავრისა შიომღვიმისადმი ორი დაბის შეწირულებისა. VII ს-ის დასაწყ.
9. „პროარტაკი“ სტეფანოზ მთავრისა ქართლის ეკლესიათაგან „ხარკის მივდისა“. VII ს-ის დასაწყ.
10. დაწერილი (ფვენელისა?) შიომღვიმისადმი სოფლების შეწირვისა. IX ს.
11. „ძეშლი სიგელი“ (კახთა მეფეებისა?) ზედაზნის ციხისა და მუხრანის აბულეთისძეებისათვის გადაცემისა.
12. სიგელი (კახთა მეფეებისა?) „მთასა ციხე მარანის“ და სოფელ მატურის შიომღვიმისადმი ბოძებისა.
13. ნიშანი შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი ხუთი ქულბაგისა სპარსობითგან ტფილისს.
14. დაწერილი ადარნესე ჰერთა პატრიკისა შიომღვიმისადმი თრიალეთს სოფელ ბჭითის შეწირულებისა. X ს-ის II ნახ.
15. დაწერილი ჯოჯიკ მთავრისა შიომღვიმისადმი აგარის შეწირულებისა. 979—1036.
16. სიგელი კვირიკე III კახთა მეფისა შიომღვიმისადმი სოფელ დაოთის შეწირულებისა. 1009—1037.
17. კელი მელქიზედეკ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1012—1030, 1039—1045.
18. კელი ოქროპირ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1031—1039, 1045—1049.
19. დაწერილი ხახუილაგისა შიომღვიმისადმი ალაჭინის შეწირულებისა. XI ს-ის 30-იანი წლები.
20. დაწერილი გოდერძი ერისთავთერისთავისა შიომღვიმისადმი ივანწმინდის შეწირულებისა. XI ს-ის 40-იანი წლები.
21. სიგელი ბაგრატ IV-ისა შიომღვიმისადმი „ადგილი ბორცუისჯუარის“ შეწირულებისა. 1057.
22. კელი გაბრიელ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1065—1080.
23. სიგელი გიორგი II-ისა შიომღვიმისადმი მონასტრის კუთვნილი სამფლობელოების დამტკიცებისა. 1073.
24. სიგელი გიორგი II-ისა ზედაზნის ციხისა და მუხრანის აბულეთისძეებისათვის დროებით მფლობელობაში გადაცემისა. 1085—1089.
25. სიგელი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი ბორცუისჯუარის შეწირულებისა. 1097 წლის ახლო.

26. სიგელი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმის სოხასტერისათვის მუხრანს ხელდაბუნის შეწირვისა. 1103 წლის ახლო.

27. დაწერილი იოვანე ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმის სამფლობელოების „სასჯულო“ შემოსავლის ღმრთისმშობლის ეკლესიის ზეთად მოხმარებისა. XII ს-ის I მეოთხედი.

28. განაჩენი არსენი ბერისა შიომღვიმის სოხასტერის შესახებ. XII ს-ის I მეოთხედი.

29. განაჩენი არსენი ბერისა შიომღვიმეში კვირას ღამისთევის დაწესებისა. XII ს-ის I მეოთხედი.

30. დაწერილი მთავარმამა მემღვიმე თევდორესი შიომღვიმისათვის სოფლების შესყიდვისა. XI ს-ის 80-იანი წლები — XII ს-ის I მეოთხედი.

31. სიგელი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი ვაჰართა მიერ „ჟამადი-ჟამად“ ცვილის შეწირვისა. XII ს-ის I მეოთხედი.

32. ნიშანი შიომღვიმის კუთვნილი ქულბაგებისა ტფილისს, რომლებიც მონასტერს „აწ უყვიდა“. 1122—1124.

33. ნიშანი შიომღვიმის კუთვნილი ოთხი ქულბაგისა ტფილისს, რომლებიც დავით აღმაშენებლის „მოსყიდულია“ და შეწირული მონასტრისათვის. 1122—1124.

34. ნიშანი ტფილისს მონასტრის ნაბჭობის, ქულბაგთა, საზეთეთა და წისკვილთა ბაჟის შესამოსლად მოხმარებისა. 1122—1124.

35. ნიშანი დავით აღმაშენებლისა ასი დრაჰკანის შიომღვიმის მონასტრის მღვდელთა და მგალობელთათვის განწესების შესახებ. 1122—1124.

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი დამოწმებული აღმოჩნდა VI—XII სს. ძველი ქართული საბუთების საკმაოდ დიდი რაოდენობა. მათი ერთი ნაწილის რაობის დადგენა შესაძლებელი გახდა, როგორც თვით ანდერძის ტექსტის, ისე სხვა წერილობითი წყაროების ცნობების მოშველიებით. ამ საბუთთაგან ზოგიერთი ზუსტად თარიღდება, ხოლო ზოგიერთის მხოლოდ დაახლოებითი თარიღი განისაზღვრა; ორ საბუთს თვითონვე ახლავს თარიღი ტექსტშივე მათი აღნიშვნით.

ანდერძის ტექსტში დამოწმებული 35 საგარაულო საბუთიდან (არ არის გამორიცხული, რომ მასში კიდევ სხვა საბუთებზე მინიშნებებიც დადასტურდეს) ჩვენამდე, სამწუხაროდ, მხოლოდ ორმა მოაღწია (საბედნიეროდ, ორივემ, მართალია, ძალზე შელახული, მაგრამ მაინც დედნის სახით); ერთია, ბაგრატ IV-ის 1057 წლის სიგელი შიომღვიმისადმი, ქისკ, I, № 4) და მეორეა — გიორგი II-ის 1073 წლის სიგელი შიომღვიმისადმი (ქისკ, I, № 6). გარდა ამისა, ორი თუ სამი საბუთის ტექსტის ფრაგმენტი შეიძლება ვივარაუდოთ XIII ს-ის II ნახევრის „ერთიანი სიგელის“, ე. წ. ფვენელის დაწერილის სხვადასხვა ადგილას (ქისკ, I, № 1).

ამდენად, ანდერძის ტექსტში დამოწმებული საბუთების გამოყოფით კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, თუ ადრეული პერიოდის ძველი ქართული საბუთების რამდენად მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. საინტერესოა, რომ ერთი მონასტრის მარტო ამ ერთ საბუთში VI—XII სს. 35 საბუთი დადასტურდა, მაშინ როდესაც მთლიანად XI—XIII სს-დან ჩვენამდე მხოლოდ 46 საბუთი მოღწეული.

აქ წარმოდგენილი მასალიდან და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვიდან სხვა რიგის დასკვნებსაც ვღებულობთ: თვალნათლივ ჩანს, თუ რამ-



დენად მოწესრიგებულია სახელმწიფოში სამართლებრივი სისტემა — მეფის ყოველი შეწირულება, მის მიერ გაცემული განკარგულება მთლიანად არსებულ საბუთებს, უკვე მანამდე მიღებული გადაწყვეტილებებს ეყრდნობა და არ არის დაფუძნებული მხოლოდ მის პირად ნებასა, ან სურვილზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქვეყნის თვითმპყრობელია და ერთბიროვნული მმართველი.

ამით და ასევე სამართლებრივი საბუთების შედგენის ხანგრძლივი ტრადიციითაა განპირობებული, რომ ანდერძში დამოწმებული საბუთები, რაც უკვე თავისთავად მალალი სამართლებრივი დონის მაჩვენებელია, დაჯგუფებულია გარკვეული სისტემის მიხედვით, თემატურად: ა. „სიგელნი მთავართა ვიეთმე“, ბ. „მამათა და პაპათა სიგელნი“, გ. „სიგელნი მეფეთა შეწირულთა“. დ. „კელნი ქართლისა კათალიკოზთაჲ“ და სხვ.

## II.

1. ყველაზე ადრეული დამოწმება დავით აღმაშენებლის ანდერძისა შიომღვიმისადმი, ამჟამად ცნობილი საისტორიო წყაროდან, ცნობილია მისი შვილიშვილის გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში. ჩვენ არ ვიცით ამ მხრივ რა ვითარება იყო დავით აღმაშენებლის ძის დემეტრე I-ის საბუთებში, რადგან არც ერთ მის სიგელს ჩვენამდე არ მოუღწევია. თუმცა საერთოდ დემეტრე I-ის საბუთების არსებობა უეჭველია, რადგან ორი, თუ სამი მათგანი დამოწმებულია მისი შვილის გიორგი III-ის 1170 წლის ზემოდასახელებულ სიგელში.

მასში აღნიშნულია, რომ „მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდანი მამანი უდაბნონისა დიდისა მღუიშისანი“ და სხვა საბუთებს შორის „მოიხუნეს სიგელნი... მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი“-ო (ქისკ, I, № 11:4—7), ან კიდევ, „ჩუენ ვისმინეთ პაჯაი მათი და მოკსენებაი. და მამისა ჩუენისა ბრძანებანი და სიგელნი ამითა ჩუენითა სიგლითა გავუიახლებიან“-ო (ქისკ, I, № 11: 15—17). ხოლო უფრო ქვემოთ, კონკრეტულადაა აღნიშნული თუ რას შეეხებოდა ამ სიგელთაგან ზოგიერთი: „ხო რვაი — მამისა ჩემისა ნაბოძარი სამღუიშოდ“ (ქისკ, I, № 11: 27—28), ან „წყალშატროანი, ვითარად მამასა ჩემსა მოუცვალეზა, იგი ჩუენ მოგუიკსენებაი“ (ქისკ, I, № 11: 64—65), ან კიდევ, „რაოდენ ქანდაი მონადირეთა სადგომად მოცვალა მამამან ჩუენმან, მეფემან დემეტრე, მღუიშისაგან და ნაცვალი ჩუენ მოვაცსენეთ წმიდასა მამასა შიოს“-ო (ქისკ, I, № 11: 91—93) და სხვა.

ერთი სიტყვით, დემეტრე I-ის სიგელები გაცემული ყოფილა შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სამფლობელოების — ხორვასი, წყალშატროანის და ქანდაის შესახებ. არც ერთი მათგანი დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტში კონკრეტულად დასახელებული არ არის და ამიტომ, ძნელია, გადაჭრით ითქვას დემეტრე I-ის სიგელებში დავით აღმაშენებლის ანდერძი დამოწმებული იყო თუ არა. ამდენად, ფაქტია, რომ ამ ანდერძის პირველი დამოწმება ამჟამად ცნობილია გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში შიომღვიმისადმი. კერძოდ, აქ აღნიშნულია:

„პირველად — თუით წმიდაი იგი უდაბნოი მღუიშე, ვითა ყოვლითურთ უწყინარი ყოფილა და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან, ეგრევე იყოს, ვითა თუით პაპისა ჩუენისა ანდერძსა სწერია; ნუმცა-ვის უჯადრებაი მას ზედა სიტყუისა შემოლები და ცილობა“ (ქისკ, I, № 11: 18—21).

სიგელის დაწერს, მეფის მწიგნობარს („კელითა მწიგნობრისა ჩუენისა“)

დანვა ბრუტაისძეს ზემოთმოყვანილ ნაწყვეტში წარმოდგენილი ფორმულის — „ყოვლითურთ უწყინარი და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან“, საფუძვლად აუღია ანდერძის ორ სხვადასხვა ადგილას აღნიშნული დაახლოებით ანალოგიური გამოთქმები: „ნასყიდი მონასტრისაგან ყოველი უბეგროდ, უბაჟოდ და უწყენლად კულა მომიყსენებია წმიდისა მამისა შიოსათს“ (სტრქ. 52—53) და „სუთი ათასი ცხუარი მონასტრისა... უსაბაჯროდ, უბაჟოდ და უწყენლად დგეს და იარებოდის ჩუენსა ჭამბარსა გუერდით“ (სტრქ. 75—76).

რადგანაც ეს ფორმულები პირველად ამ ორ საბუთშია, ხოლო შემდეგ ხშირად დასტურდება ქართულ ისტორიულ საბუთებში (იხ. ქისკ, I, სამიებლები: „უწყინარი“ და „წყენა“), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დანვა ბრუტაისძე იცნობდა დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტს და მისგან ვაღმოიღო ისინი.

2. აქამად ცნობილი შემდგომი საბუთი, რომელშიც დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძია დამოწმებული, XIII ს-ის 20-იანი წლებით თარიღდება. სამწუხაროდ, ეს საბუთი, „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ I ტომში — IX—XIII სს. ქართული საბუთების ბოლო აკადემიურ პუბლიკაციაში, ჩართული არ არის. ამავე დროს, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი საკითხისათვის; ამიტომ, მის შესახებ შედარებით დაწვრილებით შეგჩერდებით და მოღწეულ ტექსტსაც მთლიანად მოვიყვანთ.

ეს საბუთი თ. ჟორდანიას პირველმა გამოაქვეყნა ორჯერ (1896, 1897)<sup>90</sup>. ორივე პუბლიკაცია აბსოლუტურად იდენტურია. მისი ცნობით, საბუთი დაწერილი იყო ეტრატის ფურცელზე — ძირითადი ტექსტი ნუსხახუცურით, ხოლო ხელრთულობები — მხედრულით. საბუთის ტექსტი ძალზე დაზიანებული და ნაკლები ყოფილა, იმდენად, რომ ძირითადი ტექსტიდან მხოლოდ „წყველა-კრულის ნაწყვეტს“ მოუღწევიან, „რომელსაც ჩვენ არ ვებუქდავთ“-ო, აღნიშნავს გამომცემელი. რაც შეეხება ხელრთულობებს, ისინიც ძალზე ნაკლები ყოფილა, რადგანაც მეფის ხელრთულობაში თ. ჟორდანიას მეფის სახელსაც კი ვერ ამოუკითხავს და დაეჭვებით შენიშნავს „ეს უნდა იყოს გიორგი-ლამას ხელი და ანუ მეფე რუსუდანისა“.

ამჟამად ამ საბუთის კვალი არსად ჩანს; ეტყობა, იგი დაიღუპა ჩრდ. კავკასიაში 1919—1921 წლებში, იქ გახიზნულ სხვა ძველ ქართულ საბუთებთან ერთად<sup>91</sup>.

<sup>90</sup> თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვახანის ქვაბთა, თბ., 1896, გვ. 50—52; მისივე, ქრონიკები, ტ. II, 1897, გვ. 94—96.

<sup>91</sup> 1880 წელს ამ საბუთის რამდენიმე სტრიქონის პალეოგრაფიული ასლები (ზოგიერთი სხვა საბუთის ცალკეული სტრიქონების პალეოგრაფიულ ასლებთან ერთად) გადმოიღია თბილისის რეალური სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელს მღვდელ იოსებ აბალაშენაშვილს (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-2389); კერძოდ, არსენი კათალიკოსის ხელრთულობის სხვადასხვა ადგილის სამი სტრიქონისა და საბა შთავარებისკოპოსის ხელრთულობის ერთი სტრიქონისა. მომდევნო წელს არსენი კათალიკოსის ხელრთულობის ამ ასლის ორი სტრიქონი გამოაქვეყნა ძველი ქართული საბუთების რუსული თარგმანების ცნობილმა გამომცემელმა, რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის (თბილისის) აქტიურმა მონაწილემ, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ფურცელაძემ (Протоколы заседания Тифлисского Предварительного комитета V археологического съезда, М., 1881, таб. XXIII, рис. № 11). წინამდებარე წერილში მასთან ერთად ვაქვეყნებთ საბა შთავარებისკოპოსის ხელრთულობის ასლს (იხ. აქვე, გვ. 134), რომელიც აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ფაქტობრივად, ამ საბუთთან სადღესოდ ეს ფრაგმენტული ასლები შემოგვრჩა, რომელთა გადმოღებასაც ი. ახალაშენაშვილს უნდა ვუმადლოდეთ. H-2389-ში თავმოყრილ მასალაზე ყურადღება მიმაქცევინა ხელნაწერთა ინსტიტუტის დაცვის, აღრიცხვისა და ექსპოზიციის გან-



1970 წელს საბუთი გამოაქვეყნა ი. დოლიძემ თ. ჟორდანიასეული პუბლიკაციის (1896) მიხედვით<sup>92</sup>.

თ. ჟორდანია მიიჩნევდა, რომ საბუთი წარმოდგენდა არსენ კათალიკოსის სიგელს, ხოლო მის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი — ამ სიგელის ნაწყვეტს. მაგრამ, როგორც ეს ი. დოლიძისეული პუბლიკაციის სათაურშია აღნიშნული, საბუთი წარმოდგენს საეკლესიო კრების განჩინებას შიომღვიმის შეუვალობის შესახებ. ეს რომ მართლაც ასეა, არაორაზროვნად ჩანს საბუთისადმი დართულ და შედარებით სრული და დაუზიანებელი სახით მოღწეულ საბა ქართლის მთავარეპისკოპოსის ხელრთულებიდან, რომელიც იწყება სიტყვებით: „ესე ვითა წმიდასა კრებასა... განუჩინა“.

თ. ჟორდანიამ საბუთი დაათარია 1218—1227 წ., არსენის კათალიკოსობის მიხედვით; ხოლო ი. დოლიძემ — XIII ს-ის 40-იანი წლებით. XIII ს-ში ცნობილია ორი არსენი კათალიკოსი; ამიტომ, მხოლოდ მათი მიხედვით საბუთის დათარიღება სწორი არ არის. XIII ს-ის 40-იანი წლების არსენი ქართლის კათალიკოსის დროს (რა დროითაც ათარიღებს ი. დოლიძე საბუთს) ქართლის მთავარეპისკოპოსი იყო გიორგი (იხ. ქისკ, I, № 26:28; 28:67; 31:18), რომელიც ჩანს ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის დროსაც (ქისკ, I, გვ. 156:30). წერილობითი წყაროებით ცნობილია მისი წინა დროის ქართლის მთავარეპისკოპოსები — იოვანე (ქისკ, I, № 23:6, 9) და გიორგი (ქისკ, I, № 15:120), რომელთაგან ერთ-ერთი — გიორგი თანამედროვეა თევდორე ქართლის კათალიკოსისა. ამიტომ, საბა ქართლის მთავარეპისკოპოსისათვის, რომლის თანამედროვეა ქართლის კათალიკოსი არსენი, ადგილი რჩება XIII ს-ის 20-იანი წლებისათვის. ამდენად, თ. ჟორდანიასეული დათარიღება საბუთისა, თუ მას კონკრეტული წლებით არ შემოვსლუდავთ და ზოგადად XIII ს-ის 20-იანი წლებით განვსაზღვრავთ, როგორც ჩანს, უფრო სწორია და მისაღები.

საბუთის უკანასკნელ, ი. დოლიძისეულ პუბლიკაციაში, იგი თანაკლულია (აკლია თ. ჟორდანიასეული გამოცემითაც ცნობილი ადგილი), თანაც ტექსტისეა წარმოდგენილი, რომ არსენი ქართლის კათალიკოსისეული ხელრთულობა საბუთის ძირითად ტექსტადაა მიჩნეული. ცხადია, თ. ჟორდანიასეული გამოცემაც XIX ს-სა თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს; ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია ამ მეტად მნიშვნელოვანი საბუთის (მათ შორის, ჩვენი საკითხისათვისაც მნიშვნელოვანის) აქამად ცნობილი ტექსტის აქვე მოტანა:

XIII ს-ის 20-იანი წლები. საქართველოს სამკლესიო კრების განჩინება შიომღვიმის მონასტრის შეუვალობის შესახებ

[„ხუცურად ნაწერი წყველა-კრულვის ნაწყვეტი“].

ხელრთულობები:

1. მტკიცე არს. [მეფესა...] დამიმტკიცებია<sup>93</sup>.
2. [ქ. ესე ვითა] ზემოთ დაგუწერია, მე, გლახაკსა არსენი ქართლისა კათალიკოსსა. წამე[ბითა და თანადგომითა ქარ]თლი[სა] ებისკოპოფილების ხელმძღვანელმა ქ-მა ლამარა ქაჯაიამ, რომელსაც ამისთვის მადლობას მოვახსენებ.

<sup>92</sup> ქართული სამართლის ძეგლები, წიგნი III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.), ტექსტები გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 160—161.

<sup>93</sup> თ. ჟორდანიას შენიშვნით, ეს უნდა იყოს მეფე ლაშა-გიორგის, ან რუსუდან მეფის ხელრთულობის ფრაგმენტი (იხ. მისი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 50; ქრონიკები, ტ. II, გვ. 94).

9. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 1



პოზითაა წმიდისა უდაბნოსა მღუმიმისათვის [დაგუიწერია] და [კ]უიბრძანებია, ჩუენ ყოველთა, შემდგომად მათსა [დაგუიმტკიცებთან...] ლუწაი და ზრუნვაი მამათა მემღუმიმეთა, მათთა წმიდათა მეფეთა და მღღელთმოდღუართა დაწერილი და დაწყევაი [მათი].

მე, გლახაკი არსენი ქართლისა კათალიკოზი, მათი მოწამე და აღმასრულებელი ვარ, [რაიცა-რავი] ყოვლითა ზემოთ დაგუიწერია, არა[ვის ვათნით]. ვითა დიდისა და მეფეთა შორის სანატრელისა და ვითის [ანდერძი ვაჩენით სწერა], კმა არს წმიდისა ამის უდაბნოსათვის და მათნი ღმრთივეურგუინოსანი მეფენი. და მოურავად, ვითა იგი მასვე შინა სწერა. ვაჩენითავე ნიშნად — მწიგნობართუხუცესი ვაზირი მონაზონი ჯდეს და მამაი მემღუმიმე სულიერთა საქმეთა მათთა [განაგებდეს].

არა[ უც საქმე მღუმიმესა თანა არცა ქართლისა კათალიკოზთა, თუნიერ ლოცვისა და კურთხევისაგან, [არცა ქართლისა მთავარ]ებისკობოზთა, არცა ვის სხუასა ებისკოპოზსა, არცა მთავარსა ვისმე. და არს [მღუმიმე მონასტერი ყოვლითურთ უწყენარი და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან. ვითა და] მიწერ[ია], ლოცვაი წმიდათა მეფეთაი ზედა აც; და ჟამისწირობანი, ვითა ძუელთაგან [არს, ეგრევე იყოს]. უკუეთუ ჩუენ მათნი მოღუაწენი ვიყუნეთ, სახელსა ჩუენსა მოიქსენებდენ, პირველთა [თანა მღღელისაგან მოიქ]სენებდენ.

და ვინცა ესე დაწერილი და გაგებული წმიდასა უდაბნოსა მღუმიმისასა შეუცვალოს, [ანუ იგიცა დაწერილი უწ]ინდელი — წმიდისა მამათმთავრისა იოვანესი ქართლისა კათალიკოზისა, ანუ ოქროპირ ქართლისა კათალიკოზისა, ანუ გაბრიელ ქართლისა კათალიკოზისა, და რაო]დენნი სხუანი შემდგომითი შემდგომად სხენან, კელითწერილნი სანატრელთა [მამათმთავართანი, და] წმიდისა მამათმთავრისა მელქიზედეკისი, ვინ შეცვალოს, ამას ყოველსა [შეცვალებად-ყოს და] მათ სანატრელითა კელითა დამტკიცებულნი, ვინა დიდისა და ვითისა ანდერძ[ი და] სიგლები მათი შეცვალებულ-ყოს, პრისხავს ღმერთი [დაუსაბამოი, წმიდაი მამაი შიოი და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი], კრულია ქრისტეს ღმრთისა მიერ [უკუნითი უკუნისამდე], ამენ.

მე, არსენი [ქართლისა კათალიკოზმან] ჩემითა კელითა დაწერე ყოველი ესე სიმტკიცე და სახელნი; მტკიცე მყოფელნი [ამა დაწერილისა, დამამტკიცებლნი ამისნი, აკურთხ]ნეს ღმერთმან და წმიდამან დედაქალაქმან.

3. [ქ. ესე] ვითა წმიდასა კრებასა და წმიდასა მამათმთავარსა ჩუენსა არსენის ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა განუჩენია ბჭობითა, და დიდთა მამათმთავართა და მოძღუართა ჩუენთა კელითწერილნი [მათნი] დაუმტკიცებთან, მეცა გლახაკი, ქართლისა მთავარებისკობოზი საბა კელისწერით დავამტკიცებ [...].

გვიანდელი სათაური (თ. ჟორდანიას მიხედვით, XVI ს-ის ხელით):

„[ქ. სხალტ]ბური სიგელი სააღაპო წმიდის შიოსა“.

საბუთის ტექსტში დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, როგორც ვხედავთ, ორჯერაა დამოწმებული (ერთგან, სხვა საბუთებთან ერთად — „დიდისა დავითისა ანდერძი და სიგლები“). პირველად, იგი დამოწმებულია

მონასტრის სტატუსის განსაზღვრასთან, უფრო სწორად, უკვე არსებულის და-  
ბტაციებასთან დაკავშირებით.

კერძოდ, არსენი ქართლის კათალიკოსის ხელრთულობაში აღნიშნულია,  
რომ როგორც „დიდისა და მეფეთა შორის სანატრელისა დავითის ანდერძში...  
სწერია გაჩენითავე — მწიგნობართუხუცესი ვაზირი მონაზონი ჯდეს“ მოურა-  
ვდ მღუღინისა, და „მამაი მემღუმე სულიერთა საქმეთა მათთა“ განაგებდესო.  
ანდერძში ეს ადგილი ასეა გადმოცემული: „აწ სვენი ბედიელ-ლავერდელისა  
იყოს შევედრებულ. რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყოფოდის, რო-  
მელსა ჩუენ ვერ მივიწინეთ. და შემდგომად მისსა, თუ მისსა ადგილსა, ამითვე  
წესითა სხუად მწიგნობართუხუცესი იყოს, იგი იურვოდის“ (სტრქ. 123—126).

ანდერძის ტექსტში კიდევ ერთხელ არის აღნიშნული მწიგნობართუხუცე-  
სისა და შიომღვიმის მონასტრის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. კერ-  
ძოდ, ტექსტის ბოლოს, იქ სადაც ანდერძის დამრღვევა — „შეცვალვად  
მოურვეთა“ წყევლაა გადმოცემული, ნათქვამია, რომ „გარემე მონაზუნისა  
მწიგნობართუხუცესისა სასაუარობასა ვინმე იკადრებდეს“, ღმერთმა თავისი  
რისხვა მიაწიოსო.

საეკლესიო კრების დადგენილების ტექსტში, უფრო ზუსტად, არსენი კა-  
თალიკოსის ხელრთულობაში (რომელიც, როგორც წესი, საბუთის ძირითადი,  
ვრცელი და დაწვრილებითი დადგენილების მოკლედ იგადმოცემა), უფრო  
მკაფიოდ არის განსაზღვრული მწიგნობართუხუცესისა და მონასტრის წინა-  
მძღვრის ფუნქციები, ვიდრე ეს დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერ-  
ძის ტექსტშია.

კერძოდ, საბუთის მიხედვით, მწიგნობართუხუცესი მონასტრის მეურვეა,  
„მწიგნობართუხუცესი ვაზირი მონაზონი ჯდეს“, ე. ი. იგი სასამართლო ფუნ-  
ქციას ახორციელებს, ხოლო „მამაი მემღუმე სულიერთა საქმეთა მათთა [გა-  
ნაგებდეს]“, ე. ი. მას მონასტრის სასულიერო საქმეების წარმართვა ეკისრება.  
როგორც ვხედავთ, ანდერძისა და საბუთის დადგენილებები ერთ რამეში —  
მონასტრის მიმართ მწიგნობართუხუცესის ფუნქციის განსაზღვრაში, ერთმა-  
ნეთს ემთხვევა, ხოლო საბუთი აკონკრეტებს წინამძღვრის ფუნქციას — მის  
მიერ მხოლოდ „სულიერთა საქმეთა“ ხელმძღვანელობას.

მეორედ, როგორც აღვნიშნეთ, განჩინებაში ანდერძი დამოწმებულია სხვა  
სიგელებთან ერთად ტექსტის კრულობით ნაწილში, რომელიც ანდერძის შესა-  
ბამისი ადგილის შემოკლებული გადმოცემაა.

აღსანიშნავია, რომ არსენი კათალიკოსის ხელრთულობაში თითქმის სი-  
ტყვა-სიტყვით მეორდება ადგილები ანდერძის ტექსტიდან, რაც, ცხადია, მის  
მიერ ანდერძის გაცნობის მაჩვენებელია:

ანდერძი:

განჩინება:

1. „და ამისთვის, რომელ მიპროსნა მოანიჭებ-  
დეს ქართლისა კათალიკოზი, ჩემსა ეკლესიასა  
შინა, სახელი მისი მოიკსენებოდეს პირველთა  
თანა მღვდელისაგან“ (სტრქ. 60—62).
2. „მღუმესა თანა არცა ვის აწ უც საქმე თუ-  
ნერ ლოცვისა და შეწირვისა“ (სტრქ. 122).  
„არცა ქართლისა კათალიკოზისა საქმე არს  
მღუმესა ზედა, არცა ვის სხუსა ეპისკოპოსისა“  
(სტრქ. 127).

1. „უკეთო ჩუენ მათნი მოღუაწენი ვიუწუნო,  
სახელსა ჩუენსა მოიკსენებდენ, პირველთა თანა  
მღვდელისაგან მოიკსენებდენ“.
2. „არა უც საქმე მღუმესა თანა არცა ქარ-  
თლისა კათალიკოზთა, თუნიერ ლოცვისა და  
კურთხევისაგან, [არცა მთავარ] ეპისკოპოზთა,  
არცა ვის სხუსა ეპისკოპოზსა“.

3. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შიომღვიმის მონასტერს „ძუელით-გან“ ჰქონია „სიგელი შეუვალობისა ცხუართათჳს“, რომელიც დამოწმებულია დავით აღმაშენებლის ანდერძში (სტრქ. 73). თავის მხრივ დავით აღმაშენებელი ანდერძის ტექსტით ადგენს, რომ მის მიერ შეწირული სამი ათასი ცხუარი, უკვე არსებულ ორი ათას ცხუართან ერთად, ე. ი. „ხუთი ათასი ცხუარი, თვთ სასეფოჲსა მონასტრისა და მათთა მეცხოვრეთაჲ, უსაბანჯროდ, უბაჲოჲ და უწყენლად დგეს და იარებოდის ჩუენსა ჳამბარსა გუერდით“-ო (სტრქ. 75—77).

ვფიქრობთ, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ეს ადგილი („ძუელი“, მანამდელ სიგელებთან ერთად) უნდა იგულისხმებოდეს და იგი უნდა იყოს დამოწმებული ერისთავთერისთავის, ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის დაწერილში შიომღვიმისადმი, რომელიც თარიღდება 1247—1250 წწ. და რომელიც მას შეუდგენია მეოთხედ მიმავალს „წარმართთა თათართა შიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიისა დაუცუისათჳს“ (ქისკ, I, № 27, გვ. 122:6—7).

ნიშანდობლივია, რომ გრიგოლ სურამელის ეს დაწერილი შიომღვიმისადმი მის ანდერძს წარმოადგენს, მსგავსად დავით აღმაშენებლის მიერ „შარგანსა ზედა გალაშქრების“ წინ ასევე შიომღვიმისადმი გაცემული ანდერძისა. ვფიქრობთ, რომ პირველი მეორის მიბაძვით და გავლენით შედგენილი საბუთია. მასში, სხვა საკითხებსა და დადგენილებებს შორის, აღნიშნულია, რომ „თუთ წმიდათა მეფეთაჳან და ჩუენისა სახლისაჳანცა წმიდისა შიოის ცხუარნი და მეცხუარენი ყოველსა ადგილსა თავისუფალნი არიან და შეუვალნი საბანჯრობისაჳან და მისი სიგელიც აქუნდა დაწერილი ჩუენისა სახლისაჳან წმიდისა უდაბნოსა მღუიმისასა“ (ქისკ, I, № 27, გვ. 122:24—27).

როგორც გრიგოლ სურამელის ამ ანდერძიდანაც ჩანს, მათი კუთვნილი ცხვრების „უსაბანჯრობა“, ე. ი. მატყლის გადასახადისაგან განთავისუფლება, შიომღვიმის მონასტრის ძველი პრივილეგია ყოფილა და ამ უფლების განსაზღვრებად მას პერიოდულად ახალი საბუთები მიეცემოდა ხელისუფალთაჳან. ერთ-ერთი ასეთი საბუთი სურამელთა სახლისაგანაც ჰქონია მონასტერს, რომელსაც, ჩვენი აზრით, დავით აღმაშენებლის ანდერძთან ერთად, იმოწმებს და თავის მხრივ ამტკიცებს გრიგოლ სურამელი.

4. ამჟამად ცნობილი საბუთების მიხედვით, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის შემდგომ დამოწმებას ადგილი აქვს XV ს-ის ერთ საბუთში. იგი, გაცემული მეფე გიორგი IX-ის მიერ შიომღვიმისადმი, თ. ყორდანიას ცნობით, „წარწერილი“ ყოფილა ზემოთაღნიშნული საბუთის ფრაგმენტის — არსენი კათალიკოსისა და საბა მთავარეპისკოპოსის ხელრთვების, „მეორე გვერდზე“<sup>94</sup>.

რადგან საბუთი გაცემულია მეფე გიორგი IX-ის მიერ, თ. ყორდანია მას 1445—1469 წწ. ათარიღებს. საბუთის მიხედვით „ქუეყანასა სხალტასა“ გიორგი მეფეს „დიდი სათათრო ულუფა სრულიად“ ამოუკვეთია, „ასრე რომე, დიდი სათათრო ულუფა არასოდეს და არას ეამშიგა არა ეთხოვებოდეს“. სამაგიეროდ, აღნიშნულია საბუთში, „სულკურთხეულისა პატრონისა მამისა ჩუენისა ალექსანდრესთჳს კარგაღებულსა [აღაპსა დაგვიდგენდით და] შეგვიკვეთია დღესას-

94 თ. ყორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 72—73.



წაულსა და დღეობასა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა [შიოსა მამისა]სა ცხრასა“.

საბუთის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ „კარზედა მოგუადეგით და ძუელნი გუჯარნი და განაჩენნი მის სულკურთხეულია აღმაშენებლის დავითისი“ მოიტანეთო. როგორც ვხედავთ, აქ, მართალია, დავით აღმაშენებლის ანდერძი დასახელებული არ არის, მაგრამ მის „გუჯართა და განაჩენში“ შეიძლება ისიც იგულისხმებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ამ საბუთის მიხედვით ცხადია, რომ შიომღვიმის მონასტერს დავით აღმაშენებლის მრავალი „სიგელი და გუჯარი“ ჰქონია, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ ერთმა — მეფის ანდერძმა მოაღწია.

5. უკანასკნელად დავით აღმაშენებლის ანდერძი დამოწმებულია XIX ს-ის ერთ-ერთი ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, „ქვათახევის, შიომღვიმისა და სხვათა მონასტერთა“ არქიმანდრიტის, შემდეგში მთავარეპისკოპოსის დოსითეოს ფიცხელაურის განცხადებაში, რომლითაც 1806 წლის 14 მაისს მას მიუმართავს მედიატორთა სასამართლოსათვის<sup>95</sup>. თ. ჟორდანიას ცნობით. „მედიატორობა დაინიშნა იმის გამო, რომ მუხრანბატონები ეცილებოდნენ შიოს მამულებს იმ არეც-დარევის დროს, რომელიც შეუდგა პირველს წლებში რუსების ქართლ-კახეთში დამკვიდრებისას“. ეს განცხადებაო, განაგრძობს თ. ჟორდანია, „შეიცავს შიომღვიმის მამულების ისტორიას, შედგენილს საბუთებით და გუჯრებით“.

მართლაც, არქიმანდრიტ დოსითეოს ფიცხელაურის განცხადებაში დამოწმებულია შიომღვიმის მონასტრის მრავალი საბუთი, რომელთაგან ზოგმა მოაღწია ჩვენამდე, ხოლო ზოგიც სხვა წყაროებით უცნობია. ჩვენი საკითხისათვის არსებითია, რომ განცხადებაში, როგორც აღინიშნა, ჩართულია ნაწყვეტი დავით აღმაშენებლის ანდერძიდან შიომღვიმისადმი და ამის შესახებ თავის დროზე აღნიშნა თ. ჟორდანიამაც<sup>96</sup>. კერძოდ, დოსითეოს ფიცხელაურის განცხადებაში აღნიშნულია:

„ქმა არს ჩვენდა სიმართლედ დავით დიდისა მონარხისა, ზედწოდებით აღმაშენებლის ანდერძი, რომელსაც შინა მოიღებს მრავალთა ზვართა ქონებასა, წისქვილთა და ხოდაბუნთასა, სოფელთა სითარხნესა და ეგრეთვე მღვიმისა ყმათაგან აძლევს მონასტერსა ყოველსა სარჯულსა დრამასა საკანონოსა და სხვასა ესრეთ: „ვითარად წმიდასა მეუფესა ქართლის კათალიკოზსა უბრძანებია ყოველსა სარჯულსა სოფელსა მათთასა ნუწინ ეცილებს, თუთ შიომღვიმის დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიას ზეთად მოახმარონ“.

დოსითეოს ფიცხელაურის განცხადების ეს ადგილი შედარებით თავისუფალი გადმოცემაა დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის 57—60 სტრიქონებისა, მაგრამ საკითხის არსებითი მხარე მასში ზუსტად არის ფიქსირებული.

ერთი სიტყვით, საუკუნეთა განმავლობაში, მისი შედგენის დღიდან მონასტრის არსებობის მთელს მანძილზე, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი წარმოადგენდა მონასტრის ყველაზე ძლიერ და ქმედით დაცვის სი-

<sup>95</sup> Д. П. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари (грамоты), (Материалы для пятого Археологического съезда), Тиф., 1881, с. 100—102; თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 86—89.

<sup>96</sup> თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთების შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 16, შენ.; გვ. 87, შენ. 2.

გელს. მას, როგორც დიდი ძალისა და გავლენის საბუთს, გაცემულს საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მეფის მიერ, არაერთხელ იმოწმებენ და ეყრდნობიან როგორც საქართველოს მეფეები, ისე სხვა ხელისუფალნი, მონასტრას უფლებების განახლება-დამტკიცების, ან ახალი სამფლობელოებისა და პრივილეგიების მინიჭების დროს. ამიტომაც იყო, რომ ეს საბუთი საუკუნეებს გამოატარეს მონასტრის მესვეურებმა და მან სრულად და უვნებლად თითქმის ჩვენს დრომდეც მოაღწია.

მეფის ბრძანებით

ქაყაი:

გიორგი, სვეტიცხოველს შ. მკურნალსა და

არსენი ქართლის კათალიკოსის ხელრთულობის ნაწყვეტები საქართველოს საეკლესიო კრების განჩინებაზე შიომღვიმის შეუვალობის შესახებ:

1. „შე, გლახაკა არსენი ქართლისა...“. 2. „და უბრძანებია“. 3. „ვითა დიდისა და მეფეთა შორის ხანატრელისა დავითი(ხ...)“.

მეფის ბრძანებით: გეორგი, სვეტიცხოველსა და

საბა ქართლის მთავარეპისკოპოსის ხელრთულობის ნაწყვეტი იმავე საბუთზე:

„მეცა, გლახაკი ქართლისა მთავარეპისკოპოზი საბა კელისწერით...“.

В. И. СИЛОГАВА

## ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ ДОКУМЕНТЫ, УПОМЯНУТЫЕ В ЗАВЕЩАНИИ ДАВИДА СТРОИТЕЛЯ ШИОМГВИМСКОЙ ЛАВРЕ, И УПОМИНАНИЕ ЗАВЕЩАНИЯ В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ДОКУМЕНТАХ

Резюме

Статья является одной из глав монографии «Два завещания Давида Строителя». Она состоит из двух частей: в первой части рассмотрены древнегрузинские документы, упоминание которых можно подразумевать в отдельных местах текста Завещания царя Давида Строителя (1089—1125) Шиомгвимской лавре, составленного в сентябре 1124 года, а во второй — упоминание Завещания в древнегрузинских документах XII—XIX вв.

Несмотря на то, что конкретные документы в Завещании не названы, их наличие подразумевается каждый раз при указании на отдельные привилегии или же владения Шиомгвимского монастыря, которые Давид Строитель подтверждает, либо возобновляет в своем Завещании.

В тексте Завещания эти документы сгруппированы по определенной системе, как бы классифицированы по тематике: 1. «Грамоты отцов и дедов наших», 2. «Грамоты других царей», 3. «Грамоты неких мтаваров (князей)», 4. «Руки (хелни) каталиков картлийских» и т. д.

В тексте Завещания, с привлечением сведений из других древнегрузинских письменных источников, удалось выявить 35 древнегрузинских документа, упоминание которых можно подразумевать в отдельных его местах. Из них до нас дошли, к сожалению, только два документа: 1. Грамота царя Баграта IV Шиомгвимскому монастырю от 1057 года и 2. Грамота царя Георгия II Шиомгвимскому монастырю от 1073 года. К счастью, оба они дошли до нас в подлиннике, правда, в несколько поврежденном виде. Кроме того, фрагменты текстов двух или трех документов можно выделить в некоторых частях «единой грамоты» II половины XIII века в т. н. «Писанье Павнели», составленном из фрагментов более ранних документов.

К этой части статьи прилагается список документов (с указанием названий («заголовков») и приблизительно установленных дат их написания), упоминание которых в Завещании можно подразумевать. Выяснилось, что эти документы распределяются по довольно большому отрезку времени — с момента основания монастыря, со II половины VI века, по I четверть XII века включительно. Здесь и Завещание св. Шио, основателя монастыря, и писанья св. Евагре, сподвижника св. Шио и оставленного им же после себя вторым игуменом монастыря, и грамоты VI—VII вв. о первых пожертвованиях монастырю картлийскими царями и правителями, и документы более позднего периода — X—XI вв. — грамоты и писанья кахетинских царей и отдельных правителей монастырю, грамоты самого Давида Строителя, выданные монастырю, и пр.

Выявление и установление хотя бы названий и приблизительных дат этих документов еще раз подтверждает, как мало древнегрузин-



ских исторических документов (грамм, писаний, «руки» и т. д.) раннего периода дошло до наших дней.

Факт привлечения столь внушительного количества документов при подтверждении отдельных монастырских привилегий и пожалований указывает, во-первых, на существование развитой правовой системы в Грузинском государстве XII века и, во-вторых, на наличие вековых традиций составления правовых документов, что и было обусловлено общей высокой культурой страны.

Во второй части проанализированы все известные к настоящему времени упоминания Завещания как основы для древнегрузинских исторических документов, подтверждающих отдельные привилегии или владения монастыря. Это — грамота Георгия III от 1170 года, Указ Собора Грузинской церкви, датируемый 20-ми годами XIII века, Писанье Григола Сурамели 1247—1250 гг., грамота царя Георгия IX, датируемая 1445—1469 гг. и, что особенно интересно, Заявление архимандрита (впоследствии архиепископа) Деситеса Пицхелаури в третейский суд от 14 мая 1806 года. Оно интересно тем, что в нем приводится дословный отрывок, а в некоторых случаях подробный пересказ отдельных мест из Завещания.

Очевидно, на протяжении веков, со времени составления Завещания Давида Строителя Шиомгвимской лавре и до конца существования монастыря, оно являлось самой влиятельной и действенной охранной грамотой для монастыря. На него как на документ большой силы и влияния, выданный одним из могущественных и авторитетнейших государей Грузии, не раз ссылаются как грузинские цари, так и другие властелины, опираясь на него при возобновлении или подтверждении тех или иных привилегий Шиомгвимского монастыря.

Именно ввиду этого, усилиями служителей монастыря Завещание Давида Строителя дошло почти до наших дней — его подлинник, вместе с другими эвакуированными древнегрузинскими документами, погиб в 1919 году на Северном Кавказе, вблизи станции Кавказской, в условиях развернувшейся там гражданской войны; лишь незначительная его часть, спасенная от уничтожения, хранится в настоящее время в ЦГИА Грузии.

#### V. SILCGAVA

### OLD-GEORGIAN DOCUMENTS MENTIONED IN DAVID THE BUILDER'S WILL TO THE SHIOMGHVIME LAURA AND REFERENCE TO THE WILL IN OLD-GEORGIAN DOCUMENTS

#### Summary

The paper, comprising two parts, forms one of the chapters of the author's monograph „Two Wills of David the Builder“. The first part deals with Old-Georgian documents the mention of which can be surmised in separate passages of king David the Builder's (1089—1125) Will to the Laura of Shiomghvime, drawn up in September 1124; the second part of the paper deals with references to the Will in Georgian documents of the 12th—19th centuries.

Although concrete documents are not named in the Will, their existence is invariably implied when individual privileges or possessions of the Shiomghvime monastery are indicated, being confirmed or renewed in David's Will.

In the text of the Will these documents are grouped according to a definite system, being classified thematically, as it were: 1. Charters of our fathers and grandfathers", 2. „Charters of other kings“, 3. Charters of certain mtavars (princes)“: 4. „The hands of the catholicoi of Kartli“, and so on.

By recourse to other old Georgian written sources, the author has succeeded in detecting the presence of 35 old Georgian documents in the text of the Will, the mention of which can be implied in individual passages. Of these, unfortunately only two documents have survived: 1. Charter of 1057, granted by king Bagrat IV to the Shiomghvime monastery, and 2. Charter of 1073 granted by King Giorgi II to the Shiomghvime monastery. Fortunately, both are extant as originals, though somewhat damaged. Besides, fragments of the texts of two or three documents can be identified in separate parts of the „single charter“ of the second half of the 13th century in the so-called „Writ of Pavneli“, composed of fragments of earlier documents.

Added to this part of the paper is a list of documents the mention of which can be implied in the Will, with an indication of their names ('titles') and the probable date of each document. These documents extend over a fairly long period of time, ranging from the foundation of the monastery in the second half of the 6th century to the first quarter of the 12th century. Here we have the Will of St. Shio, founder of the monastery, and the writ of St. Evagre, associate of St. Shio, left by the latter after himself as the second hegumenus of the monastery, charters of the 6th-7th cent. on the first donations to the monastery by kings and rulers of Kartli, and slightly later, charters and writs of the 10th-11th cent., granted to the monastery by Kakhetian kings and individual rulers, charters granted by David the Builder himself to the monastery, and so on.

The tracing and ascertainment at least of the titles and approximate dates of these documents demonstrates once again the amazing number of extant Old Georgian documents (charters, writs, 'hands', etc.) of the early period.

The reference to such an impressive array of documents and using them as the basis in confirming individual monastic privileges and grants point, firstly, to the existence of a developed legal system in the 12th-century Georgian state, and, secondly, to the existence of age-old traditions of drawing up legal documents, which was made possible the general high cultural level of the country.

In the second part of the paper, an analysis is given of all presently known references to the Will in Old-Georgian historical documents as the

basis in confirming individual privileges or estates of the monastery. These are: the Charter of Giorgi III, granted in 1170, the Act of the Council of the Georgian Church, dating from the 1220s, the Writ of Grigol Surameli, 1247--1250; the Charter of King Giorgi IX of 1445--1469, and, which is especially interesting, the Appeal of the Archimandrite (later Archbishop) Dositheos Pitskhelauri to the Court of Arbitration on 14 May 1806. The Appeal is interesting because it contains a verbatim excerpt from David the Builder's Will, and in some cases, a detailed exposition of its separate passages.

Obviously enough, over the centuries--from the time of its compilation to the end of the existence of the monastery--David's Will to the Shio-mghvime monastery represented the most influential and effective Charter of this monastery. As a document of great force and influence, granted by one of the most powerful and authoritative sovereigns of Georgia, it was repeatedly referred to and used as the basis both by Georgian kings and by other rulers in renewing or confirming certain privileges of the Shio-mghvime monastery.

That is why the Will of David the Builder was, almost to our time, preserved intact by the guardians of the monastery. Its original, together with other evacuated Old Georgian documents, perished in 1919 near the Kavkazskaya stanitsa, Northern Caucasus, in the Civil War raging there. Only a small part of it, escaping destruction, is at present preserved in the Central State Historical Archives of Georgia.





ЛУИС ХИЛ ФЕРНАНДЕС  
(Madrid)

ДИПЛОМАТИЧЕСКИЕ КОНТАКТЫ  
МЕЖДУ ГРУЗИЕЙ И ИСПАНИЕЙ В XV—XVII вв.

Как бы предчувствуя и предвещая некоторое сходство между Грузией и Испанией, уже с давних времен были попытки породнить каким-то образом иверийское население Южного Кавказа с их одноименными коррелятами в крайней западной области евроазиатского континента. Мы, конечно, не будем сейчас вдаваться в подробности по столь скользкой генеалогической теме. Напомним лишь о доводах, с которыми выступил против этих предположений уже в начале XVII в. греческий просветитель Константин София<sup>1</sup>. Хотелось бы, однако, упомянуть о некотором параллелизме, который, по мнению известного историка У. Э. Д. Аллена<sup>2</sup>, наблюдался в общем положении обеих стран в начале современной эры, и который в дальнейшем был нарушен разнонаправленностью эволюции в каждой стране. Обе нации проявили непреклонную волю сохранить свою историческую личность, воплощенную в христианскую веру, и противостояли всеми силами чужеродной культуре — мусульманству, причем в обоих случаях наблюдается обратное соотношение противоречий, являющихся прямым следствием остатков феодализма, с одной стороны, и растущей необходимости создания единого, нового, централизованного государства — с другой. На Иберийском полуострове конец 15 в. знаменуется победой власти короля над разрозненными феодалами и уничтожением последних остатков арабского владычества, создавая тем самым основу для становления новой великой европейской державы. В Грузии же историческая эволюция произошла под обратным знаком, т. е. произошел распад единого государства на мелкие царства и княжества, и, следовательно, натиск окружающей мусульманской среды не только не ослаб, но и значительно усилился.

С падением Константинополя в 1453 г. и Трапезунда в 1461 г. Грузия оказалась полностью оторванной от Запада, изолированной, сдавленной с обеих сторон мощными врагами: османской Турцией с ю.-з. и сефевидской Персией с ю.-в.<sup>3</sup> Грузия, очевидно, поняла опасность своего положения, однако внутренние распри и междоусобицы не прекратились. Один только раз, в 1459 г., при царе Георгии VIII, Людовику

<sup>1</sup> AGS (Archivo General de Simancas), E 2859, f. 153.

<sup>2</sup> Allen W. E. D., *A History of the Georgian People*, London, 1932, p. 132.

<sup>3</sup> D. M. Lang, *Modern History of Georgia*, London, 1962; K. Salia, *Histoire de la nation géorgienne*, Paris, 1980; C. Alonso, *Misi7ner7s en Georgia (siglo XVII)*, Valladolid, 1978; M. Floristan, *Fuentes para la politica oriental de los Austrias. La documencion griega dei Archive de Simancas (1571—1621)*, Universidad de Leon, 1988, vol II, pp. 506—564.



герцогу Бургундскому, легату Папы Юлия II, удалось убедить грузин и добиться их временного единства. Грузинские посланники вместе с представителями армян, персов и жителей Трапезунда прибыли в Европу с просьбой о предоставлении помощи в борьбе против турок. Они обратились с этой просьбой к германскому императору Фридриху III, к Венецианскому сенату, к Папе римскому, к французскому королю и к герцогу Бургундскому. Однако все попытки окончились неудачей: Европа была не в состоянии предпринять новый крестовый поход, чтобы поддержать совместные усилия восточных союзников в борьбе против Османской империи. Как верно заметил А. Манвелишвили<sup>4</sup>, сбылось, и весьма скоро, пророчество, высказанное посланником Мтаваром Кваркваре герцогу Бургундскому: «Если Европа не воспользуется этой возможностью, она скоро увидит турок у ворот Вены».

Картлийский царь Константин III (1479—1505), сын Георгия VIII, в 1492 г. направил посланников в Каир в поисках поддержки мамелукского султана против общего врага. После благоприятной встречи с султаном грузинские посланники, возвращаясь к себе на родину, встретились в Иерусалиме с посланниками испанских католических королей, которые сообщили им о взятии христианами Гранады. Весть настолько обрадовала грузин, что они пригласили испанцев с собой, в Грузию, куда они и прибыли все вместе. На обратном пути их сопровождали два грузинских монаха — Нил и Захарий — в качестве особых посланников царя Константина. Посланники везли с собой предложение о создании военного союза против империи «Всевышних Врат»: испанские короли должны были направить свой флот на освобождение Константинополя, в то время как грузинский царь и египетский султан совершили бы наземную атаку с обоих флангов на турок. Посланники прибыли к испанскому двору в 1495 г. В то время внимание Фердинанда Католического было полностью сосредоточено на Италии, и военные действия против мусульман находились на мертвой точке. Действительно, взятие Мелильи Педро де-Эстопиньяном состоялось лишь в 1497 г., австрия Кефалонии и Орана — в 1500 г. и в 1509 г. Сохранился ответ католических королей на предложение грузинских посланников. Оно датировано от 3 июля 1495 г. и подписано королевским секретарем Луисом Гонсалес<sup>5</sup>. Испанские монархи на прекрасной латыни, в сухом, изысканно вежливом тоне благодарили грузинского царя за подарки и поощряли продолжать борьбу против турок-оттоманов, напоминая, притом весьма несвоевременно, что испанцам понадобилось 800 лет, чтобы изгнать арабов. В письме сообщалось также об изгнании из Испании евреев и о намерении испанской короны продолжать борьбу против неверных на территории Африки. Очевидно, Константинополь находился слишком далеко и не вписывался в геополитические интересы Кастильско-Арагонской монархии.

На протяжении всего 16 в. и в начале 17 в. отмечаются неоднократные призывы о помощи грузинских царей и попытки как прямо, так и через посредников образовать военный союз. Второе такое грузинское послание, полученное при испанском дворе, было письмом от «иверского короля», отправленное через митрополита Каппадокии греческому патриарху в Константинополе для того, чтобы он передал это письмо Карлу V. Патриарх переправил письмо епископу Модонскому,

<sup>4</sup> А. Menvelichvili. Histoire de la Géorgie, Paris, 1950, p. 260.

<sup>5</sup> Documentos sobre relaciones internacionales de los Reyes Catolicos, vol. V (1495—1497) Barcelona, 1965, pp. 114—115; M. Tamarati, L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours, Pome 1910, pp. 459—463.



а тот, в свою очередь, передал его вместе с другими письмами наместнику короля в Сицилии, который и направил его в адрес Государственного Совета. Письмо, которое до нас не дошло, было датировано от марта месяца 1548 г. и в нем грузинский царь предлагал испанскому королю армию в 30 тысяч воинов во главе со своим сыном, в случае, если испанский король решится предпринять военные действия на Востоке<sup>6</sup>.

Но и на этот раз, по-видимому, предложение пришло слишком поздно. Возможно, несколько лет раньше оно было бы принято с большим вниманием. Действительно, в начале 1552 г. Сулейман совершил новый поход к Дунаю, поставив под угрозу Вену, и Карлу V пришлось предпринять в Средиземноморье целый ряд отвлекательных маневров, которые привели к взятию Корона и Патраса в Марке. Но обе позиции, довольно отдаленные от итальянских владений Австрийского дома, были оставлены в 1534 г., из-за невозможности защищать их от турецких набегов. Годы блестящих побед над турками остались далеко позади (взятие Туниса было в 1535 г.), зато гораздо ближе в памяти был неудачный поход на Алжир в 1541 г. Год написания письма грузинского царя — это как раз год Аугсбургской Диеты, обозначавшей начало политического и физического спада императора. И, как обычно делалось в таких случаях, Государственный Совет решил: «что в свое время и по ходу событий будет учтено и принято во внимание предложение одного короля».

Сорок лет спустя было получено еще одно послание в адрес испанского короля, на этот раз прямое письмо от Картлийского царя Симеона I<sup>7</sup>. Но за этот промежуток времени произошли большие изменения как на Востоке, так и в Испании. После смерти Константина II Грузия разделилась на три царства: на западе Имерети (столица Кутаиси), в центральной части Картли (столица Тбилиси), а на востоке Кахети (столица Греми), помимо нескольких мелких княжеств: Абхазети, Мингрели, Гурия, расположенных вдоль Черноморского побережья на территории древней Колхиды с прилегающими территориями, как Лазистан на ю.-з. и Самцхе (столица Ахалцихе) в верхнем течении р. Куры; последняя из них стала затем княжеством Самцхе-Саатабаго и приобрела независимость. Положение Грузии на стыке между османской Турцией и сефевидской Персией (сефевиды — династия, основанная шахом Измаилом, членом исламского религиозного ордена Сефевийя, шиитского вероисповедания), ее замкнутость между двумя мощными мусульманскими империями предопределили распределение зон влияния на грузинские княжества. Кахети, в соседстве с Персией, вскоре подпало под ее власть и имело относительно мирное и благополучное существование. Княжество («самтавро») Самцхе, не доверяя ни Картли, ни Имерети, искало поочередно союза то с персами, то с турками, пока не попало окончательно под власть последних. Имеретинский царь Баграт (1510—1565) попытался распространить свою власть на княжества Гурия и Мингрели, однако совершил роковую ошибку — взятие Самцхе, чем вызвал вмешательство турок и попал в полную от них зависимость. Таким образом, Картли со своей столи-

<sup>6</sup> AGS, E 480 (Sin foliar).

<sup>7</sup> L. Gil Fernandez, J. M. Floristan, *Cartas de los reyes georgianos Simeon I de Kartli a Felipe II y Teimuraz I de Kakheti a Felipe IV*, „Estudios Clasicos“, 27, (n. 89), 1985, pp. 307—345, 312—314; I. M. Floristan, *Fuentes...*, II, pp. 525—526).





цей Тбилиси превратилась в 16 в. в ядро и душу грузинского сопротивления против иностранного владычества.

Персия и Турция с начала 16 в., за исключением краткосрочных периодов мира, находились в состоянии постоянной войны, которая длилась уже 50 лет и разражалась жестокими битвами то на территории Ирака, Армении, Ширвана, Азербайджана, то самой Грузии<sup>8</sup>. После стычек между Селимом и Измаилом произошли сражения между силами Сулеймана и Тахмаспа, в которых турки потерпели поражения, пока, наконец, мирным договором в Амазии в 1555 г. не были установлены зоны, подвластные каждой державе. Персы оставили себе Ереван, Нахичевань и Табриз, а Сулейману достался Ирак, большая часть Курдистана и Западная Армения, включая города Эрзрум и Ван. Западная Грузия, в составе которой находились царство Имерети и княжества Мингрели и Гурия, попала в зависимость от Турции, в то время как восточногрузинские царства Кахети и Картли остались во власти персов.

Борьба за престол, развязавшаяся после смерти шаха Тахмаспа в 1576 г. изменила status quo. После убийств Хайдара Мирзы в 1576 г. и его брата Измаила в 1577 г. на трон взошел Мохаммед Хутабанда (1577—1587), человек слабый и почти слепой, который явно был не в состоянии управлять государством. Турецкие сановники Мустафа-паша и Сиан-паша увидели в этом отличную возможность для расширения Османской империи и предложили султану Мураду III напасть на персов, погрязших в междоусобицах и распрях. Султан последовал их совету, и вновь вспыхнувшая в 1578 г. война имела тяжелые последствия для Грузии. Картлийский царь Луарсаб I (1534—1558), борец за свободу своего народа, погиб в битве против персов при Гарисси, и на престол вступил его сын Симеон I (1558—1601). В 1569 г. шах Тахмасп восстановил против него его родного брата Давида, который за несколько лет до этого обратился в мусульманство. Картлийское царство было захвачено персами, царь Симеон свергнут, захвачен в плен и отправлен в качестве узника в Персию, где пробыл в заключении до 1577 г., т. к. отказался принять мусульманство. Наконец, он был освобожден Измаилом, с которым вместе был в заключении, при условии, однако, что никогда не поднимет оружия против персов.

Турецкий поход в Персию в 1578 г., возглавляемый Лала-пашой, на деле оказался легкой военной прогулкой. Грузинские князья, через владения которых должен был пройти турок, тоже не смогли оказать серьезного сопротивления, и вся Грузия пала под власть Турции. Картли превратилась в турецкую провинцию. Симеон, отказавшийся принять мусульманство, много лет возглавлял народную борьбу против турок, совершая набеги и нападения на караваны с продовольствием и снабжением, которые направлялись в Картли. Тяжелая ситуация безвластия, создававшаяся между убийством в Гандже сына и наследника Худабанды — Хамзы Мирзы и свержением с престола шаха, заставила грузинского царя искать помощи у западных христианских государств. Однако недостаточное знание европейских политических обстоятельств и превратности судьбы привели эти попытки к полной неудаче. Грузинский царь направил в Европу двух посланников: один из них, из знатного рода, отправился в путь через Иерусалим в облачении паломника, а другой, армянин по имени Александр, под видом купца отплыл на торговом судне из Константинополя в Венецию. Пер-

<sup>8</sup> St. J. Shaw, *History of the Ottoman Empire and the Modern Turkey*, Cambridge, 1976, vol. 1, pp. 180—194.



вый был перехвачен турецким генералом Фахрадом-бахой в городе Аргеноре (Эрзеруме?) вместе с письмами и подарками, которые вез испанскому королю; второму же удалось добраться до места назначения «с шестью тюками тончайшего грузинского шелка», которые предназначались в подарок Его Католическому Величеству. Это было, возможно, в январе 1588 г. Отъезд посланника из Грузии можно датировать началом 1587 г., если исходить из его же слов, что он пробыл в пути год. Испанский посол в Риме встретился с этим посланником-армянином и через переводчика узнал от него о намерении царя Симеона, при отсутствии, однако, верительных грамот и подобающих подарков.

Симеон излагал следующим образом положение Персии и Грузии. Ряд поражений привел персов к потере значительной части территории. Персидский шах в своей физической и умственной слепоте не был способен ни противостоять событиям, ни принять какое-то решение. Другие грузинские князья не желали вмешиваться в войну с турками, будто это их вообще не касалось, в то время как он, Симеон, на протяжении 11 лет вел непрерывную борьбу с врагом, защищая свою страну и свою веру. Поэтому ему ничего не оставалось, как обратиться за помощью к Папе и Филиппу II в борьбе с турками, будучи убежденным, что наступил лучший момент, чтобы разрушить вражескую силу, если христианские государи все вместе нападут на турок с запада. После победы будут возвращены христианам Святые места и восстановлена в Константинополе власть Креста христианского. Он просил также прислать миссионеров-просветителей для обучения своего народа в верности христианству и для того, чтобы эти миссионеры, осведомившись о его царстве, вступили в контакт и с другими важными грузинскими князьями, как Александр Кахетинский. Симеон также выражал готовность принять вассальство от Папы и от испанского короля, и обещал быть верным союзом с Персией. Однако посланник-армянин, узнав об оставшемся расстоянии, решил не продолжать свой путь в Испанию, а вернуться скорее в свою страну, опасаясь, что если он слишком долго задержится в пути, грузинский царь потеряет всякую надежду и в отчаянии покорится туркам.

Дон Энрике де-Гусман, герцог Оливарес, отец знаменитого графа-герцога, бывший послом в Риме при Папах Григории XIII и Григории XIV, как истинный дипломат сразу увидел прекрасную возможность приобрести нового союзника на Востоке, особенно принимая во внимание новые границы испанской монархии и помня о «беседе по поводу Индии» между Филиппом II и персидским шахом. Действительно, присоединив к своим владениям в 1580 г. Португалию, владения Австрийского дома в Средиземноморье соприкасалась с турецкими владениями не только «каблуком итальянского сапога», но и граничила с ними у входа в Персидский залив благодаря португальскому таможенному пункту в Ормузе. Победа при Лепанто не дала ожидаемого эффекта, и в виду невозможности полностью разрушить владычество мусульманской державы в Средиземноморье, было целесообразно раздуть ее силы, постоянно поддерживая конфликт между турками и персами<sup>9</sup>.

<sup>9</sup> Хотя до 18 в. Испания не подписывала никакого мирного договора с Турцией, было секретное перемирие после Лепанто, переговоры по которому вели Martín de Acuña и Giovanni Margliani; см. F. Braudel, *El Mediterráneo y el mundo mediterráneo en la época de Felipe II*. Madrid, 1976, vol. II, pp. 658—689. В конечном счете эта макиавеллическая политика,



Уже вскоре после битвы при Лепанто, Филипп II направил через Мигеля Дабреу де-Лима, посла португальского короля Себастьяна, дружественное письмо шаху Тахмаспу, сообщая ему о своей победе над турками и приглашая его воспользоваться слабостью турецкого султана, чтобы нанести ему окончательный удар<sup>10</sup>. В 1581 г. Филипп II поручил дону Франциско де-Маскареньяс, которого отправлял на пост наместника короля в Индию, вступить в контакт с шахом Тахмаспом в надежде, что тот еще жив. Приблизительно в то же время наместник короля в Неаполе дон Иньиго Лопес де-Мендоса отправил шаху через гонца-армянина подарок и дружеское приветствие от имени испанского короля<sup>11</sup>.

Зная обо всем этом, герцог Оливарес незамедлительно предложил свое посредничество перед Папой, с тем, чтобы Папа римский призвал к единству христианских государей и направил в Грузию двух посланников: одного через Польшу, чтобы пригласить польского короля и Московского государя присоединиться к общему делу; а другого прямо через Константинополь. Однако, несмотря на все старания, ходатайства герцога Оливареса перед Папой не дали желательных результатов. Как об этом своевременно предупреждал кардинал Санкта-Северина, Папа Сикст VI отнесся весьма неблагоприятно ко всей этой затее, которую счел не чем иным, как очередной интригой испанского короля, и наотрез отказался выделить деньги грузинскому посланнику.

Тогда испанский посол предложил продать все тюки грузинского шелка и на вырученные деньги отправить царю Симеону достойный подарок от имени испанского короля. Обо всем этом посол подробно отчитался в феврале 1587 г. в длинном сообщении королю, написанном на итальянском языке. В этом сообщении содержалась также и подробная информация о последних событиях в Грузии, о чем писал собственноручно некий Марко Антонио Абагаро (или Абагуа)<sup>12</sup>, армянский переводчик кардинала Санкта-Северина, основываясь на данных, полученных от посла царя Симеона по имени Александр. Нет никаких данных об обратном пути этого грузинского посланника, однако вполне возможно, что попытка эта не привела к положительным результатам из-за позиции Папы.

Последнее десятилетие 16 в. было весьма неблагоприятным как для Персии, так и для Турции. Персия, страдая от постоянного напора турецких войск и набегов узбеков в ю.-з. провинции Хорасан, вынуждена была подписать со своим противником мир в 1590 г. Новый шах Аббас I вопреки своему желанию вынужден был вернуть неприятелю все только что отвоеванные у него территории, среди них и Грузию, и все оставшиеся годы своего царствования посвятил восстановлению строгого порядка и дисциплины в своих владениях, лелея надежду ког-

проводившаяся вплоть до смерти Филиппа III, сказалась отрицательно.

Аббас I, разуверившись в ложных обещаниях поддержки испанского короля, взял Ормуз в 1622 г.

<sup>10</sup> AGS E 390 f. 148.

<sup>11</sup> C. Alonso. Nueva documentación inédita sobre la misiones agustinianas en la India y en Persia (1571—1609). *Analecta Augustiniana* 33, 1970, pp. 303—393. doc. 4.5.

<sup>12</sup> Первым фигурирует название документа подлинника (Архив МИД, фонд Ватикана, кор. 15. л. 200—206); вторым — копия, направленная в Испанию AGS E 950 Fs. 74—82.





да-нибудь отыграться<sup>13</sup>. Совсем иное было положение на стороне победителя — Турции. Постоянные войны с Персией и Венгрией опустошили государственную казну до такой степени, что пришлось резко сократить процент содержания серебра в монетах, что быстро привело к инфляции. В 1589 г. было восстание янычар и сипахов, которые требовали своей оплаты в старых деньгах. В 1592 г. вновь взбунтовались сипахи — феодальная кавалерия при султани. Ослабление военной дисциплины привело к первым признакам разложения, которые позднее превратились в эндемическое заболевание оттоманской империи: праздность и коррупция чиновников, измененность султанов, растущее влияние наложниц в политических вопросах.

Вдобавок, в 1593 г. вспыхнула война с римским императором Рудольфом II, продлившаяся без малого до 1606 г. Первые годы войны, когда восстали против турок Молдавия, Валахия и Трансильвания, оказались особенно тяжелыми. Особенно критическим был 1595 г., год падения турецкой крепости на Дунае Гюрджин и смерти султана Мурада III. Его преемник Мохаммед III (1595—1603) лично возглавил свое войско и несколько выправил положение дел в 1596 г. взятием венгерской крепости Эрлау (12 окт.) и дорогостоящей победой над христианским войском в Мезе-Керештес (26 окт.).

Таково было положение на Востоке, когда Симеон I решил направить в Испанию второго своего посланника<sup>14</sup>, который, вероятно, совершил свой путь через Московскую Русь и Польшу. От этой посольской миссии сохранилось 4 документа: два письма (одно на армянском, другое на греческом языке) и соответствующие переводы на испанский, причем первый из них — анонимный, а второй выполнен неким Николао де-ла-Торре<sup>15</sup>. Эти документы представляют собой великолепные образцы дипломатической корреспонденции 16 в. (лето 1595 г.). Симеон кратко описывает положение в Грузии: восточный государь Александр Кахетинский, персидский шах Аббас и он сам согласны выступить с оружием против турок. Он сообщает также и о том, что Картли находится в полной зависимости от него на вассальном положении; он торжественно клянется в верности христианской вере и заодно еще раз напоминает, что победа над турками могла бы вернуть христианам Святые места. Он сообщает также Его Католическому Величеству об установлении эпистолярных контактов с Папой, с Императором и с владыкой трансильванским.

Действительно, М. Тамарати имел возможность прочитать послание Симеона Его Преосвященству (датированное 1578 г., когда Симеон был освобожден из персидского плена), в котором Симеон рассказывал о несчастной судьбе своего народа и выражал твердую решимость бороться до последней капли крови за христианскую веру<sup>16</sup>. Ни

<sup>13</sup> См. работу L. L. Bellan, *Chah 'Abbas I. Sa vie, son histoire*, Paris, 1932.

<sup>14</sup> Об этом посольстве см. упомянутую статью L. Gil—J. M. Floristán, pp. 308, 316—308, 327—331; J. M. Floristán, *Fuentes.. II*, pp. 566—571.

<sup>15</sup> Об этом см. G. de Andrés, *El cretense Nicolas de la Torre, copistagieg 7 de Felipe II. Biografía. Documentos. Facsimiles*, Madrid, 1969.

<sup>16</sup> См. сноску 5 на с. 469—471. Письмо написано явно после 1577 г., т. е. после освобождения Симеона из заключения, т. к. он упоминает о своем заключении и освобождении. Однако нет оснований датировать письмо 1578 годом. По нашему мнению, оно соответствует первому посольству Симеона к Папе Сиксту V и Филиппу II (1578), т. к. в нем Симеон сообщает о недавней смерти своего отца Луарсаба, чего не могло быть при втором посольстве.

10. „მაცნე“, ისტორიის სტრია, 1990, № 1.

письмо императору Рудольфу II, ни ответ на него до нас не дошли, но можно предположить, что в ответном письме Император поощрял грузинского царя продолжать бороться против турок. В послании Симеон обращался к Филиппу II, упоминая о его близких связях с Императором, с просьбой помочь Императору в его борьбе или, по крайней мере, отговорить его от заключения мира с турками, и просил одновременно ходатайствовать за него перед персидским шахом, чтобы добиться объединения всех сил в единой, согласованной битве против турок. К сожалению, ничего так и не сбылось.

Следует отметить, что Симеон отнюдь не ошибался в своих суждениях. Так, например, когда он упоминал в письме о близких отношениях между Филиппом II и Рудольфом II, он был абсолютно прав, т. к. помимо других, обоих монархов связывали и семейные узы: отец Рудольфа Максимилиан II доводился одновременно двоюродным братом и тестем испанскому королю и был, к тому же, дедом по матери наследника испанского престола, который вскоре стал Филиппом III. С другой стороны, очевидна и склонность Австрийской империи к заключению мирных договоров с турками во избежание опасности, что ставило ее в положение вассальной зависимости от Оттоманской империи.

Так, Фердинанд I в 1562 г. подписал с турками мирный договор, по которому обязывался выплачивать им ежегодную дань и, более того: этот договор был продлен в 1568 г. самим Рудольфом II. Прав был грузинский царь. И прав был, когда утверждал, что заключение еще одного мирного договора с турками в Европе развяжет им руки для сокрушительного удара на Грузию. И прав был еще раз, считая, что испанскому монарху следовало бы уделять больше внимания Оттоманской империи, угрозе с Востока, имея ввиду новые азиатские границы испанской империи. Сохранилась надпись на полях документа, сопровождающего письмо грузинского царя, которая гласит: «Подобает ответить письмом по-гречески, поощряя на борьбу, и сообщить о том, что переговорено с Персом, и отправить список одного ответа дону Гильену, дабы тот оказал им помощь при Императоре, и предупредить об оном герцога де-Сеса»<sup>17</sup>.

Ни Ф. Маклер<sup>18</sup>, первоиздатель послания царя Симеона, ни мы, при подготовке нашего издания, не смогли найти ответного письма Филиппа II грузинскому царю. Его обнаружил несколько позже Х. М. Флористан<sup>19</sup>, в архиве Симанкас в секции «Переговоры о Германии»<sup>20</sup>. Это текст на греческом языке, отредактированный, по всей вероятности, Николао де-ла-Торре, на основе первичной латинской редакции, которая, в свою очередь, являлась переводом с испанского оригинала. Письмо датировано в Эскориале, от 25 июня 1598 г. и носит весьма общий характер, хотя и в довольно любезных терминах. В этом письме Филипп II выражает свое удовлетворение по поводу решимости грузинского царя защищать христианскую веру, ставит его в известность

<sup>17</sup> Дон Антонио Фолк Кардона, четвертый герцог, посол в Риме.

<sup>18</sup> „Notice de manuscrits arméniens. Simancas. Archives de Castille“, *Revue des Etudes Arméniennes*, 2, 1922, pp. 68—80.

<sup>19</sup> «Письмо по-гречески 1598 г.: ответ Филиппа II грузинскому царю Симеону I Картлийскому *Erutheia* 7, 1986, pp. 235—251; Fuentes... II, p. 573

<sup>20</sup> AGS, E 181 SF

о своих контактах с Персией и обещает ходатайствовать перед Папой и Императором.

В общем, ничего конкретного, хотя вполне возможно, что ничего большего испанский монарх предложить и не мог: Испания потерпела жестокий удар с уничтожением Непобедимой Армады в 1588 г.; в 1595 г. английский флот захватил и разорил город Кадис; испанское вмешательство в войну за французский престол оказалось катастрофическим; Маурицус Нассау отвоёвал все территории в Нидерландах; государственная казна была полностью истощена, и, наконец, сам Филипп находился в терминальной фазе жестокой болезни, которая вскоре свела его в могилу. И несмотря на это, несколько дней спустя, т. е. 4 августа, Филипп II написал еще 2 письма: одно — своему послу в Риме герцогу де-Сеса с указаниями поддержать петиции грузинского царя, ходатайствовать за него перед Папой; другое, такого же содержания, своему послу в Праге дону Гильену де-Сан-Клементе, с указаниями о ходатайстве перед Императором<sup>21</sup>.

Не дождавшись ответа от Филиппа, царь Симеон восстал против турок летом 1598 г., не имея поддержки ни Александра Кахетинского, ни шаха Аббаса. Несмотря на первоначальные успехи, восстание было подавлено Джафар-пашой, беем Тебриза и Вана, а сам Симеон попал в плен и был отправлен в Константинополь, где умер в заточении. Турецкий султан разрешил вывезти останки царя в Картли, где он и был захоронен вместе со своим отцом Луарсабом. Симеона погубило нетерпение, скорее, нежели недостаток информации. Персы выжидали удобного момента, чтобы наброситься на своего вечного врага, и именно в 1599 г. они направили к христианским государям посольство, возглавляемое Кусем и Али-беем и Антонио Шерли<sup>22</sup>. Александр Кахетинский (1574—1605) тоже находился в подобном положении и поддерживал тесные связи не только с персидским шахом, но и с русским царем в поисках поддержки. Эта неоднозначная политика в конечном счете оказалась трагичной для самого Александра: вместе со своим старшим сыном он был убит в 1605 г. своим младшим сыном Константином, который был воспитан в Персии, принял мусульманство и действовал по наущению шаха Аббаса.

И, наконец, еще один грузинский посланник, последний, прибыл в Мадрид летом 1627 г.<sup>23</sup> от имени легендарного Теймураза I, царя Кахетинского, внука царя Александра, которого грузинские феодалы восстановили на престоле вопреки узурпатору-убийце. Послаником был избран некий Никифор Ирбакидзе<sup>24</sup>, монах, из знатного дворянского рода. Он вез длинное послание от Теймураза, написанное 25 ноября 1625 г. в момент эйфории, когда Теймураз наслаждался победой и еще не порвал со своим союзником Г. Саакадзе. Теймураз представлялся как царь Иберии (Картли и Кахетии), Албании (древнее название Азербайджана), Мингрелии, Гурни, Имерети и Черкесии, что являлось не совсем верным, и предлагал выставить войско в 100 тыс. воинов в Скутари, напротив Константинополя. Он просил испанского короля

<sup>21</sup> AGS E 2450 (Simfoliar).

<sup>22</sup> Об этом посольстве см. L. Gil, „Sorbe el trasfondo de la embajada del shah Abbas I a los príncipes cristianos Contrapunto de las relaciones de don Juan de Persia“, *Estudios Clásicos* 17 (n. 89), 1985, pp. 347—377.

<sup>23</sup> L. Gil—J. M. Floristán, упомянутая ст., с. 319—327, 332—340; J. M. Floristán *Fuentes...* II, pp. 547—577.

<sup>24</sup> W. E. D. Allen, *Op. cit.*, p. 171, n°4.



всего лишь предоставить ему военные корабли для переправки войска до стен Константинополя, а за это обещал посадить его, т. е. испанского короля, «на императорский престол Константинополя», а сам обещал удалиться, вернуться к себе в Грузию, ибо единственное его желание было жить в мире, на своей земле, с сознанием выполненного христианского долга.

Мы уже упомянули о разных приключениях, случившихся с этим посланником, о дебатах, которые это послание вызвало в Государственном Совете, поэтому не будем распространяться далее. Скажем только, что Никифору повезло: в Иерусалиме ему удалось заручиться поддержкой православного патриарха Феофана, а в Испании его поддержал греческий просветитель Константин София<sup>25</sup>, который был при нем переводчиком и ходатайствовал за него. После долгих обсуждений Государственный Совет нашел целесообразным принять дружескую помощь от христианского царя и отправить к нему ответного посла, Никифору Ирбакидзе было вручено ответное послание от Филиппа IV к царю Теймуразу и верительная грамота к Папе. О его дипломатической деятельности в Ватикане профессора Орсини и Табагуа опубликовали 8 новых документов из архива Конгрегации Пропанды веры<sup>26</sup>.

В Риме, где Никифор провел несколько лет, он основал типографию на грузинском языке и напечатал маленький молебник и итальянско-грузинский словарь.

LUIS GIL FERNANDEZ

(Madrid)

## DIPLOMATIC CONTACTS BETWEEN GEORGIA AND SPAIN IN XV—XVII CENTURIES

Summary

Professor of the Madrid University Luis Gil Fernandez in his article which he several times read in Spanish on his visit to Georgia (October 1989), reviews the struggle of the Georgian and Spanish peoples against the Moslem domination and the result of the struggle; the relations between Georgia and Persia, Turkey and the European countries, namely Spain and the Vatican.

The article runs of the correspondence which took place between the Georgian and Spanish kings (the article gives the contents of the letters). The author reviews as well the attempts of the Georgian kings to form the anti-turkish Coalition in which the European countries would take part.

Представлена отделом отношений Грузии с Европейскими странами Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

<sup>25</sup> G. de Andrés, *El helenismo español en el siglo XVII*, Madrid, 1976, p. 20.

<sup>26</sup> Ketevane Bagrationi—Orsini (Rome) et Ilia Tabagoua (Tbilissi), *Une ambassade géorgienne en Europe (Nicéfore Irbakhi—XVII-e siècle)*, „Bedi Kartlisa revue de kartvélogie“, Paris, 1981, vol. XXXIX, pp. 139—152.

X

დავით ნოზარია

ბერტისა და სინკოტის ტაძრების ხუროთ-  
მოძღვრული სახისათვის

ნ. მარის ვრცელ სამეცნიერო მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურს“<sup>1</sup>. ეს თხზულება, რომელიც სამხრეთ საქართველოს ორ ისტორიულ პროვინციაში მეცნიერის 1904 წლის ექსპედიციის შედეგად დაიწერა, უძვირფასესი წყაროა ამ მხარის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის, ტოპონიმიკის თუ ფოლკლორის შესასწავლად. დიდია მისი მნიშვნელობა ქართული ხელოვნების და, კერძოდ, ხუროთმოძღვრების მკვლევართათვისაც. ნ. მარმა მოინახულა და აღწერა ათეულობით ნაგებობა, რომელთა უმეტესობა მის შემდგომ აღარავის უნახავს, მათ შორის ტაძრები შუა საუკუნეთა ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სულიერ ცენტრებში, როგორებიც იყო არტანუჯი, ანჩი, მიძნაძორი, წყაროსთავი, პარეხი, ბერთა და სხვ. რამდენადაც ქართველი მეცნიერები კვლავინდებურად მოკლებულნი არიან შესაძლებლობას სამხრეთ საქართველოს სიძველეთა ადგილზე კვლევისა, ნ. მარის „დღიური“ დღესაც რჩება ერთადერთ წყაროდ ამ ძეგლების შესასწავლად, მით უმეტეს, რომ უკვე საუკუნის დასაწყისში თითქმის ყველა მათგანი მძიმე მდგომარეობაში იყო და ზოგიერთი ამჟამად შეიძლება საერთოდ აღარც არსებობდეს.

არქიტექტორი ნ. მარს მოგზაურობაში არ ახლდა, ამიტომ „დღიურს“ არ ერთვის ნახაზები. ფოტომასალაც საკმაოდ მწირია. ამ ნაკლოვანებებს რამდენადმე ავსებს თვით აღწერები, რომლებიც, როგორც წესი, საკმაოდ საფუძვლიანი და დაწვრილებითია, თანაც ხშირად ბევრ რიცხობრივ მონაცემსაც შეიცავს. ეს საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლები სიზუსტით მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ აღწერილი ნაგებობები და სქემატურად გრაფიკულადაც აღვადგინოთ მათი გეგმები, ზოგჯერ კი ჭრილებიც.

წინამდებარე წერილში ნ. მარის აღწერებზე დაყრდნობით შევეხებით შავშეთ-კლარჯეთის ორ საყურადღებო ძეგლს — სინკოტისა და ბერთის ეკლესიებს, ნაგებობებს, რომლებშიც, როგორც დავინახავთ, თავისებურად აისახა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გარკვეული ეტაპის ძიებები.

სინკოტის ეკლესია ცნობილია მხოლოდ ნ. მარის აღწერით<sup>2</sup>, სხვა მონაცემები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. ის მდებარეობს შავშეთში, კლარ-

<sup>1</sup> Н. Марр. Дневник поездки в Шевшию и Кларджию, С.-Петербург, 1911. „დღიური“ ერთვის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პირველ, ნ. მარისეულ გამოცემას.

<sup>2</sup> Н. Марр. Дневник... გვ. 86—88 (რამდენადაც ჩვენ მიერ მოტანილი აღწერა მთლიანად ნ. მარის ცნობებს ემყარება, ქვემოთ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში „დღიურის“ შესაბამისი ადგილები მითითებული არ არის). სამწუხაროდ, ნ. მარს არ მოჰყავს სინკოტის ეკლესიის არც ერთი ფოტოსურათი, რაც, ცხადია, მეტად აძნელებს მისი არქიტექტურული სახის წარმოდგენას.

ჯეთის საზღვართან, სოფელ სინკოთის მიდამოებში<sup>3</sup>. შენობა, რომელიც ნ. მარის მოგზაურობის დროს უკვე ძლიერ დაზიანებული იყო, გამოირჩევა საკმაოდ დიდი ზომებითაც (18,6×12,5 მ. ნ. მარის თქმით, ეს შენობის ერთ-ერთი უდიდესი ეკლესიათაგანია) და არქიტექტურული ჩანაფიქრის სირთულითაც. გეგმით ის წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხედს შუაში ოთხი ბურჯით. ბურჯებს შენობის ცენტრის მხრიდან პილასტრები აქვს მიდგმული, ე. ი. კვეთაში ისინი მიახლოებით ლათინური ასო T-ს ფორმისაა. მათზე გადაყვანილია თაღები. ბურჯებს შუა იქმნება ცენტრალური კვადრატი, რომლიდანაც გამოდის ოთხი ფართო მკლავი, ამათგან აღმოსავლეთისა საკუროთხევლის აფსიდით ბოლოვდება. საკუროთხევლის ორ მხარეს ასევე აფსიდიანი პასტოფორიუმებია. დასავლეთიდან შენობას ეკვრის ნართექსი. ასეთი გეგმა VII ს-დან მოყოლებული კარგადაა ცნობილი საქართველოში — ის საფუძვლად უდევს „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის რამდენიმე ნაგებობას, რომელთა წინამორბედია წრომის ტაძარი. მაგრამ სივრცობრივი კომპოზიცია სინკოთში მათგან სრულიად განსხვავებულ სურათს გვაძლევს — აქ ცენტრალური კვადრატიდან გამომავალი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავები თითქოს ორ იარუსადაა გაყოფილი ღია პატრონიკეს არსებობის გამო. მათი ქვედა სართული სიმალღით მხოლოდ კუთხის მონაკვეთებს უტოლდება და, ცხადია, ვაცილებით (დაახლოებით 2,5-ჯერ!) უფრო დაბალია, ვიდრე დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკლავები. ამდენად, სავითო სტრუქტურა ბაზილიკურს ემსგავსება — ნაგებობის სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილები გაიანზრება, როგორც გვერდითი ნაეები (ნ. მარი მათ ასეც უწოდებს). მათი გადახურვა მთლიანად ერთი სიმალღისაა და მათ ზემოთ მთელ სივრცეზე მეორე სართულია მოწყობილი. ნართექსის თავზე განლაგებული ასეთივე ზედა სართულის მეშვეობით შექმნილია ერთიანი სამხრეთი პატრონიკე, რომლისგანაც გამოყოფილია მხოლოდ პასტოფორიუმთა ზედა სართულები — ისინი შეადგენენ ცალკე უაფსიდო სათავსებს პატრონიკეს აღმოსავლეთ ბოლოებში და კარით უკავშირდებიან მას. ეს კომპოზიცია ძალიან ახლოს დგას გურჯაანის ყველაწმინდასთან. თვალსაჩინო განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ სინკოთში პატრონიკეს სამივე მხარე იხსნება თაღებით ძირითადი სივრცისაკენ, გურჯაანში კი ამგვარი თაღები მხოლოდ პატრონიკეს დასავლეთ ნაწილშია მოწყობილი, გრძივი მონაკვეთები შუა სივრცეს ყრუ კედლებით გამოყოფა<sup>4</sup>. პატრონიკეზე ასასვლელი კიბე ნ. მარმა ვერსად ნახა. ის შეიძლება მოწყობილი ყოფილიყო როგორც ნართექსში, ისე გარეთაც, იმავე გურჯაანის ყველაწმინდის<sup>5</sup> ან წირქოლის<sup>6</sup> მსგავსად.

ნართექსი ტაძრის შესაბამისად სამ (ერთ დიდ, შუა და ორ მცირე, გვერდით) მონაკვეთადაა დაყოფილი. ამათგან შუა მთლიანად იხსნება თაღით მთავარი სივრცისაკენ, ჩრდილოეთისა ამ მხარეს ჩაკეტილია და მხოლოდ ნართექსის შუა ნაწილისაკენ არის გახსნილი. მის ჩრდილოეთ კედელში შემოსასვლე-

<sup>3</sup> საუკუნის დასაწყისის რუსულ ხუთვერსტიან რუკებზე ეს პუნქტი აღნიშნულია, როგორც სინგოთი (Синготи), იქვე მინიშნებულია ეკლესიის ნანგრევებიც. სინტერესოა, რომ ამავე სახელწოდების სოფელი არის კლარჯეთშიც.

<sup>4</sup> Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 274.

<sup>5</sup> იქვე გვ. 275, 279.

<sup>6</sup> Г. Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX веков в Ксанском устье, Ars Geographica, т. I, Тб., 1942, გვ. 14.



ლი კარია მოწყობილი. ნართექსის სამხრეთი მონაკვეთი შეადგენს ცალკე სათავსს, რომელსაც ერთი პატარა კარი აკავშირებს ტაძართან. მას ალბათ რაიმე საგანგებო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

გარდა აღნიშნული კარისა ნართექსის ჩრდილოეთ კედელში, ეკლესიას კიდევ ორი შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. ნ. მარის შენიშვნით, შესაძლოა, კიდევ ერთი კარი ყოფილიყო დასავლეთიდანაც, ნართექსის ცენტრში, მაგრამ აქ ყველაფერი მიწით იყო ამოვსებული და რისამე გარჩევა არ ხერხდებოდა. საკურთხევლისა და პასტოფორიუმების აფსიდებში თითო სარკმელია, სამხრეთის კედელში — სამი, ჩრდილოეთისაში — ორი, დასავლეთისაში — ერთი. ყველა ეს სარკმელი პირველი სართულის დონეზეა. ზედა სართულზე ნ. მარს აღნიშნული აქვს მხოლოდ ორი სარკმელი პატრონიკეს აღმოსავლეთ ბოლოებში (პასტოფორიუმთა ზემოთ მდებარე სათავსებში), მაგრამ საფიქრელია, რომ პატრონიკეს სხვა სარკმელებიც ექნებოდა, რომლებიც დაიკარგა კედლების ზედა ნაწილების მონგრევის გამო.

სინკოთის ეკლესია ნაგებია ტექნიკით, რომელსაც ნ. მარი „შავშურ-იმერხეულს“ უწოდებს — კედლები ამოყვანილია უხეშად დამუშავებული, ცუდად მორგებული ქვებით, ამასთან ინტერიერში წყობა უფრო დაუდევარია, ვიდრე ფასადებზე. შენით კედლები შელესილი იყო. ნ. მარმა შენიშნა მხატვრობის უმნიშვნელო კვალიც. სუფთად თლილი სწორკუთხა კვადრებით ამოყვანილია პილასტრები, ბურჯების კუთხეები, კარ-სარკმლის ღიობთა წირთხლები. გარდა ამისა, ყველა შემორჩენილი თალი და თითქოს ღიობთა თაღოვანი დაბოლოებებიც აგურითაა ნაგები. შენობა, როგორც ჩანს, სრულიად შეუქმობელია, ყოველ შემთხვევაში, ნ. მარი დეკორზე არაფერს ამბობს. ასევე არაფერია ნათქვამი ფასადთა რაიმე არქიტექტურულ დანაწევრებაზე. ერთადერთი შენიშვნა, რომელსაც აკეთებს ნ. მარი ტაძრის გარე მასებთან დაკავშირებით ის არი, რომ ნაგებობა, მისი ვარაუდით, გადახურული უნდა ყოფილიყო ერთიანი ორფერდა სახურავით მთელ სიგრძეზე, დაბაზული ეკლესიის მსგავსად.

როგორც ითქვა, სინკოთის ტაძარმა ძლიერი დაზიანება ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე განიცადა. ნ. მარის მოგზაურობის დროისათვის უკვე მთლიანად ჩანგრეული იყო გადახურვა (აფსიდის კონქის გარდა). ამის გამო „დღიურიდან“ მის შესახებ ვერაფერს ვიგებთ, გარდა იმისა, რომ ცენტრალური კვადრატისა და კვადრატისა დასავლეთ და დასავლეთ მკლავებს ჰქონდა გრძივი ღერძის ცილინდრული კამარები, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთისას — განივი. ნაგებობის საერთო ლოგიკიდან გამომდინარე ასევე განივი კამარები უნდა ჰქონოდა კუთხის მონაკვეთებსაც, რომელთა შესახებ ნ. მარი არაფერს ამბობს. გაურკვეველია, როგორი იყო გადახურვა პატრონიკესი და — რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — ცენტრალური კვადრატისა. ნ. მარის აზრით, აქ გუმბათი უნდა ყოფილიყო, თუმცა ის არც ცილინდრული კამარის არსებობის შესაძლებლობას გამორიცხავს. ვფიქრობ, მკვლევრის ვარაუდი გუმბათის შესახებ სწორია. კვადრატული მონაკვეთი სინკოთის ტაძრის ცენტრში პირდაპირ „მოითხოვს“ გუმბათს<sup>7</sup>. მის სასარგებლოდ მეტყველებს შენობის

7 უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მომენტი გვხვდება სანაგირეს სამანიან ბაზილიკაშიც (იხ. Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 125). რაც გვაფიქრებინებს, რომ მშენებლობის დასაწყისში ის ჩაფიქრებული უნდა ყოფილიყო, როგორც გუმბათოვანი („ჩა-

მასების გაწონასწორებული განაწილებაც შუა ვერტიკალური ლერძის მიმართ (ამ მხრივ სინკოთის ხუროთმოძღვარი წრომის კომპოზიციურ იდეას მისდევს — საკუთხეველს დასავლეთიდან ნართექსით აწონასწორებს) და ისიც, რომ ცენტრალური კვადრატიდან გამოშვებული მკლავები თავიანთი კამარების ლერძებით ჯვარს ჰქმნიან, თუმცა კი საკმაოდ თავისებურად — თითქოსდა ორ დონეზე.

უფრო რთული გასარკვევია საკითხი, თუ როგორ იყო მოწყობილი გუმბათი. როგორც ითქვა, ნ. მარის ვარაუდით, სინკოთის ეკლესიის მთლიანად ორქანობიანი სახურავი ჰქონდა. ამ შემთხვევაში საფიქრელია, რომ გუმბათი იქნებოდა უყელო, ჩამალული სერთო სახურავის ქვეშ. ამგვარი გადაწყვეტა სინკოთში საკმარისად გამართლებული ჩანს — გვერდითი ნაგების თავზე პატრონიკეს მოწყობამ ამაღლა ისინი და თითქმის შუა ნაწილს გაუტოლა. ეს საშუალებას მისცემდა ხუროთმოძღვარს შენობა ერთიანად ორი ქანობით გადაეხურა და გუმბათის ნახევარსფეროც მათ ქვეშ მოექცია. თეორიულად გამოირიცხული არც ის არის, რომ გუმბათს ყელიც ჰქონდა და ორფერდა სახურავის ზემოთ ყოფილიყო ამოშვებული, მაგრამ ასეთი მოცულობითი კომპოზიცია ჩვენში ძნელდწარმოსადგენია. ის პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართული საეკლტო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უმთავრეს თვისებას — სწრაფვას საფეხურობრივობისადმი, ჰარმონიულად ურთიერთშეფარდებული, არტიკულირებული ფორმებისადმი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მსგავსი გადაწყვეტა საქართველოში არსად არის ცნობილი<sup>8</sup>, მაშინ, როცა ჩამალული უყელო გუმბათი თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება, კერძოდ, ქსნის ხეობის VIII—IX საუკუნეთა ძეგლებში (წირქოლი, არმაზი, ინაური<sup>9</sup>).

ამავე დროს, შესალოა ნ. მარის შენიშვნა ეკლესიის ორქანობა სახურავს შესახებ უბრალოდ არაზუსტი გამოთქმა იყოს და იგულისხმებოდეს არა მთელი ნაგებობა, არამედ მისი შუა ნაწი. ამ ვარაუდს გარკვეული საფუძველი აქვს:

ხაზული ჯვრის<sup>10</sup> ტიპის ნაგებობა. თითქოს იგივე აზრი უნდა ჰქონდეს გაკვრით გატარებული ჯ. ჩუბინაშვილსაც, როცა აღნიშნავს, რომ სანაგირეს გეგმა არსებითად ოზანის ტიპის გუმბათოვანი ტაძრის გეგმა (იქვე, გვ. 129). როგორც უფრო შორეული პარალელი, შეიძლება გავიხსენოთ აგრეთვე ხეივის საბაწმინდა, სადაც ორი დარბაზული სივრცის ჯვრული ურთიერთგადაკვეთით ცენტრში მიიღება 520×590 სმ ზომის მონაკვეთი (რ. მეფეისაშვილი, სოფელ ხეივის ძეგლი — საბაწმინდა, მაცნე, ისტორიის სერია, 1971, № 3, გვ. 50—55), მაგრამ ეს მაინც კვადრატთან მიხლოებული მართკუთხედი და არა „ნამდვილი“ კვადრატი. ის, ცხადია, კამარითაა გადახურული.

<sup>8</sup> შუა საუკუნეების მიწურულს სამხრეთ სომხეთის ზოგიერთ რეგიონში (სიუნიქში, ნახიქევანში) შენდება ეკლესიები — კუპელ-პალეს და, განსაკუთრებით, „ჩახაზული ჯვრის“ ტიპისა — რომელთა შიდა ჯვაროვანი სტრუქტურა გარეთ ერთიანი ორფერდა სახურავის ქვეშაა მოქცეული და მხოლოდ გუმბათის ყელი აღიმართება მასზე. ესენია აგულისის სურბ ჰაკობ პირაპეტი და სურბ სტეფანოსი (იხ. ა. აივაზიანი, აგულისი, ერევანი, 1984 (სომხ. ენაზე), გვ. 44—45, 48—49, ტაბ. 43ა, 44, 48), მეტახის სურბ ასტავაკიანი, მეგრის სურბ ჰოვანისი, ტაშტონის სურბ სტეფანოსი (იხ. მ. ასრათი, Памятники Мегринского района; Ереван; 1987, გვ. 24—26, таб. 47—57) და სხვ. როგორც აღნიშნავენ მკვლევრები, მათ ხუროთმოძღვრებას აკლია ორგანული მთლიანობა, ძირითადი კორპუსის დიდი ბლოკური მასა და მისგან ამოზრდილი გუმბათი ცუდად უკავშირდება ერთმანეთს (მ. ასრათი, Памятники... გვ. 25).

<sup>9</sup> Г. Чубинашвили, Архитектурные памятники... გვ. 3—18; Р. Мепиш-швили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шидა Картლი, Тб., 1975, გვ. 17—25, 38—43.



სხვა ადგილას ნ. მარი შენიშნავს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადებზე ჩანს გვერდითი ქანობების კვალი («Западный и восточный фасады со следами двух боковых скатов»). «გვერდით ქანობებში» მკვლევარი შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ გვერდითი ნაეების ცალფერდა სახურავებს. მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ შუა ნაეი მცირედენ მაინც გვერდითებზე მაღალი იყო და ამოიზრდებოდა მათ შორის თავისი ორქანობა გადახურვით. ამ შემთხვევაში ყელიანი, „დაუმალავი“ გუმბათის არსებობაც საესებით ბუნებრივი ჩანს — გვერდითი ნაეები თავიანთი დაფერდებული სახურავებით შეჰქმნიან იმ დამატებით რგოლს, რომელიც ძირითადი კორპუსის მოცულობას საფეხურებერ დაანაწევრებს და გუმბათი იქცევა კომპოზიციის ლოგიკურ დაბოლოებად. ამგვარი სტრუქტურა უცხო არ არის ჩვენი ხუროთმოძღვრებისთვის — ის გვხვდება გურჯაანის ყველაწმინდაში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იქ ორი გუმბათია, სინკოთში კი — ერთი. რეკონსტრუქციის ეს ვერსია ჩვენ უფრო მისაღები გვეჩვენება (ასე წარმოვადგენთ ტაძარს ნ. მარის აღწერის მიხედვით აღდგენილ ჭრილზეც), თუმცა, ცხადია, ხელაღებით არც პირველის უარყოფა შეიძლება. სამწუხაროდ, მასალის სიმცირე უფრო დაბეჭივებით რისამე მტკიცების საშუალებას არ იძლევა.

ვიდრე სინკოთის ტაძრის დათარიღების საკითხზე გადავიდოდეთ, შევეჩებით შავშეთ-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების მეორე საინტერესო ძეგლს. ესაა ეკლესია ბერთის განთქმული მონასტრისა, რომელიც, როგორც გიორგი მერჩულეს თხზულებიდან ვიგებთ, IX ს-ის 20—30-იან წლებში დაუარსებიათ ვრიგოლ ხანძთელის წრის ბერებს<sup>10</sup>.

ბერთის მონასტერი შუა საუკუნეების ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. აქედან მომდინარეობს ორი ცნობილი ოთხთავი, ამათგან ერთი ბეშქენ ოპიზარის ნახელავი ჭედური ყდიით<sup>11</sup>. ბუნებრივია, ეს პუნქტი თავიდანვე მკვლევართა დიდ ინტერესს აღძრავდა, მაგრამ ვერც გ. ყახბეგმა და ვერც დ. ბაქრაძემ ვერ შეძლეს მისი მონახულება. 1888 წელს აქ იყო არქიტექტორი ა. პავლიანოვი, მაგრამ ძეგლი არ აუზომავს. თავისი ექსპედიციის მოგვიანებით გამოცემულ ანგარიშშიც ის ბერთას მხოლოდ გაკვრით იხსენიებს<sup>12</sup> და არაფერს გვამცნობს შენობის ხუროთმოძღვრების შესახებ. პირველი და უკანასკნელი, ვინც ბერთის აღწერა მოგვცა, ნ. მარი იყო<sup>13</sup>. ამჟამად ბერთის ტაძარი აღარ არსებობს: 1959 წელს ნ. და ჟ.-მ. ტიერის ის უკვე მთლიანად დანგრეული დახვდა, შენობის კვალიც კი არ განირჩეოდა<sup>14</sup>.

ამრიგად, მარისეული სიტყვიერი აღწერის გარდა ჩვენ ბერთის შესახებ სხვა რაიმე მასალა არ მოგვეპოვება და ვერც ვეღარასოდეს მოვიპოვებთ. სამ-

<sup>10</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 356.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 357; ლ. მენაბდე, ძველი ქართული შწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვთი 11, თბ., 1962, გვ. 428—429; შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, თბ., 1956, გვ. 35—36; Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 616.

<sup>12</sup> А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, Материалы по археологии Кавказа, вып. III, М., 1893, გვ. 6.

<sup>13</sup> Н. Марр, Дневник... გვ. 169—171. ნ. მარს მოჰყავს ბერთის მონასტრის ერთი ფოტოსურათიც (ტაბ. 56), მაგრამ ძალიან შორეული ხელია და თითქმის არაფერი განირჩევა.

<sup>14</sup> N. et J.—M. Thierry, Notes d'un nouveau voyage en Géorgie turque, Bédi Kartlisa, Revue de Kartvélogie, VIII—IX, Paris, 1960, გვ. 27.



წუხაროდ, ეს აღწერაც არაა ისეთი საფუძვლიანი, როგორც, ვთქვით, იმავე სინკოთისა, შედარებით ბუნდოვანიცაა და თანაც რიცხობრივი მონაცემებით ღარიბი — ისე, რომ ხერხდება მხოლოდ გეგმის გრაფიკული აღდგენა და ისაც ძალზე პირობითად.

ბერთის ეკლესია ნ. მარს საკმაოდ კარგ მდგომარეობაში დახვდა, თუმცა კი ძლიერ გადაკეთებული — შენობაში მეჩეთი იყო მოწყობილი. ეს წარმოადგენდა საშუალო ზომის სწორკუთხა ნაგებობას, რომლის სივრცეც სამ ნაწილად იყოფოდა სამი წყვილი თაღის მეშვეობით. ადრე ეს თაღები თითქოს მსუბუქ მრგვალ სვეტებს ეყრდნობოდა („დღიურის“ მიხედვით ხუთ სვეტს, მაგრამ ეს რაღაც გაუგებრობა ჩანს) — ასე უთხრეს ნ. მარს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. რითი შეიცვალა ეს სვეტები, მკვლევარი არ აღნიშნავს. შუაში იქმნებოდა კვადრატი, რომელსაც ხურავდა უყველო გუმბათი. შუა ნაწი თითქმის გვერდითების სიმაღლე იყო, ამიტომ, გვერდითი განათების შეუძლებლობის გამო ის ნათდებოდა უშუალოდ გუმბათში გაჭრილი ორი სარკმლით. გვერდით ნაგებში ყოველ მონაკვეთს — სამ-სამს თითოეულ მხარეს სამი წყვილი თაღის შესაბამისად — ჰქონდა საკუთარი განივი კამარა, ე. ი. აქაც, სინკოთის მსგავსად, გუმბათქვეშა კვადრატიდან ოთხი მკლავი გამოდიოდა, რომელთა კამარების ლერძები ჭრულ კომპოზიციას ჰქმნიდნენ. საკურთხეველი იყო სწორკუთხა. თავდაპირველი დიდი ზომის კარი ეკლესიას სამხრეთიდან ჰქონდა. მეჩეთად გადაკეთებისას, მაჰმადიანური წესისამებრ, მოუწყვიათ ახალი შესასვლელი ჩრდილოეთიდან. ფსადები მოპირკეთებული იყო თეთრი ქვის საშუალო ზომის კარგად გათლილი კვადრებით, ჰორიზონტალური რიგების დაცვით. ინტერიერში ასეთივე მასალით იყო ნაშენი კამარები და თაღები, ხოლო კედლები — უხეშად დამუშავებული ქვით. შენობის გადახურვა, ნ. მარსის თქმით, იყო ოთხფერდა, ოდნავ დახრილი, თითქმის ჰორიზონტალური ქანობებით. დეკორზე არაფერია ნათქვამი.

ამ აღწერაში, როგორც ვხედავთ, ბევრი რამ უჩვეულოა. სრულიად უცხოა, მაგალითად, ქართული ხუროთმოძღვრებისათვის გუმბათის ნახევარსფეროში მოწყობილი სარკმლები. ეს აშკარად მოგვიანო აღდგენის შედეგია. თვით ნ. მარიც აღნიშნავს, რომ გუმბათს, ისევე, როგორც ზოგ სხვა ფორმასაც, რესტავრაცია განუცდია. ასევე გვიანი ჩანს სახურავიც (რამდენადაც ფოტოსურათზე შეიძლება გაირჩეს, „ოთხფერდა გადახურვაში“ პირამიდისებრი სახურავი იგულისხმება. გუმბათი მის ცენტრში თავსდება და უყველობის გამო მხოლოდ მცირეოდენ არის ამოშვებული) თავისი უცნაური ბრტყელი ქანობებით, რომლებიც მაჰმადიანური მეჩეთების არქიტექტურას შეიძლება დაუკავშირდეს. უჩვეულოა სწორკუთხა საკურთხეველის არსებობა ასეთ ეკლესიაში<sup>15</sup>, თუმცა ნ. მარი დაბეჯითებით ამბობს, რომ ეს თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს. აღწერიდან არ ჩანს, როგორ იყო გადახურული საკურთხეველი — კონქით ტრომპეზე თუ კამარით. არ ჩანს აგრეთვე, ჰქონდა თუ არა ეკლესიას პატრონიკე, პასტოფორაუმები, როგორი იყო შეფარდება სიმაღლეში ტაძრის სხვადასხვა ნაწილს შორის და ა. შ.

<sup>15</sup> თავისთავად სწორკუთხა საკურთხეველი არ არის უცხო ქართულ ხუროთმოძღვრებაში, მაგრამ ის გვხვდება შედარებით მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიაში (იხ. Н. Чубинашвили, Зедაზენი, Кликис-Джвари, Гвиარა. Ars Georgica, 7, Тб., 1971, გვ. 27—67.

ასეა თუ ისე, ვფიქრობთ, ამ არასრულყოფილი აღწერიდანაც თვალსაჩინოა ბერთის გარკვეული სიახლოვე სინკოთთან. მსგავსება, უპირველეს ყოვლისა, მედანდებდა საერთო კომპოზიციათა ნათესაობაში. ორსავე ნაგებობაში საფუძვლად უდევს „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის თავისებური სახესხვაობა, შექმნილი სამნავიანი ბაზილიკის თემის ძლიერი გავლენით. ორივეგან ცენტრალურ ნაწილს ადგას ოთხ თავისუფლად მდგარ ბურჯზე (სვეტზე) დაყრდნობილი გუმბათი. თაღები, რომლებიც ამ ბურჯებზე გრძივად არის გადაყვანილი, თანაბარი სიმაღლისაა, შესაბამისად ერთი სიმაღლისაა შენობათა ჩრდილოეთ და სამხრეთი ნაწილები მთელ სიგრძეზე, რითაც ისინი „ნამდვილ“ ნაგებს ემსგავსებიან. მაგრამ მათ ერთიანი გრძივი კამარები კი არა აქვთ, როგორც ჩვეულებრივი სამნავიანი ბაზილიკის ვერდიით ნაგებს, არამედ კომბინირებული, შედგენილი. ამის გამო მათში საკმაოდ მკაფიოდ გამოიყოფა ცალკეული მონაკვეთები, რომლებიც შუა ნაწილისკენ მეტადაა გახსნილი, ვიდრე ერთმანეთისკენ. მილანად, მიუხედავად იმისა, რომ ჯვრის მკლავების არათანაბარი სიმაღლის გამო სინკოთსა და ბერთაში ჯვაროვანი სტრუქტურა აშკარად სუსტადაა გამოლენილი, მათი სიერციბრივი კომპოზიციები, რამდენადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, უფრო ცენტრულობისაკენ უნდა იჩენდეს მიდრეკილებას, ვიდრე ბაზილიკურობისადმი. ამ მხრივ ისინი მკაფიოდ განსხვავდებიან იმავე გურჯაანის ყველაწმინდისაგან, რომლის შიდა სიერცეს ნათლად გამოხატული ბაზილიკური სახე აქვს, ის გრძივი ღერძის გარშემო ვითარდება, გუმბათების როლი ინტერიერში უმნიშვნელოა (შემთხვევითი არც ის არის, რომ აქ ორი გუმბათია: ელემენტი, რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრებაში ტრადიციულად ყოველთვის ერთადერთ ვერტიკალურ ღერძს აქცენტირებს, აქ დუბლირებულია მეორე თავისივე ანალოგიური ელემენტით. ამით ხაზგასმულია სიერცის დეცენტრირება). თუ გურჯაანის ყველაწმინდას თამამად შეიძლება „გუმბათიანი“ (უფრო სწორად, ორგუმბათიანი) ბაზილიკა“ ვუწოდოთ, სინკოთსა და ბერთასთან დაკავშირებით ამ ტერმინის ხმარება, ვფიქრობ, არასწორი იქნებოდა.

როგორც დავინახეთ, ბერთა და სინკოთი მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნების მქონე მეტად თავისებური ნაგებობებია. მათში აშკარად ჩანს ხუროთმოძღვართა სწრაფვა ახალი, მანამდე უცნობი კომპოზიციების შექმნისადმი, რაც უცილობლად მიგვიჩინებს გარდამავალ ხანაზე — ეპოქაზე, რომელსაც იზიდავს კომპონირების ორიგინალური ხერხები, მოულოდნელი ვარიაციები ძველ თემებზე, საერთოდ, ახლებურ გადაწყვეტათა ძიება. ამ პერიოდში ეძებნება ანალოგიები ჩვენი ძეგლების ცალკეულ თავისებურებებსაც. სინკოთის განვითარებული პატრონიკე უახლოეს მსგავსებას პოვებს იმავე გურჯაანისა და ვიანაძიანის ყველაწმინდის (IX საუკუნე) ეკლესიებში<sup>16</sup>. ორივე ზემოთგანხილული ძეგლის გვერდითი ნაგების განივი კამარების უშუალო პარალელი გვაქვს ვერეს სამნავიან ბაზილიკაში (X საუკუნე)<sup>17</sup>. შორეულად ისინი მოგვაგონებს აგრეთვე აკურის მამიდავითის ეკლესიის (855 წელი) ჩრდილოეთ ნაგის გადახურვას<sup>18</sup>. იმ ნიშანთაგან, რომლებიც გამორიცხავს ადრეულ ხანას, შეიძ-

<sup>16</sup> Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 274—275, 288.

<sup>17</sup> გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფ., 1936, გვ. 202; Н. Чубинашвили, Церовани, Тб., 1976, გვ. 43—45.

<sup>18</sup> Г. Чубинашвили Архитектура Кахетии, გვ. 115.



ლება დავსახელოთ აგრეთვე აფსიდიანი პასტოფორიუმები სინკოთში<sup>19</sup> და მრგვალი გუმბათქვეშა სვეტები ბერთაში, თუკი, რა თქმა უნდა, ისინი, მართლაც, არსებობდა<sup>20</sup>.

დათარიღებისათვის მნიშვნელოვანი მომენტია დეკორაციული მორთულობის უქონლობა ბერთასა და სინკოთში. ეს ფაქტი გამორიცხავს არა მხოლოდ გარდამავალი ხანისშემდგომ ეპოქას, არამედ მის ბოლო ეტაპსაც, X ს-ის I ნახევარს — ამ დროის ძეგლებში შავშეთ-კლარჯეთში (ხანძთა; დოლისყანა; ტბეთის პირველი ფენა<sup>21</sup>) უკვე საკმაოდ უხვადაა შემკული არა მხოლოდ ორნამენტული, არამედ ხშირად სკულპტურული დეკორითაც. VIII—IX საუკუნეებზე მიგვივითებს სინკოთისა და ბერთის შერეული სამშენებლო ტექნიკაც — თლილი ქვის ხმარება კონსტრუქციულად მნიშვნელოვან ადგილებზე და უხეშად დამუშავებული ქვისა კედლის წყობაში. მართალია, ბერთაში სუფთად გათლილი ქვებით იყო მოპირკეთებული ფასადებიც, მაგრამ ეს ალბათ მოგვიანა განახლების შედეგია. ისე, ფასადებისთვის მეტ-ნაკლებად წესიერად თლილი ქვის გამოყენება, თუმცა იშვიათად, მაგრამ აქა-იქ მაინც გვხვდება VIII—IX საუკუნეთა ნაგებობებშიც (წიჩქოლი, ქსნის ბეთი, უბისი. აღარაფერს ვამბობთ სამშვილდეზე). სინკოთში, როგორც ვნახეთ, ქვის გარდა აგურიც არის ნახმარი. შეიძლება გვეფიქრა, რომ აგურის ნაწილები თურქთა მფლობელობისდროინდელი ადღგენის კვალია<sup>22</sup>, მაგრამ ნ. მარის აღწერიდან ისე ჩანს, რომ ისინი ნამდვილად მთელი ეკლესიის თანადროული უნდა იყოს. თუ ეს, მართლაც, ასეა, სინკოთი მთელ ტაო-კლარჯეთში ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი ქრისტიანული ტაძარი იქნება, რომელშიც აგურია საშენ მასალად გამოყენებული.

ამრიგად, ხუროთმოძღვრების ანალიზი ბერთასა და სინკოთს VIII—IX საუკუნეთა ფარგლებში აქცევს. ისტორიული ვითარების გათვალისწინებით მათი აგება უფრო IX ს-შია სავარაუდებელი. VIII საუკუნე შავშეთ-კლარჯეთის ისტორიაში ძნელბედობის ხანაა, როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ამ დროს აქ აღმშენებლობითი საქმიანობა თითქმის სრულიად შეწყვეტილია<sup>23</sup>.

არქიტექტურის მონაცემები საფუძველს გვაძლევს ბერთის ეკლესია თვით მონასტრის დაარსების თანადროულად მივიჩნით და, შესაბამისად, დავახსენებთ მისი აშენების დროც — ბერთის მონასტერი, როგორც ითქვა, IX ს-ის

<sup>19</sup> აფსიდიანი საკურთხევის მიძღვებარე ოთახები საქართველოში პირველად გვხვდება ბანაში, VII საუკუნეში, მაგრამ შედარებით მტკიცედ ეს ფორმა ფესს იკიდებს მხოლოდ IX საუკუნიდან.

<sup>20</sup> მრგვალი ან წახნაგოვანი გუმბათქვეშა სვეტების გამოყენების უადრესი მაგალითები IX—X საუკუნეებს განეკუთვნება (ქსნის არაზი, ბობოსჯირი, ტბეთი).

<sup>21</sup> В. Беридзе, Архитектура Тао-Кларджети, Тб., 1981, გვ. 145—146, 175—176, 180—182.



<sup>22</sup> ქართული ეკლესიების მეჩეთებად გადაკეთებისას თურქები ხშირად ხმარობდნენ აგურს. მაგალითად, სოფელ ტანძოთის 1312 წელს აგებულ ეკლესიას, რომელშიც ნ. მარის მოგზაურობის დროს მეჩეთი იყო მოწყობილი (გადაკეთებულია არაუვიანეს XVII ს-ის შუახანებისა, ვინაიდან აქვს 1664 წლის არაბული წარწერა), აღდგენილი ნაწილები აგურისა ჰქონდა (იხ. Н. Марр, Дневник... გვ. 104—105).

<sup>23</sup> VIII ასწლეულიდან შავშეთ-კლარჯეთში ცნობილია სულ ორი მცირე მასშტაბის მშენებლობა — ოპიზის მონასტრის აღდგენა საუკუნის შუახანებში და ხანძის პირველი, ხის ეკლესიის აგება 780 წლის ახლო ხანებში (Г. Мерчул, გვ. 3, ია. თარიღებთან დაკავშირებით იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მეჩხედე, გვ. 341, 347).



20—30-იან წლებში აღმოცენდა. დაახლოებით ამავე პერიოდში (ალბათ ცოტა მოგვიანებით, ყოველ შემთხვევაში, არაუადრეს 820-იანი წლებისა) უნდა იყოს აშენებული სინკოთის ეკლესიაც.



ბერთისა და სინკოთის ეკლესიების შექმნისდაგვარი შესწავლა ნაწილობრივ ავსებს ჩვენს წარმოდგენას შავშეთ-კლარჯეთის გრიგოლ ხანძთელისდროინდელ ხუროთმოძღვრებაზე, რომლის შესახებაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ



1 0 1 2 3 4 5

სურ. 1. გეგმები. ზემოთ — სინკოთი, ქვემოთ — ბერთა.  
სქემატური პირობითი რეკონსტრუქცია ნ. მარის აღწერის მიხედვით.

ძალზე ცოტა რამ ვიცით. მათი არქიტექტურული გადაწყვეტა გვიდასტურებს, რომ აღნიშნულ ეპოქაში აქ, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ინტენსიური შემოქმედებითი ძიება მიმდინარეობს და ამ თვალსაზრისით შავშეთ-კლარჯეთი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე მხარე ჩანს. ეს ბუნებრივია — გრიგოლ ხანძთელის დასის მოღვაწეობამ მძლავრი ბიძგი მისცა არქიტექტორული აზროვნების განვითარებას, რის შედეგადაც აქ მრავალი საინტერესო ნაგებობა შეიქმნა. სინკოთისა და ბერთის ეკლესიებს, ჩანაფიქრის სირთულითა და ორიგინალობით, მათ შორის, უდავოდ, გამორჩეული ადგილი უკავიათ.



1 0 1 2 3 4 5

სურ. 2. სინკოთი. ზემოთ — განივი კრილი, ხედი აღმოსავლეთისაკენ,  
 ქვემოთ — გრძივი კრილი, ხედი ჩრდილოეთისაკენ.  
 (სქემატური პირობითი რეკონსტრუქცია ნ. მარის აღწერის მიხედვით)

D. Э. ХОШТАРИЯ

 ОБ АРХИТЕКТУРНОМ ОБЛИКЕ ХРАМОВ  
 БЕРТА И СИНКОТИ

Резюме

Среди многочисленных архитектурных памятников исторических провинций Шавшети и Кларджети (Юго-Западная Грузия, ныне в пределах Турции) выделяются две церкви в Берта и Синкоти, известные только благодаря «Дневнику поездки в Шавшию и Кларджию» Н. Я. Марра. Описания Н. Я. Марра дают возможность не только представить архитектурный облик этих построек, но также условно графически реконструировать их планы и разрезы.

D. KHOSHTARIA

 TO THE ARCHITECTURAL PHYSIOGNOMY OF THE CHURCHES  
 IN BERTA AND SINKOTI

Summary

Among a vast number of the architectural monuments of the historical provinces Shavsheti and Klarjeti (South-East Georgia, nowadays within the limits of Turkey) distinguished are two churches in Berta and Sinkoti, known only by the „Diary of the Voyage in Shavsheti and Klardjeti“ by N. Marr. The descriptions of N. Marr enable us to imagine the architectural physiognomy of these structures, as well as to undertake a hypothetical graphical reconstruction of their plans and sections.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ.



მარიამ ღიღვაულიძე

ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა

შუა საუკუნეების ქართულ მონუმენტურ მხატვრობაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობთ ისეთ ბრწყინვალე ძეგლებს, როგორცაა ატენის, ზემო-კრიხის, ნაკიფარის, ვარძიის, ბეთანიის, ყინცვისის, ბერთუბნის, ტიმოთესუბნის და სხვა ეკლესიათა ფერწერული ანსამბლები. მაგრამ ქართული შემოქმედებითი გენიის ამ შესანიშნავ ნაწარმოებთა გვერდით საქართველოში არსებობს მთელი რიგი ძეგლებისა, გაცილებით უფრო მოკრძალებული მხატვრული ხარისხისა, უფრო „პროვინციული“, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომლებიც მიუხედავად ამისა, არანაკლებ საინტერესონი არიან ქართული შუა საუკუნეების მხატვრობის უკეთ წარმოსაჩენად. მათ რიცხვს მიეკუთვნება ზენობანის ეკლესიის მოხატულობა<sup>1</sup>.

სოფელი ზენობანი ძალიან ახლოს არის გელათის მონასტრისაგან. გალავან-შემორტყმული ტაძარი მიეკუთვნება საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ტიპს დარბაზული ეკლესიისა. როგორც ჩანს, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან ეგვტერი ეკვროდა<sup>2</sup>. მოხდენილი პროპორციების, მოკრძალებულად მორთული, იგი X—XI ს-თა მიჯნაზე უნდა იყოს აგებული, რაც, მიუხედავად ისტორიული მონაცემების არ არსებობისა, საკმაოდ, ზუსტად დგინდება თვით ხუროთმოძღვრული სახის მიხედვით. ეს ეხება შენობის პროპორციებს, კედლას წყობის ხასიათს, საბჯენი პილასტრების თავისებურ სახეს, კაპიტლების შემამკობელ რელიეფებს, განსაკუთრებით კი ფასადების ჩუქურთმის ორნამენტულ მოტივებს<sup>3</sup>. მეტად თავისებურ იერს ანიჭებს ეკლესიას გრძივ ფასადებზე თარო-კარნიზის ქვეშ ჩადგმული ლომის, არწივის, ხარის და ვერძის ჰორელიეფური გამოსახულებანი, და მათ გვერდით მოთავსებული კრონშტეინების მსგავსი ქვის ძელები<sup>4</sup>, რომელთა რიტმული განლაგება მხატვრულად აერთიანებს ფასადებს. ცხოველთა პროტომების გამოსახულებანი ხშირია ქართულ ხუროთმოძღვრებაში, განსაკუთრებით სწორედ X—XI საუკუნეებში<sup>5</sup> (ხახული,

<sup>1</sup> Т. Вельманс, Видения св. Евстафия и роспись Зенобани, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983; М. Дидебулидзе, Два памятника монументальной живописи в верхней Имерети; IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983.

<sup>2</sup> ეკლესიის ხუროთმოძღვრების შესახებ იხ.: მ. დიდებულიძე, ზენობანის ეკლესიის ხუროთმოძღვრება, ძეგლის მეგობარი, № 4, 1988, გვ: 5—15.

<sup>3</sup> ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 52; Р. Шмерлинг, Древний Цвицоетский храм близ с. Хциси, ქართული ხელოვნება, 4, თბ., 1955, გვ. 144—148, 166—168; რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბ., 1954, გვ. 10—11; ვ. ბერიძე, სავანე, ქართული ხელოვნება, თბ., 1942, გვ. 111.

<sup>4</sup> ვ. ცინცაძე, ზემო-კრიხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, VI-A, თბ., 1963, გვ. 62—63.



ოშკი, ზემო-კრიხი, ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი და სხვ.) თუმცა ზენობანის კომპოზიცია მაინც საკმაოდ თავისებურია.

ინტერიერის შემკობა რელიეფებით, კედლების გლუვი წყობა გვაფიქრებინებს, რომ ეკლესია თავიდანვე არ იყო ფრესკებისთვის გათვალისწინებული, როგორც ჩანს, იგი მოგვიანებით მოიხატა.

მხატვრობის უმეტესი ნაწილი პირველადი მონახაზისა და დაფერვის დონეზე არის შემორჩენილი. მხოლოდ „ფერისცვალება“, „ხარება“ და სხვა სცენების ცალკეული ფრაგმენტები გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ მოხატულობის თავდაპირველი მხატვრული სახის შესახებ.

პირველი ნახვისას მესხიერებაში რჩება საკმაოდ ხისტი, მოუხეშავი ხაზით შემოფარგლული წითელი და ყვითელი ლაქების მონაცვლეობა მკრთალი ნაცრისფერი ფონის დიდ სიბრტყეებზე. მაგრამ ეს მონოქრონულობა და სიმარტივე არ შეესაბამება მხატვრობის ამჟამად უკვე თითქმის დაკარგულ თავდაპირველ სახეს.

ზენობანის ეკლესიის ფერწერული ანსამბლის თეოლოგიური პროგრამა ქრისტეს დიდებისა და ტრიუმფის, ხსნის იდეებით არის განმსჭვალული. საკუროთხევლის კონქში გამოსახული არის „ვედრება-ხილვა“<sup>7</sup>, მის ქვემოთ მოციქულთა ნახევარფიგურების ვიწრო რეგისტრი, ძირს კი დიაკვნებით ფლანკირებული ეკლესიის მამათა ფრონტალური ფიგურების რიგი. ამ რეგისტრში, სარკმლის ქვეშ, ტრაპეზის თავზე. გამოსახული არის ხატი ხელთუქმნელი<sup>8</sup>. აფსიდის მიმდებარე კედლების ქვედა რეგისტრში წარმოდგენილი ფრონტალური ფიგურები წამებულებისა (შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ მხარეს) თითქოს აგრძელებენ ეკლესიის მამათა რიგს, რითაც აერთიანებენ დარბაზის და საკუროთხევლის მხატვრობას.

დარბაზში, კამარის სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთიდან დაწყებული, გამოსახულია ათორმეტ დღესასწაულთა ციკლი ისტორიული თანმიმდევრობით: „ხარება“, „შობა“ (სამხრეთის კედელი), „მირქმა“ (დასავლეთის კედელი); „ნათლისღება“ და „ფერიცვალება“ (ჩრდილოეთის კედელი); შუა რეგისტრში: „ლაზარეს აღდგინება“ და „ბზობა“ (სამხრეთის კედელი), „ჯვარცმა“ და „ჯოჯოხეთის წარმოტყვევება“ (დასავლეთის კედელი), „ამაღლება“ და „სული წმინდის მოფენა“ (ჩრდილოეთის კედელი), „მიძინება“ ამავე კედლის ქვედა რეგისტრში არის ჩამოტანილი „ამაღლების“ ქვეშ. ამ რეგისტრში დღესასწაულთა ციკლს ემატება „წმ. ევსტათეს ხილვა“, „წმ. გიორგის ცხოვრების სცენა“ (დასავლეთის კედელზე), „მხედარი წმ. გიორგი. (სამხრეთის კედელი), „წმ. პეტრე აღქსანდრიელის ხილვა“ დასავლეთის კარის წირთხელში. პილასტრებზე, საბჯენ თალებზე მესვეტეების, წინასწარმეტყველების და წმინდანების ფიგურებია.


<sup>5</sup> Н. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М., 1977.

<sup>6</sup> 1987 წელს რესტავრატორთა ჩვენება უმაღლესი კვალიფიკაციის რესტავრატორის ლადო გურგენიძის ხელმძღვანელობით გაწმინდა და გაამაგრა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი მხატვრობა, რაც ძალიან მოგვეხმარა მუშაობაში და გვესურს მათ მადლობა გადაუხადოთ.

<sup>7</sup> T. Velmans, Le coiné greque et les regions peripheriques orientales du Monde Byzantin, XVI Internationaler Byzantinisten Kongres, Athen, le 2, Wien, 1981, გვ. 69f--697; CH. Walter, Two notes on the Deises, Studies in Byzantine Iconography, London, 1977, გვ. 325.

<sup>8</sup> ხელთუქმნელი ხატის გამოსახვის ნიმუშები საკუროთხეველში სწორედ საქართველოში გვხვდება და ყველაზე მეტად XIII ს-ში.

11. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 1



სქემა 1. ზენობანი. საკურობევლის მოხატულობა.

ყოველი სცენა განმარტებული იყო თეთრი საღებავით შესრულებული წარწერებით, რომელთა პალეოგრაფია XII—XIII საუკუნეთა მიჯნას მიგვანიშნებს.





ტრიუმფალურ თაღზე ჩანს დიდი მონუმენტური წარწერის კვალი: „სახლსა შენსა შეენის სიწმინდე სიგრძეთა დღესა“ (ფსალმუნი, 92,5), ხოლო საბჯენი თაღის დასავლეთ წახნაგზე დარჩენილი ასოების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ წარწერა „ქ. აღმოსავლეთიდან მზისაით ვიდრე დასავლამდე ქებოვარს სახელი უფლისაი“ (ფსალმუნი, 112, 3). ორივე ეს, ღვთის განდიდებით განმსჭვალული წარწერა მკაფიოდ თვალშისაცემი იქნებოდა საკუთხეველისკენ მიმართული მლოცველისთვის. საკუთხეველში კი მის წინ წარმოდგებოდა სანთლის შუქისგან აპრილებული ვერცხლის ვარსკვლავებით შემკულ ფონზე მარგალიტებიანი შარავანდედით მოსილი მაცხოვრის მძლავრი ფიგურა, ძლევა-მოსილად ზეაპრობილი მარჯვენით — ნიშანი კურთხევისა და ხსნის აღთქმისა; დიდებული, მარგალიტებით შემკული ტახტი მისი — ზეცა — და კვარცხლბეგი მისი — მიწა (მათე, 5, 34—35); ქერუბინ-სერობინი, რომელთა ექვსფრთიანი ფიგურები განსახიერებაა სიტყვებისა „წმიდა არს. წმიდა არს უფალი ღმერთი ყოვლის მკყობელი, რომელიც იყო, არის და მოვა“ (გამოცხადება, 4, 8); ხაზ-გასმულად, საზეიმოდ გამოსახული ანგელოზები უთვალავი მარგალიტებით, პატოსანი ქვებით და ნაქარგობით შემკულ საიმპერატორო სამოსში, რომელთა ქრისტესკენ ზეაპრობილი ფრთები ხოტბის და დიდების შეძახილებს ჰგავს; ამ ტრიუმფალურ გარემოში ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის მკვედრებელი პოზებიც უფრო თაყვანისცემის ელფერს იღებს<sup>9</sup>. მოციქულები და ეკლესიის მამანი ქრისტეს დიდების მოწმენი, მონაწილენი და განამტკიცებელნი არიან, და ყოველივე ამას საფუძვლად, აბსიდის მონატულობის ძირში, ვითარცა „ლოდი, რომელიც შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა...“ (საქმენი 5: მათე, 21, 42) გამოსახული არის განკაცებული ღმერთის სახე—ხატი ხელთუქმნელი; დასავლეთ კედელზე კი, მის საპირისპიროდ განცხადებული ღმერთი — „წმიდა ეესტათეს ხილვაში“ ირმის რქების მედალიონში ქრისტეს ნახევარ-ფიგურა—დასტური და მოწმობა განკაცებით აღთქმული ხსნისა.

ათორმეტი დღესასწაულის ციკლის სცენებშიც აქცენტი სწორედ თეოფანისა და დიდებაზე კეთდება (მარიამის საზეიმოდ მორთული საყდარი „ხარებაში“, მოგვები ქრისტეს მარჯვენა მხარეს „შობაში“<sup>10</sup>, ყრმა ქრისტე სიმეონის ხელში „მირქამაში“<sup>11</sup>, იორდანეს პერსონიფიკაცია „ნათლისლებაში“<sup>12</sup> და სხვ.).

ასე რომ, განკაცებულ ქრისტეს აღთქმა მოწამეთა მარტივობით, ეკლესიის მამათა მოძღვრებით, მოციქულთა მოღვაწეობით გვირგვინდება საკუთხეველში საბოლოო და მარადიული ტრიუმფით ღმერთისა, რომლის სამი სახის ერთარსებობა „წმ. პეტრე ალექსანდრიელის ხილვით“ დასტურდება<sup>13</sup>.

<sup>9</sup> Ch. Walter, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.


<sup>10</sup> G. Vezin, L'adoration et le cycles des Mages dans l'art chrétien primitif, Paris, 1970, გვ. 27—28.

<sup>11</sup> D. Schorr, The iconographic development of the Presentation in the Temple, The Artn Bulletin, N. I, 1946, გვ. 24.

S. Boyd, The Panagia Amasgou, Monagri, Cypres, Dumbarton Oaks Papers №28, 1974, გვ. 224.

<sup>12</sup> Покровский, Евангелие в памятниках иконографии, Труды VIII Археологического съезда в Москве, 1890, т. I, 1892, გვ. 179.

<sup>13</sup> Ch. Walter, Heretics in Byzantine Art, Studies in byzantine iconography, London, 1987, გვ. 44.



სქემა 2. ზენობანი. სამხრეთ კედლის მოხატულობა

ზენობანის ეკლესიის მოხატულობა საკმაოდ ტრადიციული არის თავისა შემადგენლობით — აქ გამოსახულ ათორმეტ დღესასწაულთა უმეტესობა თუქმის ყველა მოხატულობის პროგრამაში შედის. მათს იკონოგრაფიაშიც ვერ ვხედავთ რაიმეს განსაკუთრებით ორიგინალურს, თუმცა ძირითადი თემის —

ქრისტეს დიდების — ხაზგასამყლად რამდენიმე შედარებით იშვიათი რედაქცია არის გამოყენებული (მაგ. „შობაში“ მოკვები ყრბა ქრისტეს მარჯვნივ არიან გამოსახულნი, „ნათლისღებაში“ იორდანეს პერსონიფიკაციაა და სხვა). ამიტომ ჩვენ შევჩერდებით იმ სცენებზე, რომლებიც ამ ეპოქაში შედარებით იშვიათია ჩვენი მხატვრობისათვის. ეს სცენებია „წმ. ევსტათეს ხილვა“ და „წმ. პეტრე აღექსანდრიელის ხილვა“.

„წმ. ევსტათეს ხილვას“ დასავლეთას კედლის ქვედა რევისტრის დიდი ნაწილი უჭირავს — ირემი ქრისტეს ნახევარფიგურით რქებს შორის კედლის ცენტრში არის გამოსახული, ზუსტად კარის თავზე, ისე, რომ მისი ნახტომი კარის ნახევარწრიულ მოყვანილობას იქორებს, თავი და რქები კი რევისტრის ხაზს ზემოთ ადის. ირმის ამგვარი ხაზგასმული გამოყოფა ამ სცენის თეოფანიურ შინაარსს უსვამს ხაზს.

„წმ. ევსტათეს ხილვა“<sup>14</sup> ძალიან იშვიათია ბიზანტიურ მხატვრობაში<sup>15</sup>, სადაც მხოლოდ ხატმებრძოლობის ხანის შომდეგნო პერიოდში გვხვდება რამდენიმე ფსალმუნის დასურათებაში<sup>16</sup>, სამაგიეროდ, ძალიან გავრცელებულა აღმოსავლეთ ქრისტიანული ქვეყნების ხელოვნებაში. არანაკლებ პოპულარული ყოფილა ეს წმინდანი და მისი მოქცევის ისტორია საქართველოში, რასაც ქვას პლასტიკის და მხატვრობის ნიმუშების საკაოდ დიდი რაოდენობა მოწმობს, თანაც დროის დიდ დიაპაზონში: წებელდის ფილა (VII—VIII)<sup>17</sup>, დავით გარეჯის სტელა (VI—VII)<sup>18</sup> მარტვილის ტაძრის რელიეფი (VII)<sup>19</sup>, ხეთის სამრეკლოს რელიეფი (XV—XVI); იფრალის ეკლესიის ფასადის მხატვრობა (XI)<sup>20</sup>, ხოზიტა-მაირამი (XIII), ნუზალი (XIII)<sup>21</sup>, საფარა (XIV), კაიშე-თარინგზელი (XIV), ლაღამის და ლაშხვეთის ეკლესიათა ფასადების მხატვრობა (XV)<sup>22</sup>, ქორეთი, ერკეთი, იღუმბი, ერთაწმინდა (გვიანიშუასაუკუნეები). შესაძლოა, საქართველოში წმ. ევსტათეს პოპულარობა არ იყო მხოლოდ კაპადოკიიდან შემოსული ნიმუშების გავლენის შედეგი, არამედ მას უფრო ერთვნილი ფესვები ჰქონდა. გამორიცხული არ არის, რომ მეფის ნადირობის აღმოსავლურ იკონოგრაფიასთან<sup>23</sup> მჭიდროდ დაკავშირებული გამოსახულება ქრისტიანი წმინდანისა, რომელიც ნადირობის დროს ღმერთის გამოცხადების მოწმე და ღირსი ხდება და ხსნას მოიბოვებს, საქართველოში ასოციაციას იწვევდა „მოქცევი ქართლისაჲ“-ში მოთხრობილ ლეგენდებთან მირიანის ნადირობის შესა-

<sup>14</sup> ძველი მეთაფრასტული კრებულები, (სექტემბრის საკითხავი), თბ., 1986, გვ. 364—388.

<sup>15</sup> N. Thierry, Le culte de cerf en Anatolie, La Cappadoce entre Rome, Byzance et les Arabs. Académie des inscriptions et Belles-lettres, 1977, Janvier-March, გვ. 123.

<sup>16</sup> ხელდღოვის ფსალმუნი, პანტოკრატორის მონასტრის ხელნაწერი № 67, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი, 20.

<sup>17</sup> Н. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М., 1977, ტაბ. 61.

<sup>18</sup> Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб., 1948, გვ. 31—32, ტაბ. 7.

<sup>19</sup> Н. Аладашвили, Монументальная..., გვ. 51.


<sup>20</sup> Н. Аладашвили, А. Вольская, Фасадные росписи Верхней Сванети (X—XVIII), ქართული ხელოვნება, 9, თბ., 1987.

<sup>21</sup> ა. ვოლსკაია, კედლის მხატვრობის ფრაგმენტები „ხოზიტა-მაირამის“ ქართულ ტაძარში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XV, თბ., 1954, გვ. 473—478.

<sup>22</sup> Н. Аладашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი.

<sup>23</sup> Т. Вельманс, Видение св. Евстафия..., გვ. 3—4.





3. ზენობანი. დასავლეთ კედლის მოხატულობა.

ხებ<sup>24</sup>. ამავე დროს, ირემი, როგორც დამაკავშირებელი ცისა და მიწისა, ზესკნელისა და შუასკნელისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჯერ კიდევ ქარ-

<sup>24</sup> „ქართლის ცხოვრება“, I, თბ., 1955, გვ. 108—110; „მოქცევა ქართლისა“, შატბერდის კრებული, თბ., 1979, გვ. 342, 425.



თულ წარმართობაში<sup>25</sup>, ხოლო შუა საუკუნეებში კი ქართველ მეფეთა შესახებ არსებულ ლეგენდებში<sup>26</sup>. სენათში, ეტყობა, თვით ნადირობის ფაქტიც განაპირობებდა წმ. ევსტათეს თაყვანისცემას<sup>27</sup>. ამგვარად ეს, თავისი შინაარსით თეოფანიური სცენა, ხსნის იდენით განსკუთვალული, ეტყობა ძალიან მიმზიდველი იყო ქართველი ოსტატებისთვის. ზენობანის მონატულობაში, როგორც აღვნიშნეთ, მკვეთრად ხაზგასმულია მისი თეოფანიური აზრი. თანაც, ირმის რქებზე რკალში გამოსახული ქრისტეს ნახევარფიგურა, დასავლეთის, კედლის ცენტრში, სარკმელსა და კარს შორის მოთავსებული, ოსტატმა, როგორც ითქვა, დაუკავშირა აღმოსავლეთით, საკურთხეველში, სარკმელსა და ტრაპეზს შორის „ხატი ხელთუქმნელის“ გამოსახულებას.

კიდევ უფრო საინტერესოა თავისი იშვიათობით „წმ. პეტრე ალექსანდრიელის ხილვა“<sup>28</sup>. ეს სცენა ბიზანტიურ მხატვრობაში მხოლოდ XIII ს-დან ჩნდება და განსაკუთრებით პოპულარული პალეოლოგოსთა ხანაში ხდება<sup>29</sup> (პერიბლემტოსი, პანათანასა, მატეიჩი, მეტროპოლი, გრაჩინცა და სხვ.). საქართველოში ეს გამოსახულება მხოლოდ წალენჯიხაში არის დადასტურებული, აგრეთვე დასავლეთის კარის წირობლში<sup>30</sup>, როდესაც წმ. პეტრე ალექსანდრიელის და დამხობილი ან დაჩოქილი არიოზის შორის საკურთხეველზე მდგომი ყრმა ქრისტე არის ხოლმე გამოსახული, ეს სცენა ლიტურგიკულ შინაარსს იძენს<sup>31</sup>, მაგრამ ზოგჯერ იგი მართლმადიდებლობის ტრიუმფულ გვევლინება ხოლმე, განსაკუთრებით როდესაც საეკლესიო კრებების ციკლში არის ჩართულ<sup>32</sup>. ჩვენი აზრით, ზენობანის ეკლესიის დასავლეთის კარში ამ სცენას გამოსახვა გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის ნართექსის ბრწყინვალე ფერწერული დეკორის გამოძახილია, სადაც სწორედ საეკლესიო კრებები არის გამოსახულ<sup>33</sup>.

<sup>25</sup> В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957; ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986, გვ. 147, 155; მ. ხიდაშელი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისთვის ანტიკურ საქართველოში, თბ., 1972, გვ. 58—86; მ. შაკალათია, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საეკლესიო ძეგლი სენათში, კრებული „სენათი“, თბ., 1977.

<sup>26</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 694. ზ. კვიციანიძე, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ., 1985, გვ. 317, 318, 85—86.

<sup>27</sup> Н. Аладашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

<sup>28</sup> ალექსანდრიელმა ეპისკოპოსმა პეტრემ, სატუსალოში მყოფმაც კი არ მიუტევა მწვალებელ არიოზს და მოწამეობრივი სიკვდილი მიიღო მას მერე, რაც თავის საკანში იხილა საკურთხეველზე მდგომი ყრმა ქრისტე, ვაგვეჯოლ კვართში — ნიშანი ძე ღმერთის ორბუნებოვნების უარყოფისა არიოზის მიერ.

<sup>29</sup> S. Dufrenne, Les programmes iconographiques des églises byzantines de Mistra, Paris, 1970, გვ. 51—55.

<sup>30</sup> ი. ლორთქიფანიძე, წალენჯიხის ტაძრის მონატულობა, საბჭოთა ხელოვნება, № 12, 1972, გვ. 57—63; H. Belling, Le peinture Manuel Eugenikos de Constantinople en Géorgie Cahiers Archeologique, № 28, 1979, გვ. 113.

<sup>31</sup> S. Dufrenne, დასახ. ნაშრომი, გვ. 54—55.

<sup>32</sup> Ch. Walter, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

<sup>33</sup> Т. Вирсаладзе, Фрагменты древней фресковой росписи главного Гелатского храма, ქართული ხელოვნება, 5, თბ., 1959.



ზენობანის მხატვრობის ბევრი იკონოგრაფიული ნიშანი პარალელებს პოულობს XII ს-ის მიწურულის და XIII ს-ის I ნახევრის ქართული მონუმენტური მხატვრობის ძეგლებში (მაგ. ვარძია, ტიმოთესუბანი<sup>34</sup>; თანდილი<sup>35</sup>, კისორეთი, ჭოხულდი და სხვ.).

ამავე ეპოქას მიანიშნებს ანსამბლის მხატვრული გადაწყვეტა, თუმცა აქ მხატვრობის გარკვეული ორმაგობაც გამოვლინდა. ერთი მხრივ, ჩანს, მონუმენტური ფერწერის წინა ეტაპისთვის დამახასიათებელი ნიშნები: რეგისტრების ერთიანი დონის დაცვა დარბაზში (მცირედი დარღვევებით); კედლის სტრუქტურის მხედველობაში მიღება მისი მოხატვის დროს (მაგ., დასავლეთის კედლის ზედა ნაწილების ნახევარწრიულ მოხაზულობას შესატყვისება „მირქმის“ კომპოზიციაში ამაღლებული სალხინობელი ცენტრში და საფეხუროვნად დადაბლებული შენობები კიდეებში, ხოლო ქვედა რეგისტრში კი ირმის ნახტომი ესადაგება კარის ნახევარწრიულ დაკვირვებებს); კონქის კომპოზიციის მონუმენტური გადაწყვეტა; ცალკეულ კომპოზიციებში გაწონასწორებული, სტატიკური აგებისკენ მისწრაფება (მაგ. „ჯოჯოხეთის წარმოტყვევანისთვის“ შერჩეულია ის იკონოგრაფიული რედაქცია, სადაც ქრისტე ცენტრში არის გამოსახული, ფრონტალურად მდგომი და არა სამ მეოთხედში მიტრიალებული ადამიანკენ, როგორც ვარძიაში) და სხვა.

ამავე დროს, გარკვეული არქაულობის მიუხედავად, ჩანს ახალი სტილისტური ეტაპისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც: ზოგიერთ ადგილას რეგისტრების ერთიანი პორტიონტალის დარღვევა (მაგ. „ამაღლების“ ზედა ზღვარი აწეული არის ზემოთ და ამით „ნათლისღების“ არე შემცირებულია, ოდნავ აცდენილია დასავლეთი კედლის სცენების და გვერდითი კედლების პორტიონტალური ზღვრები“, კამარაზე სცენები საერთოდ არ არის გამოყოფილი და „შობის“ კომპოზიციის ნაწილები „ნათლისღების“ არეში იჭრება; „წმ. ევსტათეს ხილვის“ ნაწილი — ირმის რქები და თავი — საერთოდ არღვევენ ჩარჩოს და ზედა რეგისტრში იჭრებიან; კომპოზიციათა ნაწილების გადატანა პილასტრების წახნაგებზე („ლაზარეს აღდგინების“ სცენის ერთი ფიგურა მთლიანად გადატანილია პილასტრის წახნაგზე, პილასტრებზე გადაეფინება ნაწილობრივ „ბზობის“, „სული წმინდის მოფენის“, „ამაღლების“ კომპოზიციათა კიდეები); საკუთრებელოში რეგისტრთა სიმაღლის შეფარდების დარღვევა (მოციქულთა ნახევარფიგურების ვიწრო „რეგისტრი“<sup>36</sup>; ორნამენტის მომჩარჩოებელი ფუნქციის უგულბელოყოფა (სცენები დარბაზშიც და საკუთრებელოშიც მხოლოდ წვრილი წითელი ზოლით არის გამოყოფილი, ორნამენტი კი მხოლოდ რამდენიმე ადგილას არის გადატანილი პილასტრის ვიწრო წახნაგზე და ისიც უმეტესად გადაკვეთილია მიმდებარე კედლიდან გადმოსული კომპოზიციის ნაწილით).


ფიგურათა ზომები კომპოზიციათა ზომებთან შედარებით მცირეა. მაღლა, თხელი, ფიგურები პაწაწინა ფეხებით და ვიწრო, დაგრძელებული ხელის მტევნებით მთლიანი, დაუნაწევრებელი კონტურით შემოვლებულნი, სტატიკურია,

<sup>34</sup> Э. Привалова, Тимотесубани, Тб., 1980.

<sup>35</sup> Н. Аладашвили, Роспись церкви Тагил в Верхней Сванети, ქართული სახვითი ხელოვნების საკითხები, თბ., 1983, გვ. 18—25.

<sup>36</sup> Э. Привалова, Павниси, Тб., 1977, გვ. 24.





სქემა 4. ზენობანი. ჩრდილოეთი კედლის მოხატულობა.

მათი მოძრაობა შეზღუდული. XII—XIII სს-ისთვის დამახასიათებელი სამოს ას აფრიალებული კალთაც ვერ ანიჭებს მათ ნამდვილ დინამიკას, სხვადასხვა სცენაში ფიგურათა ზომები საკმაოდ განსხვავებულია და ეს გამოწვეულია არა

მხოლოდ სცენებში ფიგურათა განსხვავებული რაოდენობით, არამედ მონუმენტურობის შეგრძნების შესუსტებითაც.

დაგრძელებულ, ვიწრო, მაღალ ფიგურებს, შეესატყვისება ნახატის ხასიათიც: ძირითადად სწორ, ვერტიკალურ, ტეხილ ხაზებზე აგებული, სტატიკური, ფორმის პლასტიკური აღნიშვნის ყოველგვარი ცდის გარეშე. მხოლოდ რამდენიმე ადგილას — ღვთისმშობლის მაფორიუმზე, მოსეს სახელოზე, ქრისტეს სახელოზე და ა. შ. ხაზები ირკალება და იზნიქება. ნახატის ამგვარი აპლასტიკურობა და სტატიკურობა XII—XIII სს-თა მხატვრობის მოწინავე ძეგლებისთვის არ არის დამახასიათებელი. პირიქით, მხატვრული გამომსახველობა დენადი, რკალური ხაზების დინამიურობაზე იგება<sup>37</sup>. ეს განსხვავება ზენობანის მხატვრობის პროვინციულობით არის განპირობებული და ამ მხრივ უკავშირდება ამავე დროის ზოგიერთ ძეგლს, მაგ. კისორეთის<sup>38</sup>, თანღლის<sup>39</sup>, ჭოხლდის მხატვრობებს. ამავე დროს თვით ნახატის შესრულების დონე საკმაოდ მაღალია — კარგად შემონახულ ადგილებში ჩანს, რომ მუქი წითელი ხაზი, ზოგჯერ მუქი მოლურჯო შავით დუბლირებული, დაძაბული და მოქნილია, იგრძნობა ფუნჯის დაჭერა და მოძრაობა, საღებავის სიმსუყვე და დენადობა.

ზენობანში ხაზის აპლასტიკურ ხასიათთან შერწყმული არის ფორმის მოდელირების საკმაოდ თავისებური მანერაც. მხატვარი ფორმას გამონათებათა<sup>40</sup> ლაქებით ამუშავებს, მაგრამ მათი განაწილება არ პასუხობს მის პლასტიკას. განსხვავებით XI ს-თა ძეგლებისგან, სადაც ყოველი დიდი ფორმა მძლავრი და პლასტიკურად გამომსახველი კონტურით შემოფარგლული, აღიქმებოდა როგორც ერთიანი მთლიანი<sup>41</sup>, ზენობანში იგი მრავალრიცხოვან თანაბარმნიშვნელოვან ელემენტებად არის დანაწევრებული (მოსეს ფეხი „ფერიცვალებაში“; ანგელოზის სახელო „ხარებაში“ და სხვ.). ნაკეცების ნახატი (რომელიც იგივე სისქისაა, რაც კონტურის ხაზი), ორ-ორი ან მეტი ხაზით აღნიშნული და გამონათების ზოლებით დუბლირებული, სამკუთხა და ნუშისებრ მონაკვეთებად ანაწევრებს ფორმას. ყოველი ეს მონაკვეთი შეესებულება უწვრილესი თეთრი ხშირი შტრიხების კონებით, რომლებიც ერთიან, საკმაოდ ინტენსიურ ლაქად აღიქმება. მიუხედავად გამონათებათა საკმაოდ ინტენსივობისა, ფორმის ამგვარი დესტრუქციული დანაწევრება, თანაც ხაზის აპლასტიკურ ხასიათთან შეხამებაში, აბრტყელებს ფორმას, იმ პირობით მოცულობითობასაც კი უკარგავს, რომელიც შუა საუკუნეების მხატვრობაში არის დამკვიდრებული.

ფორმის ამგვარი დამუშავება თავისთავად დეკორატიულ ეფექტს ქმნის, რაც სწორედ XIII ს-ის მხატვრულ პრინციპებს უფრო შეესატყვისება, ვიდრე უფრო ადრეულის ან შემდგომი დროისა. ნაკეცების ნახატს შორის სიბრტყის:

37 Г. Алибегашвили, Светский портрет в грузинской монументальной живописи, Тб., 1977, გვ. 102—103.

38 М. Дидебулидзе, დასახ. ნაშრომი.

39 Н. Аладашвили, Роспись церкви Тянгил...

40 გამონათებებს ჩვენ პირობითად ეუწოდებთ იმ გრაფიკულ, თეთრი საღებავით შესრულებულ მონასმებს, რომლებიც ფორმის მაქსიმალური დაძაბულობის ადგილას იდება და ღვთაებრივი შუქის გამოსხივებას აღნიშნავს (რუს. свет, ინგლის. high-lights).

41 Т. Вирсаладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 190—191; Г. Алибегашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

თითქმის მთლიანი შევსება გამონათებებით საბოლოოდ კვლავ ხაზის მნიშვნელობას და გამომსახველობას აძლიერებს, რაც შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის მნიშვნელოვანი თავისებურებაა<sup>42</sup>.

იგივე პრინციპი ჩანს სახის დამუშავებაშიც — ორგვარი ძალის გამონათებები, აგრეთვე უწვრილესი შტრიხებით შედგენილი და ერთ მთლიან ლაქად აღქმული, თითქმის მთლიანად ფარავს სახეს, ისე, რომ მხოლოდ კონტურის გაყოლებით რჩება სარჩულის ტონი, რომელიც „ჩრდილის“ როლს ასრულებს. ასე რომ, მთელი სახე თითქმის ერთიან სიბრტყედ აღიქმება, რის გამოც კვლავ ნაკეთების მოქნილი, თითქმის კალიგრაფიული ნახატი დომინირებს. სახის წერისას ამგვარი გამოთლიანება სწორედ XIII ს-ში ხდება დამახასიათებელი, ოღონდ უმეტესად ეს ეფექტი მიიღება გამკვირვალე მსუბუქი გალიადება და ჩრდილების რბილი ტონალური გადასვლებით<sup>43</sup>. ზენობანის ოსტატის მანერაც ამ გამოთლიანების თავისებური ფორმა — გამონათებები სახის ტონას მიმართ კონტრასტულ მონასმად კი არ იკითხება, არამედ მთელი სახის დამფარავ ერთიან ლაქად.

მიუხედავად ზენობანის სახეთა თავისებური მომხიბვლელობისა, ცხინი ცოტა ერთგვაროვანია, ნაკლებ გამომსახველი. ვინაიდან მოძრაობანიც შებოქილი და გაუბედავია, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ფიგურები კი არ მონაწილეობენ მომხდარ ამბავში, არამედ მხოლოდ „ესწრებიან“ მას. ამაშიც ვლინდება მხატვრის გარკვეული ორმაგობა — კარგი პროფესიული განსწავლა და ამავე დროს ჭეშმარიტი გამომსახველობის ნაკლებობა. ამ თვალსაზრისით XIII ს-ის ისეთი მხატვრობების ფონზე, როგორც არის ბეთანია, ყინციკისი, ტიმოთესუბანი, იგი პროვინციულად გამოიყურება.

ანსამბლის ფერადოვნება საკმაოდ შეზღუდულია — ამაყად მკრთალი ნაცრისფერი ფონის დიდ სიბრტყეებზე წითელი და ყვითელი ერთგვაროვანი ლაქები ჩანს. ეტყობა, კოლორიტი თავიდანაც საკმაოდ მონოქრომული იყო, მაგრამ ტონალურად უფრო მდიდარი: ფონი უფრო მუქი, მოცისფრო რუხი ფერისა; წითლის რამდენიმე ტონი: ვარდისფერი, მკლერი სინგურისფერი, მოიასამნისფრო და მოყავისფრო წითელი. რამდენიმე ადგილას ჩანს მუქი რუხი ფერის აქცენტები. კოლორიტს აცოცხლებდა და ახალსებდა მუქი მოლურჯო შავი ნახატი და ყვითელ შარავანდებზე ასეთივე ფერის ვანიერი არშიები, რომლებზეც მკაფიოდ გამოიყოფოდა მარგალიტების ინტენსიური თეთრი. ფერთა ლაქების განლაგება კომპოზიციებში რიტმულ მონაცვლეობაზე არის აკებული. ძალიან ეფექტურია „ხარებაში“ მდიდრულ, მარგალიტებით, ძვირფასი ქვებით და ორნამენტებით შემკულ ტახტზე არქიტექტურის თეთრი სიბრტყის ფონზე მკდომი მარიამის მაფორიუმის ღრმა, ინტენსიური წითელი, რომლის გამომსახველობას და ჟღერადობას არ არღვევს წითელივე ნახატის და მსუბუქი გამოთვორებების ზოლები. ყოველივე ამას კი კამარის მოპირდაპირე კალთაზე ეპასუხება ქრისტეს სამოსის თეთრი ფერი წითელი მანდორლის ფონზე.

ზენობანის მხატვრობა სრულიად სიბრტყობრივია, იმ მინიმალური სივრცეობის გარეშეც კი, რომელიც გარკვეულ ეტაპებზე იჩენს თავს შუა საუკუნე-

<sup>42</sup> Г. Алибегашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 95, 102—103.

<sup>43</sup> Т. Вирсаладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.





ების მხატვრობაში. არც ერთი შენობა არ არის გამოსახული თუნდაც უკუბერსპექტივში, რომელიც, თუმცა პირობითად, მინც სივრცითი ურთიერთობის აღნიშვნელია. არქიტექტურული ფონები საკმაოდ მარტივია, მათში ძირითადად რამდენიმე მოტივი მეორდება, რომლებიც ქართული მონუმენტური მხატვრობის განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე გვხვდება (მაგ. ორქანობიანი სახურავით გადახურული შენობა, მარტივი კაპიტლების მქონე სვეტებზე დადგმული სალხინობელი და სხვა). შენობები ყველა ბრტყელია, თანაც მთლიანად კი არ ავსებენ ფონს, არამედ პაუზებით არიან გამოყოფილი ერთმანეთისაგანაც და კომპოზიციის ჩარჩოსგანაც, რის გამოც ისინი უფრო უწონადი და სიფრიფანა ჩანს და მინიატურებს მოგვაგონებს. მასშტაბური შეფარდება შენობებსა და ფიგურებს შორის ძალზე პირობითია. ნაკვობები შემოფარგლავენ ცალკეულ ფიგურებს, კომპოზიციაში მათი განლაგების რიტმის მარჯანობებელ ფუნქციას ასრულებს, ისევე როგორც მთებისა, რომლებიც ასევე ბრტყელი და სრულიად სიბრტყობრივია. პეიზაჟურ ფონს ზენობანში საკმაოდ თავისებურა სახე აქვს. ტალღოვანი, მთლიანი კონტურის მქონე მთების წითელი, ყვითელი და ნაცრისფერი ლაქები რიტმულად მონაცვლეობენ კომპოზიციებში. მთას მთელი ზედაპირი დაფარული არის მარმარილოს ძარღვების მსგავსი ხაზებით, რომლებიც ზოგჯერ მრუდებდა იზნიქება, ცეცხლის ენებივით დაკლაკინილი, ზოგჯერ წაწვეტებული, მახვილი და კუთხოვანია. ნახატი წითლით არის შესრულებული, რომელიც წითელ მთებზე უფრო მუქი ტონისაა და თანაც თეთრით არის დუბლირებული, რათა წითელ ფონზე არ დაიკარგოს მისი სიმკვეთრე. ეს გრაფიკული ნახატი, წამახვილებული და წაწვეტებული, ეპასუხება თვით ფიგურათა თხელ, დაგრძელებულ ფორმებს.

მთის ზედაპირის მთლიანი დაფარვა ნახატით უმეტესად XII ს-ის ნახევრიდან გვხვდება<sup>44</sup> (მაცხვარიში<sup>45</sup>, ვარძია, ოხანანი, გელათის წმ. გიორგის ეკლესიის მინაშენი, ყინცვისის წმ. ნიკოლოზი, კისორეთი და სხვა). თუმცა სხვადასხვა ძეგლში მისი ხასიათი განსხვავებული და თავისებურია: ზოგან უფრო გრაფიკული ხასიათისაა (მაცხვარიში, ფავნისი), ზოგან კი ფართო ცხოველხატული მონასმების სახეს იღებს (გელათი, კისორეთი).

არქიტექტურული და პეიზაჟური ფონების გადაწყვეტაში ზენობანის მონახატულობა იზიარებს ქართული მონუმენტური მხატვრობის დამახასიათებელ მიდრეკილებას სიბრტყეობისკენ განსხვავებით ბიზანტიური მხატვრობის მისწრაფებისა სივრცის აღნიშვნისკენ, თუნდაც პირობითად, რაც იქ ანტიკურა მხატვრული ტრადიციით არის განპირობებული.

ზენობანის ფერწერული ანსამბლის მხატვრულ გამომსახველობაში, ალბათ, საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა კაპარის და კონქის ნაცრისფერ ფონზე გაბნეული ვერცხლისფერი ვარსკვლავები, რომელთა მხოლოდ მცირედი ნაშთიღა განირჩევა ამჟამად. ქართულ მხატვრობაში ფონის სხვადასხვა ფერის ვარსკვლავ-

44 Е. Привалова, Павлиси, გვ. 34—35.

45 Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, ქართული ხელოვნება, 4, თბ., 1955, გვ. 204.

46 ქიმიური ანალიზი შესრულა საქართველოს სახ. ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელმა ირაკლი იაკობაშვილმა.

ვებით შემკობის მრავალი ნიმუში არსებობს უძველესი დროიდან მოყოლებული (საბერეების VII ეკლესია, უდაბნოს მთავარი ტაძარი, გელათის ნარტექსი, ყინციისი, ვარძია, ბერთუბანი და სხვ.), მაგრამ ზენობანში ისინი საღებავით კი არა, ფურცლოვანი ვერცხლით არის შესრულებული<sup>46</sup>. რაც ბრჭყვიალის სრულიად განსხვავებულ ეფექტს იძლეოდა. მით უმეტეს სანთლის შუქზე. ამგვარი ტექნიკური ხერხი ჩვენთვის ცნობილ ძეგლებში არ გვხვდება<sup>47</sup>, თუმცა ცნობილია, რომ ყინციისის, ბეთანიის, უდაბნოს ხარების ეკლესიის მოხატულობებში ფურცლოვანი ოქრო არის გამოყენებული. ვერცხლის ვარსკვლავების ციალი შარავანდების არმთქმსა, ანგელოზების სამოსზე და ქრისტეს და მარიამის საყრდენზე გაფანტულ მრავალრიცხოვან ქათქათა თეთრ მარგალიტებთან ერთად, ალბათ განსაკუთრებით საზეიმო იერს ანიჭებდა სხვა მხრივ საკმაოდ მოკრძალებულ მხატვრობას.

ზენობანის მხატვრობის იკონოგრაფიული და სტილისტური თავისებურებანი მთელ რიგ ანალოგიებს პოულობს XIII ს-ის პირველი ნახევრის მხატვრობებთან (გელათის წმ. გიორგის ეკლესიის მინაშენის მხატვრობა, კისორეთის, ჭოხულდის, თანლილის ეკლესიათა მხატვრობები) და მიუხედავად რიგი მარკაიზებელი ნიშნებისა, XIII ს-ის დასაწყისით უნდა თარიღდებოდეს.

თავისი ბუნებით ზენობანის ფერწერული ანსამბლი მიეკუთვნება მოხატულობათა იმ ტიპს, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც შუალედური მაღალი დონის მხატვრობებსა და ე. წ. „ხალხურ“ მხატვრობებს შორის. მას ახასიათებს გარკვეული ორმაგობა — ოსტატობის საკმაოდ მაღალი დონე და ამავე დროს რაღაც გაუბედაობა, შებოჭილობა. თავისი დროის მოწინავე ძეგლებთან შედარებით, რომლებშიც აისახა ქართველ ოსტატთა შემოქმედებითი ძიებანი, ეს მოხატულობანი უფრო მარტივია. ამავე დროს ეს სიმარტივე თვისობრივად განსხვავდება იმ უბრალოებისგან, რომელიც ე. წ. „ხალხური“ მხატვრობის მომხიბველობას განსაზღვრავს.

ზენობანის მხატვრობას ბევრი საერთო ნიშანი აქვს გელათის წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთის მინაშენისა<sup>48</sup> და სოფ. კისორეთის წმ. გიორგის ეკლესიის მხატვრობებთან<sup>49</sup>. თანაც საგულისხმოა, რომ სამივე ძეგლი ერთ რაიონში მდებარეობს. ისინი უდავოდ სხვადასხვა ოსტატის ხელით არის შესრულებული (თანაც კისორეთის მხატვრობა XIII ს-ის შუა ხანში), მაგრამ როგორც იკონოგრაფიულად, ასევე სტილისტურად მათ ბევრი ნიშანი აახლოვებთ. რა თქმა უნდა, თუნდაც ძეგლების რაოდენობის სიმცირის გამო, ჩამოყალიბებული სახის მქონე ფერწერულ სკოლაზე საუბარი შეუძლებელია, მაგრამ რაღაც გარკვეული ერთი მხატვრული ტრადიცია, რომელიც სამივე ძეგლს უდევს საფუძვლად, უდავოდ შეინიშნება. ჩვენი აზრით, ეს ტრადიცია გელათიდან მოდის, რომელიც XII ს-დან მოყოლებული უმნიშვნელოვანესი კულტურული და რელიგიური ცენტრი იყო და ბუნებრივია, ხელოვნების დიდ კერასაც წარმოადგენდა.

<sup>47</sup> W. Djuric, Byzantinische Fresken in Jugoslavie7, Bolgrad, 1976, გვ. 54—55. აქ აღნიშნულია ვერცხლის ვარსკვლავების არსებობა, მაგრამ არაფერი წერია შესრულების ტექნიკაზე.

<sup>48</sup> ვ. იოსებიძე, გელათის წმ. გიორგის ეკლესიის მინაშენის მხატვრობა, 1977 წლის წლიური თემა (ხელნაწერი).

<sup>49</sup> М. Дидебулидзе, Два памятника...

М. Т. ДИДЕБУЛИДЗЕ

## РОСПИСЬ ЦЕРКВИ СПАСА В СЕЛЕ ЗЕНОБАНИ

### Резюме

Церковь Спаса в селе Зенобани (верхняя Имеретия), построенная на рубеже X—XI вв., была расписана в начале XIII века, на что (несмотря на несколько архаизирующий характер) указывают как иконографические особенности, так и стилистические черты росписи.

Хотя большая часть изображений дошла до нас в сильно поврежденном виде, система и программа росписи ясно читаются. В основу программы положена идея Величия Христа, которая подчеркивается повсеместно как в росписи алтаря, так и в сценах Дванадцатых Праздников, к которым в нижнем реестре росписи добавлены сцены св. Георгия, «Видение св. Евстафия», «Видение св. Петра Александрийского», а также изображения святых мучеников, пророков, столпников. Монументальные надписи с текстом Псалмов на триумфальной и подпружных арках усиливают основную тему росписи.

Неяркий колорит росписи, составленный всего из нескольких цветов, оживляется россыпями жемчугов на престолах, одеяниях и нимбах, а также серебряными звездами на темно-сером фоне свода и конхи. В решении ансамбля, а особенно в живописной манере — проработке форм и письме ликов — явно прослеживаются черты, характерные для грузинской монументальной живописи половины XIII в.

Роспись выполнена мастером довольно хорошей выучки, на что указывает каллиграфичность рисунка и пробелов, отличная компановка и т. д. но в то же время в росписи чувствуется некоторая скованность, неуверенность, некоторая провинциальность, что снижает ее художественную выразительность. Определенное сходство с росписями юго-западного придела храма св. Георгия в Гелати и храма св. Георгия в с. Кисорети позволяет предположить наличие в этом регионе определенной художественной традиции, идущей, по всей вероятности, из Гелати.

M. DIDEBULIDZE

## THE MURAL PAINTING OF THE CHURCH OF SAVIOUR IN ZENOBANI

### Summary

The church of Saviour in Zenobani (X—XIcc.) was adorned with mural painting in the I half of XIII c. This date is established with more or less precision according to iconographical and stylistical peculiarities of the painting.

Nearly the whole programme can be read, though most of the scenes are in a rather bad condition, except „Annonciation“, „Transfiguration“ and partly „Deisis“—only preliminary drawings and colouring is preserved. The



main idea of theological programme is „Majesty“, which is emphasized in every possible way along with „Redumption“ and „Incarnation“.

The master of Zenobani seems to be a well-trained, good artisan, though the style of frescoes is rather provincial. But nevertheless the mural painting of Zenobani reveals an interesting aspect in the development of medieval georgian mural painting.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსმა ე. ბერიძემ.

პართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი

14 იანვარი ყოვლად-სადიდებელი დღეა ყოველის ქართველისათვის. ამ დღესა უქმობს, ამ დღესა დღესასწაულობს საქართველოს ერი და ეს დღეა დღე მიცვალებისა ჩვენის განმანათლებელის მოციქულთა სწორის წმინდა ნინოსი. ამ ჩვენს ღვთისმშობლის წილადხდომილს ქვეყანას ღვთისმშობლისავე ლოცვით და კურთხევით მოევლინა ზეგარდმო შთაგონებული წმინდა ქალწული, გადმოლახა თავისი უძღურის ფეხითა მთანი და კლდენი, მოვიდა იქ, „სადაცა ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ“, პირქვე დაამხო სალოცავნი კერბოშახურებისანი და მათს ადგილას აღმართა ჭვარი ქრისტესი, ჭვარი პატიოსანი.

საქართველოს ერმა გადისხნა გული, შიგ განიბნევა იგი ჭვარი პატიოსანი ჭვარცმულის ღმერთისა და თითონაც ჭვარს ეცვა და არავის-კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჭვარი. მას აქეთ ხუთმეტი საუკუნეა და მთელი ეს ხუთმეტი საუკუნე გულში ჭვარით და ხელში ხმალით იბრძოდა, იღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერაჲინ შეაცვლევინა.

ჩვენის ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულთ-მომქმედი მხნეობა, თავგაწირვა, თავდადება, ვაჟყაცობა სულ იმ ნათელით არის განსხივებული, იმ შარავანდელით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოპფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზედ სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია, უძლიერესია ყოველს სხვა მცნებაზედ: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანა ჩვენი ქვეყანა; იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს-აქამომდე არ გაქრალა და არც გაქრება, მინამ არ გაქრება თითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდა თავზე, ხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავპირდასისხლიანებულმა, ჩვენს დრომდე შეუშფიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა ჩვენ, შვილებს, გადმოგვცა, — ეხლა თქვენ იცითო.

ეკლის გვირგვინია, მაგრამ თვალ-მარგალიტით მორთულს გვირგვინს რითო ჩამოპრჩება? გვირგვინი წამებისა ჭეშმარიტებისათვის, კაცთმოყვარებისათვის, გვირგვინი წამებისა მამუკრალთა და ტვირთმიძიმეთა ნუგეშისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის, მშვიერთა, მწყურვალთა, სნეულთა, საპყართა და პატიმართა შეეკისა და ხსნისათვის,

ობოლთა, ქვრივთა, უპატრონოთა შეწყყნარებისათვის — ნუთუ ყოველივე ეს იგივე თვალ მარგალიტები და უფრო უკეთესნიც არ არიან?

დიდი წამება დიდ-ბუნებოვანობის ნიშანია, როგორც დიდი ძღვევამოსა-ლობა. დიდი წამება იგივე დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ჰხედება ხოლმე დიდ-ბუნებოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თითონაც სტკებება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს და წამებულნი-კი თვით იწვეს სანთელსავით და სხვას კი უნთებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგაროა, უფრო მიზიდველია, უფრო საგულმტკიენეულია და, მასადაამე, უფრო მშვენიერა, სასახლო და სადიდებელი. მართო ამ წამებულთა ჰლოცულობს კაცობრიობა, მართო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანებად და თაყვანსა სცემს ლოცვათა და კურთხევითა.

ეკლიანი გვირგვინი, ჩვენს დღემდე მოტანილი ჩვენთა წინაპართაგან, ამ მშვენიერებითა ჰშვენის, ამ სახელითა სახელოვნობს, ამ დიდებით ჰდიდება-ლობს. თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვენენ და სხვას-კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელი შვილინი ლმობიერებით პირქვე უნდა დაევიხობთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა.

ამ სამართლიან ქება-დიდებისათვის სხვა უკეთესს დღეს ვერ ამოირჩევს ქართველი, თუ არ დღეს, ჩვენის განმანათლებელის სახსოვრად დაწესებულს. მოგვევლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალს აღთქმას, შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაცკი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის-დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს: შეუერთა მამული და ეროვნობა. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულს დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა — რჯულის დაცვად. რჯული ჩვენის მამულის, ჩვენი ეროვნობის ხმალად იქცა ზედმისევისათვის და ფართოდ ზედმოსეულათვის.

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან, — გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდლოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნობა, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორცთვისებული, უძლეველი ხმალია და შეუღწევილი ფარი მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ მიჰქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდესს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავაწირვით ამოქმედოს.

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩენი უწინდელი სამღვდლოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, რით გაიმავრა სამღვდლოებამ სარწმუნოება ქრისტესი ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი-მტრები ეხვივნენ და ჰლამოდნენ ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი, რამ მოაგერებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამუ-



ლი და ეროვნობა მიაშველა სამღვდლოებამ რჯულს, რჯული — მამულსა და ეროვნობასა და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიძმღვარა წინ, ათას ზუთასი წელიწადი ომითა და სისხლის ღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაც.

ამ სამთა უწმინდაესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდლოება და დააყენა იმ მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი ღვაწლია და სამსახური ქვეყნის წინაშე. მოღვაწეს და მოსამსახურეს ყოველთვის დიდი პატივი და სახელი აქვს და ამიტომაც უწინ სასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდი პატივად და დიდ ღირსებად მიიჩნდათ. დიდნი გვარიშვილნი, მეფეთა ოჯახისანი და ძენიც კი ბედნიერად პრაცხდნენ თავიანთ თავს, თუკი ელირსებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა. ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულისა და ეროვნობისა, და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო. ეს სიმძიმე აპატიოსნებდა ღვაწლსა, ეს ტვირთი ასხივოსნებდა სამსახურსა და ამ პატიოსნებასა და სხივოსნობაში იყო თავმოწონებაც და ჯილდოც მოღვაწისა.

ამ-სახით, წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიჩვენა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე-ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხოვნებად, თავისი ძლევაშისილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისი ღვთაებურის ძალდონით გამოიჭარდა, შეჰქმისა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძველი ჭეშმარიტებისა. და აი, ათას ზუთასი წელიწადია ამ ძალ-დონით ქრისტიანობამ შეგვიანახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ენობა, ჩვენი ეროვნობა.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკედ, თავის-თავადაც დიდი ღვაწლია, და რომ ქრისტიანობამ ქვეთიკრსავით შეგვკრა და გავგაჟაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნობის შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვლო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ. აი, რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდ-დღესასწაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთასწორს ქალწულსა. ამა ღვთაებურის მაღლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნობა, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.

კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის! დიდება შენდა, დიდება!..

ილია შავჭავაძე

1888 წ., 13 იანვარი

გვესაუბრება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი.

**1. გვითხარით, რამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება ისტორიით?**

— ვფიქრობ, ისტორიამ დამაინტერესა, როგორც მრავალი სხვადასხვა ძალის, იდეის, სურვილისა და მისწრაფების ჭიდილის გრანდიოზულმა სანახაობამ. მოვლენათა ამ ლაბირინთში გარკვევა, ისტორიის მსვლელობის გეზის ამოცნობა, მრავალმხრივ საინტერესოა.

**2. ეგების თქვენს ამ არჩევანზე გარკვეული გავლენა მოახდინეს პედაგოგებმაც — ისტორიის მასწავლებლებმაც?**

— ამას ვერ ვიტყვი, ჩვენთან, „შვიდწლედში“ (ასე ეძახდნენ მაშინ არასრულსაშუალო სკოლას), მე მგონია, ისტორია საერთოდ არ ისწავლებოდა, ხოლო მაღალ კლასებში, 30-იანი წლების პირველ ნახევარში, უკვე ისეთი ისტორიის სწავლება დაიწყეს და მისი ისეთი მასწავლებლები გაჩნდნენ, რომ ამ საგანს თუ შეგაძლებდნენ — სხვას ვერაფერს შეძლებდნენ.

საშუალო სკოლის დამთავრებისას დიდხანს ვმერყეობდი, რა დარგი ამერჩია უნივერსიტეტში — ფიზიკა თუ ისტორია; ბოლოს ამ უკანასკნელისადმი ინტერესმა გადამძლია. აი, აქ კი, უნივერსიტეტში, მასწავლებლებმა მეტად დიდი როლი შეასრულეს ჩვენს ჩამოყალიბებაში, „ისტორიული აზროვნების“ დაუფლებაში. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ იმ დროს მომიხდა სწავლა (1935—1939 წწ.), როდესაც უნივერსიტეტში ჯერ კიდევ კითხულობდნენ ლექციებს ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსები ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, გიგო ნათაძე და ალექსანდრე ნამორაძე, გიორგი ნიორაძე, ლევან მუსხელიშვილი, იასე ცინცაძე, გიორგი ჩიტაია და მრავალი სხვ. ჩვენ ვისმენდით ლექციებს ფილოსოფიაშიც კოტე ბაქრაძესთან, მოსე გოგიბერიძესთან... როგორც საშუალო სკოლაზე (გამონაკლისია — ისტორიის დარგი), ისე უმადლესზე, პედაგოგების მხრივ ჩვენს თაობას კარგის მეტი არაფერი ეთქმის, რა შედარებაა იმასთან, რაც შემდეგ დაიწყო!

**3. როგორი იყო ამ დროს ვითარება ისტორიის დარგში კვლევა-ძიების მხრივ და როგორ ჩაებით ამ მუშაობაში?**

— უნივერსიტეტში ჩემი სწავლის პერიოდი დამთხვა ისტორიის სფეროში მეცნიერული კვლევა-ძიების მანამდე არნახულ გამოცოცხლებას. საქართველოში ამ კვლევა-ძიების ცენტრად იქცა ს. ჯანაშიას მეთაურობით არსებული „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი“ („ენიმკი“). ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის დარგში მომუშავე კადრები ძირითადად იქ იყვნენ თავმოყრილნი. ისინი არცთუ ისე მრავალრიცხოვანი იყვნენ, მაგრამ ღრმა ცოდნითა და მეცნიერებისადმი უდიდესი დაინტერესებით, ენთუზიაზმით გამოირჩეოდნენ. ბედნიერება მქონდა მოვსწრებოდი იმ საქა-

მიან, ნამდვილად მეცნიერულ ატმოსფეროს, რომელიც აქ იყო გამეფებული როდესაც 1940 წელს დაიწყო იქ სიარული (ენიმიკი მაშინ ჯერ კიდევ ლერმონტოვის ქუჩაზე იყო დაბინავებული) გიორგი წერეთელთან ურარტული ენას შესასწავლად, ხოლო 1941 წელს უკვე ამ დაწესებულების ასპირანტი გავხდი (ხელმძღვანელი ორი მყავდა — ს. ჯანაშია და გ. წერეთელი).

მეცნიერული კვლევა-ძიების გაცხოველება ამ დროს უნივერსიტეტის სტუდენტობასაც დაეტყო. ამით დაინტერესებული სტუდენტობა აქტიურად ჩაება სამეცნიერო წრეების მუშაობაში. მე, კერძოდ, ჯერ იასე ცინცაძესთან ვმუშაობდი სსრკ ისტორიის წრეში, ხოლო შემდეგ ძველი ისტორიის წრეში, რომელსაც გიორგი გოზალიშვილი ხელმძღვანელობდა. ასპირანტურაშიც ამ უკანასკნელის ინიციატივით დავტრია.

**4. რამ განაპირობა თქვენი დაინტერესება ძველი აღმოსავლეთის ისტორიით?**

— გადაწყვეტი როლი ამაში მე კი არ მეკუთვნის, არამედ ასპირანტურაში ჩემი დატოვების ინიციატორს — გიორგი გოზალიშვილს. მე ამ დროს უფრო ანტიკური ქვეყნების ისტორია მაინტერესებდა. გიორგი გოზალიშვილი კი, ჩანს, მძლავრად მოეჭვა იმ „ძველადმოსავლური ბუმის“ გავლენის ქვეშ, რომელმაც მოიცილა იმ დროს ჩვენი ისტორიკოსები ს. ჯანაშიას ინიციატივით. აღორძინდა ქართული სამყაროს ძველადმოსავლურთან ნათესაობის ძველი იდეა. უნივერსიტეტში მოიწვიეს ლექციების წასაკითხად და სპეციალისტებისათვის კურსის ჩასატარებლად ევროპის გამოჩენილი სპეციალისტები ძველი აღმოსავლეთის ენებისა და ისტორიის დარგში — ჩეხი ბედრეიხ ჰროში და ავსტრიელი ლემან-ჰაუპტი, ენიმიკის დიდებული ბიბლიოთეკა შეივსო ახალი ლიტერატურით ძველი აღმოსავლეთის დარგში და სხვ. გიორგი გოზალიშვილიც აქტიურად იყო ამ საქმიანობაში ჩაბმული და ეს დიდ პატიოტულ საქმედ მიაჩნდა. მან დამარწმუნა, რომ ასპირანტურაში საბერძნეთისა და რომის ისტორიასთან შედარებით უფრო პერსპექტიული ძველი აღმოსავლეთისათვის მომეკიდა ხელი.

**5. იყო თუ არა მაშინ პირობები საქართველოში ამ დარგში სრულფასოვანი სპეციალისტის მოსამზადებლად?**

— ამაზე, მგონია, მეც და ჩემი ხელმძღვანელიც (გიორგი გოზალიშვილი) ნაკლებად ვფიქრობდით და ეს გახდა შემდეგ სერიოზულ გართულებათა მიზეზი. მეც და გ. გოზალიშვილიც მთელ იმედებს რუსეთში სასწავლებლად წასვლაზე ვამყარებდით. გარკვეული მოსინჯვის შემდეგ გავემართე კიდევ 1940 წლის დასასრულს მოსკოვისაკენ, იქაური უნივერსიტეტის ასპირანტურაში გადასასვლელად. კეთილად შემხვდნენ აქ ძველი ისტორიის კათედრის წევრები, მათ შორის მისი გამგე — ანტიკურობის გამოჩენილი სპეციალისტი პროფ. ვ. სერგეევი. მაგრამ ძველ აღმოსავლეთში ჩემს ხელმძღვანელობაზე კატეგორიული უარი მითხრეს — ასეთი სპეციალისტები მოსკოვში საერთოდ არა გვეყავსო. მთავაზობდნენ ანტიკურ ხანაში დასპეციალებას. მაგრამ ეს ჩვენს გეგმაში არ შედიოდა და მე უკან დაბრუნება მომიხდა. ამის შემდეგ დამაკავშირა, როგორც მახსოვს, გიორგი გოზალიშვილმა გიორგი წერეთელთან და ამ უკანასკნელმა დამაწყებინა ურარტული ენის შესწავლა. დაწყებით კი დამაწყებინა, მაგრამ თავის სპეციალიზმს ვერ მალავდა; მიაჩნდა, რომ მანამ ურარტუს მიადგებოდი, გრძელი გზა უნდა გაგველო: ჯერ სემიტური ენები — არაბული და ებრაული უნდა გესწავლა, მერე — სემიტურივე ასურულ-ბაბილო-



ნურს (აქადურს) უნდა დაუფლებოდნენ, შემდეგ კი ძველი აღმოსავლეთის იმ ენებზე გადასულიყავი, რომელთა ამოკითხვა-შესწავლა აქადურის ლურსმულის საფუძველზე მოხდა. მაგრამ, თუ გიორგი წერეთელი სკეპტიციზმით კმაყოფილდებოდა, სულ სხვაგვარი რეაქცია ჩემსა და გიორგი გოზალიშვილის საქმიანობაზე გამოიჩინა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა და, შემდეგ მისი „დასმენით“ სიმონ ჯანაშიამ. ორივესგან მე აღრე, სტუდენტად ყოფნის და შემდეგ კურსის დამთავრების დროს, მიღებული მქონდა წინადადება საქართველოს ისტორიაში მუშაობისა, მაგრამ მე ჩემს დაინტერესებას ძველი ისტორიით არ ვეშვებოდი. ახლა, როდესაც ერთხელ საჭარო ბიბლიოთეკაში კონსულტანტად მყოფ ნიკოლოზ ბერძენიშვილთან მივედი და ურარტუს შესახებ ზოგი ჩემი მოსაზრების მართებულობის შემოწმება განვიზრახე, მან, პასუხის ნაცვლად, რისხვა დამატება თავს — გამოამკითხა სად დავიკარგე, რას ვაკეთებ და ა. შ. შემდეგ კი მაგრად გამოგვლანძმა მეცა და ჩემი ხელმძღვანელიც ძველ აღმოსავლეთში ასეთი პრიმიტიული მზადებისათვის. მეორე დღესვე იგი ს. ჯანაშიას და გ. წერეთელს მოელაპარაკა და ყველაფერი ეს უნივერსიტეტის ასპირანტურიდან ენიმკის ასპირანტურაში ჩემი გადასვლით დამთავრდა. ივარაუდებოდა, რომ დაუყოვნებლივ ლენინგრადში გამგზავნიდნენ, მაგრამ ამ გეგმებს არ ელოდა განხორციელება, რადგანაც მალე ომი დაიწყო.

ხარვეზების ამოვსებას თბილისში შეეცადეთ. მომდევნო წლებში, როგორც იტყვიან, „ხარივით ვმუშაობდი“ — გ. წერეთელთან მთელი მისი „ციკლი“ აღვასრულე: ცოტაოდენი არაბული ვისწავლე, ვსწავლობდი ებრაულ და ასურულ-ბაბილონურ ენებს, ს. ყაუხჩიშვილთან — ძველ ბერძნულ ენას ვეუფლებოდი და ა. შ. ბევრს ნიშნავდა ჩემთვის თვით გ. წერეთელთან ახლო კონტაქტიც.

გ. წერეთელს კარგად ეტყობოდა ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის მადლი, იგი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, აფასებდა მეცნიერებაში მხოლოდ ახალი სიტყვის თქმას. მეცნიერული კვლევა-ძიებისას მას ვერ წარმოედგინა სულ ოდნავი გადახვევაც კი მეცნიერული სიმართლის პოზიციიდან, რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო ეს შთაგონებული. ღრმად სწამდა, რომ მეცნიერულმა თვალსაზრისმა აღიარება შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი საფუძვლიანობითა და საბუთიანობით. გ. წერეთელს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების შერჩევისა და აღზრდის დიდი უნარი ჰქონდა. ამ პრობლემას იგი მნიშვნელოვანწილად უკვე დასაწყისშივე წყვეტდა: ახლოს არ იკარებდა უუნარო, გაუნათლებელ პირებს, ისეთებს, ვისაც განუწყვეტელი ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა სჭირდებოდა და დამოუკიდებლად ცოდნის შექმნა-გაღრმავებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების არც უნარი და არც სურვილი არ გააჩნიათ. თავის მოწაფეებს იგი საშუალებას აძლევდა დამოუკიდებელი მუშაობით მაქსიმალურად გამოეყვინათ თავიანთი შესაძლებლობა, არა მარტო მეცნიერების კონკრეტულ დარგში მუშაობით, არამედ მთელი თავისი არსებით, შეხედულებებით, ქცევითა და საქმიანობით — უნერგავდა მათ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მეცნიერი.

სრულფასოვანი სწავლა-მომზადების გარეშე ბევრი ხარვეზი დარჩება მკვლევარს. მაღალი „მეცნიერული სკოლის“ გავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არის, რომ მეცა და ჩემი კოლეგებიც ძველ ისტორიაში ენერგიულად მივმართავთ ჩვენი მოწაფეების მომზადების დაწყებას უკვე უნივერსიტეტში სწავლის დროს, ხოლო შემდეგ ხანგრძლივ მივლინებაში ვაგზავნი

ლენინგრადში სათანადო სპეციალისტებთან სამუშაოდ და კარგ შედეგებსაც ვიღებთ. კარგია, რა თქმა უნდა, რომ მოხერხდეს მათი გაგზავნა საზღვარგარეთის ცენტრებშიც.

ნაკლები პროფესიონალიზმი, სოლიდური მომზადების („სკოლის“) გაუფლევლობა — ჩვენი დღევანდელი თაობების ყველაზე დიდი უბედურებაა. ვითარება გაართულა იმანაც, რომ შემდეგში ჩვენს რიგებში სხვადასხვა გზითა და მიზეზით აღმოჩნდა საერთოდ მეცნიერული მუშაობის მონაცემების არ მქონე ხალხის ნაკადიც, გაუარესდა მუშაობის პირობებიც... მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო გარემოსა და პირობების შექმნა — ჩვენი უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს. რა თქმა უნდა, ეს ეხება არა მარტო ქართულ ისტორიულ მეცნიერებას, არამედ, ამა თუ იმ ზომით, ბევრ სხვა დარგს.

**6. ნათქვამის გარდა, ხომ არ იყო სხვა ხელისშემშლელი პირობები, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენდა ჩვენი ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე?**

— რა თქმა უნდა, უარყოფით როლს ასრულებდა იდეოლოგიური მონოპოლიზმიც, ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არაკომპეტენტური ჩარევაც და სხვა ამისთანანი. ამ ფაქტორების გავლენას ნაკლებ განიცდიდნენ ძველი და შუა საუკუნეების პრობლემატიკაზე მომუშავე სპეციალისტები, მაგრამ მათ ზემოქმედებას ვერც ისინი გადაურჩნენ. ამ პერიოდზე მომუშავე სპეციალისტებიც ზედმეტად გულმოდგინედ (თუმცა, სრულიად გულწრფელად, ძალდატანების გარეშე) ნერგავდნენ ისტორიული პროცესების მარქსისტულ ინტერპრეტაციას — მათთანაც შეიმჩნევა ტრაფარეტული სქემები, კლასობრივი ბრძოლის ფაქტორის გადაჭარბებით შეფასება და სხვ. იგრძნობა, ამას გარდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის იდეალიზაციის ტენდენციაც. ზედმეტად აღტაცებული ვხვდებოდით ჩვენ ზმირად სტალინის სხვადასხვა თეორიულ ექსკურსებსაც...

განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა ახალი და უახლესი ისტორიის დარგში. თითქმის დაკანონდა ისტორიული სურათის აგება „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების“ თხზულებებიდან მოტანილი ციტატებით. XX ს-ის 30-იანი წლებიდან დაწყებული კი ჩვენი ისტორია წარმოიდგინებოდა პარტიულ ყრილობაზე გენერალური მდივნის საანგარიშო მოხსენების სქემით: ხუთწლიანი გეგმების შესრულება — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის განვითარება, ხალხის კულტურული დონის ამაღლება, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდა და სხვ. „ისტორია“ აივსო ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებიდან და გახეთქიდან გადმოწერილი მასალით, ხალხის მონაწილეობა ისტორიულ პროცესში ამოიწურებოდა მისი შრომითი და საბრძოლო ერთეულების დასურათებით... ამას ერთვოდა მიმოხილვა ჩვენი მიღწევებისა კულტურისა და მეცნიერების დარგში. რა თქმა უნდა, არავითარ ანალიზს იგი არ შეიცავდა და ჩვეულებრივ ჩვენი მოღვაწეების გვარებისა და მათი ნაშრომების მშრალი ჩამოთვლა იყო.

თუ ვინმე არატრადიციულად, არატრაფარეტულად მიუღდებოდა ამ ეპოქას ისტორიის ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებას, მას ჩვეულებრივ ხელმძღვანელი ორგანოების რისხვა ატყდებოდა თავს. ამის მაგალითია უშანგი სიღამონიძის წიგნის ირგვლივ ატეხილი ვაკანალია 1972 წელს. წიგნი, სხვათა შორის, ეძღვნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918 წ.) ისტორიოგრაფიას და შეიცავდა დოგმატიკოსებისათვის გაუგონარ თეზისს ამ

ფაქტის პროგრესულობის შესახებ. საქართველოს კვ ტბილისის კომიტეტმა ამისათვის მთელი სასამართლო მოუწყო წიგნის ავტორს, რედაქტორს, ინსტიტუტის ხელმძღვანელობას და სასჯელები დაადო მათ (იხ. ვაზ. „კომუნისტი“ და სხვ.). პარტიული ორგანოების ასეთი რეაქცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ ამასი ინიციატივა არ გამოეჩინათ ჩვენივე კოლეგებს, ჩვენსავე თანამშრომლებს, რომელთაც მაშინ ვაგონება არ უნდოდათ 1918 წლის 26 მაისის აქტის პროგრესულობის შესახებ. ინსტიტუტს გააუქმებინეს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებაც უ. სიდამონიძისათვის, ამ წიგნის საჯარო დაცვის საფუძველზე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების შესახებ.

უნდა ითქვას, რომ უახლესი ისტორიის დარგში მომუშავე მუშაკები ხშირად ბევრად აღემატებოდნენ დოგმატიკოსობით ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მუშაკებსაც კი, რომლებიც ზოგჯერ ხვდებოდნენ, რომ მათ ნაშრომებს ნამდვილ ისტორიასთან საერთო არაფერი აქვთ! დასახელებული ისტორიკოსები ამით, ჩანს, ცდილობდნენ გაბატონებული იდეოლოგიისადმი თავიანთი ერთგულება დაემტკიცებინათ.

უნდა ითქვას, რომ ინსტიტუტში მრავალგზის მიუთითებდნენ უახლესი ისტორიის ამ სპეციალისტებს კვლევა-ძიების მეცნიერულ რელსებზე გადაყვანის აუცილებლობაზე, მაგრამ ყველაფერი ეს ყრუ კედელს აწყდებოდა და რაიმე ეფექტს არ იძლეოდა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ რიგის მუშაკები დღესაც ნაკლებ იჩენენ სურვილს ჭეშმარიტ კვლევა-ძიებას მოჰკიდონ ხელი. ამიტომ იყო, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა არსებული სტრუქტურების პარალელურად ალტერნატიული სამეცნიერო უჯრედების შექმნის გზით წასულიყო — შეიქმნა, მაგალითად, XX ს-ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიის განყოფილება (უ. სიდამონიძის ხელმძღვანელობით) და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ უარყოფით გავლენას ჩვენს მუშაკებზე ახდენდა საარქივო მასალების მიუწვდომლობაც — არქივების ბევრი ფონდი დაკეტილი იყო. ეს დაბრკოლება მნიშვნელოვანწილად დღესაც არ არის გადალახული.

**7. მიუხედავად ამისა, როგორ აფასებთ ინსტიტუტის და საერთოდ ქართველ ისტორიკოსთა მუშაობის შედეგებს ამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე?**

— ძნელია ამ კითხვას მოკლედ უპასუხო. ამიტომ მინდა მკითხველს შევახსენო, რომ როდესაც 1987 წელს აღინიშნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 70 წლისთავი, გამოქვეყნდა ნარკვევები ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ — ქართულ („ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი“, თბ., 1988; ავტორები: ქ. თოფურჩიძე და სხვ.) და რუსულ (О. К. Жордания, Институт истории, археологии и этнографии им. акад. И. А. Джавахишвили АН ГССР, Тб., 1988) ენებზე. ცალკე წიგნებად გამოიცა აგრეთვე „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემები. 1917—1987“ (შემდგენელი — ნ. ზუკაიშვილი, თბ., 1988) და „ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაცული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ბიბლიოგრაფია. 1940—1987“ (შემდგენელი — თ. მაისურაძე, თბ., 1988). თქვენს მიერ დასმული საკითხით დაინტერესებულთ



ვურჩევდი თვალი გადაევლოთ ამ გამოცემებისათვის. ძნელია ამ მასალის გაცნობა და, მით უმეტეს, აქ ჩამოთვლილი ნაშრომების შესწავლამ, ცოტად თუ ბევრად ობიექტურად განწყობილი პირი არ დაარწმუნოს იმაში, რომ საერთოდ ეს პერიოდი იყო ჩვენი ისტორიული მეცნიერების დიდი აღმავლობის პერიოდი, რომ ბევრი რამ სასარგებლო გაკეთდა ჩვენი საისტორიო მეცნიერების წინსვლა-განვითარებისათვის. უნდა გავიხსენოთ, ამასთანავე, ის, რომ აქ არ არის აღნუსხული ის დიდი მუშაობა, რომელიც მშობლიური ქვეყნის ისტორიაში, ისევე როგორც ჩვენი ისტორიული მეცნიერების სხვა დარგებში, მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პედაგოგიკურ უნივერსიტეტში, არქივებში, მუზეუმებში და ისტორიული პროფილის სხვა დაწესებულებებში. ამიტომაც ნიპოლისტური დამოკიდებულება ჩვენი საისტორიო მეცნიერებისადმი, მისი მიღწევებისადმი, ყოვლად გაუმართებელია. 1989 წლის 28 ნოემბერს „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში, მაგალითად, პროფ. გ. ყორანაშვილი ამტკიცებს, რომ ჩვენი ისტორიკოსების უმეტესობა, საერთოდ, ვერ აცნობიერებს თავის უხადარეკ მდგომარეობას და რუსთაველის საზოგადოებასა და სახალხო ფრონტს მოუწოდებს ჩაერიონ ამ საქმეში — დატუქსონ და ჰკუთასწავლონ მათ. უფრო ადრე ამავე გაზეთში დაბეჭდილ წერილში იგი დემაგოგიურად აცხადებს, რომ უფროსი და საშუალო თაობების იმედი არ უნდა გვექონდეს და მოუწოდებს ახალგაზრდობას — რამე უშველოს ისტორიულ მეცნიერებას.

გურამ ყორანაშვილს თურმე ოცდაერთი წლის მანძილზე მარტოდმარტოს და ერთადერთს ესმის ქართული ისტორიოგრაფიის უმწეობა, კიდევაც უბრძოლია და ახლაც საბრძოლველად იწვევს უნარმოკლებულ სხვა ქართველ ისტორიკოსებს, კერძოდ ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტს, მეტიც — „ბიუროკრატიული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (სხვა) დაწესებულებებსაც“, რომლებიც პასუხის ღირსადაც არ მთვლიანო მე, თავიანთ კოლეგასა და თანამშრომელს, ქართული ისტორიოგრაფიის კრიზისის დაძლევის გზების მაძიებელსო...

გ. ყორანაშვილის ამ გაუთავებელ და გაუმართლებელ ლაშქრობას ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების წინააღმდეგ, მიუხედავად მისი სრული უსაფუძვლობისა, მაინც გამოეხმაურნენ ქართველი ისტორიკოსები. გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა გ. მელიქიშვილისა და დ. მუსხელიშვილის შენიშვნები, „თბილისში“ — ლ. ტუხაშვილის სტატია, „სახალხო ჭანათლება“-ში ედ. ხოშტარია-ბროსეს ვრცელი წერილი და სხვ. მაგრამ ყველასათვის, ვინც ჩვენს ოპონენტს კარგად იცნობს, ცხადია რომ გ. ყორანაშვილს ვერაფერ ვერაფერში ვერ დაარწმუნებს და მასთან კამათი მოკლებულია აზრს. რადგანაც ყორანაშვილი ისტორიკოსებს, პირველ ყოვლისა, მეთოდოლოგიას, ისტორიული პროცესის სინთეზისა და ფილოსოფიურ გააზრებას უწუენებს, ისმის საკითხი: ვინ უშლიდა მას ხელს აქამდე, ან ვინ უშლის მას ხელს ახლა, თვით მან — ფილოსოფიასა და ისტორიაში ასეთი დიდი პრეტენზიების მქონემ, მოჰკიდოს ხელი ამ ხარვეზის ამოვსებას და ამით გააბედნიეროს ჩვენი ისტორიული მეცნიერება? მაგრამ, ეტყობა, ზოგადი ლაპარაკი უფრო ადვილია, ვიდრე საქმის კეთება, სიტყვა — უფრო იოლი, ვიდრე საქმე.

უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიას ბედი ეწია იმით, რომ მის სათავესთან აღმოჩნდნენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი. ნიჭიერი და უაღრესად განსწავლუ-



ლი ფიგურა იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში სარგის კაკაბაძეც, თუმცა დაუსაბუთებელი კონსტრუქციების სიყვარულმა დიდი ზიანი მიაყენა მის შემოქმედებას. მომდევნო თაობიდან ფუნდამენტური შრომები შექმნეს ვალერიან გაბაშვილმა, შოთა მესხიამ და სხვ. დიდ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა წყაროთმცოდნეობამ, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების (აღმოსავლურის, დასავლეთევროპულის, ბერძნულ-რომაულის) გამოვლენა-შესწავლამ. ჩვენი ისტორიკოსების ახალმა თაობამ დიდი წვლილი შეიტანა ისეთი პრობლემების ახლებურ გააზრებაში, როგორცაა: ქართველთა ეთნოგენეზი, ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობილება, საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ეტაპები და სპეციფიკა, ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაცია, ბევრი რამ სასარგებლო გაკეთდა ჩვენი ისტორიის ყველაზე თვითმყოფადი, „არაკოსმოპოლიტიური“ პერიოდის — შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლის საქმეში. დიდი და სასარგებლო მუშაობაა ჩატარებული XIX ს-ისა და XX ს-ის წინასაბჭოური პერიოდის შესწავლის დარგში. ფუნდამენტური შრომებია შექმნილი ეკონომიკური განვითარების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საზოგადოებრივი აზრის ისტორიისა და სხვ. საკითხებზე. აქაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა კვლევის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ყველაფერ ამასზე არა ერთი ისტორიოგრაფიული ნარკვევისა თუ კრებულის არსებობა მათთვის უფლებს მოვალეობისაგან უფრო დაწერილებით შევეხო ამ საკითხს. საკუთრივ საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, უახლესი ათეული წლების დიდ წარმატებას წარმოადგენს ძველა, შუა საუკუნეების და ახალი პერიოდის შემსწავლელ აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა მძლავრი ქართული სკოლების შექმნა- ჩამოყალიბება, დასავლეთ ევროპის ისტორიის პრობლემათა კვლევა-ძიების ინტენსიური კერების წარმოქმნა და სხვა. აქ აღარაფერს ვამბობ ამ დიდ აღმავლობაზე, რომელიც ამ წლებში განიცადა ქართულმა არქეოლოგიამ და ეთნოგრაფიამ, მატერიალური და სულიერი კულტურის შემსწავლელმა ბევრმა სხვა დარგმა. ამ მეცნიერებათა წარმატებებს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება.

#### 8. როგორ გეხსებათ ინსტიტუტის შემდგომი მუშაობის პერსპექტივები, ქართველი ისტორიკოსების წინაშე მდგომი ამოცანები?

— ჩვენი ისტორიკოსების დიდი მიღწევაა კოლექტიური კაპიტალური ნაშრომის — „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის შექმნა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ ნაშრომის რუსულ ვარიანტზე. იგი, ისევე როგორც ქართული გამოცემა, რვა ტომად ქვეყნდება. უკვე გამოცა მისი პირველი და მეორე ტომები, ჩაბარებულია გამოსაცემად მეოთხე და მეხუთე ტომები, მზადდება — მესამე. მიმდინარეობს XX საუკუნის ისტორიის ცალკეული მონაკვეთებისადმი მიძღვნილი მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტომების გადაშუშავება — ხელახლა დაწერა.

ასეთივე წამყვანი სამუშაოა ინსტიტუტისათვის „თბილისის ისტორიის“ სამტომეული. ამათგან პირველი, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან XVIII ს-ის დასასრულამდე, დიდი ხანია მზადაა დასაბეჭდად, მაგრამ მისი გამოქვეყნება ბრკოლდება ქალაქის ნაკლებობის გამო. ჩაბარებული აქვს გამომცემლობას მეორე ტომიც (XIX ს. და XX ს. წინასაბჭოური ხანა). უფრო რთულადაა მესამე ტომის საქმე — იგი საფუძვლიან გადაშუშავებას მოითხოვს.

მუშაობა სწარმოებს „ქართული ისტორიული მეცნიერების ისტორიის“ სამტომეულზე, ფეოდალური ხანის საქართველოს გლეხობის ისტორიის ორტომეულზე, მზადაა გამოსაცემად საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ატლასი, ეთნოგრაფიის კოლექტივი ამზადებს „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალების“ მომდევნო ნაკვეთებს და „საქართველოს ეთნოგრაფიის ნარკვევების“ ხუთტომეულს.

რა თქმა უნდა, ყველა ეს განმაზოგადებელ-შემაჯამებელი სამუშაო ემყარება მნიშვნელოვანწილად უკვე ჩატარებულ კვლევა-ძიებას. ჩვენი მუშაობის სიახლენი ძირითადად უფრო ადრეულ ეტაპზე — ჩვენი „ლაბორატორიული მუშაობის“ პროცესში გროვდება, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მისი პირველი შედეგები „ნახევარფაბრიკატების“ სახეს ატარებს. ამიტომაც, რომ ჩვენი უპირველესი ამოცანაა, იმათთვის მაინც, ვისაც საამისო უნარი აქვს, ინსტიტუტში შეეკმნათ ჭეშმარიტად შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფერო. ბევრი რამის მოცემა შეუძლია ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის ირგვლივ საჯარო განხილვა-დისკუსიების ორგანიზაციას, გამოსაცემად წარმოდგენილი ნაშრომების ხელნაწერების სპეციალისტთა წრეში სერიოზულ განხილვას და ა. შ. დიდია სამეცნიერო კვლევა-ძიების დაგეგმვის როლიც. საჭიროა ყველა მეცნიერ მუშაკს მისთვის შესაფერი, დასაძლევნი სამუშაო მიეცეს, ამასთანავე, მათ შორის უკეთესებმა ისეთი პერსპექტიული სამუშაო დაგეგმონ, რომ კვლევა-ძიება მონოგრაფიებით დაგვირგვინდეს. შემდგომ ჩაღრმავებულ მუშაობას მოითხოვს: ქართველთა ეთნო-სოციალური განვითარება, არაქართული ეთნიკური ჯგუფების საქართველოში, უძველესი ქართული კლასობრივი საზოგადოებებისა და სახელმწიფოების ბუნება, ქართული ფეოდალიზმი — მისი ადგილი ფეოდალურ სისტემებში, საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების პერიოდიზაცია, მთისა და ბარის ურთიერთობა ფეოდალურ საქართველოში, შუა საუკუნეების ქართული ქალაქის ბუნება, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ბუნება და ქართული რენესანსის პრობლემა, „ჩიხის“ პრობლემა გვიანიშუასაუკუნეების საქართველოში, საქართველო და მეზობელი იმპერიები ძველი დროიდან დღემდე (ურთიერთობის ხასიათი), კაპიტალისტურ ურთიერთობათა გენეზისი და განვითარება საქართველოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისის საქართველოში, ლიბერალური და დემოკრატიული მოძრაობა (პარტიები) საქართველოში XX ს. დასაწყისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918—1921 წწ.) და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში, „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ განხორციელება საქართველოში, კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის თავისებურებები საქართველოში, 20—30-იან წლების რეპრესიები საქართველოში, ქართული ეკლესიის, ქართველი ინტელიგენციის რბევა, ხელისუფლების ბიუროკრატიზაცია, დიდი სამამულო ომი და საქართველო, ახალი და უახლესი ხანის ქართული საზოგადოებრივი აზრი, ცვლილებები საქართველოს მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში და ცალკეული სოციალური ფენებისა და ჯგუფების მდგომარეობა საბჭოთა პერიოდის მანძილზე, ახალგაზრდობის პრობლემების შესწავლის სოციოლოგიური ასპექტები, გარდაქმნა და თანამედროვე საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, ისტორიული დემოგრაფიის პრობლემები და მრავალი სხვა.



ინსტიტუტის მიმდინარე წლისა და მომავალი ხუთწლიდის სამუშაო გეგმა ასახავს კიდევ ბევრი ამ პრობლემის შემცველ თემატიკას. ბევრი რამ ჩამოთვლილი თემატიკიდან, რა თქმა უნდა, უკვე დამუშავებულია ინსტიტუტში ან მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ კიდევ უფრო მეტ შემდგომ კვლევა-ძიებას და, მით უმეტეს, შეჯამება-განზოგადოებას მოითხოვს.

საჭიროა ითქვას, რომ ახლა ქართველი ისტორიკოსების მიერ ბევრი რამ კეთდება იმ ისტორიული და სხვ. ლიტერატურის მოსაპოვებლად და გამოსაქვეყნებლად, რომელიც აქამდე მიუწვდომელი იყო ჩვენი მკითხველისათვის. ესაა ემიგრაციის პირობებში ჩვენი თანამემამულეების, ანდა ჩვენში რეპრესირებულ პირთა შემოქმედება. აკადემიას შედგენილი აქვს ასეთი ლიტერატურის (რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არასრული) ნუსხა და, უმჯველია, შეეცადება ამ მასალების პუბლიკაციის დასახული გეგმების განხორციელებას.

ისტორიკოსები სხვა მხრივაც ვალში ვართ ქართველი საზოგადოების წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ზოგი რამ გაკეთდა — შეიქმნა ისტორიის არაერთი სახელმძღვანელო, ქრესტომათია, პოპულარული ნარკვევი, საკითხავი წიგნი და სხვ., მაგრამ ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მეტი უნდა გაკეთდეს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის დარგშიც — საჭიროა უფრო მეტად ითარგმნოს და გამოიცეს ჩვენში შექმნილი საუკეთესო ნაშრომები რუსულ, დასავლეთ-ევროპულ და აღმოსავლურ ენებზე. ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამუშაოა აგრეთვე ქართული საისტორიო წყაროების თარგმნა ამ ენებზე.

სხვა ბევრი დიდი ამოცანის განხორციელება ეკისრებათ ჩვენს ისტორიკოსებს საქართველოს ისტორიის კვლევის, სწავლების, პოპულარიზაციის სახელმწიფო გეგმით. ერთი სიტყვით, ამოცანები და გასაკეთებელი ბევრია და თუ ყველა ჩვენგანი არ განიმსჭვალება დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, თუ მთელი მონდომებით არ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, დასახული გეგმებისა და ამოცანების სრულფასოვნად განხორციელება არ მოხერხდება.

ჩვენი ისტორიული წარსულის პოპულარიზაციისას, შინ და გარეთ, ჩვენი ამასთანავე, გვმართებს ზომიერება, მუდამ უნდა ვიდგეთ ობიექტურ, მეცნიერულ პოზიციასზე, არავითარ გადაჭარბება-გაზვიადებებს არ მივმართოთ, ერთი სიტყვით, „ადოკატური“ ისტორიის მთხვევლად არ ვიქცეთ, რის შესახებაც გვაფრთხილებდა დიდი ივანე ჯავახიშვილი კარგა ხნის წინათ. ასეთ რამეს არასასურველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს თვით ქართველი ხალხისათვის.

ინტერვიუ მიჰყავდა სარდაქიო კოლეჯის წევრს, ისტ. მეცნ. დოქტორს ვალ. ითონიშვილს



**ПИСЬМЕННЫЕ ПАМЯТНИКИ СВАНЕТИИ (X—XVIII вв.)** в двух томах.  
**ТЕКСТЫ К ПУБЛИКАЦИИ ПОДГОТОВИЛ, ИССЛЕДОВАНИЯМИ И НАУЧНО-СПРАВОЧНЫМ АППАРАТОМ СНАБДИЛ В. И. СИЛОГАВА.** т. I, Тб., 1986, т. II, Тб., 1988.

Исследования В. И. Силогавы, одного из лучших специалистов в области грузинской средневековой эпиграфики, ценны и актуальны как для грузиноведения, так и для христианской медиевистики в целом. Они составляют внушительный диптих, дающий современному и будущему исследователю всестороннее и исчерпывающее представление о письменных памятниках Сванетии (X—XVIII вв.), являющейся, в силу своего специфического географического положения и исторической судьбы, одной из самых интересных областей Грузии и всего православного мира. Они — плод многолетней скрупулезной источниковедческой и атрибуционной работы, требующей огромной эрудиции и точности от исследователя, и составляют по существу корпус всех известных (и целого ряда вводимых впервые автором в научное обращение) средневековых письменных памятников Сванетии (в том числе и надписей-граффити), являющихся до сих пор объектом частных исследований ученых разных специальностей — историков, палеографов, лингвистов, искусствоведов и т.д. Вместе с тем — это важное оригинальное исследование, отвечающее самым строгим требованиям современной науки.

Ценность и новизна труда В. Силогавы в методологическом отношении заключается именно в комплексном характере изучения памятников в их естественном и возможно полном историко-культурном контексте. Описание памятников письменности таким образом является и описанием тех условий, в которых они функционировали. Этот подход автора, а также развернутый исторический комментарий, в конечном счете подводит нас к реконструкции той культурной ситуации, в которой исследуемые памятники были созданы. Этот результат исследований В. Силогавы является особо существенным вкладом в современную медиевистику.

Фундаментальный труд В. Силогавы является серьезной основой для будущих исследований в разных областях науки о средневековой культуре. Уже сама структура его работы и классификация материала имеет значение методологического указания для всех занимающихся подобными исследованиями средневековых памятников как Восточной, так и Западной Европы. В отношении истории письменности и языка этот труд подводит к серьезным обобщениям об единстве и различиях в развитии письма в различных видах письменных памятников в зависимости от писчего материала; о сферах и хронологии появления языковых инноваций, о более или менее строгом функционировании языковых норм данной эпохи и т.д. Текстологические наблюдения автора дают возможность вычленить общие модели надписей, характерные для всей христианской культуры в целом. Точное датирование ряда

стенных росписей, на основании изучения их надписей, так же как и выяснение благодаря им целого ряда деталей, связанных с историей памятников и среды, в которой они возникали, является особо ценным вкладом в историю средневекового искусства Грузии и всего православного мира.

Об особой актуальности работы В. Силогавы для современной медиевистики свидетельствует еще и тот факт, что подобные работы разрабатываются, готовятся к печати и только начинают издаваться в целом ряде европейских стран. Достаточно упомянуть такие издания как: N. Mutsopoulos, Contribution à la morphologie de l'écriture hellénique. Album d'inscriptions byzantines et postbyzantines (Thèssalonique, 1977); V. Djurić et A. Tsituride, Nahmentragendeninschriften auf Fresken und Mosaiken aus Balkan Halbinsel (Stuttgart, 1986); подготовляемый Институтом византистики Сербской академии наук (Г. Суботич) корпус фресковых надписей на территории Югославии; подготавливаемый И. Шевченко и С. Мэнго корпус византийских эпиграфических памятников на территории Малой Азии; публикации болгарских ученых (отмеченные в работе В. Силогавы), вплоть до только что представленного на соискание ученой степени доктора филологических наук (и защищенного) труда болгарского исследователя С. Смядовского «Текстологическая и языковая характеристика болгарских кириллических надписей до XV века» и т.д. Но преимущества труда В. Силогавы в его комплексном характере и в факте уже осуществленной публикации.

Двухтомник «Письменные памятники Сванетии» является образцом современного подхода к исследуемому материалу, трудом, утверждающим новое методологическое направление в современной медиевистике и высоким достижением грузинской науки. Он имеет принципиальное значение для дальнейшего изучения средневековой культуры православного мира.

проф. ЭЛКА БАКАЛОВА (София, Институт по проблемам искусствования Болгарской Академии наук)



**დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის  
900 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია**


1989 წლის 24—25 ნოემბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მიერ მოწვეული სამეცნიერო სესია მიძღვნილი დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის 900 წლისთავისადმი.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით — „დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობისათვის“ — გახსნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკად. წევრ-კორესპოდენტმა რ. მეტრეველმა. „ქართული ხელოვნება დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ — ასეთი იყო მოხსენების თემა, რომელიც წაიკითხა აკად. ვ. ბერიძემ. მოხსენებელმა ფართოდ გააშუქა XI—XII საუკუნეების ქართული ხელოვნების ძეგლების შექმნის ისტორია, განსაზღვრა მათი ადგილი და მნიშვნელობა შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში. აკად. შ. ხიდაშელი თავის მოხსენებაში — „ფილოსოფიური აზროვნება დავით აღმაშენებლისდროინდელ საქართველოში“ — შეეხო შუა საუკუნეების ქართული კულტურის რენესანსის საკითხებს, მათი შესწავლის მდგომარეობას, როგორც თანამედროვე ქართულ, ასევე საზღვარგარეთულ ფილოსოფიურ მეცნიერებაში. დავით აღმაშენებლისდროინდელ საქართველოს ეკონომიკური წინსვლა-აღმავლობის საკითხს მიეძღვნა აკად. ვ. ჩანტლაძის მოხსენება — „დავით აღმაშენებლის ფინანსური პოლიტიკის საკითხისათვის“. როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელს დიდი ბრძოლები გარდახდა ძალით წართმეული ქართული მიწების უკან დაბრუნებისათვის. სწორედ ამ ბრძოლების ისტორიის ერთი სახელოვანი ეპიზოდი აღადგინა აკად. წევრ-კორესპოდენტმა მ. ლორთქიფანიძემ მოხსენებაში — „თბილისისათვის ბრძოლის ისტორიიდან“.

აკად. წევრ-კორესპოდენტმა დ. მუსხელიშვილმა წარმოდგინა მოხსენებაში აღმოსავლურ და ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით განიხილა დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურის წარმოშობის საკითი, დაადგინა მისი მნიშვნელობა მახლობელ აღმოსავლეთში ერთიანი ქართული სახელმწიფოს მაღალი ავტორიტეტის არსებობისათვის. „დავითის ისტორიკოსის თხულების ტექსტი“ — ასეთი იყო პროფ. მ. შანიძის მოხსენების თემა, რომელშიც მსმენელის ყურადღება მიაპყრო მის მიერ მრავალი წლის მანძილზე წარმოებული ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების წინასწარ შედეგებს. დავით აღმაშენებლის ეპოქაში ქართულ-საპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ჩასახვის საკითხს მიეძღვნა აღმოსავლეთმცოდნე, აკად. წევრ-კორესპოდენტის ა. გვახარიას გამოსვლა, ხოლო იურიდ. მეცნ. დოქტორის გ. ნადარეიშვილის მიერ წაიკითხული მოხსენება — „სახელთა სისტემის ჰუმანიზაციის საკითხი დავით აღმაშენებლის ხანის საქართველოში“ — წარმოადგენდა შუა საუკუნეების ქართული სამართლის ბუნების გაგება-გააზრების საინტერესო ცდას.

რიგი წაკითხული მოხსენებებისა მიეძღვნა საქართველოს და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხს. ასე მაგალითად, აკად. გ. მელიქიშვილის მოხსენების თემა იყო — „ძველი აღმოსავლეთი და თანამედროვეობა“, ხოლო აკად. წევრ-კორესპოდენტმა დ. ხახუტაიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ქართველური სამყარო და რკინის წარმოების ადრეული ეტაპი ახლო აღმოსავლეთში“. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები განზოგადებულ იქნა აკად. წევრ-კორესპოდენტის ო. ჭაფარიძის ვრცელ მოხსენებაში — „ადრეკორდანული კულტურა საქართველოში“.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა აკად. წევრ-კორესპოდენტმა რ. მეტრეველმა.



82 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოციალურ-კულტურული ტრადიციების შემსწავლელი საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსი ივანეს ძე რობაქიძე.

ფასადუღებელია ალ. რობაქიძის როლი და ამაგი ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბებაში. მთელი თავისი ცხოვრება მან ამ მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას მოანდომა.

გომწაზიის დამოაყრების შემდეგ 1925 წელს იგი შედის თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე, შემდეგ სწავლას აგრძელებს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში სპეციალობით „საქართველოს ეთნოგრაფია“.

1940 წელს ალ. რობაქიძე წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას მონღო-ეროების უძველეს ფორმებზე საქართველოში. 1941 წელს ინიშნება ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, ხოლო 1943—53 წწ. არის ამავე ინსტიტუტის ღირებულების მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1956 წ. იცავს სადოქტორო

დისერტაციას მურნეობის უძველესი ფორმები შესახებ საქართველოში.

1953—61 წწ. ალ. რობაქიძე იყო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1961 წ. რ. ხარაძესთან ერთად იგი აარსებს კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებას, რომლის უცვლელ ხელმძღვანელად გვევლინება სიცოცხლის ბოლომდე. კავკასიის ეთნოგრაფიული განყოფილებისათვის თავიდანვე დასახული იყო პრობლემის შესწავლა ქართულ-კავკასიურ კულტურულ-ისტორიულ ურთერთობათა კრწში. 1965 წლიდან თვალსაჩინო ღვაწლისათვის კავკასიის ეთნოგრაფიის დარგში საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებას ანიჭებენ.

ფართო იყო ალ. რობაქიძის სამეცნიერო ინტერესთა დიაპაზონი. იგი ეკუთვნოდა მეცნიერთა იმ ბრწყინვალე პლეადას, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ერუდტციით, მაღალი კულტურით. ხალასი ნიჭითა და დაუღალავი შრომისუნარიანობით. მეცნიერის კალამს ეკუთვნის ათი მონოგრაფია და ორასზე მეტი სტატია ქართულ-რუსულ და ევროპულ ენებზე. ალ. რობაქიძის სამეცნიერო შემოქმედება მოიცავს ეთნოგრაფიაში არსებულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან პრობლემას — საქართველოში მცხოვრები! სხვადასხვა ხალხთა სოციალური ყოფის, სტრუქტურის, სამეურნეო ყოფის მატერიალური კულტურის, მათესაობის სისტემის, სპორტის ის-

ტორის, ეთნოსისა, ეთნოგრაფიული მეთოდისა და მეთოდოლოგიის მრავალ საკითხში. ისტორიული წარსულის შესწავლასთან ერთად ყურადღებას არ აკლდება თანამედროვე ყოფის მეცნიერულ კვლევასაც, მისი შრომები დაწერილია ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგად, რომელშიც ჩამოყალიბებული აქვს ზოგადთეორიული მნიშვნელობის დებულებები. ვფიქრობთ, ალ. რობაქიძის ნაღწაში იმდენად ფართო რეზონანსი მიიღო, რომ მის ნაშრომებს გვერდს ვერ აუვლის კავკასიის ეთნოგრაფიის დარგში მომუშავე ვერც ერთი სპეციალისტი.

მკვლევარი სიცოცხლის ბოლომდე ინიციატორი და მონაწილე გახლდათ რესპუბლიკური და საკავშირო სამეცნიერო სესიებისა და სიმპოზიუმებისა. მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესებშიც. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად 1960 და 1964 წლების ეთნოგრაფთა საერთაშორისო კონგრესების მოხსენებებს. ამ წარმატების მაჩვენებელია, რომ მისი ორმოცდაათამდე სამეცნიერო ნაშრომი უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებშია დასტავებული.

ღვაწლმოსილი მეცნიერი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა (საზოგადოებრივ საწყისებზე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებას და ეთნოგრაფიის სექტორს საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში.

ღიდა ალ. რობაქიძის დამახსერება ეთნოგრაფიული კადრების აღზრდის საქმეში. სიცოცხლის დასასრულამდე იგი მონაწილეობდა კავკასიის სხვადასხვა რეგიონში მოწყობილ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. მეცნიერის მოწაფეებს არასოდეს დაავიწყდებოთ მასთან ერთად ველზე გატარებული ცოცხალი იუმორითა და ინტელექტუალური საუბრებით სავსე დღეები. თავისი სულგრძელობით, ადამიანურობით, საქმისადმი თავდადებული და დაუღალავი შრომით, პასუხისმგებლობისა და სამშობლოსადმი სიყვარულის მაგალითის მიმცემი იყო მოწაფეებისათვის.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია ცხრა სადოქტორო და ორმოცი საკანდიდატო დისერტაცია. ალ. რობაქიძის აღზ-

ღილები ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევიან როგორც საქართველოში, ისე სომხეთში, აზერბაიჯანში და ჩრდილო კავკასიის ყველა რეგიონში.

ღიდა განსვენებული მეცნიერის დამახსერება კავკასიის სხვადასხვა ხალხის და აზროვნებასა და დამეგობრებაში. მისი ინიციატივით მიეწყო ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული, ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური ერთობლივი ექსპედიციები, რომელმაც დიდი პერსპექტივები დასახა. სამწუხაროდ, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ბოლო ხანებში მიმდინარე პროცესები ალ. რობაქიძის კეთილშობილურ წამოწყებებს ჩრდილს, ხოლო თვით მხოლოდ მეცნიერს ტყვიას აყენებდა.

მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ალ. რობაქიძე, როგორც საქართველოს ისტორიული ატლასის შემდგენელი კომისიის თავმჯდომარე. ბევრს ზრუნავდა იგი საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებაზე. იყო მრავალი სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო საბჭოების წევრი.

კიდევ ერთხელ წარმოჩნდა ალ. რობაქიძის იროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება 1987 წლის საკავშირო პოლემიკაში, რომელიც შეეხო ერთ ყველაზე მტკივნეულ და მწვავე პრობლემას: „ეროვნული პროცესები სსრკ-ში: შედეგები, ტენდენციები, პრობლემები“. საკავშირო პრესის ფურცლებზე საკადრისი პასუხი გასცა მან აკადემიკოს ი. ვ. ბრომილის გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ეხებოდა მიგრაციულ პროცესებს და რომელშიც მოცემული იყო „ცენტრისთვის“ მისაღები ახსნა და რეკომენდაციები.

მკვლევრის მიერ განვლილი გზა, რთული და წინააღმდეგობებით სავსე იყო, მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა, ქართული ენოზოგრაფიული სკოლის მაღალმა პრიორიტეტმა, მის გარშემო დარაზმულმა მოწაფეებმა, სავსებით საქმემ და მეცნიერულმა მიუკერძოებულობამ მას ღირსეულად ატარებინა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის საპატიო სახელი.

ს. ბახია, ლ. ხუციშვილი



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
(1918–1921 წ.წ.)

ჰ ი მ ნ ი

დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,  
დიდება ქვეყნად სამოთხეს  
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,  
დიდება თავისუფლებას,  
დიდება სამარადისოდ  
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,  
დიდება ჩვენი სიცოცხლის  
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,  
ვაშა შვებასა-სიხარულს,  
სალამი ჭეშმარიტების  
შუქ-განთიადსა!

კოტე ფოცხვერაშვილი

ფასი 1 მან. 30 კაპ.

6 129/69

ინდექსი

